# საქართველოს პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შუალედური ანგარიში

## 2017-2018 წლები

**ანგარიში მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ასოციაციასთან „დეა“ და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI) თანამშრომლობით. ინიციატივის ფინანსური მხარდამჭერია ევროკავშირი (EU).**

**ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი პარტიონერებთან ერთად და მისი აღქმა ევროკავშირის პოზიციად დაუშვებელია.**

**#EU4Georgia**

# სარჩევი


შესავალი ..... 4

მეთოდოლოგია ..... 5

ძირითადი მიგნებები ..... 7

რეკომენდაციები ..... 10

1. საქართველოს პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ზოგადი შეფასება . 11

1.1. საქართველოს პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისობა სამართალდამცავ სისტემაში არსებულ გამოწვევებთან ..... 12

1.2. პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ამოცანებისა და აქტივობების შეფასება ..... 17

2. საქართველოს პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შედარება რელევანტურ სექტორულ სამოქმედო გეგმებთან ..... 22

2.1. ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმები 2016 – 2017 და 2018-2020 წლებისთვის ..... 23

2.2. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2017 – 2021 ..... 24

2.3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2017 – 2018 წლების სამოქმედო გეგმა ..... 25

2.4. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016 – 2017 და 2018 – 2020 წლების სამოქმედო გეგმები ..... 26

2.5. ეროვნული ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა 2017 – 2018 წლებისთვის ..... 28

2.6. ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის 2017 – 2018 წლების სამოქმედო გეგმა ..... 29

3. საქართველოს პროკურატურის სამოქმედო გეგმის მიზნების (ამოცანების) შესრულების მონიტორინგის შუალედური შედეგები ..... 30

3.1. ამოცანა 1. პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდა ..... 31

3.2. ამოცანა 2. ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა . 36

3.3. ამოცანა 3. ადამიანის უფლებების დაცვა ..... 53

3.4. ამოცანა 4. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტიანი სისტემის შექმნა ..... 61

3.5. ამოცანა 5. სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობა ..... 65

3.6. ამოცანა 6. საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება ..... 67

3.7. ამოცანა 7. საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება ..... 70
3.8. ამოცანა 8. დანაშაულის პრევენცია ..... 72
3.9. ამოცანა 9. სამუშაო გარემოს გაუმჯობესება ..... 74
3.10. ამოცანა 10. თანამშრომელთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლება .... 77
4. საქართველოს პროკურატურის სამოქმედო გეგმის ღონისძიებების შესრულების 2017 წლის მონიტორინგის შედეგები ..... 78
4.1. ამოცანა 1. პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდა ..... 79
4.2. ამოცანა 2. ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა . 88
4.3. ამოცანა 3. ადამიანის უფლებების დაცვა ..... 121
4.4. ამოცანა 4. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტიანი სისტემის შექმნა ..... 136
4.5. ამოცანა 5. სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობა ..... 141
4.6. ამოცანა 6. საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება ..... 151
4.7. ამოცანა 7. საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება ..... 162
4.8. ამოცანა 8. დანაშაულის პრევენცია ..... 171
4.9. ამოცანა 9. სამუშაო გარემოს გაუმჯობესება ..... 178
4.10. ამოცანა 10. თანამშრომელთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლება .. 180
5. საქართველოს პროკურატურის სამოქმედო გეგმის ღონისძიებების შესრულების 2018 წლის მონიტორინგის შედეგები ..... 186
5.1. ამოცანა 1. პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდა ..... 187
5.2. ამოცანა 2. ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა 197
5.3. ამოცანა 3. ადამიანის უფლებების დაცვა ..... 227
5.4. ამოცანა 4. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტიანი სისტემის შექმნა ..... 240
5.5. ამოცანა 5. სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობა ..... 247
5.6. ამოცანა 6. საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება ..... 255
5.7. ამოცანა 7. საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება ..... 267
5.8. ამოცანა 8. დანაშაულის პრევენცია ..... 274
5.9. ამოცანა 9. სამუშაო გარემოს გაუმჯობესება ..... 283
5.10. ამოცანა 10. თანამშრომელთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლება .. 289

# შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავდა „პროკურატურის დამოუკიდებლობის ხელშეწყობა მონიტორინგისა და ჩართულობის გზით“ (PrIME) პროექტის ფარგლებში, რომელსაც ევროკავშირის მხარდაჭერით „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) პარტნიორ ორგანიზაციებთან („კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი“ (CRRC-საქართველო) და „სტუდია მონიტორი“) თანამშრომლობით ახორციელებს. დოკუმენტის მიზანია, პროკურატურის სტრატეგიისა და 2017-2021 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობის მიმოხილვა. დოკუმენტი აგრეთვე აფასებს პროკურატურის სამოქმედო გეგმას მისი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

ბოლო წლების განმავლობაში პროკურატურის სისტემამ არაერთი ცვლილება განიცადა. 2013 წლიდან დღემდე რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა გატარდა: 2013 წლის ცვლილებებით სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია ჩამოშორდა იუსტიციის მინისტრს და გადაეცა მთავარ პროკურორს; 2015 წლის ცვლილებებით მთავარი პროკურორის შერჩევის, დანიშვნისა და გათავისუფლების გადაწყვეტილებას იღებს კოლეგიური ორგანო - საპროკურორო საბჭო; 2016 წელს შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო, რომელიც განიხილავს საქართველოს პროკურატურის მუშაკთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს; საკონსტიტუციო ცვლილებების შესაბამისად კი, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს პროკურატურა გამოეყო აღმასრულებელ ხელისუფლებას, მთავარი პროკურატურა გარდაიქმნა გენერალურ პროკურატურად და დამოუკიდებელ უწყებად ჩამოყალიბდა. მისი ხელმძღვანელი გენერალური პროკურორია, ხოლო მისი დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა საპროკურორო საბჭოს დაევალა.[1]

2018 წლის რეფორმა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი მიღწევაა, თუმცა, ამავდროულად, დიდ გამოწვევას წარმოადგენს პროკურატურისთვის, რომელმაც უნდა დაამტკიცოს, რომ ის არის ინსტიტუციურად დამოუკიდებელი, გამჭვირვალე და მიუკერძოებელი უწყება.

პროკურატურის, მათ შორის, ინდივიდუალური პროკურორების დამოუკიდებლობის გაზრდა, მათი შესაძლებლობების გაძლიერება, საპროკურორო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება და საზოგადოების ნდობის ამაღლება რამდენიმეა პროკურატურის სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული 10 მიზნიდან (ამოცანიდან).[2] პროკურატურის სტრატეგიული დოკუმენტების მონიტორინგი აუცილებელია იმისთვის, რომ შეფასდეს, რამდენად სწორი გზით ვითარდება საქართველოს პროკურატურა ახალ მოცემულობაში და დაეხმაროს მას მომავალი ნაბიჯების სწორად განსაზღვრაში. წინამდებარე მონიტორინგის შუალედური ანგარიში აფასებს პროკურატურის სტრატეგიასა და სამოქმედო

[1] საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ” (2018), პირველი, მე-6 მე-10 და მე-19 მუხლები.
[2] საქართველოს პროკურატურის სტრატეგია 2017-2021 წლები;
http://pog.gov.ge/res/docs/saqartvelosprokuratuirsstrategia.pdf.

გეგმას, მიმოიხილავს მათი შესრულების მდგომარეობას და განსაზღვრავს რეკომენდაციებს სტრატეგიული დოკუმენტებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების უკეთ მიღწევის მიზნით.

## მეთოდოლოგია

საქართველოს პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შუალედურ ანგარიშში გამოყენებულია თვისებრივი, რაოდენობრივი და კალენდარული შეფასების მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები. წინამდებარე დოკუმენტი ფარავს პროკურატურის სტრატეგიული დოკუმენტების ორწლიან პერიოდს (2017-2018 წლები).

პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სამართალდამცავ სისტემაში არსებულ გამოწვევებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელდა სიტუაციური ანალიზი, რომელიც ეყრდნობა პროკურატურის პოლიტიკის დოკუმენტის[3] შემუშავებისას მიმდინარე/დაგეგმილ რეფორმებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე მიღებულ რეკომენდაციებს, საერთაშორისო სტანდარტებს, სახალხო დამცველის ანგარიშებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შეფასებებს და საზოგადოებრივი გამოკითხვების შედეგებს. სიტუაციური ანალიზი გამოყენებულია როგორც პროკურატურის სტრატეგიული დოკუმენტების ზოგადი შეფასებისთვის, აგრეთვე ამავე დოკუმენტების მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებით ღონისძიებების ადეკვატურობის და ეფექტიანობის დადგენისთვის. სიტუაციის ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებულია ის ძირითადი გამოწვევები, რომლებიც პროკურატურის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის არსებითი და გადამწყვეტია.

პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ზოგადი შეფასება, ასევე პროკურატურის საქმიანობასთან კავშირში მყოფი რელევანტური გეგმების შედარებითი ანალიზი წარმოდგენილია ნარატიული სახით და მისი შესრულების პროგრესი არ გამოისახება ვიზუალურად.

პროკურატურის სამოქმედო გეგმაში მითითებული ამოცანებისა და მისი განხორციელების მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგს ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტთან ერთად ახორციელებდნენ ადგილობრივი ორგანიზაციები: „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“ აჭარის რეგიონში, ხოლო „ასოციაცია დეა“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რაიონში. მონიტორინგის განხორციელებისას ინფორმაციის მიღების პირველ წყაროს წარმოადგენდა საქართველოს პროკურატურა, საიდანაც

[3] საქართველოს პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გარდა, ამავე მნიშვნელობით, ტექსტში გამოყენებულია ტერმინები „პროკურატურის პოლიტიკის დოკუმენტები“ და „პროკურატურის სტრატეგიული დოკუმენტები“.

მონიტორინგის განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა წინასწარ შემუშავებული ინდიკატორების მიხედვით გამოითხოვეს საჯარო ინფორმაცია. პარალელურად ინფორმაცია მოძიებული იქნა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, სახალხო დამცველის ანგარიშებში და სხვა.

პროკურატურის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არ განსაზღვრავს ამოცანებისა და ღონისძიებების ინდიკატორებს, რომელთა დახმარებით უნდა მომხდარიყო გეგმის შესრულების პროგრესის შეფასება. ამიტომ, მეთოდოლოგია ეყრდნობა ინდიკატორებს, რომლებიც პროკურატურის წარმომადგენლებთან კონსულტაციის შედეგად შემუშავდა სპეციალურად ამ ანგარიშის მიზნებისთვის. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და ღონისძიებების შესაფასებლად გამოყენებულია რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორები.[4]

თითოეული ამოცანისა და ღონისძიების შესრულების მასშტაბი შეფასდა შერჩეული ინდიკატორების გათვალისწინებით და თითოეულ მათგანს მიენიჭა ოთხიდან ერთი სტატუსი:

1. სრულად შესრულდა - გულისხმობს ამოცანის/ღონისძიების სრულად ან თითქმის სრულად შესრულებას, რაც 100 ბალიან სისტემაში გულისხმობს 91-100 ქულას.
2. მეტწილად შესრულდა - გულისხმობს ამოცანის/ღონისძიების ძირითადი ნაწილის შესრულებას და გარკვეული ნაწილის შეუსრულებლობას. 100 ბალიან სისტემაში ეს გულისხმობს 51-დან 90-მდე ქულას.
3. ნაწილობრივ შესრულდა - გულისხმობს ამოცანის/ღონისძიების მხოლოდ მცირე ნაწილის შესრულებას და ძირითადი ნაწილის შეუსრულებლობას. 100 ბალიან სისტემაში ეს გულისხმობს 1-დან 50-მდე ქულას.
4. არ შესრულდა - გულისხმობს ამოცანის/ღონისძიების საერთოდ შეუსრულებლობას და 100 ბალიან სისტემაში ეს გულისხმობს 0 ქულას.

ამოცანისა და ღონისძიების თითოეულ ინდიკატორს მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა, რომელთა საფუძველზე გამოთვლილია ამ კონკრეტული ამოცანისა და ღონისძიების შესრულების პროგრესი.

[4] საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული სახელმძღვანელოს მიხედვით რაოდენობრივი ინდიკატორი აღწერს მოსალოდნელ შედეგს რაოდენობრივ კატეგორიაში (დაფუძნდება 100 ახალი მცირე საწარმო); ხარისხობრივი ინდიკატორი აფასებს მიღებული შედეგის ხარისხს (მაგ. ავტოსაგზაო უსაფრთხოების ხარისხი გაუმჯობესდა "X", ჯერ, "X" პროცენტით); https://matsne.gov.ge/ka/document/view/3526319?publication=0.

## ძირითადი მიგნებები

საერთაშორისო რეკომენდაციებისა და ანგარიშების, სახალხო დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოების მოსაზრებების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ პროკურატურის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ყველა იმ მნიშვნელოვან გამოწვევას, რაც მათი შემუშავების დროს პროკურატურასთან დაკავშირებით იდგა. თუმცა, აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ დაგეგმილი ღონისძიებები, ხშირ შემთხვევაში, არასაკმარისი და არაამბიციურია. ამავდროულად, მოგვიანებით დაწყებული და განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმები (შსს-სა და პროკურატურის უფლებამოსილების გამიჯვნა, საქართველოს პროკურატურის გამოყოფა აღმასრულებელი ხელისუფლებისგან) სტრატეგიულ დოკუმენტებში არ მოხვდა.

პროკურატურის სამოქმედო გეგმის ზოგიერთი მიმართულებისთვის არასაკმარისი ღონისძიებების არსებობა (აგრეთვე, მიმდინარე გამოწვევების საპასუხოდ სამოქმედო გეგმის განახლების არარსებობა) და ნაკლებ მნიშვნელოვანი, დროში გაწელილი ღონისძიებებით მისი გადატვირთვა სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის დაბრკოლება და შესაბამისად, სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი ხარვეზია.

პროკურატურის სამოქმედო გეგმაში მიზნისა და ამოცანის ტერმინების აღრევა, არასაკმარისად კონკრეტული და არაგაზომვადი ამოცანების არსებობა, მიზნის მიღწევის მექანიზმის გრაფის დამატება, რომლის ქვეშ მიზნები, ამოცანები და აქტივობებია აღრეული, დამაბნეველია და პროკურატურის სამოქმედო გეგმის სერიოზულ ხარვეზს წარმოადგენს.

საქართველოს პროკურატურის სამოქმედო გეგმაში ინდიკატორების, საბაზისო, შუალედური და სამიზნე მაჩვენებლების არარსებობა აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტების ხარვეზს და შესრულების მონიტორინგისთვის გამოწვევას წარმოადგენს.

სხვადასხვა სექტორულ სამოქმედო გეგმასა და პროკურატურის სამოქმედო გეგმას შორის მნიშვნელოვანი აცდენაა ღონისძიებების თანამიმდევრულობის თვალსაზრისით, რაც პრობლემურია, რადგან უწყების სამოქმედო გეგმაში საჭიროა ასახული იყოს ყველა ის ვალდებულება, რაც აღნიშნულ უწყებას აღებული აქვს სხვადასხვა ფორმატში.

2018 წლის მდგომარეობით, პროკურატურის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შუალედური შესრულების მაჩვენებელი დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს იმის გათვალისწინებით, რომ უწყებას 2021 წლის ბოლომდე აქვს ვადა სამოქმედო გეგმის სრულად შესრულებისთვის. პროკურატურის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 10 ამოცანიდან ერთი სრულად შესრულებულად ჩაითვალა, შვიდი მეტწილად შესრულებულია, ხოლო ნაწილობრივ შესრულებულია ორი ამოცანა.




პროკურატურის სამოქმედო გეგმით 2017 წელს გათვალისწინებული 127 ღონისძიებიდან, სრულად შესრულებულია 87, მეტწილად შესრულებულია 20, ნაწილობრივ შესრულებულია 15, ხოლო შეუსრულებელია ხუთი ღონისძიება.




პროკურატურის სამოქმედო გეგმით 2018 წელს გათვალისწინებული 119 ღონისძიებიდან, სრულად შესრულებულია 65, მეტწილად შესრულებულია 11, ნაწილობრივ შესრულებულია 11, ხოლო შეუსრულებელია 32.




როგორც დიაგრამებზე გამოსახული მონაცემებიდან ჩანს, ღონისძიებების შესრულების მაჩვენებელი 2017 წელთან შედარებით 2018 წელს გაუარესდა. სრულად შესრულებული ღონისძიებები 2018 წელს 13%-ით ნაკლებია, შეუსრულებელი ღონისძიებები კი 23%-ით გაიზარდა.

სამოქმედო გეგმის ამოცანებისა და ღონისძიებების შესრულების მონიტორინგისას გამოიკვეთა კონკრეტული გამოწვევები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს:

- პროკურორების ინდივიდუალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით გენერალური პროკურორის უფლებამოსილების შემცირება კოლეგიური ორგანოების უფლებამოსილების გაზრდის ხარჯზე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია, თუმცა ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა;

- პროკურორების ინდივიდუალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია მათი სამსახურში აყვანისა და დაწინაურების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით გარკვეული პროგრესი ფიქსირდება, თუმცა, მონიტორინგის შუალედური ანგარიშის მიხედვით, მნიშვნელოვანი გამოწვევები კვლავ სახეზეა;

- პროკურორების ინდივიდუალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია პროკურატურაში დისციპლინური წარმოების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით, მონიტორინგის შუალედური ანგარიშის მიხედვით, მნიშვნელოვანი გამოწვევები კვლავ სახეზეა;

- ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია პროკურორთა დატვირთულობის სრულყოფილი მონიტორინგის მექანიზმის არსებობა, რაც მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით ჯერ-ჯერობით დანერგილი არ არის;

- ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად ასევე მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით რთულ/პრობლემურ საქმეებზე (კიბერდანაშაული, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულები და ა.შ.) მხოლოდ ან უპირატესად სპეციალიზებული პროკურორები მუშაობდნენ, რაც მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით, გამოწვევად რჩება;

- მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება წამებისა და არასათანადო მოპყრობის, აგრეთვე სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

## რეკომენდაციები

1. საქართველოს პროკურატურამ განაახლოს პროკურატურის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მიმდინარე გამოწვევების საპასუხოდ და უზრუნველყოს აღნიშნულ პროცესში როგორც პროკურატურის სამსახურების, ისე საზოგადოების ჩართულობა;
2. საქართველოს პროკურატურამ უზრუნველყოს თანამშრომლებისთვის უწყების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გაცნობა და საქმიანობის მათზე დაყრდნობით განხორციელება;
3. საქართველოს პროკურატურამ უზრუნველყოს, პროკურატურის სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად სამოქმედო გეგმით საკმარისი და მნიშვნელოვანი ღონისძიებების გათვალისწინება;
4. საქართველოს პროკურატურამ უზრუნველყოს უწყების სამოქმედო გეგმის ტექნიკური გამართულობა, კერძოდ, სამოქმედო გეგმის ფარგლებში:
   - 4.1. გაზომვადი ამოცანებისა და ღონისძიებების გათვალისწინება;
   - 4.2. ამოცანებისა და ღონისძიებების შედეგების ინდიკატორების განსაზღვრა;
   - 4.3. საბაზისო, შუალედური და სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრა;
   - 4.4. მიზნისა და ამოცანის ტერმინების არსებული სტანდარტების შესაბამისად გამიჯვნა.

5. საქართველოს პროკურატურამ უზრუნველყოს  უწყების სამოქმედო გეგმის  იმ სექტორულ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებთან თანხვედრაში მოყვანა, რომლებიც ითვალისწინებს პროკურატურის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს;

6. საქართველოს პროკურატურამ უზრუნველყოს, რომ 2017 წელთან შედარებით 2018 წელს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების გაუარესებული მაჩვენებელი მომდევნო წლებში გამოსწორდეს;

7. საქართველოს პროკურატურამ უზრუნველყოს უწყების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის არსებობა;

8. სამოქმედო გეგმის ამოცანებისა და ღონისძიებების შესრულების მონიტორინგისას გამოკვეთილი კონკრეტული გამოწვევების აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია პროკურატურამ უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების შესრულება და დამატებითი ზომების მიღება სტრატეგიული დოკუმენტებით გათვალისწინებული ამოცანების მისაღწევად შემდეგი მიმართულებებით:

   8.1. კოლეგიური ორგანოების უფლებამოსილების გაზრდა;
   8.2. პროკურორების სამსახურში აყვანისა და დაწინაურების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფა;
   8.3. პროკურატურაში დისციპლინური წარმოების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფა;
   8.4. პროკურორთა დატვირთულობის სრულყოფილი მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება;
   8.5. განსაკუთრებით რთულ/პრობლემურ საქმეებზე (კიბერდანაშაული, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულები და ა.შ.) მხოლოდ ან უპირატესად სპეციალიზებული პროკურორების მუშაობის უზრუნველყოფა;
   8.6. წამებისა და არასათანადო მოპყრობის, აგრეთვე სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

## 1. საქართველოს პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ზოგადი შეფასება

საქართველოს პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ზოგადი შეფასების თავში განხილულია სამართალდამცავ სისტემაში არსებულ გამოწვევებთან პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისობა. ამ მიზნით გაანალიზებულია საერთაშორისო ორგანიზაციების, სახალხო დამცველისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები, კვლევები და რეკომენდაციები, მათზე დაყრდნობით წარმოდგენილია სიტუაციის ანალიზი, იდენტიფიცირებულია ის პრიორიტეტული პრობლემები, რომლებიც გადამწყვეტია გამოწვევების საპასუხოდ და შეფასებულია არსებულ

გამოწვევებთან სტრატეგიული დოკუმენტებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების[5] შესაბამისობა. ამავე თავში შეფასებულია პროკურატურის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ასახული ამოცანებისა და აქტივობების ხარისხი. ამოცანები და აქტივობები, დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, შეფასებულია S.M.A.R.T (specific, measurable, attainable, realistic and timely) კრიტერიუმების მიხედვით.[6] დოკუმენტის ამ ნაწილში ასევე განხილულია პროკურატურის სამოქმედო გეგმის მიმართება ქვეყანაში არსებულ პროკურატურისთვის რელევანტურ სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებთან.

## 1.1. საქართველოს პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისობა სამართალდამცავ სისტემაში არსებულ გამოწვევებთან

საქართველოს პროკურატურის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2017 წელს დამტკიცდა, შესაბამისად, დოკუმენტის ამ ნაწილში განხილულია ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც სამართალდამცავი სისტემა იდგა სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისას. ამავდროულად, სამოქმედო გეგმა ცოცხალი დოკუმენტია, რომელიც მუდმივად უნდა ახლდებოდეს მიმდინარე გამოწვევების შესაბამისად. საქართველოს პროკურატურის სამოქმედო გეგმა 2017 წელს დამტკიცდა და მას შემდეგ არ განახლებულა, შესაბამისად მას შემდეგ გამოვლენილი გამოწვევების გათვალისწინება სტრატეგიული დოკუმენტში აღარ მომხდარა.

პროკურატურის სისტემაში წლების განმავლობაში არსებობდა გამოწვევები, რომლებიც სხვადასხვა ფორმატში არაერთხელ განხილულა საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა პროკურატურის დამოუკიდებლობა და მისი პოლიტიზებისგან დაცვა. ასოცირების დღის წესრიგი 2014-2016 წლებში თანამშრომლობის ერთ-ერთ მიმართულებად სწორედ პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდასა და არასათანადო ჩარევისგან დაცვას ასახელებდა,[7] ხოლო ვენეციის კომისიის მოსაზრებით, საქართველოს პროკურატურის დეპოლიტიზება სისტემის რეფორმის ერთ-ერთი მიზანი უნდა ყოფილიყო.[8] ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის

---

[5] პროკურატურის სამოქმედო გეგმაში ტერმინები „მიზანი“ და „ამოცანა“ აღრეულია. ალტერნატიული მონიტორინგის ანგარიშში „მიზანი“ და „ამოცანა“ გამოყენებულია დამკვიდრებული პრაქტიკის და მთავრობის №629 დადგენილებით გათვალისწინებული მნიშვნელობით, რომლის მიხედვით, ამოცანა არის პოლიტიკის მიზნის დაკონკრეტება (და არა პირიქით, როგორც ეს პროკურატურის სამოქმედო გეგმაშია გამოყენებული); https://matsne.gov.ge/ka/document/view/3526319?publication=0&fbclid=IwAR2_xvVa3ckMfXbfNOm8rsRR4sKr8vYu9HiMkW6b-M9BU3zeCUkT7HqW2Zs.

[6] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.projectsmart.co.uk/smart-goals.php.

[7] Association Agenda between the European Union and Georgia 2017-2020, გვ. 3; https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/associationagenda_2014_en.pdf.

[8] European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), Consultative Council Of European Prosecutors (CCPE), OSCE Office For Democratic Institutions And Human Rights (OSCE/ODIHR), Joint Opinion on the Draft Amendments to the Law on the Prosecutor's Office of Georgia (CDL-AD(2015)039), პარ. 10; https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2015)039-e.

ანტიკორუფციული ქსელის (OECD-ACN) შეფასებით, ქვეყანაში მთავარი პროკურორის პოლიტიკური გავლენისგან დაცვა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა და საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაციას აძლევდა, გაეგრძელებინა მუშაობა პროკურატურის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.[9] პროკურატურის დამოუკიდებლობის კონტექსტში ასევე მნიშვნელოვანია, რომ ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფი (GRECO) ნეგატიურად აფასებდა მთავარი პროკურორის დანიშვნის პროცესზე ხელისუფლების სხვადასხვა შტოს გავლენას და ხელისუფლებას მოუწოდებდა, გაეგრძელებინა დაგეგმილი რეფორმა ამ მიმართულებით.[10] პროკურატურის დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის კუთხით არსებულ გამოწვევებზე მუდმივად საუბრობდა სამოქალაქო საზოგადოებაც.[11] **შესაბამისად, პროკურატურის პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და დამოუკიდებლობა 2016 წელს სამართალდამცავი სისტემის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა.** მნიშვნელოვანია, რომ 2016 წელს გამოკითხული მოსახლეობის 40% (რომელსაც ინფორმაცია ჰქონდა 2015 წლის პროკურატურის რეფორმის შესახებ) ფიქრობდა, რომ პროკურატურა არ იყო თავისუფალი პოლიტიკური გავლენებისგან.[12] საზოგადოების ნდობასთან კავშირშია პროკურატურის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდა, რომელიც ერთ-ერთ გამოწვევად იყო დასახელებული სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან.[13] **აღნიშნული მიუთითებს, რომ რეფორმების პარალელურად პროკურატურის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საზოგადოების ნდობის ამაღლებაზე მუშაობა, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ზრდა უნდა ყოფილიყო.**

პროკურატურის სტრატეგიული დოკუმენტების დამტკიცების პერიოდში არანაკლებ მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ინდივიდუალური პროკურორების კომპეტენციის გაუმჯობესება და მათი დამოუკიდებლობის ხელშეწყობა. პროკურატურის შესახებ კანონი პროკურორის დანიშვნის, დაწინაურების და თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე მხოლოდ ზოგად ნორმებს შეიცავდა, მოძველებული იყო ეთიკის ნორმებიც, დისციპლინური

---

[9] Anti-Corruption Reforms in Georgia - Fourth Round of Monitoring of the Istanbul Anti-Corruption Action Plan, OECD Anti-Corruption Network for Eastern Europe and Central Asia, გვ. 69-70, მე-13 რეკომენდაცია; https://www.oecd.org/corruption/acn/OECD-ACN-Georgia-Round-4-Monitoring-Report-ENG.pdf.

[10] Fourth Evaluation Report, Georgia - Corruption prevention in respect of members of parliament, judges and prosecutors, Council of Europe Group of State against Corruption (2016), პარ: 150.

[11] კოალიციის მოსაზრებები პროკურატურის რეფორმის კონცეფციასთან დაკავშირებით (2015), https://idfi.ge/ge/coalitions-oppinion-on-prosecutors-office-reform-concept; არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა საქართველოს პარლამენტს მთავარი პროკურორის კანდიდატურის დამტკიცებასთან დაკავშირებით (2015), https://idfi.ge/ge/ngos-appeal-to-parliament-regarding-candidate-of-the-chief-prosecutor.

[12] მნიშვნელოვანი ინსტიტუტისადმი ნდობა საქართველოში 2016 წელს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ დაკვეთით 2016 წელს „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის” (CRRC) მიერ ჩატარებული გამოკითხვა, https://www.transparency.ge/ge/blog/mnishvnelovani-institutisadmi-ndoba-sakartveloshi-2016-tsels.

[13] ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) წინადადებები საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილება/დამატებების თაობაზე (2017), გვ. 3-4, https://emcrights.files.wordpress.com/2017/01/e183a1e18390e18399e1839de1839ce183a1e183a2e18398e183a2e183a3e183aae18398e1839d-e18399e1839de1839be18398e183a1e18398e18390_e183a1e18390.pdf; *Reform of the Prosecutor's Office in Georgia –what is at stake?* (2015), Open Society Georgia Foundation, გვ. 4, https://www.osgf.ge/files/2015/Publication/EU-Geirgia Association /report6.pdf.

წარმოების მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო კი - ბუნდოვანი. ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლებამ 2016 წელს GRECO-სა და OECD-ACN-ისგან მიიღო რეკომენდაციები, რომ უზრუნველეყო ინდივიდუალური პროკურორების დანიშვნა, დაწინაურება და სამსახურიდან გაშვება გამჭვირვალე პროცესისა და დასაბუთებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ნათელ და ობიექტურ პროფესიულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით; პროკურორისთვის საქმის გადაცემის და ჩამორთმევის ნათელი და ობიექტური კრიტერიუმების გაწერა და ზემდგომი პროკურორის მიერ ქვემდგომისთვის მითითებების მიცემა მხოლოდ დასაბუთებული და წერილობითი ფორმით; ეთიკის ნორმების შემუშავება, გამჭვირვალე დისციპლინური პროცედურის დანერგვა და ამ მიმართულებით პროკურორთა ცნობიერების ამაღლება.[14] ინდივიდუალური პროკურორების კომპეტენციის გაუმჯობესებასა და მათი დამოუკიდებლობის ხელშეწყობის საჭიროებაზე მიუთითებდა ვენეციის კომისიაც.[15] აღნიშნულ პრობლემებზე ყურადღებას მუდმივად ამახვილებდა სამოქალაქო საზოგადოებაც.[16] **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდივიდუალური პროკურორების გაძლიერება და მათი დამოუკიდებლობის ხელშეწყობა პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა.**

ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესება და ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა სამართალდამცავი სისტემის, მათ შორის, პროკურატურის გამოწვევად. სახელმწიფო მოხელეების მიერ ჩადენილი დანაშაულები, წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტები, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება წლების განმავლობაში დიდ სირთულეს წარმოადგენდა. საქართველოს სახალხო დამცველი თავის ანგარიშში მიუთითებდა, რომ წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის დანაშაულების გამოძიების და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის კუთხით, საქართველოს პროკურატურის საქმიანობა არაეფექტური იყო.[17] სახელმწიფო მოხელეების მიერ ჩადენილ დანაშაულთა ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველყოფას მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებას გაეროს ადამიანის

[14] Anti-Corruption Reforms in Georgia - Fourth Round of Monitoring of the Istanbul Anti-Corruption Action Plan, OECD Anti-Corruption Network for Eastern Europe and Central Asia, გვ. 69-70, მე-13 რეკომენდაცია; Fourth Evaluation Report, Georgia - Corruption prevention in respect of members of parliament, judges and prosecutors, Council of Europe Group of State against Corruption (2016), პარ: 155, 166 და 171.

[15] Joint Opinion of the Venice Commission, the Consultative Council of European Prosecutors (CCPE) and OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR), on the draft Amendments to the Law on the Prosecutor's Office of Georgia, CDL-AD(2015)039, პარ: 17 და 90.

[16] საქართველოს პროკურატურის სისტემაში მიმდინარე რეფორმების მიმოხილვა: მიღწევები და არსებული გამოწვევები (2018), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, https://idfi.ge/ge/overview_of_the_reforms_in_prosecution_system_of_georgia_achievements_and_existing_challenges; კოალიციის მოსაზრებები პროკურატურის რეფორმაზე (2015), https://emc.org.ge/ka/products/koalitsiis-mosazrebebi-prokuraturis-reformaze.

[17] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2016), გვ. 8, https://drive.google.com/file/d/11H2Ywr72aNiTwurAjO3Q8fNiqCqj1JvW/view.

უფლებათა საბჭო და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი.[18] სახალხო დამცველი პროკურატურას მოუწოდებდა ქალთა მკვლელობების სიღრმისეულ ანალიზს დანაშაულებრივ ფაქტებში გენდერული ნიშნით განსაზღვრისა და შესაბამისი რეაგირებისათვის.[19] ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის არაეფექტიანობაზე საუბრობდა გაეროს სპეციალური მომხსენებელი 2016 წელს.[20] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW) შეშფოთებას გამოთქვამდა ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების ზრდის და ტრეფიკინგთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი დევნის სიმცირის გამო.[21] წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, ორგანიზებული დანაშაულისა და ნარკოტრაფიკი წინააღმდეგ ბრძოლას პრიორიტეტებად ასახელებდა ასოცირების დღის წესრიგიც.[22] საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის პროგრესის შესახებ ანგარიშში საერთაშორისო ექსპერტი განსაკუთრებით პრობლემურად მიიჩნევდა, რომ პროკურატურას არ ჰქონდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების სურვილი.[23] **შესაბამისად, ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესება და ცალკეული დანაშაულის (მათ შორის, წამება და არაადამიანური მოპყრობა, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, ტრეფიკინგი, ნარკოტრაფიკი) წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა საქართველოს პროკურატურის სტრატეგიულ დოკუმენტებში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა ყოფილიყო.**

საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიის ანალიზი ცხადჰყოფს, რომ დოკუმენტი პრიორიტეტად ასახელებს ზემოთ განხილულ ყველა მიმართულებას, კერძოდ, პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდა, ადამიანის უფლებების დაცვა, დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა, საპროკურორო საქმიანობის ხარისხის, თანამშრომელთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის გაუმჯობესება და საზოგადოების ნდობის ამაღლება რამდენიმეა პროკურატურის მიერ აღიარებული პრიორიტეტებიდან (რამდენად საკმარისი იყო ამ გამოწვევების აღმოსაფხვრელად სამოქმედო გეგმით

---

[18] Report of the Working Group on the Universal Periodic Review (2015) A/HRC/31/15, UN General Assembly Human Rights Council, პარ: 118.27 – 118.32, https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G16/005/04/PDF/G1600504.pdf?OpenElement; Report to the Georgian Government on the visit to Georgia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 1 to 11 December 2014, PT/Inf (2015), პარ: 16.

[19] ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში, სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში (2015), გვ. 41, http://ungeorgia.ge/uploads/geo3.pdf.

[20] Report of the Special Rapporteur on violence against women, its causes and consequences on her mission to Georgia (2016) A/HRC/32/42/Add.3, UN General Assembly, გვ. 20, http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=A/HRC/32/42/Add.3.

[21] Concluding observations on the combined fourth and fifth periodic reports of Georgia (2014), CEDAW, პარ: 20.

[22] Association Agenda between the European Union and Georgia 2017-2020, გვ. 6 და 12, https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/associationagenda_2014_en.pdf.

[23] მ. ნიკოლსონის ანგარიში საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020წწ. ეროვნული სტრატეგიის პროგრესის შესახებ და რეკომენდაციები სამომავლო მიდგომებთან დაკავშირებით (2017), გვ. 21, http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/8512ReportonimplementationHumanRightsStrategyGEOEWMIUNDP.PDF.

გათვალისწინებული ღონისძიებები, ალტერნატიული მონიტორინგის დოკუმენტის 1.2 ქვეთავშია განხილული).[24]

აღნიშნული საკითხები კვლავ გამოწვევად რჩება, თუმცა, როგორც ზევით აღინიშნა, სხვადასხვა ხარვეზის აღმოსაფხვრელად შემდგომში დაგეგმილი რეფორმები უწყების სტრატეგიულ დოკუმენტებში არ ასახულა. ქვემოთ მიმოხილულია ორი მათგანი:

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2018 წლის სექტემბერში განაცხადა **შსს-სა და პროკურატურის უფლებამოსილების გამიჯვნის რეფორმის** დაწყების შესახებ.[25] იქიდან გამომდინარე, რომ დღეს არსებული კანონმდებლობა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთან ერთად პროკურორებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობასაც აკისრებთ (რაც გულისხმობს გამოძიების სტრატეგიის განსაზღვრას, ქმედების კვალიფიკაციას და სხვა), აღნიშნული რეფორმა პირდაპირ გავლენას ახდენს პროკურატურაზე[26] და მისი მონაწილეობის გარეშე ვერ განხორციელდება. თუმცა, იმის გამო, რომ პროკურატურა სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმის განახლებას არ ახდენს, ეს მნიშვნელოვანი მიმართულება მათში ასახული არ არის.

2017 წელს მიღებული იქნა საკონსტიტუციო ცვლილებები[27], რომელთა მიხედვით, **საქართველოს პროკურატურა გამოეყო აღმასრულებელ ხელისუფლებას** და ინსტიტუციურად დამოუკიდებელ უწყებად ჩამოყალიბდა, რასაც მოყვა რიგი საკანონმდებლო ცვლილებებისა, მათ შორის, პროკურატურის შესახებ ორგანულ კანონსა და კანონქვემდებარე აქტებში. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგია პროკურატურის დამოუკიდებლობის ზრდას ერთ-ერთ პრიორიტეტად ასახელებს, აღნიშნულ რეფორმასთან დაკავშირებით არც სტრატეგია და არც სამოქმედო გეგმა აკეთებს რაიმე მინიშნებას სწორედ ზემოთ აღნიშნული მიზეზის - სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლების პრაქტიკის არარსებობის გამო.

**საერთაშორისო რეკომენდაციებისა და ანგარიშების, სახალხო დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოების მოსაზრებების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ პროკურატურის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ყველა იმ მნიშვნელოვან გამოწვევას, რაც მათი შემუშავების დროს პროკურატურასთან დაკავშირებით იდგა. თუმცა, მოგვიანებით დაწყებული და განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმები (შსს-სა და პროკურატურის უფლებამოსილების გამიჯვნა, საქართველოს პროკურატურის გამოყოფა აღმასრულებელი ხელისუფლებისგან) სტრატეგიულ დოკუმენტებში არ მოხვდა.**

---

[24] საქართველოს პროკურატურის სტრატეგია 2017 – 2021 წლები.

[25] შსს - შინაგან საქმეთა სამინისტრო საგამოძიებო სისტემის რეფორმას იწყებს (2018), https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministro-sagamodziebo-sistemis-reformas-itskebs/11989.

[26] IDFI-ის მოსაზრება საპროკურორო და საგამოძიებო უფლებამოსილების გამიჯვნის რეფორმასთან დაკავშირებით (2019), https://idfi.ge/ge/idfi_opinion_on_reform_separating_prosecutorial_and_investigative_powers.

[27] საკონსტიტუციო ცვლილებები 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევიდა ძალაში.

## 1.2. პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ამოცანებისა და აქტივობების შეფასება

საქართველოს პროკურატურის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 10 ამოცანით არის წარმოდგენილი. თითოეულ ამოცანას ერთი ან რამდენიმე მიზანი გააჩნია, რომელთა მისაღწევად მოცემულია შესაბამისი მექანიზმები და დაგეგმილი ღონისძიებები. სამოქმედო გეგმა გაწერილია 2017-2021 წლებზე და თითოეული ღონისძიების შესრულებისთვის ერთი კალენდარული წელია ნაგულისხმევი. სამოქმედო გეგმას არ გააჩნია ინდიკატორების გრაფა. გეგმას ახლავს თითოეული საქმიანობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი დანაყოფების ჩამონათვალი (პარტნიორ უწყებებთან ერთად). სამოქმედო გეგმაში ამოცანები, მიზნები და მექანიზმები დანომრილია, ხოლო ღონისძიებები - არა. მართალია, ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად ზოგან მხოლოდ ერთი ღონისძიებაა მოცემული, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევაში შესასრულებელ ღონისძიებათა რაოდენობა ერთზე მეტია და ასეთ დროს, მათთვის ნომრების მინიჭება უფრო ადვილად სახელმძღვანელოს და აღქმადს გახდიდა დოკუმენტს.

IDFI-ის რეგიონული პარტნიორისთვის - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტისთვის საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიწოდებული ინფორმაციით დგინდება, რომ 2017-2021 წლების განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ჩართული იყო პროკურატურის ყველა სამსახური, მათ შორის, წარმომადგენელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურიდან. ყველა მოსაზრება განხილულ იქნა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რის შემდგომაც მოხდა სტრატეგიული მიზნებისა და ამ მიზნების მისაღწევად დაგეგმილი მექანიზმების ასახვა შესაბამის დოკუმენტებში. აუცილებელი იყო, სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემდგომში განხილვა და მიმდინარე პროგრესის შუალედური ანალიზის განხორციელება რეგიონების მიხედვით. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ პირისპირ თუ ჯგუფური შეხვედრების დროს გამოიკვეთა, რომ პირველადი გაცნობის შემდგომ პროკურორებს არანაირი შეხება არ ჰქონიათ სტრატეგიულ დოკუმენტებთან.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს მიხედვით პოლიტიკის დოკუმენტში, რეკომენდებულია, მოცემული იყოს სამიდან ხუთამდე გლობალური მიზანი შესაბამისი ამოცანებით, რომლებიც მიზნებიდან უნდა გამომდინარეობდეს.[28] იგივე დოკუმენტი პოლიტიკის დოკუმენტის მიზანს განმარტავს, როგორც არსებული პრობლემების გადაჭრის თაობაზე განაცხადს; ამოცანას კი განმარტავს, როგორც პოლიტიკის მიზნების დაკონკრეტებას, სპეციფიკურ შედეგს, რომელიც მიღწეული უნდა იქნეს კონკრეტულ ვადაში.[29] მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულისგან

[28] საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბერის დადგენილება №629, გვ. 13, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3526319?publication=0&fbclid=IwAR2_xvVa3ckMfXbfNOm8rsRR4sKr8vYu9HiMkW6b-M9BU3zeCUkT7HqW2Zs.

[29] იქვე, გვ. 5-6.

განსხვავებით, პროკურატურის სამოქმედო გეგმაში ამოცანები გვხვდება, როგორც პრობლემის გადაჭრის ზოგადი განაცხადი, ხოლო მიზნები გამოყენებულია ამოცანების ნაცვლად, როგორც მიზნის დაკონკრეტება. უფრო მეტიც, 10-დან ცხრა შემთხვევაში, პროკურატურის სამოქმედო გეგმის მიზანი და ამოცანა თითქმის სრულად იდენტურია და მათ შორის არ არსებობს რაიმე განსხვავება (თვალსაჩინოებისთვის იხ. ცხრილი #1). აღნიშნული ცხრა შემთხვევიდან, სადაც მიზანი და ამოცანა ერთმანეთის იდენტურია, ზოგი მათგანი აკმაყოფილებს ამოცანის კრიტერიუმებს, ზოგი კი - მიზნისას. მაგალითად, პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდა (ისევე, როგორც ადამიანის უფლებების დაცვა) საკმარისად ზოგადი განაცხადებია და წარმოდგენილი უნდა იყოს მიზნის გრაფაში. აღნიშნულ მიზანს განსაზღვრული უნდა ჰქონდეს მიზნის დაკონკრეტება - ამოცანები, როგორიცაა: მთავარი პროკურორის დანიშვნის გამჭვირვალე და ობიექტური პროცესის დანერგვა, პროკურორების კვალიფიკაციის გაუმჯობესება, პროკურატურის კოლეგიური ორგანოების როლის გაზრდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ა.შ.

პროკურატურის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული კიდევ ერთი გრაფა - მიზნის მიღწევის მექანიზმები - ზოგ შემთხვევაში წარმოადგენს მიზანს (6.1.6. ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის დანერგვა) ხშირ შემთხვევაში - ამოცანას (1.1.6. პროკურატურის სისტემაში თანამშრომლების აყვანისა და დაწინაურების გამჭვირვალე პროცედურების დანერგვა, 1.1.3 პროკურატურაში გამჭვირვალე დისციპლინური პროცედურების დანერგვა, 2.1.3. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა), ზოგ შემთხვევაში - აქტივობას/ღონისძიებას (5.1.2. სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტების გამოცემა, 5.1.6. პრაქტიკოსებისთვის სამართლებრივი დახმარების სახელმძღვანელოს შექმნა).

*ცხრილი #1:*

| პროკურატურის სამოქმედო გეგმის ამოცანა | პროკურატურის სამოქმედო გეგმის მიზანი |
|---|---|
| 1. პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდა | 1.1. პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდა |
| 2. ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა | 2.1. ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა |
| 3. ადამიანის უფლებების დაცვა | 3.1. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა |
| | 3.2. წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა |

| | |
|---|---|
| | 3.3. დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა |
| 4. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება | 4.1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტიანი სისტემის შექმნა |
| 5. სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობა | 5.1. სისხლის სამართლის საქმეებზე ეფექტური საერთაშორისო თანამშრომლობა |
| 6. საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება | 6.1 . საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება |
| 7. საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება | 7.1. საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება |
| 8. დანაშაულის პრევენცია | 8.1. დანაშაულის პრევენცია |
| 9. სამუშაო გარემოს გაუმჯობესება | 9.1. სამუშაო გარემოს გაუმჯობესება |
| 10. თანამშრომელთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლება | 10.1. თანამშრომელთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლება |

საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტის მიხედვით, ამოცანები უნდა აკმაყოფილებდეს S.M.A.R.T. კრიტერიუმებს - უნდა იყოს საკმარისად კონკრეტული, გაზომვადი, შესრულებადი, რეალური და დროში განსაზღვრული.[30] საქართველოს პროკურატურის პოლიტიკის დოკუმენტებში ამოცანის გრაფაში მითითებული 10 განაცხადიდან რამდენიმე მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმებს (მეორე, მეექვსე, მეშვიდე და მე-10 ამოცანები). რაც შეეხება დანარჩენ განაცხადებს, ისინი არაა საკმარისად კონკრეტული ან/და გაზომვადი იმისთვის, რომ მიჩნეული იქნეს ამოცანად. მაგალითად, მესამე ამოცანა (ადამიანის უფლებების დაცვა) ძალიან ზოგადია, არ იკვეთება კონკრეტული განაცხადი და შეუძლებელია მისი გაზომვა. იგივე შეიძლება ითქვას მეოთხე და სხვა განაცხადებზე ამოცანის გრაფებში.

**პროკურატურის სამოქმედო გეგმაში მიზნისა და ამოცანის ტერმინების მსგავსი აღრევა, არასაკმარისად კონკრეტული და არა-გაზომვადი ამოცანების არსებობა, მიზნის მიღწევის მექანიზმის გრაფის დამატება, რომლის ქვეშ მიზნები, ამოცანები და აქტივობებია აღრეული, დამაბნეველია და პროკურატურის სამოქმედო გეგმის სერიოზულ ხარვეზს წარმოადგენს.**

[30] *Support for Improvement in Governance and Management*, GOV/SIGMA(2018)3, OECD Public Governance Directorate, გვ. 45, http://www.oecd.org/officialdocuments/publicdisplaydocumentpdf/?cote=GOV/SIGMA(2018)3&docLanguage=En.

პროკურატურის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი ღონისძიება არასაკმარისია შესაბამისი ამოცანის შესასრულებლად. მაგალითად, პირველი ამოცანის ქვეშ (პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდა) არცერთი აქტივობა არ გვხვდება პროკურატურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფის მიმართულებით (გარდა მთავარი პროკურორის არჩევის წესის დახვეწის მიზნით წინადადებების შემუშავებისა), ხოლო კოლეგიური ორგანოების როლის გაზრდის მიმართულებით მხოლოდ საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის დახვეწის (და არა მისი როლის გაზრდის) მიზნით წინადადებების შემუშავება და საბჭოს სხდომის გამართვაა გათვალისწინებული (აქედან სამოქმედო გეგმის ბოლო სამი წლის განმავლობაში გასამართი ერთადერთი ღონისძიება საკონსულტაციო საბჭოს სხდომის ჩატარებაა).[31] ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის დანერგვის მიმართულებით, მართალია, გათვალისწინებულია რეკომენდაციების განახლება და ანგარიშის მომზადება, მაგრამ არცერთი აქტივობა არ გვხვდება სამართალდამცავ უწყებებს შორის საკოორდინაციო მექანიზმის შექმნის/გაძლიერების მიმართულებით, რაც ერთგვაროვანი პოლიტიკის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია, რომ 2017 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების პრაქტიკაში დანერგვის მიზნით არანაირი ღონისძიების გათვალისწინება არ მომხდარა პროკურატურის სამოქმედო გეგმის განახლებისას 2018 წელს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით საპროკურორო საბჭოს ფუნქციაა პროკურატურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა. თუმცა, კანონით საბჭოსთვის მინიჭებული შეზღუდული უფლებამოსილება, აღნიშნული

[31] **საქართველოს გენერალური პროკურატურის მოსაზრებით,** პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდასთან დაკავშირებული ღონისძიებების არასაკმარისობაზე საუბრისას, მათ შორის კოლეგიური ორგანოების როლის გაძლიერებასთან მიმართებაში, გასათვალისწინებელია, რომ საქმე ეხება პროკურატურის სამოქმედო გეგმას და არა ეროვნულ სამოქმედო გეგმას. გარდა ამისა, მაგალითად, პროკურატურის კოლეგიური ორგანოების როლის გაზრდას სჭირდება საკანონმდებლო ცვლილებები. პროკურატურა არ  არის უფლებამოსილი, აიღოს და შეასრულოს ისეთის ტიპის ვალდებულება, რომელიც მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილებებს. აღნიშნული საკითხი განეკუთვნება  მთავრობის და პარლამენტის კომპეტენციას, ხოლო პროკურატურას არათუ კანონში ცვლილებების შეტანის, საკანონმდებლო ინიციატივის უფლებაც არ აქვს.  **IDFI-ის პოზიცია** აღნიშნულ საკითხზე შემდეგია: უწყებამ საკუთარ სამოქმედო გეგმაში ამოცანად დაისახა საკუთარი დამოუკიდებლობის გაზრდა (სამოქმედო გეგმის პირველივე ამოცანა პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდაა, ხოლო აღნიშნული ამოცანის ქვეშ თავადვე განსაზღვრა ისეთი ვალდებულება, როგორიცაა 1.1.1. კოლეგიური ორგანოების როლისა და მნიშვნელობის გაზრდა; 1.1.3 გამჭვირვალე დისციპლინური პროცედურების დანერგვა; 1.1.5. პროკურატურის და პროკურორთა დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა; 1.1.6. პროკურატურის სისტემაში თანამშრომლების აყვანისა და დაწინაურების გამჭვირვალე პროცედურების დანერგვა. თითოეული აღნიშნული ვალდებულება გულისხმობს საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება. რა თქმა უნდა, უწყება ვერ შეძლებს აღნიშნული ვალდებულებების შესრულებას სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებთან/ხელისუფლების შტოებთან თანამშრომლობის გარეშე. რადგანაც უწყებამ საკუთარ თავს აღნიშნული ვალდებულებები განუსაზღვრა, მას მათი შესრულების გეგმაც უნდა ჰქონოდა დასახული. შესაბამისად, IDFI საქართველოს პროკურატურას არ უწესებს რაიმე ახალ ვალდებულებას, არამედ ზომავს უწყების მიერ თავისივე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას ობიექტურ ინდიკატორებზე დაყრდნობით.

ფუნქციების შესრულებას ვერ უზრუნველყოფს.[32] სამოქმედო გეგმა ამ მიმართულებით ახალ, კონკრეტულ ღონისძიებებს არ ითვალისწინებს.

პროკურატურის სამოქმედო გეგმაში ძალიან ხშირად გვხვდება წლის განმავლობაში განსახორციელებელი ისეთი უმნიშვნელო და მცირემასშტაბიანი ღონისძიებები, როგორიცაა სამუშაო ჯგუფის შექმნა, სახელმძღვანელოზე მუშაობის დაწყება, ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის შექმნაზე მუშაობის დაწყება და სხვა. მიუღებელია სამოქმედო გეგმის გადატვირთვა მსგავსი ტექნიკური ხასიათის ღონისძიებებით. იმისთვის, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მიღწევა რეალურად მოხდეს და ეს დროში არ გაიწელოს, მასში უფრო მნიშვნელოვანი და მასშტაბური ღონისძიებები უნდა იქნეს გათვალისწინებული. პროკურატურის სამოქმედო გეგმა თითო ღონისძიების განხორციელებისთვის ერთ წელს ითვალისწინებს და ბუნდოვანია, რატომ არის საჭირო სამუშაო ჯგუფის შექმნისთვის ან ელექტრონულ პროგრამასა თუ სახელმძღვანელოზე მუშაობის დაწყებისთვის ამხელა ვადის განსაზღვრა.

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის ზოგიერთი მიმართულებისთვის არასაკმარისი ღონისძიებების არსებობა (აგრეთვე, მიმდინარე გამოწვევების საპასუხოდ სამოქმედო გეგმის განახლების არარსებობა) და ნაკლებ მნიშვნელოვანი, დროში გაწელილი ღონისძიებებით მისი გადატვირთვა სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის დაბრკოლება და შესაბამისად, სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი ხარვეზია.**

ზემოთ აღნიშნული მთავრობის დადგენილების თანახმად პოლიტიკის დოკუმენტის შემადგენელი კომპონენტია შედეგების ინდიკატორები - რაოდენობრივი, ხარისხობრივი ეფექტიანობის მაჩვენებლები, რომლებიც ზომავენ შედეგების დადგომას. შედეგების ინდიკატორების განსაზღვრის მიზნით ნაჩვენები უნდა იყოს საბაზისო, შუალედური[33] და საბოლოო მაჩვენებლები.[34] საქართველოს პროკურატურის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საერთოდ არ ითვალისწინებს შედეგების ინდიკატორებს და საბაზისო, შუალედურ და სამიზნე მაჩვენებლებს. ინდიკატორების გარეშე ამოცანებისა და შედეგების გაზომვა ფაქტიურად შეუძლებელია განსაკუთრებით მაშინ, როცა ამოცანები ვერ აკმაყოფილებს S.M.A.R.T. კრიტერიუმებს. პროკურატურის სამოქმედო გეგმაში გამოყენებული ღონისძიებების/აქტივობების შედეგების საფუძველზე კი შედეგის გაზომვა პრობლემურია, რადგან ისინი არ წარმოადგენენ ინდიკატორებს. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმას საერთოდ არ აქვს ამოცანისა და გავლენის ინდიკატორები, რაც ბუნდოვანს ხდის სამოქმედო გეგმით

---

[32] დაწვრილებითი ინფორმაციისთვის, იხ. *პროკურატურის რეფორმა - რა ცვლილებებით შეხვდა სისტემა 2019 წელს*, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (2019 წლის თებერვალი), https://idfi.ge/ge/prosecutorial_reform_review_of_system_changes_at_the_onset_of_2019.

[33] შუალედური მაჩვენებელი განსაკუთრებით საჭიროა ისეთი გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შემთხვევაში, როგორიც პროკურატურის სამოქმედო გეგმაა (2017 - 2021).

[34] საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბერის დადგენილება №629, გვ. 14, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3526319?publication=0&fbclid=IwAR2_xvVa3ckMfXbfNOm8rsRR4sKr8vYu9HiMkW6b-M9BU3zeCUkT7HqW2Zs.

გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მიღწევას იმ შემთხვევაშიც კი, როცა აქტივობების 100% შეიძლება იყოს შესრულებული.

**საქართველოს პროკურატურის სამოქმედო გეგმაში ინდიკატორების, საბაზისო, შუალედური და სამიზნე მაჩვენებლების არარსებობა აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტების ხარვეზს და შესრულების მონიტორინგის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს.**

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ მეოთხე ამოცანაში, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას ეხება, აგრეთვე გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებთან დაკავშირებული ღონისძიებები. ამ ორი, ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელი სფეროს ერთ ამოცანაში მოქცევა გაუგებრობას იწვევს და მიზანშეწონილია, სამოქმედო გეგმაში ერთმანეთისგან გაიმიჯნოს აღნიშნული ორი მიმართულება.

## 2. საქართველოს პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შედარება რელევანტურ სექტორულ სამოქმედო გეგმებთან

უწყების მიერ სხვადასხვა სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების ეფექტიანად შესრულებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა აღნიშნულ ღონისძიებას თავად უწყების სამოქმედო გეგმაც ითვალისწინებდეს, განსაკუთრებით, იმ მოცემულობაში, როდესაც ზოგიერთი სექტორული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმი სუსტია ან არ არსებობს.[35] ალტერნატიული მონიტორინგის ამ ნაწილში იდენტიფიცირებულია ის ძირითადი სექტორული სამოქმედო გეგმები, რომლებშიც პროკურატურა პასუხისმგებელ უწყებად გვევლინება და გაანალიზებულია, რამდენად თანმიმდევრულია პროკურატურის სამოქმედო გეგმასა და სექტორულ სამოქმედო გეგმებში არსებული პროკურატურის ვალდებულებები. იდენტიფიცირებული სამოქმედო გეგმებიდან პროკურატურის სამოქმედო გეგმასთან შედარებულია ის ამოცანები და ღონისძიებები, რომელთა პასუხისმგებელ უწყებად განსაზღვრულია პროკურატურა და აქცენტი გაკეთებულია იმ ამოცანებსა და ღონისძიებებზე, რომლებიც ერთმანეთთან თანხვედრაში არ არის.

საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სამოქმედო გეგმის ალტერნატიული მონიტორინგის მიზნებისთვის გამოიკვეთა პროკურატურის საქმიანობასთან კავშირში მყოფი შემდგომი სექტორული სამოქმედო გეგმები:

- საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმები 2016-2017 და 2018-2020 წლებისთვის;
- სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2017;

[35] მაგ: ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის და - სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ფაქტიურად არ ხდება, უწყებები ამზადებენ პროგრესის შესახებ ანგარიშებს, თუმცა, მათზე დაყრდნობით მონიტორინგის ან შეფასების ანგარიშები არ მზადდება.

- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა 2017-2018;
- ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმები;
- ეროვნული ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა 2017-2018 წლებისთვის;
- ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის 2017 – 2018 წლების სამოქმედო გეგმა.

## 2.1. ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმები 2016 – 2017 და 2018-2020 წლებისთვის

ადამიანის უფლებათა დაცვის 2016 – 2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მესამე პრიორიტეტი სრულად ეხება პროკურატურას, რომელსაც ვალდებულებები ნაკისრი აქვს ამავე სამოქმედო გეგმის სხვა პრიორიტეტების ფარგლებშიც. მესამე პრიორიტეტის ქვეშ მოცემული რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები ასახულია პროკურატურის სამოქმედო გეგმაში, თუმცა, ამ უკანასკნელში არ გვხვდება მითითება მესამე პრიორიტეტით გათვალისწინებულ ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც პროკურატურის სასწავლო ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერებასა და სასწავლო პროგრამების შემუშავებას ეხება.[36]

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა დაცვის 2018 – 2020 წლების სამოქმედო გეგმას, მე-16 პრიორიტეტი ეხება ბავშვთა უფლებების საკითხს და, მათ შორის, მოიცავს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ღონისძიებებს. მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურის სამოქმედო გეგმითაც ასევე გათვალისწინებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები, ის არ ფარავს ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ ყველა ღონისძიებას.[37]

პროკურატურის სამოქმედო გეგმაში არ გვხვდება სამუშაო ადგილებზე დაშავების და გარდაცვალების შემთხვევებზე სისხლის სამართლის გამოძიების შედეგების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზებისა და პროაქტიური გამოქვეყნების შესაბამისი ღონისძიება, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის როგორც 2016 – 2017 ისე 2018 – 2020 სამოქმედო გეგმით ექსკლუზიურად პროკურატურის ვალდებულებაა.[38]

---

[36] ადამიანის უფლებათა დაცვის 2016 – 2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა, ამოცანა 3.1.5., ღონისძიებები 3.1.5.1., 3.1.5.2., 3.1.5.3., 3.1.5.4.

[37] მაგ: ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის საქმიანობა 16.1.6.6. დანაშაულის ხელშემწყობი რისკ ფაქტორების იდენტიფიცირების, ადრეული ჩარევის, რეფერირების და რეაგირების(პროგრამები) უწყებათაშორისი მექანიზმის დანერგვა/ამოქმედება.

[38] ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2016 – 2017 წლებისთვის, ამოცანა 20.1.8., საქმიანობა 20.1.8.1. ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018 – 2020 წლებისთვის, ამოცანა 9.1.7., საქმიანობა 9.1.7.1.

მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურის სამოქმედო გეგმა მოიცავს დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდას,[39] მასში არ არის ასახული რელიგიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებული სტატისტიკის წარმოება, რომელიც ადამიანის უფლებათა ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმებს მიხედვით პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ვალდებულებას წარმოადგენს.[40]

ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ის ღონისძიებები, რომლებიც მხოლოდ პროკურატურის ვალდებულებაა პროკურატურის სამოქმედო გეგმის შესაბამის ღონისძიებებთან თითქმის იდენტურია. თუმცა, ვხვდებით განსხვავებებს ვადებში. მაგალითისთვის, თუ პროკურორებისა და გამომძიებლების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება და დამტკიცება პროკურატურის სამოქმედო გეგმის მიხედვით სრულდება 2018 წელს, ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმით ეს აქტივობა 2019 წელსაა გათვალისწინებული. ხოლო, შეფასების სისტემის მუშაობის ამსახველი ანალიზის მომზადება და შესაბამისი კორექტირება პროკურატურის სამოქმედო გეგმით 2019-2020 წლებშია გათვალისწინებული მაშინ, როცა იმავე აქტივობას ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა 2018 წელს ფარავს. მსგავსი განსხვავებაა ეთიკის კოდექსის და დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებული განმარტებების შემუშავების ღონისძიებაში: პროკურატურის სამოქმედო გეგმის მიხედვით ეს ღონისძიება 2017 წელს უნდა დასრულებულიყო, ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა კი მას 2019 წელს ითვალისწინებს. პროფესიული ეთიკის სტანდარტების თემაზე პროკურატურის მუშაკთა გადამზადება ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმით მხოლოდ 2018 წელსაა გათვალისწინებული, ხოლო პროკურატურის სამოქმედო გეგმა მას 2018-დან 2021 წლამდე ყოველწლიურად ფარავს.

**შესაბამისად, ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო ეროვნულ სამოქმედო გეგმა 2016 – 2017 და 2018-2020 წლებისთვის და გენერალური პროკურატურის სამოქმედო გეგმას შორის მნიშვნელოვანი აცდენაა ღონისძიებების თანამიმდევრულობის თვალსაზრისით, რაც პრობლემურია, რადგან უწყების სამოქმედო გეგმაში საჭიროა ასახული იყოს ყველა ის ვალდებულება, რაც აღნიშნულ უწყებას აღებული აქვს სხვადასხვა ფორმატში. ერთი და იგივე ღონისძიებების ვადების ცდომილებამ შესაძლოა, პრობლემები შექმნას მონიტორინგის პროცესში, რაც დამაბნეველი და ნაკლებ ეფექტიანი იქნება.**

## 2.2. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2017 – 2021

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის მეოთხე თავი მთლიანად პროკურატურის ვალდებულებებს უკავშირდება. ამ თავის ღონისძიებები თითქმის იდენტურია პროკურატურის სამოქმედო გეგმების ცალკეული ღონისძიებებისა, თუმცა

[39] პროკურატურის სამოქმედო გეგმა 2017-2021 წლებისთვის, მიზანი 3.3.

[40] ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018 – 2020 წლებისთვის, ამოცანა 18.1.3., საქმიანობა 18.1.3.3.

ვხვდებით უმნიშვნელო განსხვავებებსაც. მაგალითად, სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმაში ვხვდებით არასრულწლოვანთა საქმეებში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვის ღონისძიებას.[41] პროკურატურის სამოქმედო გეგმა, მართალია, ითვალისწინებს კოორდინატორების საქმიანობის სახელმძღვანელოს განახლებას, კოორდინატორებისა და პროკურორების გადამზადებას მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის არასრულწლოვანთა და ოჯახში ძალადობის საქმეებში ჩართვის მიზნით, მაგრამ მათი ჩართვის ღონისძიებას პროკურატურის სამოქმედო გეგმა მხოლოდ ოჯახური დანაშაულის საქმეებისთვის მოიცავს.[42]

სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის მერვე მიმართულება, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სამოქმედო გეგმა, ასევე მოიცავს პროკურატურის ღონისძიებებს,[43] რომლებიც თანხვედრაშია პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეოთხე ამოცანის ღონისძიებებთან. ერთადერთი განსხვავება აქაც მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის ჩართვაა არასრულწლოვანთა საქმეებში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის ამ თავში ასახული ყველა ღონისძიება, რომელშიც პროკურატურა პარტნიორად ან თანაშემსრულებლად გვევლინება, განსხვავებულია პროკურატურის სამოქმედო გეგმისგან.

**სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმისა და პროკურატურის სამოქმედო გეგმის შედარების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტები ძირითადად შესაბამისობაშია ერთმანეთთან, თუმცა, სასურველია უწყების სამოქმედო გეგმაში ასახული იყოს სექტორული სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება მიუხედავად იმისა, პროკურატურა ერთადერთი შემსრულებელია, თანაშემსრულებელი თუ პარტნიორი.**

## 2.3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2017 – 2018 წლების სამოქმედო გეგმა

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის 19 ღონისძიება უკავშირდება პროკურატურის ვალდებულებას. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებები ეხება სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკის შესწავლას და საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებას ტრეფიკინგის მსხვერპლთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე,[44] ტრეფიკინგის თემაზე ერთობლივი საგამოძიებო გუნდების მიზანშეწონილობის შესწავლას,[45] დასრულებული საქმეების ერთობლივ განხილვას ტრეფიკინგის დანაშაულის ახალი

[41] სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა, მიმართულება 4, მიზანი 3, ღონისძიება 3.1.3.
[42] პროკურატურის სამოქმედო გეგმა 2017-2021 წლებისთვის, ამოცანა 3, მიზანი 3.1.
[43] სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2018-2022 წლებისთვის, მიმართულება 8. მიზანი 6.
[44] ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა, მიზანი 1. ამოცანა 1.1, საქმიანობა 1.1.6.
[45] იქვე, საქმიანობა 1.1.7.

ტენდენციების გამოვლენის მიზნით,[46] სამართალდამცავი ორგანოებისათვის შემუშავებული ტრეფიკინგის დანაშულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის სახელმძღვანელო პრინციპების დახვეწას,[47] ტრეფიკინგის სავარაუდო შემთხვევაზე სისხლის სამართლის საქმის მსვლელობაში აქტიური ჩართულობის მიზნით მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებას[48], ტრეფიკინგის საქმეებზე სისხლის სამართალწარმოებაში ეფექტიანად ჩართვის მიზნით მოწმეთა და დაზარალებულთა კოორდინატორების გადამზადებას[49] და ა.შ. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმაში ასახული თითქმის არცერთი ვალდებულება არ გვხვდება პროკურატურის სამოქმედო გეგმაში. ერთადერთი ღონისძიება, რომელიც ამ სამოქმედო გეგმებით ერთმანეთს ემთხვევა, არის პროკურორთა და სტაჟიორთა გადამზადება ტრეფიკინგის თემაზე.

**პროკურატურის სამოქმედო გეგმაში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი ღონისძიებების გაუთვალისწინებლობა უწყების სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი ხარვეზია და აუცილებელია, სამოქმედო გეგმის შემდგომი განახლებისას, მასში აისახოს აღნიშნული ღონისძიებები.**

## 2.4. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016 – 2017 და 2018 – 2020 წლების სამოქმედო გეგმები

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016 – 2017 და 2018 – 2020 წლების სამოქმედო გეგმებით პროკურატურისთვის, რამდენიმე აქტივობის გარდა, იდენტური ღონისძიებებია გათვალისწინებული. ორივე მათგანში პროკურატურას სულ რამდენიმე ვალდებულება აქვს. თავად ეს სამოქმედო გეგმები შედარებით მცირემასშტაბიანია და პროკურატურის ვალდებულებათა სიმცირეც, სავარაუდოდ, ამით აიხსნება. 2016 – 2017 წლების სამოქმედო გეგმით პროკურატურას ვალდებულება აღებული აქვს ცხრა ღონისძიების ფარგლებში, რომელთაგან ერთზე დამხმარე უწყებას, დანარჩენ რვა შემთხვევაში კი წამყვან უწყებას წარმოადგენს. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა, პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადება;[50] საინფორმაციო

[46] იქვე, მიზანი 4. ამოცანა 4.1, საქმიანობა 4.1.1.
[47] იქვე, საქმიანობა 4.1.3.
[48] იქვე, საქმიანობა 4.1.4.
[49] იქვე, მიზანი 5. ამოცანა 5.1, საქმიანობა 5.1.2.
[50] ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016 – 2017 წლების სამოქმედო გეგმა, მიზანი 1, ამოცანა 1.1., საქმიანობა 1.1.1.

შეხვედრების განხორციელება;[51] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხების პროფესიული განვითარების პროგრამებში ინტეგრირება და დანერგვა;[52] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტების სათანადო კვალიფიკაცია, ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის წარმოების უზრუნველყოფისათვის სისხლის სამართლის საქმეების მუდმივი მონიტორინგი, ხარვეზების გამოვლენა და სათანადო ღონისძიებების დაგეგმვა;[53] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგიური სტანდარტის შექმნა;[54] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების სტატისტიკის ერთიანი აგრეგირებული მონაცემთა ბაზის შექმნა და განახლება[55] და სხვ.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016 – 2017 წლების სამოქმედო გეგმით 2017 წლისთვის შესასრულებელი ღონისძიებებიდან პროკურატურის სამოქმედო გეგმაში მხოლოდ პროკურორთა გადამზადების, საინფორმაციო შეხვედრების განხორციელებისა და რეკომენდაციების გადასინჯვის ვალდებულებაა ასახული.[56] მითითება არ ხდება ისეთ მნიშვნელოვან აქტივობებზე, როგორებიცაა, მაგალითად, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეების მუდმივი მონიტორინგი ან სტატისტიკური ბაზის შექმნა, მით უმეტეს, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016 – 2017 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის განმახორციელებელი და მომსახურების მიმწოდებელი უწყებების მიერ, წინამდებარე სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ყოველწლიური შიდა სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცება ან უკვე არსებულ შიდა ინსტიტუციურ სამოქმედო გეგმაში ინტეგრირება.[57] ეს ღონისძიება უცვლელადაა ასახული 2018 – 2020 წლების სამოქმედო გეგმაშიც[58] და, შესაძლოა, სწორედ ამ ღონისძიებას უკავშირდებოდეს შემდეგ წლებთან მიმართებით მდგომარეობის შედარებით გამოსწორება, რამდენადაც, **ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის და მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018 – 2020 წლების სამოქმედო გეგმაში პროკურატურის**

[51] იქვე, ამოცანა 1.2., საქმიანობა 1.2.2.
[52] იქვე, ამოცანა 1.1., საქმიანობა 1.1.3.
[53] იქვე, ამოცანა 2.3., საქმიანობა 2.3.4.
[54] იქვე, ამოცანა 2.5., საქმიანობა 2.5.1.
[55] იქვე, საქმიანობა 2.5.2.
[56] პროკურატურის სამოქმედო გეგმა 2017-2021 წლებისთვის, მიზანი 3.1., ღონისძიებები 1,2,4.
[57] ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016 – 2017 წლების სამოქმედო გეგმა, მიზანი 1, ამოცანა 1.1., საქმიანობა 1.1.4.
[58] ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018 – 2020 წლების სამოქმედო გეგმა, **მიზანი 3. ამოცანა 3.1, საქმიანობა 3.1.2.**

**პირდაპირი ვალდებულებები, უმნიშვნელო განსხვავებების გარდა, თითქმის სრულად იმეორებს პროკურატურის სამოქმედო გეგმის აქტივობებს.**

## 2.5. ეროვნული ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა 2017 – 2018 წლებისთვის

პროკურატურის ვალდებულებები 2017-2018 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მე-5 პრიორიტეტის ქვეშ და კორუფციის კრიმინალიზაციის თავში გვხვდება.

ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროკურატურის ვალდებულება პროკურორთა დანიშვნისა და დაწინაურების კრიტერიუმების გაწერასთან დაკავშირებით[59] ემთხვევა პროკურატურის სამოქმედო გეგმის ღონისძიებას პროკურატურის მუშაკთა აყვანისა და დაწინაურების გამჭვირვალე პროცედურების დანერგვასთან დაკავშირებით.[60] განსახილველი სამოქმედო გეგმები ერთმანეთთან თანხვედრაშია პროკურორთა შეფასების დანერგვის ღონისძიებასთან დაკავშირებით, თუმცა მნიშვნელოვანი ცდომილებაა აქტივობების განხორციელების ვადებში. თუ პროკურატურის სამოქმედო გეგმით პროკურორთა შეფასების სისტემის ანალიზი და დახვეწა[61] დაგეგმილია 2019-2021 წლებისთვის, იმავე ღონისძიების განხორციელებას ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა 2017-2018 წლებში ითვალისწინებს.[62] პროკურორთათვის საქმეთა გადანაწილების შექმნის ღონისძიება ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მიხედვით შექმნილი და მოქმედი უნდა იყოს 2018 წელს,[63] ხოლო პროკურატურის სამოქმედო გეგმით სისტემა 2019 წელს დაინერგება.[64]

პროკურატურის სამოქმედო გეგმაში არ არის ასახული ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროკურატურის არაერთი მნიშვნელოვანი ვალდებულება, რაც უწყების სტრატეგიული დოკუმენტის მნიშვნელოვანი ხარვეზია. ასეთი ღონისძიებებია:

- ანაზღაურებისა და წახალისების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემის დანერგვა, მისი შემდგომი ანალიზი და სრულყოფა;[65]
- პროკურორისთვის საქმის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებების და ზემდგომი პროკურორის მიერ ქვემდგომი პროკურორისთვის საქმესთან დაკავშირებით მიცემული მითითებების წერილობით დასაბუთების უზრუნველყოფა;[66]

---

[59] ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა 2017-2018 წლებისთვის, პრიორიტეტი V. კორუფციის პრევენცია სამართალდამცავ ორგანოებში, შედეგი 5.1, ღონისძიება 5.1.1.
[60] პროკურატურის სამოქმედო გეგმა 2017-2021 წლებისთვის, ამოცანა 1. მიზანი 1.1, ღონისძიება 1.1.6.
[61] იქვე, ღონისძიება 1.1.2.
[62] ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა 2017-2018 წლებისთვის, პრიორიტეტი V. კორუფციის პრევენცია სამართალდამცავ ორგანოებში, შედეგი 5.1, ღონისძიება 5.1.2
[63] იქვე, შედეგი 5.2, ღონისძიება 5.2.5
[64] პროკურატურის სამოქმედო გეგმა 2017-2021 წლებისთვის, ამოცანა 6. მიზანი 6.1, ღონისძიება 6.1.3
[65] იქვე, ღონისძიება 5.1.3
[66] ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა 2017-2018 წლებისთვის, პრიორიტეტი V. კორუფციის პრევენცია სამართალდამცავ ორგანოებში, შედეგი 5.2, ღონისძიება 5.2.6

- უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ქრთამის მიცემის/აღების საკითხებზე ტრენინგის ჩატარება პროკურორებისთვის;[67]
- კორუფციული დანაშაულების შესახებ სტატისტიკის წარმოება და გამოქვეყნება;[68]
- სისხლისსამართლებრივი დევნის დეტალური ინსტრუქციების შემუშავება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით „კორუფციის წინააღმდეგ" გაეროს კონვენციის მოთხოვნების გათვალისწინებით;[69]
- ,,ექსტრადიციის შესახებ" ევროპული კონვენციის მესამე დამატებითი ოქმის რატიფიცირება და მეოთხე ოქმის ხელმოწერა და რატიფიცირება.[70]

**მნიშვნელოვანია, რომ ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იმ ღონისძიებების უდიდესი უმრავლესობა, რომლებსაც პროკურატურის სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებს, GRECO-სა და OECD-ACN-ის რეკომენდაციებიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, უწყების სტრატეგიულ დოკუმენტში მათი გაუთვალისწინებლობა სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი ხარვეზია.**

## 2.6. ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის 2017 – 2018 წლების სამოქმედო გეგმა

ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2017 – 2018 წლების სამოქმედო გეგმით პროკურატურას 13 ღონისძიების ფარგლებში აქვს ვალდებულება აღებული. მათგან ოთხ შემთხვევაში პროკურატურა დამხმარე უწყებადაა მითითებული, დანარჩენ ცხრა ღონისძიებაზე კი ძირითად უწყებას წარმოადგენს. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია ისეთი ღონისძიებები, როგორებიცაა, საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება სასჯელაღსრულების სისტემაში, პოლიციის დაწესებულებებსა და სხვა დახურულ დაწესებულებებში წამებასა და სხვა სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით წაყენებული ბრალდებების გამოძიების სრულფასოვანი, დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმის შექმნის მიზნით;[71] წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების ეფექტიანი გამოძიების მეთოდური და ტაქტიკური ინსტრუქციების ჩამოყალიბება და დანერგვა;[72] წამების/არასათანადო მოპყრობის საქმეებზე გამოძიებისა და შემდგომი სასამართლო პროცესების შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელება;[73] არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის შიდაუწყებრივი აქტების ანალიზი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით და, საჭიროების

[67] იქვე, II კორუფციის კრიმინალიზაცია, კორუფციული დანაშაულების ეფექტიანი გამოვლენა და სისხლისსამართლებრივი დევნა, შედეგი 1. ღონისძიება 1.4
[68] იქვე, შედეგი 2. ღონისძიება 2.4.
[69] იქვე.
[70] იქვე, შედეგი 6. ღონისძიება 6.1
[71] ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის 2017 – 2018 წლების სამოქმედო გეგმა, საქმიანობა 2.3.1.
[72] იქვე, საქმიანობა 2.3.2.
[73] იქვე, საქმიანობა 4.2.2.

შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების განხორციელება;[74] არასათანადო მოპყრობის ნიშნების შესახებ შეტყობინების ვალდებულებებთან დაკავშირებით არსებული შიდაუწყებრივი მონიტორინგის მექანიზმების შემდგომი დახვეწა საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;[75] დაკავების/დაპატიმრებისა და ბრალდებულის / მსჯავრდებულის განთავსების/გადაყვანის ადგილის შესახებ დროული შეტყობინების პრაქტიკის გაგრძელება და ამ კუთხით შიდაუწყებრივი და გარე მონიტორინგის მექანიზმების რეკომენდაციების სათანადო იმპლემენტაცია;[76] კერძო პირების მიერ განზრახ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველყოფა[77] და სხვ.

**ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2017 – 2018 წლების სამოქმედო გეგმაში ასახული არცერთი ვალდებულება არ გვხვდება პროკურატურის სამოქმედო გეგმაში. ამ უკანასკნელში რელევანტური ღონისძიებების გაუთვალისწინებლობა უწყების სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი ხარვეზია და აუცილებელია, სამოქმედო გეგმის შემდგომი განახლებისას, მასში აისახოს აღნიშნული ღონისძიებები.**

## 3. საქართველოს პროკურატურის სამოქმედო გეგმის მიზნების (ამოცანების) შესრულების მონიტორინგის შუალედური შედეგები

საქართველოს პროკურატურის სამოქმედო გეგმის მიზნების (ამოცანების) შესრულების მონიტორინგის მიზნით ინფორმაცია გამოთხოვილი იქნა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან წინასწარ შემუშავებული, უწყებასთან შეთანხმებული, ინდიკატორების შესაბამისად. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ წარმოადგინა ნარატიული ინფორმაცია და დამატებითი დოკუმენტები, მათ შორის, დღის წესრიგები, სახელმძღვანელოები, კვლევები და ა.შ. ამოცანების შესრულების გაზომვისას, პროკურატურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან ერთად, IDFI დაეყრდნო რეგიონული პარტნიორების, „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ (CSI) ბათუმის ფილიალისა და ასოციაცია „დეა“-ს მიერ აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში ადგილობრივად განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს, პროექტის ფარგლებში „CRRC-საქართველოს“ მიერ განხორციელებული გამოკითხვების შედეგებს და დამოუკიდებლად მოძიებულ ინფორმაციას.[78]

---

[74] იქვე, საქმიანობა 1.1.3.
[75] იქვე, საქმიანობა 1.2.3.
[76] იქვე, საქმიანობა 1.2.4.
[77] იქვე, საქმიანობა 1.6.2.
[78] „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, კანონქვემდებარე აქტები, სექტორული სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები და სხვა.

საქართველოს პროკურატურის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს 10 ამოცანას, რომელთა შეფასების მიზნით, აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში, განისაზღვრა ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორები. ქვემოთ მოცემულია თითოეული ამოცანის შესრულების შუალედური (2018 წლის) პროგრესი.

### 3.1. ამოცანა 1. პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდა

პროკურატურის სამოქმედო გეგმის პირველი ამოცანა და მიზანი გულისხმობს პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდას. აღნიშნული მიზნის/ამოცანის მიღწევის შესაფასებლად, მონიტორინგის ფარგლებში შვიდი ინდიკატორი განისაზღვრა, რომლებიც ხარისხობრივად და რაოდენობრივად აფასებენ პროკურატურის დამოუკიდებლობის ზრდის პროგრესს.

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის პირველი მიზნის/ამოცანისთვის განსაზღვრული შვიდი ინდიკატორიდან, 2018 წლის მდგომარეობით, ამოცანის სრულად მიღწევას ადასტურებს სამი ინდიკატორი, რომელთა საერთო წილი 40%-ია. დანარჩენი ოთხი ინდიკატორიდან, რომელთა საერთო წილი 60%-ია, ამოცანის მიღწევას არ ადასტურებს ორი, ხოლო ორი - ნაწილობრივ. შესაბამისად, 2018 წლის მდგომარეობით, პირველი ამოცანა მეტწილად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 52%.**

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ვენეციის კომისიის 2018 წლის 17 დეკემბრის რეკომენდაციების წილი, რომლებსაც შეესაბამება პროკურატურის კოლეგიური ორგანოების როლი/ფუნქციები (15)

2. GRECO და OECD/ACN-ის მეოთხე რაუნდის რეკომენდაციების/მოთხოვნების წილი, რომლებიც გათვალისწინებულია პროკურატურის სისტემაში თანამშრომლების აყვანისა და დაწინაურების პროცედურებში (15)

3. პროკურორთა შეფასების სისტემა ეყრდნობა OECD/ACN-ის მეოთხე რაუნდის რეკომენდაციას (15)

4. პროკურორთა შეფასების სისტემაში ჩართული პროკურორებისა და გამომძიებლების პროცენტული რაოდენობა (15)

5. პროკურორთა საქმიანობის შეფასების იმ შედეგების წილობრივი მაჩვენებელი, რომლებიც გათვალისწინებული იქნა წახალისების / კარიერის დაგეგმვის / პროფესიული განვითარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას (15)

6. პროკურატურის ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების GRECO და OECD/ACN მეოთხე რაუნდის რეკომენდაციებთან შესაბამისობა (15)

7. იმ პროკურორთა და გამომძიებელთა წილობრივი მაჩვენებელი, რომლებსაც ტრენინგი გავლილი აქვთ ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის თემებზე (10)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 52%

პირველი ამოცანის პირველი ინდიკატორის მიხედვით, პროკურატურის კოლეგიური ორგანოების როლი/ფუნქციები შესაბამისობაში უნდა იყოს ვენეციის კომისიის 2018 წლის 17 დეკემბრის რეკომენდაციებთან.[79] აღნიშნული რეკომენდაციების მიხედვით, საპროკურორო საბჭოს მიერ კონსტიტუციით განსაზღვრული როლის შესასრულებლად:

- საბჭოს შემადგენლობაში უნდა გაძლიერდეს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლობა;
- საბჭოს ფუნქციებში უნდა შევიდეს ზემდგომი პროკურორის მიერ ქვემდგომისთვის მითითებების მიცემის და საქმეთა განაწილების პროცესის ზედამხედველობა;
- საბჭოს როლი უნდა გაძლიერდეს პროკურორების კარიერის მართვის პროცესში;
- კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭო უნდა დაექვემდებაროს საპროკურორო საბჭოს;
- საპროკურორო საბჭოს როლი პროკურატურის გამჭვირვალობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ნათლად უნდა გაიწეროს.

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ ვენეციის კომისიის ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციის იმპლემენტაციის მიზნით წინადადებები საპროკურორო საბჭოს როლთან დაკავშირებით არ მომზადებულა. შესწავლილი საკანონმდებლო ნორმები[80] კი მიუთითებს, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციების იმპლემენტაცია არ განხორციელებულა. **შესაბამისად, წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, პირველი ამოცანის აღნიშნული კომპონენტი მიღწეულად ვერ ჩაითვლება.**

პირველი ამოცანის მეორე ინდიკატორის მიხედვით, პროკურატურის სისტემაში თანამშრომლების აყვანისა და დაწინაურების პროცედურებში უნდა მომხდარიყო GRECO და OECD/ACN-ის მეოთხე რაუნდის რეკომენდაციების/მოთხოვნების გათვალისწინება. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წლის 16 დეკემბერს ძალაში შევიდა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, რომლითაც აღნიშნული საკითხები დარეგულირდა. აღნიშნული ინდიკატორის საფუძველზე ამოცანის შესრულების შეფასებისას IDFI-ის გუნდი დაეყრდნო GRECO-ს შეფასების მეოთხე რაუნდის საქართველოს შესაბამისობის ანგარიშსა[81] და OECD-ACN-ის მეოთხე რაუნდის პროგრესის შესახებ ანგარიშს,[82] რომელთა მიხედვით, პროკურორების დანიშვნისა და დაწინაურების

[79] Opinion No. 937 / 2018 of the European Commission for Democracy Through Law of 17 December, 2018, https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2018)029-e.

[80] „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი https://matsne.gov.ge/document/view/4382740?publication=2; საპროკურორო საბჭოს დებულება https://matsne.gov.ge/document/view/3026070?publication=1.

[81] Corruption prevention in respect of members of parliament, judges and prosecutors – Compliance Report, GrecoRC4(2019)9, https://rm.coe.int/fourth-evaluation-round-corruption-prevention-in-respect-of-members-of/168095529a.

[82] Progress Update Report – Georgia, March, 2019, https://www.oecd.org/corruption/acn/OECD-ACN-Georgia-Progress-Update-2019-ENG.pdf.

მარეგულირებელი ნორმები კვლავ ბუნდოვანია, გენერალური პროკურორისთვის ზედმეტად დიდ დისკრეციულ უფლებამოსილებას ითვალისწინებს და საპროკურორო საბჭოს როლი მინიმალურია. GRECO-ს რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად ჩაითვალა, OECD-ACN-მა კი რეკომენდაციის შესრულებაზე პროგრესი არ დააფიქსირა. **შესაბამისად, წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, პირველი ამოცანის აღნიშნული კომპონენტი მიღწეულად ვერ ჩაითვლება.**

პირველი ამოცანის მესამე ინდიკატორის შესაბამისად, პროკურორთა შეფასების სისტემა უნდა ეყრდნობოდეს OECD/ACN-ის მეოთხე რაუნდის რეკომენდაციას. აღნიშნული რეკომენდაციის მიხედვით, პროკურორების შეფასებაში კრიტერიუმად არ უნდა გამოიყენებოდეს პროკურორის მიერ დასრულებული საქმეების ან გამართლებული ბრალდებულების რაოდენობა.[83] პროკურატურაში დანერგილი შეფასების სისტემით პროკურორის შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება პროკურორის მიერ დასრულებული საქმეების ან გამართლებული ბრალდებულების რაოდენობა. პროკურორის შეფასება ხდება ისეთი კრიტერიუმების მიხედვით, როგორიცაა საპროცესო ხელმძღვანელობის ხარისხი; ტრენინგებში მონაწილეობა და ტრენინგების დროს მიღებული შეფასება; პრევენციულ ღონისძიებებში და სხვა აქტივობებში მონაწილეობა; გამოყენებული დისციპლინური სახდელები და წახალისება და ა.შ. შესაბამისად, OECD-ACN-ის ზემოთ აღნიშნული რეკომენდაცია დანერგილია პრაქტიკაში, რასაც თავად ამ ორგანიზაციის პროგრესის შესახებ ანგარიშიც ადასტურებს. **პირველი ამოცანის მესამე ინდიკატორის მიხედვით, პირველი ამოცანის აღნიშნული კომპონენტი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.**

პირველი ამოცანის მეოთხე ინდიკატორია პროკურორთა შეფასების სისტემაში ჩართული პროკურორებისა და გამომძიებლების პროცენტული რაოდენობა. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს პროკურატურის ორგანოებში დასაქმებული იყო 420 პროკურორი და განხორციელდა ყველა მათგანის შეფასება. პროკურორთა და გამომძიებელთა კვალიფიციურად შეფასების მიზნით, 2017 წლის ბოლოს განხორციელდა საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის რეორგანიზაცია. აღნიშნული მიზნად ისახავდა პროკურატურის თანამშრომელთა შეფასების განმახორციელებელ პროკურორთა კვალიფიკაციის მიმართ ნდობის მაღალი ხარისხის ჩამოყალიბებას. რეორგანიზაციის შედეგად დეპარტამენტი დაკომპლექტდა პროკურორებით, რომელთაც წარმატებით გადალახეს როგორც ტესტირების, აგრეთვე გასაუბრების ეტაპები.

შეფასების სისტემის საფუძველზე, 2018 წლის განმავლობაში ახლად დაკომპლექტებული გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა საპროკურორო

[83] Progress Update Report – Georgia, March, 2019, რეკომენდაცია 13.3; https://www.oecd.org/corruption/acn/OECD-ACN-Georgia-Progress-Update-2019-ENG.pdf.

უფლებამოსილების განმახორციელებელი პროკურატურის ყველა სტრუქტურული დანაყოფის პროკურორთა სამართლებრივი წერის და სასამართლო უნარ-ჩვევების ხარისხის შემოწმება გენერალური პროკურორის მიერ დამტკიცებული შეფასების სისტემით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

პროკურორთა შეფასებისთვის შემუშავებულია სპეციალური ფორმა - ე.წ. ბლანკი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ყველა პროკურორის შეფასება განხორციელდეს ერთიანი მეთოდოლოგიით, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების და საერთო სტანდარტების დაცვით. თუმცა, შეფასების მაღალი ხარისხის და ერთგვაროვანი მიდგომების უზრუნველსაყოფად დეპარტამენტში მომზადდა შეფასების დეტალური ინსტრუქცია და შეფასების განხორციელებამდე შემფასებელ პროკურორებს ჩაუტარდათ დეტალური ინსტრუქტაჟი. სამართლებრივი წერის შეფასებას ახორციელებდა 14 პროკურორი, ხოლო სასამართლო მონიტორინგის განხორციელებაში ჩართული იყო დამატებით ხუთი პროკურორი.

როგორც წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, პროკურორების შეფასების მიზნით საქართველოს პროკურატურაში საფუძვლიანი მომზადების პროცესი განხორციელდა როგორც სტრუქტურულად, აგრეთვე შესაბამისი პერსონალის კომპეტენციის ამაღლების მიზნით. პროკურორების შეფასება განხორციელდა ერთიანი მეთოდოლოგიით, წინასწარ დამტკიცებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და, რაც მთავარია, ინდიკატორის შესაბამისად, განხორციელდა ყველა პროკურორის საქმიანობის შეფასება. შესაბამისად, **პირველი ამოცანის მეოთხე ინდიკატორის მიხედვით, პირველი ამოცანის აღნიშნული კომპონენტი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 14 და 21 პროკურორის მიერ 420 პროკურორის ერთი წლის განმავლობაში შეფასება, ძალიან რთული და შრომატევადი პროცესია, რის გამოც, პროცესმა შესაძლოა ფორმალური ხასიათი მიიღოს. ამიტომ, სასურველია, შემდგომში შემფასებელ და შესაფასებელ პროკურორთა რიცხვი გონივრულ თანხვედრაში იყოს ერთმანეთთან.

მეხუთე ინდიკატორი ეხება შეეხება შეფასების შედეგების გათვალისწინებას პროკურორთა წახალისების და კარიერის დაგეგმვის პროცესში. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წლის მანძილზე და შემდგომ, პროკურორთა წახალისების საკითხის განხილვის ყველა შემთხვევაში, საკონსულტაციო საბჭოს მიეწოდებოდა ანგარიში ამა თუ იმ პროკურორის დახასიათება, რომელიც ეყრდნობოდა სწორედ შეფასების პროცესში მიღებულ შედეგებს. პროკურორთა შეფასების შედეგები გათვალისწინებული იქნა პროკურორთა წასახალისებლად, როგორიცაა ვადამდელი წოდების მინიჭება, თანამშრომლისთვის მადლობის გამოცხადება და სხვა.

მისასალმებელია პროკურორთა წახალისების პროცესში პროკურორთა საქმიანობის შეფასების შედეგების გათვალისწინება. თუმცა, ამ მიმართულებით მუშაობა გასაგრძელებელია. საჭიროა, ნათლად იყოს რეგულირებული პროკურორთა კარიერის დაგეგმვისა და წახალისების პროცესში მათი საქმიანობის შეფასების შედეგების გათვალისწინების სავალდებულო

ხასიათი. **შესაბამისად, მეხუთე ინდიკატორის საფუძველზე, პირველი ამოცანის აღნიშნული კომპონენტი ნაწილობრივ შესრულებულია**.

პირველი ამოცანის მეექვსე ინდიკატორად განისაზღვრა პროკურატურის ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების GRECO და OECD/ACN მეოთხე რაუნდის რეკომენდაციებთან შესაბამისობა. აღნიშნული რეკომენდაციების მიხედვით, უნდა შემუშავებულიყო და პრაქტიკაში დანერგილიყო პროკურატურის ეთიკის კოდექსი, ხოლო დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები ნათლად უნდა ჩამოყალიბებულიყო და მომხდარიყო სანქციების პროპორციულობის უზრუნველყოფა.[84] მუხედავად ეთიკის ნორმებთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებებისა, პროკურატურის დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების ნათლად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია შესრულებული არ არის და პროკურატურამ არ უზრუნველყო ეთიკის კოდექსის პრაქტიკაში სათანადოდ დანერგვა განმარტებითი სახელმძღვანელოს მიღების გზით, რაც დასტურდება თავად GRECO-სა და OECD-ACN-ის ანგარიშებით.[85] **შესაბამისად, მეექვსე ინდიკატორის საფუძველზე პირველი ამოცანა მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს**.

პირველი ამოცანის მეშვიდე ინდიკატორად განისაზღვრა იმ პროკურორთა და გამომძიებელთა წილობრივი მაჩვენებელი, რომლებსაც ტრენინგი გავლილი აქვთ ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის თემებზე. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, რომ პროფესიული ეთიკისა და ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებზე სწავლება გაიარეს პროკურატურის თანამშრომლებმა, მათ შორის პროკურორებმა, სისტემის გამომძიებლებმა, მრჩევლებმა, სპეციალისტებმა, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებმა. 2018 წელს აღნიშნულ თემაზე ჩატარდა 12 ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარა 254-მა მონაწილემ. 2017 წელს ჩატარდა 14 ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარა 307-მა მონაწილემ. 2016 წელს კი ეთიკის ნორმებზე ცხრა ტრენინგი განხორციელდა, რომელშიც ჯამში 214 მონაწილე იყო ჩართული. წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ ეთიკისა და ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებზე ყოველწლიურად პროკურატურის თანამშრომლების დაახლოებით ნახევარი გადის ტრენინგს. აღნიშნული დადებითად უნდა შეფასდეს და **მეშვიდე ინდიკატორის საფუძველზე პირველი ამოცანის აღნიშნული კომპონენტი შესრულებულად უნდა ჩაითვალოს**.

[84] Corruption prevention in respect of members of parliament, judges and prosecutors – Compliance Report, GrecoRC4(2019)9, https://rm.coe.int/fourth-evaluation-round-corruption-prevention-in-respect-of-members-of/168095529a; Progress Update Report – Georgia, March, 2019, რეკომენდაცია 13.3; https://www.oecd.org/corruption/acn/OECD-ACN-Georgia-Progress-Update-2019-ENG.pdf.

[85] იქვე.

### 3.2. ამოცანა 2. ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეორე ამოცანა და მიზანი გულისხმობს ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდას. აღნიშნული მიზნის/ამოცანის მისაღწევად პროკურატურის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა გათვალისწინებულია რვა მიმართულებით (მიზნის მიღწევის მექანიზმი). მეორე მიზნის/ამოცანის ქვეშ განსაზღვრული რვა მიმართულებიდან თითოეულისთვის შესაბამისი ინდიკატორებია გათვალისწინებული და თითოეულ მიმართულებას თავისი ხვედრითი წილი აქვს მინიჭებული მიზნის/ამოცანის მიღწევასთან მიმართებით.

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეორე მიზნის/ამოცანისთვის განსაზღვრული რვა მექანიზმიდან, 2018 წლის მდგომარეობით, მეტწილად შესრულებულია ხუთი (ხვედრითი წილი 15, 15, 15,10 და 10) და ნაწილობრივ შესრულებულია სამი (ხვედრითი წილით 15, 15 და 10). 2018 წლის მდგომარეობით, მეორე ამოცანა მეტწილად შესრულებულია, თუმცა მისი შესრულების პროგრესია მხოლოდ 52%.**

**ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა**

(ხვედრითი წილი 15)

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი (20)

2. ტრეფიკინგთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი (30)

3. ტრეფიკინგის დანაშაულზე მომუშავე პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი (30)

4. სხვა ქვეყანასთან თანამშრომლობით წარმოებული ტრეფიკინგის საქმეების რაოდენობა (20)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 60%

მეორე ამოცანის პირველი მიმართულებისთვის (ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა) გათვალიწინებული ოთხი ინდიკატორიდან პირველი გულისხმობს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდისთვის გაცემული რეკომენდაციების შესრულებას. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ტრეფიკინგის ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით მომზადებული რეკომენდაცია დამტკიცდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს სხდომაზე 2017 წლის 19 დეკემბერს. 2018 წლის იანვარში პროკურორებისთვის განახლდა სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანით

ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის შესახებ. 2018 წლის 4-5 დეკემბერს 4-5 დეკემბერს შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე მონაწილეებმა ისაუბრეს საქართველოში ტრეფიკინგის გამოვლენის, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თავისებურებებზე, მიღწეულ შედეგებზე და გამოწვევებზე. ყველა მონაწილე უწყებამ წარმოადგინა მოხსენება შრომითი ტრეფიკინგის შესახებ. პროკურატურამ კი შეხვედრის მონაწილეებს ტრეფიკინგის სისხლის სამართლის საქმეების 2017-2018 წლების ანალიზი წარუდგინა. სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეებმა განიხილეს ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგის შედეგები, რომლის თანახმად, 2017-2018 წლებში ტრეფიკინგის 39 შემთხვევაზე დაიწყო გამოძიება და დასრულებული საქმეების (სულ ექვსი საქმე) 100%-ში გამამტყუნებელი განაჩენი დადგა. **შესაბამისად, პირველი ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის მექანიზმის აღნიშნული კომპონენტის შესრულება დასტურდება.**

მეორე ამოცანის პირველი მიმართულების მეორე ინდიკატორს წარმოადგენს ტრეფიკინგთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2016 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა ტრეფიკინგთან დაკავშირებით ერთი პირის მიმართ დაიწყო (სსკ-ის 143[1] მუხლი); 2017 წელს - ოთხი პირის მიმართ, ხოლო 2018 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო შვიდი პირის მიმართ (სსკ-ის 143[1] და 143[2] მუხლები).




მართალია, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების რაოდენობა მაღალი არ არის, მაგრამ მაღალია მისი ზრდის მაჩვენებელი - ორი წლის განმავლობაში დაახლოებით 85%-ია, რაც

მისასალმებელია. ხოლო შსს-ს მიერ რეგისტრირებულ ტრეფიკინგის დანაშაულის რაოდენობასთან მიმართებით პროკურატურის მიერ დევნის დაწყების მაჩვენებელი 30%-ია, რაც მისაღებია. აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც 2017, ასევე 2018 წელს შსს-ს მიერ ტრეფიკინგის თანაბარი (21-21) შემთხვევა იყო დაფიქსირებული,[86] რაც მიუთითებს, რომ დევნის მაჩვენებლის ზრდა დანაშაულის რაოდენობის ზრდას არ უკავშირდება. **შესაბამისად, მეორე ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი შესრულებულია.**

მეორე ამოცანის პირველი მიმართულების მესამე ინდიკატორს წარმოადგენს ტრეფიკინგის დანაშაულზე მომუშავე პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, აჭარის ავტონომიურ ოლქში ტრეფიკინგის დანაშაულზე სპეციალიზებულია სამი პროკურორი, ხოლო თბილისში - ორი პროკურორი. პროკურორთა დატვირთვის დათვლა საქმეთა კატეგორიების მიხედვით არ ხორციელდება, ვინაიდან საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის სტატისტიკური მოდული მსგავს შესაძლებლობას არ იძლევა. ინდივიდუალური პროკურორების დატვირთვას შეისწავლის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, პროკურორთა დატვირთვის მონაცემებს სტატისტიკურად ამუშავებს ანალიტიკური სამმართველო. პროკურორთა დატვირთულობის შეფასება ხდება მათ მიერ განხორციელებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების მიხედვით. პროკურორების დატვირთვის მონაცემებში ასახულია ყველა ის შესაძლო ქმედება, რომელსაც ითვალისწინებს პროკურორის უფლებამოსილება (მაგალითად: დევნის დაწყება, დაზარალებულად ცნობა, სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვა, გამოძიების ან/და დევნის შეწყვეტა, საპროცესო შეთანხმების გაფორმება და ა.შ.). პროკურორების დატვირთვის მონაცემების დამუშავების პროცესში გათვალისწინებულია სტრუქტურული ერთეულების სპეციფიკა. შესაბამისად, ერთმანეთს დარდება მხოლოდ ერთი ტიპის სტრუქტურული დანაყოფები (მაგალითად, რაიონული პროკურატურა დარდება მხოლოდ რაიონულ პროკურატურებთან, საოლქო მხოლოდ საოლქო პროკურატურებთან და ა.შ.). მონაცემები სტატისტიკურად მუშავდება როგორც ინდივიდუალურ დონეზე, ასევე სტრუქტურული ერთეულების მიხედვით. ერთი და იმავე დანაყოფის პროკურორთა დატვირთულობის მონაცემების საშუალო არითმეტიკულის მიხედვით გამოიყოფა სამი კატეგორია: დატვირთული, საშუალოდ დატვირთული და ნაკლებად დატვირთული პროკურორი. ასეთივე პრინციპით გამოითვლება სტრუქტურული დანაყოფების დატვირთვის მაჩვენებელი. ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს მონაცემთა დამუშავების როგორც მეთოდოლოგიური, ასევე ტექნიკური გაუმჯობესება, რაც შესაძლებელს გახდის მიმდინარე რეჟიმში იქნეს დამუშავებული მონაცემები პროკურორების დატვირთულობის შესახებ. ვინაიდან საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები სირთულით ერთმანეთისგან განსხვავდება,

[86] დანაშაულის სტატისტიკა 2018, შსს, https://info.police.ge/uploads/5c595f186e358.pdf.

სამომავლოდ, შესაძლებელია, დაინერგოს შეფასების ისეთი სისტემა, რომელშიც თითოეულ ქმედებას მინიჭებული ექნება შესაბამისი კოეფიციენტი.

როგორც პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, პროკურატურის სისტემაში ამ ეტაპზე არ არსებობს პროგრამა, რომელიც ავტომატურად მოახდენდა პროკურორის დატვირთულობის შეფასებას ყველა საჭირო მონაცემზე დაყრდნობით. მისასალმებელია, რომ აღნიშნულის მიუხედავად, მაინც ხდება პროკურორების დატვირთულობის შეფასება იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია გამართული სისტემის არარსებობის პირობებში. თუმცა, აღნიშნულ ინდიკატორზე დაყრდნობით, ამოცანის სრულად მისაღწევად, აუცილებელია, არსებობდეს რეგულირებული სისტემა (მაგ: გენერალური პროკურორის ბრძანება, სახელმძღვანელო დოკუმენტი), სადაც დეტალურად იქნებოდა გაწერილი პროკურორის დატვირთულობის შეფასების სავალდებულო კომპონენტები, მეთოდოლოგია და ა.შ. მოხდებოდა პროკურორის დატვირთულობის შეფასებას ყველა საჭირო მონაცემზე დაყრდნობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, **მესამე ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი ნაწილობრივ შესრულებულია.**

მეორე ამოცანის პირველი მიმართულების მეოთხე ინდიკატორს წარმოადგენს სხვა ქვეყანასთან თანამშრომლობით წარმოებული ტრეფიკინგის საქმეების რაოდენობა. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2016-2018 წლებში ტრეფიკინგის სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში სხვა ქვეყნებთან სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობები არ გაგზავნილა, ხოლო ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი სხვა ქვეყნებიდან მიღებულ შუამდგომლობებზე. **შესაბამისად, მეორე ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი შესრულებულად ვერ ჩაითვლება.**

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეორე მიზნის/ამოცანის პირველი მიმართულებისთვის განსაზღვრული ოთხი ინდიკატორიდან, 2018 წლის მდგომარეობით, დაკმაყოფილებულია ორი ინდიკატორი, რომელთა წილი 20 და 30-ია. დანარჩენი ორი ინდიკატორიდან აღნიშნული კომპონენტის შესრულებას არ ადასტურებს ერთი მეორე კი ნაწილობრივ ადასტურებს. შესაბამისად, 2018 წლის მდგომარეობით, მეორე ამოცანის პირველი მიმართულება მეტწილად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 60%.**

**კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა**

(ხვედრითი წილი 15)

**შედეგების ინდიკატორები:**

1. კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით მომზადებული წინადადებების გათვალისწინების მაჩვენებელი (25)

2. კორუფციულ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი (40)

3. კორუფციულ დანაშაულებზე მომუშავე პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი (35)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 51%

მეორე ამოცანის მეორე მიმართულებისთვის (კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა) გათვალიწინებული ოთხი ინდიკატორიდან პირველი გულისხმობს კორუფციული დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდისთვის გაცემული წინადადებების გათვალისწინებას. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ხსენებული კატეგორიის დანაშაულების გამოძიებისას, საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისას და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერისას ხდება, როგორც მომზადებული წინადადებების, ასევე კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება. ინფორმაციაში არ არის მითითებული კონკრეტული მონიტორინგის შედეგები - როგორ ხდებოდა აღნიშნული წინადადებების შესრულება. **შესაბამისად, პირველი ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის მექანიზმის შესრულება არ დასტურდება.**

მეორე ამოცანის მეორე მიმართულების მეორე ინდიკატორს წარმოადგენს კორუფციულ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 2016-2018 წლებში სტაბილურია.




კორუფციულ დანაშაულებში საქართველოს პროკურატურა მოიაზრებს სსკ 182 §2 (დ), 332-ე, 333-ე, 338 – 341 მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებს. მითითებულ მუხლებზე დევნის დაწყების მაჩვენებელი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე, მაგალითად, ტრეფიკინგის დანაშაულზე. 2018 წელს ქრთამის აღების 60 რეგისტრირებული შემთხვევა იყო, სისხლისსამართლებრივი დევნა დაახლოებით 30%-ზე განხორციელდა, რაც დამაკმაყოფილებელ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს იმის გათვალისწინებით, რომ კორუფციული დანაშაული დასამტკიცებლად ერთ-ერთი ყველაზე რთული დანაშაულია.[87]

რეგისტრირებული შემთხვევებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების რაოდენობებს შორის გარკვეული განსხვავების არსებობა ნორმალურია და აღნიშნულის გამომწვევი არაერთი რაციონალური მიზეზი შეიძლება დასახელდეს. კორუფციულ დანაშაულთან მიმართებით დევნის დაწყების 30%-იანი მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელი შედეგია, თუმცა, მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს მუშაობა ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით. **შესაბამისად, მეორე ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

მეორე ამოცანის მეორე მიმართულების მესამე ინდიკატორს წარმოადგენს კორუფციის დანაშაულზე მომუშავე პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, კორუფციულ დანაშაულზე პროკურატურაში მუშაობს თითქმის ყველა სტრუქტურული დანაყოფის პროკურორი. კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოში ამჟამად დასაქმებულია სამი პროკურორი და ოთხი გამომძიებელი. აღნიშნული სამმართველო

[87] *Effective Means of Investigation and Prosecution of Corruption, OECD, გვ. 9.*

ერთვება განსაკუთრებით კომპლექსურ საქმეებში, მაგალითისათვის, თუ საქმეში ფიგურირებს მაღალი თანამდებობის პირი და სხვ.

რაც შეეხება პროკურორთა დატვირთვას, დათვლა საქმეთა კატეგორიების მიხედვით არ ხორციელდება, ვინაიდან საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის სტატისტიკური მოდული მსგავს შესაძლებლობას ამ ეტაპზე არ იძლევა. საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ ხდება ინდივიდუალური პროკურორების დატვირთვის შესწავლა.

როგორც პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, პროკურატურის სისტემაში ამ ეტაპზე არ არსებობს პროგრამა, რომელიც ავტომატურად მოახდენდა პროკურორის დატვირთულობის შეფასებას ყველა საჭირო მონაცემზე დაყრდნობით. მისასალმებელია, რომ აღნიშნულის მიუხედავად, მაინც ხდება პროკურორების დატვირთულობის შეფასება იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია გამართული სისტემის არარსებობის პირობებში. თუმცა, აღნიშნულ ინდიკატორზე დაყრდნობით, ამოცანის სრულად მისაღწევად, აუცილებელია, არსებობდეს რეგულირებული სისტემა (მაგ: გენერალური პროკურორის ბრძანება, სახელმძღვანელო დოკუმენტი), სადაც დეტალურად იქნებოდა გაწერილი პროკურორის დატვირთულობის შეფასების სავალდებულო კომპონენტები, მეთოდოლოგია და ა.შ. მოხდებოდა პროკურორის დატვირთულობის შეფასებას ყველა საჭირო მონაცემზე დაყრდნობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, **მესამე ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.**

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეორე მიზნის/ამოცანის მეორე მიმართულებისთვის განსაზღვრული სამი ინდიკატორიდან, 2018 წლის მდგომარეობით, დაკმაყოფილებულია ერთი ინდიკატორი, რომლის წილი 40%-ია. დანარჩენი ორი ინდიკატორიდან, ერთი აღნიშნული კომპონენტის შესრულებას არ ადასტურებს (ხვედრითი წილი - 25), მეორე კი - ნაწილობრივ (ხვედრითი წილი - 35). შესაბამისად, 2018 წლის მდგომარეობით, მეორე ამოცანის მეორე მიმართულება მეტწილად შესრულებულია, თუმცა, მისი შესრულების პროგრესი მხოლოდ 51%-ა.**

**ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა**

(ხვედრითი წილი 15)

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ტერორიზმთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საქმეების მაჩვენებელი (40)

2. ტერორიზმის დანაშაულზე მომუშავე პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი (35)

3. სხვა ქვეყანასთან თანამშრომლობით წარმოებული ტერორიზმის საქმეების რაოდენობა (25)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 76%

მეორე ამოცანის მესამე მიმართულების პირველ ინდიკატორს წარმოადგენს ტერორიზმთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საქმეების მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ტერორიზმის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 2016-2018 წლებში სტაბილურად დაბალია (23, 10 და 16 შესაბამისი თანმიმდევრობით). ასევე დაბალია შსს-ს მიერ ამ დანაშაულის რეგისტრირებული მაჩვენებელი (2017-ში 19 და 2018-ში 18). აღნიშნული მონაცემები ადასტურებს, რომ 2017 წელს შშს-ს მიერ რეგისტრირებული ტერორიზმის სავარაუდო შემთხვევების 52%, ხოლო 2018 წელს - 90% შემთხვევებში განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა. **შესაბამისად, პირველი ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი შესრულებულია.**

მეორე ამოცანის მესამე მიმართულების მეორე ინდიკატორს წარმოადგენს ტერორიზმის დანაშაულზე მომუშავე პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, პროკურორთა დატვირთვის დათვლა საქმეთა კატეგორიების მიხედვით არ ხორციელდება, ვინაიდან საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის სტატისტიკური მოდული მსგავს შესაძლებლობას ამ ეტაპზე არ იძლევა. მისასალმებელია, რომ აღნიშნულის მიუხედავად, მაინც ხდება პროკურორების დატვირთულობის შეფასება იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია გამართული სისტემის არარსებობის პირობებში. თუმცა, აღნიშნულ ინდიკატორზე დაყრდნობით, ამოცანის სრულად მისაღწევად, აუცილებელია, არსებობდეს რეგულირებული სისტემა (მაგ: გენერალური პროკურორის ბრძანება, სახელმძღვანელო დოკუმენტი), სადაც დეტალურად იქნებოდა გაწერილი პროკურორის დატვირთულობის შეფასების სავალდებულო კომპონენტები, მეთოდოლოგია და ა.შ. მოხდებოდა პროკურორის დატვირთულობის შეფასებას ყველა საჭირო

მონაცემზე დაყრდნობით. ამიტომ, **მეორე ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

მეორე ამოცანის მესამე მიმართულების მესამე ინდიკატორს წარმოადგენს სხვა ქვეყანასთან თანამშრომლობით წარმოებული ტერორიზმის საქმეების რაოდენობა. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2016-2018 წლებში ტერორიზმის საქმეების გამოძიების ფარგლებში სხვა ქვეყნებთან სამართლებრივი დახმარების შესახებ ყველაზე მეტი შუამდგომლობა 2018 წელს გაიგზავნა - 23 (2016 წელს არ გაგზავნილა, ხოლო 2017 წელს გაიგზავნა ოთხი შუამდგომლობა). სამი წლის განმავლობაში გაგზავნილი 27 შუამდგომლობიდან 11 დაკმაყოფილდა, დანარჩენი საქმეების ჯერ ისევ მიმდინარეობს, უარი კი არცერთზე მიღებულა. **შესაბამისად, მესამე ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეორე მიზნის/ამოცანის მესამე მიმართულებისთვის განსაზღვრული სამი ინდიკატორიდან, 2018 წლის მდგომარეობით, დაკმაყოფილებულია ორი ინდიკატორი, ერთი კი - ნაწილობრივ. შესაბამისად, 2018 წლის მდგომარეობით, მეორე ამოცანის მესამე მიმართულება მეტწილად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 76%.**

**უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა**

(ხვედრითი წილი 10)

**შედეგების ინდიკატორები:**

1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის, ქონების მოძიებისა და ჩამორთმევის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გაცემული რეკომენდაციების / გასატარებელი ღონისძიებების შესრულების მაჩვენებელი (20)

2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი (30)

3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით მომუშავე პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი (30)

4. სხვა უწყებასთან თანამშრომლობით წარმოებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების საქმეების რაოდენობა (20)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**პროგრესი:** 79%

მეორე ამოცანის მეოთხე მიმართულებისთვის გათვალიწინებული ოთხი ინდიკატორიდან პირველი გულისხმობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის

დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდისთვის რეკომენდაციების და მათ საფუძველზე დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებას. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს პროკურატურაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ 2017 წელს მომზადდა და საკონსულტაციო საბჭოს წარედგინა შემდეგი რეკომენდაციები:

1. 2018 წლის პირველი ორი კვარტალის განმავლობაში საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ ჩატარდეს ეტაპობრივი მონიტორინგი და გამოვლინდეს ის ინდივიდუალური შემთხვევები, როდესაც პრედიკატი დანაშაულის გამოძიებაზე უფლებამოსილმა პირმა საქართველოს გენერალური პროკურორის 2015 წლის 4 აგვისტოს რეკომენდაციის შესაბამისად არ განახორციელა ყველა სათანადო მოქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის მიხედვით ჩამორთმევას დაქვემდებარებული ქონების მოძიების მიზნით.

აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით 2018 წლის მანძილზე საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ ჩატარდა მონიტორინგი და მომზადდა შესაბამისი ანალიზი. თუმცა, რეკომენდაცია მოითხოვდა გენერალური პროკურორის 2015 წლის 4 აგვისტოს რეკომენდაციის დარღვევების კონკრეტული შემთხვევების გამოკვეთას, რაც წარმოდგენილი ინფორმაციიდან არ დასტურდება.

2. საქართველოს პროკურატურის შიდაუწყებრივი პოზიციის ჩამოყალიბების მიზნით, განხორციელდეს ამოღებული აქტივების მონაწილე სახელმწიფოებს შორის განაწილების კუთხით საკანონმდებლო მოდერნიზაციის მიზანშეწონილობის თაობაზე მსჯელობა.

რეკომენდაციის შესრულების მიზნით, გაანალიზდა არსებული სიტუაცია, დადგინდა საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროება და 2018 წლის 6 აგვისტოს ცვლილებები განხორციელდა ,,სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებული საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით. შედეგად შეიქმნა ქონების ჩამორთმევის მოქნილი და ეფექტური საერთაშორისო მექანიზმები. საკანონმდებლო დონეზე გაიწერა კონფისკაციას დაქვემდებარებული ქონების განაწილების მექანიზმები. **შესაბამისად, პირველი ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის მექანიზმი შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

მეორე ამოცანის მეოთხე მიმართულების მეორე ინდიკატორს წარმოადგენს ტერორიზმთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საქმეების მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე 2016-2018 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების სტატისტიკა შემდეგნაირია: 2016 წელს დაიწყო 15 დევნა, 2017 წელს 26 დევნა, 2018 წელს 5 დევნა. შსს-ს მონაცემებით, 323-331[1] მუხლით გათვალისწინებული რეგისტრირებული

დანაშაულების რაოდენობა ასევე დაბალია.[88] **შესაბამისად, მეორე ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი შესრულებულია.**

მეორე ამოცანის მეოთხე მიმართულების მესამე ინდიკატორს წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით მომუშავე პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, პროკურორთა დატვირთვის დათვლა საქმეთა კატეგორიების მიხედვით არ ხორციელდება, ვინაიდან საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის სტატისტიკური მოდული მსგავს შესაძლებლობას ამ ეტაპზე არ იძლევა. საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი ინდივიდუალური პროკურორების დატვირთვას სწავლობს.

როგორც პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, პროკურატურის სისტემაში ამ ეტაპზე არ არსებობს პროგრამა, რომელიც ავტომატურად მოახდენდა პროკურორის დატვირთულობის შეფასებას ყველა საჭირო მონაცემზე დაყრდნობით. მისასალმებელია, რომ აღნიშნულის მიუხედავად, მაინც ხდება პროკურორების დატვირთულობის შეფასება იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია გამართული სისტემის არარსებობის პირობებში. თუმცა, აღნიშნულ ინდიკატორზე დაყრდნობით, ამოცანის სრულად მისაღწევად, აუცილებელია, არსებობდეს რეგულირებული სისტემა (მაგ: გენერალური პროკურორის ბრძანება, სახელმძღვანელო დოკუმენტი), სადაც დეტალურად იქნებოდა გაწერილი პროკურორის დატვირთულობის შეფასების სავალდებულო კომპონენტები, მეთოდოლოგია და ა.შ. მოხდებოდა პროკურორის დატვირთულობის შეფასებას ყველა საჭირო მონაცემზე დაყრდნობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, **მესამე ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

მეორე ამოცანის მეოთხე მიმართულების მეოთხე ინდიკატორს წარმოადგენს სხვა უწყებასთან თანამშრომლობით წარმოებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების საქმეების რაოდენობა. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სხვა უწყებებთან თანამშრომლობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საქმეებზე გამოძიება წარმოებული იქნა 2016 წელს ერთ საქმეზე, 2017 და 2018 წლებში სამ-სამ საქმეზე. აღნიშნულ დანაშაულებზე განხორციელებული დევნის დაბალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, სხვა უწყებებთან თანამშრომლობის მითითებული რაოდენობები მისაღებია. **შესაბამისად, მეოთხე ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეორე მიზნის/ამოცანის მეოთხე მიმართულებისთვის განსაზღვრული ოთხი ინდიკატორიდან, 2018 წლის მდგომარეობით, დაკმაყოფილებულია სამი**

[88] დანაშაულის სტატისტიკა 2018, შსს, https://info.police.ge/uploads/5c595f186e358.pdf.

**ინდიკატორი, ერთი კი - ნაწილობრივ (ხვედრითი წილი 30). შესაბამისად, აღნიშნული მექანიზმი მეტწილად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 79%.**

**კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესება (10)**

(ხვედრითი წილი 10)

**შედეგების ინდიკატორები:**

1. კიბერდანაშაულთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი (35)

2. კიბერდანაშაულთან დაკავშირებით მოუშავე პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი (35)

3. ინტერნეტ სერვის პროვაიდერებთან ურთიერთობის სტრატეგიის საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა (30)

**სტატუსი**: ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 32%

მეორე ამოცანის მეხუთე მიმართულების პირველ ინდიკატორს წარმოადგენს კიბერდანაშაულთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საქმეების მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სსკ 284-286 მუხლებზე 2016 წელს დაიწყო 98 დევნა, 2017 წელს 74 დევნა, 2018 წელს 101 დევნა. შსს-ს მონაცემებით, სსკ ამავე მუხლებით გათვალისწინებული რეგისტრირებული დანაშაულების რაოდენობა გაცილებით მაღალია, ვიდრე დევნის დაწყების მაჩვენებელი. კერძოდ, 2017 წელს დარეგისტრირდა 506 ე.წ. კომპიუტერული დანაშაული, 2018 წელს კი - 1268.[89] ნათელია, რომ პროკურატურა რეგისტრირებული კომპიუტერული დანაშაულების ძალიან მცირე შეთხვევაში ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ კიბერდანაშაულთან ბრძოლა მსოფლიო მასშტაბის სირთულეს წარმოადგენს. **შესაბამისად, მეორე ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.** ამავდროულად, მნიშვნელოვანია, პროკურატურამ შსს-თან ერთად განახორციელოს აღნიშნული საკითხის ანალიზი, გამოკვეთოს არსებული გამოწვევები და მათი მიზეზები და დასახოს მათი გადაწყვეტის გზები.

მეორე ამოცანის მეხუთე მიმართულების მეორე ინდიკატორს წარმოადგენს კიბერდანაშაულთან დაკავშირებით მომუშავე პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის

[89] დანაშაულის სტატისტიკა 2018, შსს, https://info.police.ge/uploads/5c595f186e358.pdf.

მიხედვით, კიბერდანაშაულთან დანაშაულთან შეხება საპროკურორო საქმიანობის განმახორციელებელ თითქმის ყველა სტრუქტურული დანაყოფის პროკურორებს აქვთ, გარდა სპეციალიზებული დანაყოფებისა. შესაბამისად, პროკურატურის განცხადებით, კონკრეტული რაოდენობის მოწოდება შეუძლებელია.

რაც შეეხება პროკურორთა დატვირთვას, აღნიშნულის მონიტორინგი ხორციელდება საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ.

როგორც პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, კიბერდანაშაულთან დაკავშირებით საქმე შეიძლება ნებისმიერ პროკურორს დაეწეროს, რაც გაუგებარია სწორედ ამ დანაშაულების სირთულიდან გამომდინარე, რომელიც სპეციალური ცოდნისა და უნარების ქონას მოითხოვს. პროკურატურის სამოქმედო გეგმით პროკურორებისთვის კიბერდანაშაულთან დაკავშირებით განხორციელებული სასწავლო აქტივობების შედეგად დატრენინგებულია პროკურორების ნაწილი. ერთის მხრივ, სათანადო ცოდნისა და უნარების არმქონე პროკურორის მიერ კიბერდანაშაულზე მუშაობის პრაქტიკა აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობას ვერ უზრუნველყოფს. მეორეს მხრივ, გაუგებარია ის ფაქტი, რომ პროკურატურაში არსებობენ კიბერდანაშაულთან დაკავშირებით დატრენინგებული პირები, მაგრამ ასეთ დანაშაულთან დაკავშირებით არსებული საქმე შეიძლება არა მათ, არამედ ნებისმიერ პროკურორს დაეწეროს. რაც შეეხება პროკურორების დატვირთვის მაჩვენებელს, როგორც კორუფციული და ნარკოტიკული დანაშაულების შემთხვევაში აღინიშნა, მისასალმებელია, რომ ხდება პროკურორების დატვირთულობის შეფასება იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია გამართული სისტემის არარსებობის პირობებში. თუმცა, აღნიშნულ ინდიკატორზე დაყრდნობით, ამოცანის სრულად მისაღწევად, აუცილებელია, არსებობდეს რეგულირებული სისტემა (მაგ: გენერალური პროკურორის ბრძანება, სახელმძღვანელო დოკუმენტი), სადაც დეტალურად იქნებოდა გაწერილი პროკურორის დატვირთულობის შეფასების სავალდებულო კომპონენტები, მეთოდოლოგია და ა.შ. და მოხდებოდა პროკურორთა დატვირთულობის შეფასება ყველა საჭირო მონაცემზე დაყრდნობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, **მეორე ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.**

მეორე ამოცანის მეხუთე მიმართულების მესამე ინდიკატორს წარმოადგენს ინტერნეტ სერვის პროვაიდერებთან ურთიერთობის სტრატეგიის საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ინტერნეტ სერვის პროვაიდერებთან ურთიერთობის სტრატეგია არ შემუშავებულა და ვერც რაიმე ღონისძიება განხორციელდებოდა მის საფუძველზე. **შესაბამისად, მეოთხე ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი შესრულებული არ არის.**

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეორე მიზნის/ამოცანის მეხუთე მიმართულებისთვის განსაზღვრული სამი ინდიკატორიდან, 2018 წლის მდგომარეობით, ორი ინდიკატორი მიუთითებს კიბერდანაშაულთან დაკავშირებით განსაზღვრული მიზნის მიღწევის მექანიზმის ნაწილობრივ შესრულებაზე, ერთი კი - შეუსრულებლობაზე. შესაბამისად, აღნიშნული მექანიზმი ნაწილობრივ შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 32%.**

**ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა**

(ხვედრითი წილი 10)

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი (50)

2. ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით მომუშავე პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი (50)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 65%

მეორე ამოცანის მეექვსე მიმართულებისთვის (ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა) გათვალიწინებული ორი ინდიკატორიდან პირველს წარმოადგენს ნარკოდანაშაულთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულებზე 2016 წელს დაიწყო 4862 სისხლისსამართლებრივი დევნა, 2017 წელს - 4457 დევნა, 2018 წელს - 3650 დევნა. სხვა დანაშაულებისგან განსხვავებით, აღნიშნულ დანაშაულზე განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის რაოდენობა ფაქტიურად უტოლდება შსს-ს მონაცემებით სსკ ამავე მუხლებით გათვალისწინებული რეგისტრირებული დანაშაულების რაოდენობას.[90] ნარკოტიკულ დანაშაულებთან ბრძოლის მექანიზმი სხვა დანაშაულებისგან განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს, რაც ყველა შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლის ზრდას არ გულისხმობს. აღნიშნულს ადასტურებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც განიმარტა, რომ პირის უფლება თავად შეარჩიოს განტვირთვის მისთვის სასურველი სახე და განახორციელოს შესაბამისი აქტივობა, მათ შორის, მოიხმაროს მარიხუანა, წარმოადგენს პიროვნების პირადი ავტონომიით დაცულ სფეროს. ამასთან, ვინაიდან მარიხუანის მოხმარებით ადამიანის ჯანმრთელობას შეიძლება მიადგეს გარკვეული ზიანი, სასამართლომ აღნიშნული უფლების

[90] დანაშაულის სტატისტიკა 2018, შსს, https://info.police.ge/uploads/5c595f186e358.pdf.

შეზღუდვა დასაშვებად მიიჩნია ისეთი ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, როგორებიცაა მაგალითად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა და სხვა.[91] რამდენადაც წლების განმავლობაში ნარკოტიკის, მათ შორის, მარიხუანას მოხმარება სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას წარმოადგენდა, ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ნარკოდანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი, საერთო ჯამში, უნდა შემცირებულიყო. ასეც მოხდა - 2018 წელს წინა წელთან შედარებით 20%-ით შემცირდა დევნის მაჩვენებელი. ამავდროულად, სტაბილური რჩება ნარკოტიკების კონტრაბანდასთან და გასაღებასთან დაკავშირებით დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. **შესაბამისად, მეორე ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

მეორე ამოცანის მეექვსე მიმართულების მეორე ინდიკატორს წარმოადგენს ნარკოდანაშაულთან დაკავშირებით მომუშავე პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ნარკოტიკულ დანაშაულთან შეხება საპროკურორო საქმიანობის განმახორციელებელ თითქმის ყველა სტრუქტურული დანაყოფის პროკურორებს აქვთ, გარდა სპეციალიზებული დანაყოფებისა. რაც შეეხება პროკურორთა დატვირთვას, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ ხდება ინდივიდუალური პროკურორების დატვირთვის შესწავლა. როგორც სხვა დანაშაულების შემთხვევაში აღინიშნა, მისასალმებელია, რომ ხდება პროკურორების დატვირთულობის შეფასება იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია გამართული სისტემის არარსებობის პირობებში. თუმცა, აღნიშნულ ინდიკატორზე დაყრდნობით, ამოცანის სრულად მისაღწევად, აუცილებელია, არსებობდეს რეგულირებული სისტემა (მაგ: გენერალური პროკურორის ბრძანება, სახელმძღვანელო დოკუმენტი), სადაც დეტალურად იქნებოდა გაწერილი პროკურორის დატვირთულობის შეფასების სავალდებულო კომპონენტები, მეთოდოლოგია და ა.შ. და შესაძლებელი იქნებოდა პროკურორთა დატვირთულობის შეფასება ყველა საჭირო მონაცემის მიხედვით. შესაბამისად, **მეორე ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.**

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეორე მიზნის/ამოცანის მეექვსე მიმართულებისთვის განსაზღვრული ორი ინდიკატორიდან, 2018 წლის მდგომარეობით, ერთი ინდიკატორი მიუთითებს ნარკოდანაშაულთან დაკავშირებით დასახული ამოცანის მიღწევაზე, მეორე კი - ნაწილობრივ. თითოეულ ინდიკატორს თანაბარი წონა აქვს მინიჭებული. შესაბამისად, აღნიშნული მექანიზმი მეტწილად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 65%.**

[91] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, https://www.constcourt.ge/ge/news/11-30-saqartvelos-sakonstitucio-sasamartlos-gadawyvetileba-saqmeze-saqartvelos-moqalaqe-givi-shanidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page.

**იურიდიულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმების გაუმჯობესება**

(ხვედრითი წილი 10)

**შედეგების ინდიკატორები:**

1. იურიდიულ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი (50)

2. იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მომუშავე პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის (50)

**სტატუსი**: ნაწილობრივ შესრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 15%

მეორე ამოცანის მეშვიდე მიმართულებისთვის (იურიდიულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმების გაუმჯობესება) გათვალიწინებული ორი ინდიკატორიდან პირველს წარმოადგენს იურიდიულ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში მოპოვების შესაძლებლობას საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის სტატისტიკური მოდული ამ ეტაპზე არ იძლევა, ამიტომ ინფორმაცია არ წარმოადგინეს. **შესაბამისად, მეორე ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი შესრულებულად ვერ ჩაითვლება.**

მეორე ამოცანის მეშვიდე მიმართულების მეორე ინდიკატორს წარმოადგენს იურიდიულ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით მომუშავე პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული საქმეები შესაძლოა საპროკურორო საქმიანობის განმახორციელებელ თითქმის ყველა სტრუქტურული დანაყოფის პროკურორს ჰქონდეს. რაც შეეხება პროკურორთა დატვირთვას, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ ხდება ინდივიდუალური პროკურორების დატვირთვის შესწავლა, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია შიდა სამსახურებრივი გამოყენებისთვის არის განკუთვნილი და მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი არ იქნა. როგორც სხვა დანაშაულების შემთხვევაში აღინიშნა, მისასალმებელია, რომ ხდება პროკურორების დატვირთულობის შეფასება იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია გამართული სისტემის არარსებობის პირობებში. თუმცა, აღნიშნულ ინდიკატორზე დაყრდნობით, ამოცანის სრულად მისაღწევად, აუცილებელია, არსებობდეს რეგულირებული სისტემა (მაგ: გენერალური პროკურორის ბრძანება, სახელმძღვანელო დოკუმენტი), სადაც დეტალურად იქნებოდა გაწერილი პროკურორის

დატვირთულობის შეფასების სავალდებულო კომპონენტები, მეთოდოლოგია და ა.შ. შესაბამისად, **მეორე ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეორე მიზნის/ამოცანის მეშვიდე მიმართულებისთვის განსაზღვრული ორი ინდიკატორიდან, 2018 წლის მდგომარეობით, ერთი ინდიკატორი არ მიუთითებს იურიდიული პირის მიერ ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლასთან დაკავშირებით დასახული ამოცანის მიღწევაზე, მეორე კი - ნაწილობრივ. შესაბამისად, აღნიშნული მექანიზმი ნაწილობრივ შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 15%.**

**სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ეფექტიანობის გაზრდა**

(ხვედრითი წილი 15)

**შედეგების ინდიკატორები:**

1. სამართალწარმოების პროცესში ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი (50)

2. სამართალწარმოების პროცესში ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით მომუშავე პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი (50)

**სტატუსი**: ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 35%

მეორე ამოცანის მერვე მიმართულებისთვის გათვალიწინებული ორი ინდიკატორიდან პირველს წარმოადგენს სამართალწარმოების პროცესში ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2016 წელს პროკურატურამ გამოძიება დაიწყო სამართალწარმოების პროცესში სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის 71 შემთხვევაზე, საიდანაც გახსნა 25 საქმე (ქონების იძულებით ჩამორთმევა, ცემა-წამება). მხილებული 13 საჯარო მოხელიდან სისხლისსამართლებრივი დევნა ოთხი პირის მიმართ დაიწყო, დანარჩენების მიმართ დისკრეციული უფლებამოსილება იქნა გამოყენებული. 2017 წელს პროკურატურამ იგივე ტიპის 54 სავარაუდო დანაშაულზე დაიწყო გამოძიება და გახსნა 35 საქმე - ქონების იძულებით ჩამორთმევის 20 ფაქტი და ცემა-წამების 15 ფაქტი. მხილებული ცხრა საჯარო მოხელიდან ექვსი პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. 2018 წელს პროკურატურამ გამოძიება დაიწყო სამართალწარმოების პროცესში სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის 38 შემთხვევაზე, საიდანაც გახსნა ქონების იძულებით ჩამორთმევის 24 ფაქტი, საიდანაც სისხლისსამართლებრივი დევნა არცერთზე განხორციელებულა.

წარმოდგენილი ინფორმაციიდან ნათელია, რომ გახსნილი საქმეებისა და მხილებული პირების რაოდენობა პასუხისგებაში მიცემულ პირებზე გაცილებით მაღალია, რაც კითხვას აჩენს, რადგან ამ ტიპის დანაშაულის სუბიექტები სახელმწიფო მოხელეები არიან. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის მიხედვით, მხილებული პირების რაოდენობა აღემატება პასუხისგებაში მიცემული პირების რაოდენობას, რადგან დანარჩენი პირები თანამშრომლობენ გამოძიებასთან, რის გამოც მათ მიმართ ხდება დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება. მიუხედავად ამისა, გაუგებარია, რატომ არცერთი პირი არ იქნა მიცემული პასუხისგებაში 2018 წელს. შესაბამისად, **მეორე ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

მეორე ამოცანის მერვე მიმართულების მეორე ინდიკატორს წარმოადგენს სამართალწარმოების პროცესში ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით მომუშავე პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის დეპარტამენტში მუშაობს ექვსი პროკურორი და რვა გამომძიებელი. რაც შეეხება პროკურორთა დატვირთულობას, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ ხდება ინდივიდუალური პროკურორების დატვირთვის შესწავლა. როგორც სხვა დანაშაულების შემთხვევაში აღინიშნა, მისასალმებელია, რომ ხდება პროკურორების დატვირთულობის შეფასება იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია გამართული სისტემის არარსებობის პირობებში. თუმცა, აღნიშნულ ინდიკატორზე დაყრდნობით, ამოცანის სრულად მისაღწევად, აუცილებელია, არსებობდეს რეგულირებული სისტემა (მაგ: გენერალური პროკურორის ბრძანება, სახელმძღვანელო დოკუმენტი), სადაც დეტალურად იქნებოდა გაწერილი პროკურორის დატვირთულობის შეფასების სავალდებულო კომპონენტები, მეთოდოლოგია და ა.შ. შესაბამისად, **მეორე ინდიკატორის მიხედვით, მეორე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეორე მიზნის/ამოცანის მერვე მიმართულებისთვის განსაზღვრული ორი ინდიკატორიდან, 2018 წლის მდგომარეობით, არცერთი ინდიკატორი არ მიუთითებს სამართალწარმოების პროცესში ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლასთან დაკავშირებით დასახული ამოცანის სრულად მიღწევაზე. შესაბამისად, აღნიშნული მექანიზმი ნაწილობრივ შესრულებელია და მისი შესრულების პროგრესია 35%.**

### 3.3. ამოცანა 3. ადამიანის უფლებების დაცვა

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მესამე ამოცანა და მიზანი გულისხმობს ადამიანის უფლებების დაცვას. აღნიშნული მიზნის/ამოცანის მისაღწევად პროკურატურის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა გათვალისწინებულია სამი მიმართულებით (მიზნის მიღწევის

მექანიზმი). მესამე მიზნის/ამოცანის ქვეშ განსაზღვრული სამი მიმართულებიდან თითოეულისთვის შესაბამისი ინდიკატორებია გათვალისწინებული და თითოეულ მიმართულებას თავის ხვედრითი წილი აქვს მინიჭებული მიზნის/ამოცანის მიღწევასთან მიმართებით.

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის მესამე მიზნის/ამოცანისთვის განსაზღვრული სამი მექანიზმიდან, 2018 წლის მდგომარეობით, მეტწილად შესრულებულია ერთი (ხვედრითი წილი 30) და ნაწილობრივ შესრულებულია ორი მექანიზმი (ხვედრითი წილით 40 და 30). შესაბამისად, 2018 წლის მდგომარეობით, მესამე ამოცანა ნაწილობრივ შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 39%.**

**ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა**

(ხვედრითი წილი 30)

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი (35)

2. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახურ დანაშაულზე მომუშავე სპეციალიზებული პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი (35)

3. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის შემთხვევებზე საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდისთვის გატარებული ღონისძიებების რაოდენობა და მონაწილე ადამიანების რაოდენობა (30)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 65%

მესამე ამოცანის პირველი მიმართულებისთვის გათვალიწინებული ოთხი ინდიკატორიდან პირველია ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 2018 წელს გაცილებით მაღალია წინა წლებთან შედარებით. თუ 2016 წელს სულ 1356 შემთხვევაში განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა, 2018 წელს ამ რიცხვმა 3955-ს მიაღწია.




2017 წელს შსს-ს მიერ რეგისტრირებულია 2,192 ოჯახური დანაშაულის შემთხვევა,[92] ამავე წელს კი პროკურატურის მიერ განხორციელდა 1986 სისხლისსამართლებრივი დევნა. შსს-ს და პროკურატურის მაჩვენებლები ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან, რაც მისასალმებელია და ამ მიმართულებით პროკურატურის საქმიანობის ეფექტიანობაზე მიუთითებს. **შესაბამისად, პირველი ინდიკატორის მიხედვით, მესამე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი შესრულებულია.** ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ მუშაობა გაგრძელდეს სტატისტიკური მონაცემების ერთიანი მეთოდოლოგიით შემუშავებასა და ოჯახური ძალადობის საქმეებში გენდერული ნიშნის გამოკვეთაზე, როგორც ეს სახალხო დამცველის ანგარიშშია ხაზგასმული.[93]

მესამე ამოცანის პირველი მიმართულების მეორე ინდიკატორს წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახურ დანაშაულზე მომუშავე სპეციალიზებული პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ოჯახურ დანაშაულში სპეციალიზებული პროკურორების რაოდენობა 161-ს შეადგენს. რაც შეეხება პროკურორთა დატვირთულობას, პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ჯერ-ჯერობით არ არსებობს პროგრამა, რომელიც სათანადოდ, ყველა მონაცემზე დაყრდნობით მოახდენდა პროკურორების დატვირთულობის შეფასებას. აღნიშნული, დღეის მდგომარეობით, ნაწილობრივ ხორციელდება შესაბამისი პროგრამის გარეშე. წარმოდგენილი ინფორმაციიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთ სპეციალიზებულ პროკურორს წელიწადში დაახლოებით 24 ოჯახური ძალადობის საქმეზე უწევს მუშაობა. ამავდროულად, IDFI-ის რეგიონული პარტნიორის, ასოციაცია „დეა“-ს მიერ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში განხორციელებული სასამართლო პროცესების

[92] აუდიტის ეფექტიანობის ანგარიში - ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმები, (2019), სახელმწიფო აუდიტის სამსახური, გვ. 9.
[93] ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2018), საქართველოს სახალხო დამცველი, გვ. 133-134.

მონიტორინგის შედეგად[94] გამოიკვეთა ქალთა მიმართ, ოჯახში ძალადობის და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე მომუშავე პროკურორთა გადატვირთულობის პრობლემა. კერძოდ, ასოციაცია „დეა“-ს მიერ IDFI-სთვის მიწოდებული ანგარიშიდან ირკვევა, რომ ერთ პროკურორს უწევს არა მხოლოდ სისხლის სამართლის რამდენიმე საქმის ერთდროულად განხილვა, არამედ ერთმანეთის მიყოლებით დანიშნულ სასამართლო პროცესებზე გამოსვლა. ხშირი ყოფილა შემთხვევა, როდესაც სასამართლო სხდომა გაჭიანურდა, ხოლო იგივე პროკურორის მონაწილეობით პარალელურად მეორე (და რამდენიმე შემთხვევაში, მესამე და მეოთხეც კი) სხდომა იყო დანიშნული. შესაბამისად, სასამართლო სხდომების გამართვა დაგვიანებულა ერთი, ორი საათით და მეტით. სასამართლო პროცესების მონიტორების დაკვირვებით, აღნიშნული მკაფიოდ უარყოფით გავლენას ახდენს როგორც პროცესის მიმდინარეობაზე, ისე ზოგადად, სისხლის სამართლის პროცესის წარმოების ხარისხზე. შესაბამისად, **მეორე ინდიკატორის მიხედვით, მესამე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი შესრულებულად ვერ ჩაითვლება.**

მესამე ამოცანის პირველი მიმართულების მესამე ინდიკატორს წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის შემთხვევებზე საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდისთვის გატარებული ღონისძიებებისა და მონაწილე ადამიანების რაოდენობა. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახური დანაშაულის საკითხებზე 2018 წელს საქართველოს მასშტაბით (ყველა რეგიონში) 241 საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა. თითო შეხვედრას საშუალოდ 50 მონაწილე ესწრებოდა (სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, სტუდენტები, საჯარო მოხელეები, ადგილობრივი მოსახლეობა). შეხვედრაზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

- ოჯახში ძალადობის განმარტება;
- ძალადობის ფორმები;
- დაზარალებულის უფლებები/სტატუსის მინიჭება;
- ოჯახში ძალადობის/ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ შეტყობინების ვალდებულება;
- დაცვის მექანიზმები და სერვისები;
- დანაშაულის - ადევნების მიმოხილვა.

საინფორმაციო შეხვედრები კონკრეტულ საკითხზე ცნობიერების ამაღლების ერთ-ერთი ტრადიციული მეთოდია. თუმცა, სასურველია, შესაძლებლობის შემთხვევაში, ის ჩანაცვლდეს სხვა ინოვაციური მეთოდებით, რომელიც უფრო მასშტაბურ და ხარისხიან შედეგზე გავა. მიუხედავად ამისა, ამ ეტაპისთვის, **მესამე ინდიკატორის მიხედვით, მესამე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

[94] „Prime” პროექტის ფარგლებში სასამართლო მონიტორინგი ხორციელდება 2018 წლის ივლისიდან. IDFI-სა და პარტნიორი რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენლები აკვირდებიან ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, აგრეთვე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სასამართლო პროცესებს, რის საფუძველზეც იგეგმება პოლიტიკის დოკუმენტის და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის მესამე მიზნის/ამოცანის პირველი მიმართულებისთვის განსაზღვრული სამი ინდიკატორიდან, 2018 წლის მდგომარეობით, დაკმაყოფილებულია ორი ინდიკატორი, ერთი -არა. შესაბამისად, 2018 წლის მდგომარეობით, მესამე ამოცანის პირველი მიმართულება მეტწილად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 65%.**

**წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა**

(ხვედრითი წილი 40)

**შედეგების ინდიკატორები:**

1. წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი (50)

2. წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით მომუშავე პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი (50)

**სტატუსი**: ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 15%

მესამე ამოცანის მეორე მიმართულებისთვის გათვალიწინებული ორი ინდიკატორიდან პირველია წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2016 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 10 პირის მიმართ. აქედან პენიტენციური დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე - ხუთი და პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე - აგრეთვე ხუთი პირის მიმართ. 2017 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 17 პირის მიმართ. აქედან პოლიციის სამი თანამშრომლის და პენიტენციური დეპარტამენტის 14 თანამშრომლის მიმართ. 2018 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 15 პირის მიმართ. აქედან პოლიციის 12 და პენიტენციური დეპარტამენტის სამი თანამშრომლის მიმართ. სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით,[95] წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესწავლისას გამოვლინდა არასწორი კვალიფიკაციის, დაზარალებულის ჩართულობის და დროული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიების პრობლემა. ამავე ანგარიშის მიხედვით, პროკურატურის მიერ წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში დაბალია პასუხისგებაში მიცემის და დამნაშავეთა გამოვლენის მაჩვენებელი ისევე, როგორც ზუსტი სამართლებრივი კვალიფიკაცია. 2018 წელს

[95] ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2018), საქართველოს სახალხო დამცველი, გვ. 82-83, http://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf.

წამებისა და არასათანადო მოპყრობის 367 ფაქტზე დაიწყო პროკურატურამ გამოძიება და 90%-ში სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების კვალიფიკაცია მიენიჭა. ამავე ანგარიშის თანახმად (რასაც შსს-ს და პროკურატურის სტატისტიკაც ადასტურებს), აღნიშნული 367 საქმიდან მხოლოდ 15 პირს დაეკისრა პასუხისმგებლობა. შსს-სა და პროკურატურის მიერ IDFI-ისთვის მოწოდებული მონაცემების მიხედვით ციფრები ცოტა განსხვავებულია - 388 რეგისტრირებული შემთხვევა და 16 დევნა (4%). მსგავსი იყო მდგომარეობა 2017 წელსაც - შსს-ს მიერ დარეგისტრირებული 272 შემთხვევიდან სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ რვა შემთხვევაში განხორციელდა (3%).[96] სისხლისსამართლებრივი დევნის ამგვარი დაბალი მაჩვენებელი ცალსახად მიუღებელია. ის ფაქტი, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული რეგისტრირებული შემთხვევების დაახლოებით 96%-ში სისხლისსამართლებრივი დევნა არ იწყება, ამ ტიპის დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას არ ადასტურებს და საკითხის საფუძვლიანი კვლევის და ანალიზის საჭიროებაზე მიუთითებს. მხედველობაშია მისაღები სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნული გამოწვევებიც, რის გამოც **პირველი ინდიკატორის მიხედვით, მესამე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი შეუსრულებელია.** მნიშვნელოვანია, პროკურატურამ შსს-თან ერთად განახორციელოს აღნიშნული საკითხის ანალიზი, გამოკვეთოს არსებული გამოწვევები და მათი მიზეზები და დასახოს მათი გადაწყვეტის გზები.

მესამე ამოცანის მეორე მიმართულების მეორე ინდიკატორს წარმოადგენს წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით მომუშავე პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ამ დანაშაულთან შეხება საპროკურორო საქმიანობის განმახორციელებელ სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფის პროკურორებს აქვთ და კონკრეტული რაოდენობის მოწოდება შეუძლებელია. რაც შეეხება პროკურორთა დატვირთვას, აღნიშნულის მონიტორინგი ხორციელდება საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ. როგორც სხვა დანაშაულების შემთხვევაში აღინიშნა, მისასალმებელია, რომ ხდება პროკურორების დატვირთულობის შეფასება იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია გამართული სისტემის არარსებობის პირობებში. თუმცა, აღნიშნულ ინდიკატორზე დაყრდნობით, ამოცანის სრულად მისაღწევად, აუცილებელია, არსებობდეს რეგულირებული სისტემა (მაგ: გენერალური პროკურორის ბრძანება, სახელმძღვანელო დოკუმენტი), სადაც დეტალურად იქნებოდა გაწერილი პროკურორის დატვირთულობის შეფასების სავალდებულო კომპონენტები, მეთოდოლოგია და ა.შ. შესაბამისად, **მეორე ინდიკატორის მიხედვით, მესამე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი ნაწილობრივ შესრულებულია.**

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის მესამე მიზნის/ამოცანის მეორე მიმართულებისთვის განსაზღვრული ორი ინდიკატორიდან, 2018 წლის მდგომარეობით, ერთი შეუსრულებელია, მეორე კი ნაწილობრივ დაკმაყოფილებული. შესაბამისად, 2018 წლის მდგომარეობით, მესამე**

[96] დანაშაულის სტატისტიკა 2018, შსს, https://info.police.ge/uploads/5c595f186e358.pdf.

**ამოცანის მეორე მიმართულება ნაწილობრივ შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 15%.**

**დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა**

(ხვედრითი წილი 30)

**შედეგების ინდიკატორები:**

1. დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი (50)

2. დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე მომუშავე სპეციალიზებული პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი (50)

**სტატუსი**: ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 45%

მესამე ამოცანის მესამე მიმართულებისთვის გათვალიწინებული ორი ინდიკატორიდან პირველია დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2016-2017 წლებში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 44-44 პირის მიმართ, 2018 წელს კი - 151 პირის მიმართ. როგორც ამ ინფორმაციიდან ირკვევა, დევნის დაწყების მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით, 2018 წელს სამჯერ გაიზარდა, რაც მისასალმებელია. ამავდროულად, სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშის თანახმად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა უმრავლესობა (სექსუალური უმცირესობები) მიუთითებს სამართალდამცავთა მხრიდან ძალადობის, არასათანადო რეაგირების და ჰომოფობიური მოპყრობის ფაქტზე. 2018 წელს სახალხო დამცველის აპარატმა 13 ასეთი შემთხვევა შეისწავლა.[97] ამავე წელს პროკურატურამ სამართალდამცველთა მიერ ძალადობის, არასათანადო რეაგირების და ჰომოფობიური მოპყრობის ფაქტზე გამოძიება ოთხ შემთხვევაში დაიწყო. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2016-2017 წლებში საქართველოს პროკურატურამ სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილ სიძულვილით მოტივირებულ 14 დანაშაულზე დაიწყო გამოძიება, თუმცა, არცერთ საქმეზე დაზარალებულად ან ბრალდებულად კონკრეტული პირი ცნობილი არ არის. ერთ საქმეზე გამოძიება შეწყდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის

[97] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2018), გვ. 139, http://ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf.

პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. ყველა დანარჩენ საქმეზე გამოძიება გრძელდება.

მართალია, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 2016 წელთან შედარებით 2018 წელს სამჯერ გაიზარდა, სამართალდამცველთა მხრიდან სიძულვილით მოტივირებულ შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ დაწყებული დევნის მაჩვენებელი კვლავ დაბალია. ყურადსაღებია, რომ ჯერ კიდევ 2016 წელს დაწყებულ სამართალდამცველების მიერ სავარაუდოდ ჩადენილ სიძულვილით მოტივირებულ არცერთ საქმეზე პროკურატურას არ ყავს გამოკვეთილი დაზარალებული ან/და ბრალდებული. აღნიშნული მიუთითებს საკითხის პრობლემურობას. მნიშვნელოვანია, პროკურატურამ განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები, რათა გაიზარდოს სამართალდამცველთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების როგორც გამოვლენის, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლები. შესაბამისად, ამ ეტაპისთვის **პირველი ინდიკატორის მიხედვით, მესამე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.**

მესამე ამოცანის მესამე მიმართულების მეორე ინდიკატორს წარმოადგენს დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე მომუშავე სპეციალიზებული პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სპეციალიზებული პროკურორების შერჩევა დაიწყო 2017 წლიდან. 2018 წლის მონაცემებით აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე სპეციალიზებული იყო 28 პროკურორი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ “PrIME” პროექტის ფარგლებში, 2018-2019 წლებში, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით გადამზადდა 60-მდე პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი (მათ შორის, რეგიონებიდან). მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით გაგრძელდეს მუშაობა. ამ დანაშაულზე საქმეთა არც ისე მაღალი რაოდენობიდან გამომდინარე, ამ ეტაპისთვის, სპეციალიზებულ პროკურორთა რაოდენობა საკმარისად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, რამდენადაც პროკურორთა დატვირთულობის სრულყოფილად მონიტორინგისთვის პროკურატურაში არ არსებობს გამართული სისტემა, აღნიშნული კომპონენტი სრულად შესრულებულად ვერ ჩაითვლება. შესაბამისად, **მეორე ინდიკატორის მიხედვით, მესამე ამოცანის/მიზნის მიღწევის აღნიშნული კომპონენტი ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის მესამე მიზნის/ამოცანის მესამე მიმართულებისთვის განსაზღვრული ორი ინდიკატორიდან, 2018 წლის მდგომარეობით, ორივე ნაწილობრივ შესრულებულია. შესაბამისად, 2018 წლის მდგომარეობით, მესამე ამოცანის მესამე მიმართულება ნაწილობრივ შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 45%.**

### 3.4. ამოცანა 4. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტიანი სისტემის შექმნა

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეოთხე ამოცანა და მიზანი გულისხმობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტიანი სისტემის შექმნას. აღნიშნული მიზნის/ამოცანის მიღწევის შესაფასებლად, მონიტორინგის ფარგლებში ოთხი ინდიკატორი განისაზღვრა, რომლებიც ხარისხობრივად და რაოდენობრივად აფასებენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტიანი სისტემის შექმნის პროგრესს.

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეოთხე მიზნის/ამოცანისთვის განსაზღვრული ოთხი ინდიკატორიდან სამი მიუთითებს ამოცანის სრულად, ერთი კი ნაწილობრივ შესრულებაზე. შესაბამისად, 2018 წლის მდგომარეობით, მეოთხე ამოცანა მეტწილად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 88%.**

**შედეგების ინდიკატორები:**

1. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე გამოყენებული სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების (განრიდება, მედიაცია და სხვა) პროცენტული რაოდენობა (25)

2. სასამართლოს მიერ განრიდების მიზნით მობრუნებული საქმეების რაოდენობა (25)

3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე მომუშავე სპეციალიზებული პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი (25)

4. იმ არასრულწლოვანთა პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების (განრიდება, მედიაცია და სხვა) მოქმედების განმავლობაში (25)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 88%

მეოთხე ამოცანის პირველი ინდიკატორია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე გამოყენებული სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების (განრიდება, მედიაცია და სხვა) პროცენტული რაოდენობა. საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2016-2018 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ ღონისძიებებს დაქვემდებარებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა სტაბილურად სჭარბობს არასრულწლოვანთა რაოდენობას, რომლებიც დაექვემდებარნენ სისხლისსამართლებრივ დევნას.




მისასალმებელია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების სტაბილურად მაღალი მაჩვეენებლი და მნიშვნელოვანია, ეს პრაქტიკა შენარჩუნდეს. **ამ ეტაპზე, მეოთხე ამოცანა აღნიშნულ კომპონენტში მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.**

მეოთხე ამოცანის მეორე ინდიკატორს წარმოადგენს სასამართლოს მიერ განრიდების მიზნით პროკურატურაში მობრუნებული საქმეების რაოდენობა. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2016 წელთან შედარებით 2018 წელს შემცირდა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა იმ საქმეების რაოდენობა, სადაც სასამართლომ უარი თქვა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე და პროკურატურას საქმე უკან მოუბრუნა არასრულწლოვნის მიმართ განრიდების ღონისძიების გამოყენების მიზნით.




როგორც პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით ირკვევა, მართალია, 2017 წელს 2018 წელთან შედარებით რვა საქმით ნაკლები მიბრუნდა სასამართლოდან პროკურატურაში, მაგრამ, 2016 წელთან შედარებით 2018 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა თითქმის 24%-ით იკლო, რაც მისასალმებელია. **შესაბამისად, პირველი ამოცანის აღნიშნული კომპონენტი შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

მეოთხე ამოცანის მესამე ინდიკატორს წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე მომუშავე სპეციალიზებული პროკურორების რაოდენობა და მათი დატვირთულობის მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2016 წელს პროკურატურის სისტემაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული 78 მენეჯერი, 122 პროკურორი და 21 გამომძიებელი მუშაობდა, მომდევნო წლების განმავლობაში კი სპეციალიზებულ პროკურორთა რაოდენობა სტაბილურად იზრდებოდა.




როგორც პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, 2018 წელს, 2016 წელთან შედარებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პროკურორების რიცხვმა იმატა დაახლოებით 30%-ით, ასევე გაიზარდა გამომძიებლების და მენეჯერების რაოდენობა. აღნიშნული ტენდენცია მისასალმებელია. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, საჭიროების მიხედვით გაგრძელდეს სპეციალიზებულ თანამშრომელთა ზრდა და მუდმივად ხდებოდეს სპეციალიზებული პროკურორების, გამომძიებლებისა და მენეჯერების გადამზადება. რაც შეეხება, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პროკურორების დატვირთულობის მაჩვენებელს, პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სპეციალიზაციის მიხედვით პროკურორების დატვირთულობის მონიტორინგი არ ხდება. ნაწილობრივ ხორციელდება ინდივიდუალური პროკურორების დატვირთულობის მონიტორინგი, თუმცა, აღნიშნული არ არის რეგულირებული რაიმე შიდაუწყებრივი აქტით, არ არსებობს მეთოდოლოგიის დოკუმენტი ან სახელმძღვანელო, აგრეთვე პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფდა ყველა კრიტერიუმზე დაყრდნობით პროკურორთა დატვირთულობის შეფასებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, **მეოთხე ამოცანის მესამე ინდიკატორის მიხედვით, ამოცანა ნაწილობრივ მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.**

მეოთხე ამოცანის მეოთხე ინდიკატორია იმ არასრულწლოვანთა პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების (განრიდება, მედიაცია და სხვა) მოქმედების განმავლობაში. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2016 წელს განრიდებული 462 არასრულწლოვანიდან განრიდების ან/და განრიდება-მედიაციის მოქმედების განმავლობაში განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა ხუთმა არასრულწლოვანმა (1%); 2017 წელს განრიდებული 475 არასრულწლოვანიდან - 13-მა არასრულწლოვანმა (8%); ხოლო 2018 წელს

განრიდებული 497 არასრულწლოვანიდან - რვა არასრულწლოვანმა (2%). როგორც აღნიშნული მონაცემებიდან ჩანს, განრიდებული არასრულწლოვნების მიერ დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი სტაბილურად დაბალია, რაც ამ მექანიზმის ეფექტიანობასა და პროკურატურის მიერ მის სწორად გამოყენებაზე მიუთითებს. **შესაბამისად, მეოთხე ინდიკატორის საფუძველზე მეოთხე ამოცანა შესრულებულად უნდა ჩაითვალოს**.

### 3.5. ამოცანა 5. სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობა

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეხუთე ამოცანა და მიზანი გულისხმობს სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობას. აღნიშნული მიზნის/ამოცანის მიღწევის შესაფასებლად, მონიტორინგის ფარგლებში ორი ინდიკატორი განისაზღვრა, რომლებიც აფასებენ სისხლის სამართლის საქმეებზე პროკურატურის საერთაშორისო თანამშრომლობას.

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეხუთე მიზნის/ამოცანისთვის განსაზღვრული ორი ინდიკატორიდან ერთი ნაწილობრივ, მეორე კი სრულად დაკმაყოფილებულია. შესაბამისად, 2018 წლის მდგომარეობით, მეხუთე ამოცანა მეტწილად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 75%.**

**შედეგების ინდიკატორები:**

1. სხვა ქვეყნების მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოდან მიღებული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი (50)

2. სხვა ქვეყნებიდან სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მიღებული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი (50)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 75%

მეხუთე ამოცანის პირველი ინდიკატორია საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში წარმოებული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, წლების მიხედვით, სიტუაცია თითქმის ერთნაირია სამართლებრივ დახმარებასთან დაკავშირებით. მცირედით იმატებს სხვა ქვეყანასთან სამართლებრივი დახმარების თხოვნით გაგზავნილი შუამდგომლობები, თუმცა, მათი დაკმაყოფილების მაჩვენებელი არ იზრდება. რაც შეეხება დაკმაყოფილებული

სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობებს, 2017 წელს მათი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია 2016 წელთან შედარებით - 14%-ით.




როგორც გრაფიკული გამოსახულებიდან ჩანს, 2016 წელთან შედარებით, 2017 და 2018 წლებში დაახლოებით ერთნაირია პროკურატურის მიერ სამართლებრივი დახმარების თხოვნით გაგზავნილი შუამდგომლობების და მცირედით შემცირდა უარყოფილი შუამდგომლობების რაოდენობა. თუმცა, 2016 წელთან შედარებით 2017 წელს 14%-ით იკლო დაკმაყოფილებული შუამდგომლობების რაოდენობამ. 2018 წელს კი (2016 წელთან შედარებით) 26%-ით იკლო დაკმაყოფილებული შუამდგომლობების რაოდენობამ, რაც, ნაწილობრივ, მიმდინარე/დამუშავების პროცესში მყოფი შუამდგომლობების რაოდენობის მომატებას უნდა უკავშირდებოდეს. მონაცემების მიხედვით, 2018 და 2017 წლებში 2016 წელთან შედარებით საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით ყურადსაღები პროგრესი არ დაფიქსირებულა, თუმცა, საერთო ჯამში, უარყოფილი შუამდგომლობების რაოდენობა მაღალი არ არის. **ამოცანა ამ ინდიკატორის მიხედვით, ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

მეხუთე ამოცანის მეორე ინდიკატორს წარმოადგენს სხვა ქვეყნებიდან სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მიღებული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის

მიხედვით, 2016 წელს პროკურატურამ უცხო ქვეყნისგან სამართლებრივი დახმარების შესახებ 1258 შუამდგომლობა მიიღო, საიდანაც 88.4% დააკმაყოფილა. 2018 წელს მიღებული შუამდგომლობების რაოდენობა 1457 იყო, საიდანაც 86% დაკმაყოფილდა, დაახლოებით 2%-ზე მუშაობა მინდინარეობს. 2018 და 2016 წლებში არ შეცვლილა სამართლებრივი დახმარების თაობაზე შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მაჩვენებელი - 12%. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, უცხო ქვეყნებისთვის სამართლებრივ დახმარებაზე უარის თქმის ძირითადი მიზეზებია პირის არ ყოფნა საქართველოში (დაახლოებით 85%); *Non bis in idem* პრინციპის დარღვევა მომთხოვნი სახელმწიფოს მხრიდან (დაახლოებით 10%) და საგამოძიებო მოქმედებებზე დასაბუთებული ვარაუდისთვის საკმარისი ფაქტების არარსებობა (დაახლოებით 5%). აღნიშნული მონაცემები საქართველოს მხრიდან ეფექტიან თანამშრომლობაზე მიუთითებს, **შესაბამისად, მეხუთე ამოცანა, მისი მეორე ინდიკატორის მიხედვით, შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

### 3.6. ამოცანა 6. საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეექვსე ამოცანა და მიზანი გულისხმობს საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლებასა და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბებას. აღნიშნული მიზნის/ამოცანის მიღწევის შესაფასებლად, მონიტორინგის ფარგლებში ხუთი თანაბარი წონის ინდიკატორი განისაზღვრა, რომლებიც ხარისხობრივად და რაოდენობრივად აფასებენ პროკურორების საქმიანობის ხარისხსა და სისხლის სამართლის პოლიტიკას.

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეექვსე მიზნის/ამოცანისთვის განსაზღვრული ხუთი თანაბარწონიანი ინდიკატორიდან ოთხი დაკმაყოფილებულია, ერთი კი - არა. შესაბამისად, 2018 წლის მდგომარეობით, მეექვსე ამოცანა მეტწილად შესრულებულია და მისი პროგრესია 80%.**

**შედეგების ინდიკატორები:**

1. პროკურორების, გამომძიებლების და სტაჟიორების წილი, რომლებიც გადამზადებული არიან სამართლებრივი წერის საკითხებში (20)

2. პროკურატურის სისტემის მენეჯერთა და მათ მოადგილეთა პროცენტული რაოდენობა, რომელთა სამუშაო აღწერილობები ოფიციალურად არის გაწერილი ფუნქციათა გამიჯვნის დოკუმენტის შესაბამისად (20)

3. საქმეთა განაწილების სისტემა აკმაყოფილებს ობიექტურობის და გამჭვირვალობის კრიტერიუმებს და შეესაბამება GRECO-ს მეოთხე რაუნდის რეკომენდაციას (პროკურორისთვის საქმის ჩამორთმევის და სხვისთვის გადაცემის კომპონენტი) (20)

4. საპროკურორო საქმიანობის ხარისხის მონიტორინგის OECD-ACN მეოთხე რაუნდის რეკომენდაციასთან შესაბამისობა (20)

5. პროკურორებისა და გამომძიებლების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც გადამზადებული არიან გამოძიების მეთოდოლოგიაში (20)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 80%

მეექვსე ამოცანის პირველი ინდიკატორია პროკურორების, გამომძიებლების და სტაჟიორების წილი, რომლებიც გადამზადებული არიან სამართლებრივი წერის საკითხებში. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სამართლებრივი წერის საკითხებზე 2016-2018 წლებში განხორციელდა 20 ტრენინგი, რომელთა ფარგლებში სულ გადამზადდა 300-ზე მეტი პროკურორი და გამომძიებელი. ამავე წლებში განხორციელებული ოთხი ტრენინგის ფარგლებში კი 150-მდე სტაჟიორი გადამზადდა სამართლებრივი წერის საკითხებზე. მისასალმებელია პროკურორებისა და სტაჟიორებისთვის მსგავსი სასწავლო ღონისძიებების აქტიურად უზრუნველყოფა. სამი წლის განმავლობაში გადამზადებულ პროკურორთა და სტაჟიორთა რაოდენობა სრულიად დამაკმაყოფილებელია. **ამიტომ, მეექვსე ამოცანა მისი პირველი ინდიკატორის მიხედვით, შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

მეექვსე ამოცანის მეორე ინდიკატორია პროკურატურის სისტემის მენეჯერთა და მათ მოადგილეთა პროცენტული რაოდენობა, რომელთა სამუშაო აღწერილობები ოფიციალურად არის გაწერილი ფუნქციათა გამიჯვნის დოკუმენტის შესაბამისად. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2018 წელს პროკურატურის მენეჯერთა და მათ მოადგილეთა სრული რაოდენობა შეადგენდა 130-ს. თუმცა, ინფორმაცია არ იქნა მოწოდებული იმის შესახებ, რამდენი მათგანის სამუშაო აღწერილობებია ოფიციალურად გაწერილი ფუნქციათა გამიჯვნის დოკუმენტის შესაბამისად. **აღნიშნულიდან გამომდინარე, მეექვსე ამოცანა მისი მეორე ინდიკატორის მიხედვით შესრულებულად ვერ ჩაითვლება.**

მეექვსე ამოცანის მესამე ინდიკატორის მიხედვით, პროკურატურის საქმეთა განაწილების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს ობიექტურობის და გამჭვირვალობის კრიტერიუმებს და შეესაბამებოდეს GRECO-ს მეოთხე რაუნდის რეკომენდაციას (პროკურორისთვის საქმის ჩამორთმევის და სხვისთვის გადაცემის კომპონენტი). პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წელს პროკურატურის შიგნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა წინადადებები საქმეთა განაწილების სისტემის დახვეწის მიზნით. დოკუმენტი დამტკიცებულია გენერალური პროკურორის ბრძანებით. დოკუმენტით დადგინდა კრიტერიუმები (როგორიცაა პროკურორის სპეციალიზაცია, დატვირთვა და ა.შ.), რომლებიც უნდა იქნას გათვალისწინებული საქმეთა განაწილების დროს. ამავდროულად, დადგინდა საქმის ერთი პროკურორისთვის ჩამორთმევის და მეორე პროკურორისთვის გადაცემის წერილობითი დასაბუთების ვალდებულება. მნიშვნელოვანია, რომ GRECO-ს მეოთხე რაუნდის შესაბამისობის ანგარიშის მიხედვით, აღნიშნული კომპონენტი პროკურატურას შესრულებულად ჩაეთვალა. **შესაბამისად, მესამე ინდიკატორის მიხედვით, მეექვსე ამოცანა შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

მეექვსე ამოცანის მეოთხე ინდიკატორს წარმოადგენს საპროკურორო საქმიანობის ხარისხის მონიტორინგის OECD-ACN მეოთხე რაუნდის რეკომენდაციასთან შესაბამისობა. აღნიშნული რეკომენდაციის მიხედვით, პროკურორების შეფასებაში კრიტერიუმად არ უნდა გამოიყენებოდეს პროკურორის მიერ დასრულებული საქმეების ან გამართლებული ბრალდებულების რაოდენობა.[98] პროკურატურაში დანერგილი შეფასების სისტემით პროკურორის შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება პროკურორის მიერ დასრულებული საქმეების ან გამართლებული ბრალდებულების რაოდენობა. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, პროკურორთა საქმიანობის შეფასება ხორციელდება შემდეგი ძირითადი მიმართულებების მიხედვით: დატვირთვის მაჩვენებლები, საპროცესო დოკუმენტების დასაბუთებულობის ხარისხი, სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხი, ხელმძღვანელის შეფასება, დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დაცვა, ტრენინგებზე მიღწეული შედეგები და სხვა აქტივობები.

შეფასების სისტემის საფუძველზე საპროცესო დოკუმენტების შესწავლის მიზანია საპროცესო დოკუმენტების დასაბუთებულობის და კანონთან შესაბამისობის ხარისხის შეფასება როგორც ზოგადი მდგომარეობის შესწავლის, ისე კონკრეტული პროკურორის შეფასების კუთხით. საპროცესო დოკუმენტების ხარისხის მონიტორინგი ხორციელდება მთავარი პროკურორის მიერ დამტკიცებული შეფასების სისტემით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, რომელიც წინასწარ მიეწოდათ პროკურატურის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებს. ფასდება საპროცესო დოკუმენტების კანონმდებლობასთან და მართლწერის სტანდარტებთან შესაბამისობა - რამდენად შეესაბამებოდა დოკუმენტი შეფასების სისტემით ამ დოკუმენტისათვის დადგენილ კრიტერიუმებს.

შეფასების სისტემის ფარგლებში შემუშავებულია კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც ფასდება პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხი საქმის სასამართლო განხილვის თითოეულ ეტაპზე. შემოწმების შედეგად ფასდება თითოეული პროკურორის ინდივიდუალური სასამართლო უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია, ასევე იდენტიფიცირდება საერთო ხარვეზები, რაც საჭიროებს გამოსწორებას. შეფასების სისტემით შემუშავებულია სპეციალური ფორმა - ე.წ. ბლანკი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ყველა  პროკურორის შეფასება განხორციელდეს ერთიანი მეთოდოლოგიით, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების და საერთო სტანდარტების დაცვით.

მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები ეგზავნებათ პროკურატურის შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფებს.

როგორც მოწოდებული ინფორმაციიდან ჩანს, პროკურორთა საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდაა გაწერილი და მათი შეფასება ერთიანი, გამჭვირვალე სისტემით

[98] Progress Update Report – Georgia, March, 2019, რეკომენდაცია 13.3; https://www.oecd.org/corruption/acn/OECD-ACN-Georgia-Progress-Update-2019-ENG.pdf.

ხორციელდება. ამავდროულად, OECD-ACN-ის ზემოთ აღნიშნული რეკომენდაცია დანერგილია პრაქტიკაში, რასაც თავად ამ ორგანიზაციის პროგრესის შესახებ ანგარიშიც ადასტურებს. **შესაბამისად, მეექვსე ამოცანის მეოთხე ინდიკატორის მიხედვით, ამოცანა შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

მეექვსე ამოცანის მეხუთე ინდიკატორია პროკურორებისა და გამომძიებლების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც გადამზადებული არინ გამოძიების მეთოდოლოგიაში. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2016-2018 წლებში განხორციელებული 23 სასწავლო აქტივობის ფარგლებში გამოძიების მეთოდოლოგიის თემაზე გადამზადება გაიარა 170-მა პროკურორმა და გამომძიებელმა. სამი წლის განმავლობაში, აღნიშნული რაოდენობა საკმარისად უნდა ჩაითვალოს. მნიშვნელოვანია, მომდევნო წლებშიც აქტიურად გაგრძელდეს ამ მიმართულებით პროკურორთა და გამომძიებელთა გადამზადება. **ამ ეტაპისთვის, მეექვსე ამოცანა, მისი მეხუთე ინდიკატორის მიხედვით, შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

### 3.7. ამოცანა 7. საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეშვიდე ამოცანა და მიზანი გულისხმობს საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას. აღნიშნული მიზნის/ამოცანის მიღწევის შესაფასებლად, მონიტორინგის ფარგლებში სამი ინდიკატორი განისაზღვრა, რომლებიც ხარისხობრივად და რაოდენობრივად აფასებენ პროკურატურის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ხარისხს.

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეშვიდე მიზნის/ამოცანისთვის განსაზღვრული სამი ინდიკატორიდან ორი (ხვედრითი წილი 30-30) დაკმაყოფილებულია, ერთი კი - არა. შესაბამისად, 2018 წლის მდგომარეობით, მეშვიდე ამოცანა მეტწილად შესრულებულია და მისი პროგრესია 60%.**

**შედეგების ინდიკატორები:**

1. მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა, რომელიც ენდობა პროკურატურას (40)

2. პროკურატურიდან კადრების გადინების მაჩვენებელი (30)

3. პროკურატურის მიერ ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართლებრივ დავებში დახარჯული თანხის (კლების/ზრდის) მაჩვენებელი (30)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 60%

მეშვიდე ამოცანის პირველი ინდიკატორია მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა, რომელიც ენდობა პროკურატურას. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, უწყებას არ აქვს მსგავსი გამოკითხვის შედეგები. მნიშვნელოვანია, პროკურატურამ

აწარმოოს ასეთი გამოკითხვა, რადგან უწყების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ნდობის ამაღლების ამოცანის გაზომვა სხვაგვარად ვერ მოხერხდება. ამავდროულად, IDFI-მ, "PrIME" პროექტის ფარგლებში, CRRC-თან თანამშრომლობით, რამდენიმე კვლევა განახორციელა. კვლევების მიხედვით, მოსახლეობის მეოთხედზე მეტმა (27%) დააფიქსირა, რომ პროკურორების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება ხშირად ხდება და მხოლოდ 8%-მა განაცხადა, რომ პროკურორების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება საქართველოში არასდროს ხდება. მოსახლეობის დაახლოებით ნახევარმა (52%) თქვა, რომ პროკურატურას ენდობა. მოქმედი მაღალჩინოსნების შემთხვევაში, 41%-ის თქმით, პროკურატურა ობიექტურად არ განახორციელებს მათ სამართლებრივ დევნას.[99] მართალია, CRRC-ის მიერ განხორციელებული კვლევა პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების სრულყოფილად გასაზომად ვერ გამოდგება, რადგან ამისთვის საჭიროა, ერთიანი მეთოდოლოგიის საფუძველზე განხორციელებული საწყისი და შემდგომი კვლევა, თუმცა, ჩანს, რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი სკეპტიკურად არის განწყობილი. **შესაბამისად, ამ ინდიკატორის მიხედვით, მეშვიდე ამოცანა შესრულებულად ვერ ჩაითვლება.**

მეშვიდე ამოცანის მეორე ინდიკატორია პროკურატურიდან კადრების გადინების მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, პროკურატურიდან კადრების გადინების მაჩვენებელი 2016 წელს 8,3 % იყო, ხოლო 2018 წელს - 9,8 %. როგორც ამ მონაცემებიდან ირკვევა, უწყებიდან კადრების გადინება სტაბილურად მცირეა, რაც მისასალმებელია. **შესაბამისად, მეორე ინდიკატორის მიხედვით, მეშვიდე ამოცანა შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

მეშვიდე ამოცანის მესამე ინდიკატორს წარმოადგენს პროკურატურის მიერ ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართლებრივ დავებში დახარჯული თანხის (კლების/ზრდის) მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2016 წელს ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან იძულების წესით ჩამოიჭრა საქართველოს პროკურატურის დავალიანება 570 876,87 ლარი, ხოლო 2018 წელს - 406 020,00 ლარი. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოების ფარგლებში პროკურატურის მიერ გახარჯული თანხები 2018 წელს 2016 წელთან შედარებით დაახლოებით 30%-ით არის შემცირებული, ხოლო საერთო ჯამში, პროკურატურის ბიუჯეტის დაახლოებით 1%-ს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, კლების აღნიშნული ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდეს. **ამ ეტაპზე, მესამე ინდიკატორის მიხედვით, მეშვიდე ამოცანა მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.**

[99] *მოსახლეობას განსხვავებული დამოკიდებულება აქვს პროკურატურის მიმართ,* IDFI (2019), https://idfi.ge/ge/georgians_are_split_over_prosecutor_office_in_georgia_visualization.

### 3.8. ამოცანა 8. დანაშაულის პრევენცია

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მერვე ამოცანა და მიზანი გულისხმობს დანაშაულის პრევენციას. აღნიშნული მიზნის/ამოცანის მიღწევის შესაფასებლად, მონიტორინგის ფარგლებში ორი ინდიკატორი განისაზღვრა.

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის მერვე მიზნის/ამოცანისთვის განსაზღვრული ორი თანაბარწონიანი ინდიკატორიდან ერთი დაკმაყოფილებულია, მეორე კი - არა. შესაბამისად, 2018 წლის მდგომარეობით, მერვე ამოცანა ნაწილობრივ შესრულებულია და მისი პროგრესია 50%.**

**შედეგების ინდიკატორები:**

1. დანაშაულის პრევენციის მიმართულებით ყველა რაიონული პროკურატურის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შესრულების მაჩვენებელი (50)

2. განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების რაოდენობა (50)

**სტატუსი**: ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 50%

მერვე ამოცანის პირველი ინდიკატორია დანაშაულის პრევენციის მიმართულებით ყველა რაიონული პროკურატურის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შესრულების მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წლის იანვარში ყველა რაიონულმა პროკურატურამ შეიმუშავა და შეადგინა ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა, რომელიც შეთანხმებული იქნა სამუშაო ჯგუფთან. თითოეული რაიონული პროკურატურის მიერ შედგენილ ინდივიდუალურ გეგმაში შეტანილი იქნა პრევენციული ღონისძიებები, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, რომ განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების რაოდენობები 10-ზე მეტია და ჩატარებულია სამოქმედო გეგმების მიხედვით. აღნიშნული სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებთან დაკავშირებით პროკურატურა მიუთითებს, რომ რაიონული პროკურატურების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმები არ არის დამტკიცებული ნორმატიული ან/და ინდივიდუალური აქტით და შესაბამისად პროკურატურას არ აქვს აღებული ვალდებულება IDFI-ს მიაწოდოს შიდა მოხმარების სამუშაო დოკუმენტები. მიუხედავად ამისა, პროკურატურამ IDFI-ს წარმოუდგინა ერთ-ერთი რაიონული სამოქმედო გეგმის ნიმუში.

IDFI-ს მოსაზრებით, უწყების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და ღონისძიებების განხორციელების შესახებ საკმარისი ინფორმაციის გასაჯაროება აუცილებელია. დანაშაულის პრევენციისთვის არსებული რაიონული პროკურატურების სამოქმედო გეგმების ან/და მათი შესრულების შესახებ ინფორმაციის არასაჯაროდ მიჩნევა გაუმართლებელია. შესაბამისად, IDFI მიესალმება პროკურატურის მიერ რაიონული

სამოქმედო გეგმის ნიმუშის წარმოდგენას (თუმცა, აღნიშნული დოკუმენტი მნიშვნელოვნად ხარვეზიანია - იგი წარმოადგენს სამი დაგეგმილი ღონისძიების შესახებ). წარმოდგენილი დოკუმენტით განსაზღვრული სამი ღონისძიებიდან სამივე შესრულებულია, თუმცა, ინდიკატორი გულისხმობს ყველა რაიონული სამოქმედო გეგმის შესრულების მაჩვენებელს, რისი გაზომვაც ერთი სამოქმედო გეგმის ნიმუშის მიხედვით შეუძლებელია. **შესაბამისად, ამ ეტაპზე, პირველი ინდიკატორის მიხედვით, მერვე ამოცანა შესრულებულად ვერ ჩაითვლება.**

მერვე ამოცანის მეორე ინდიკატორია პროკურატურის მიერ განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების რაოდენობა. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2016-2018 წლებში პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურაში“ ჩართულმა რაიონულმა პროკურატურებმა (პროექტში ჩართულია ყველა (28) რაიონული პროკურატურა) ღონისძიებები განახორციელეს წინასწარ შედგენილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად. 2016-2018 წლებში პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების სტატისტიკა შემდეგია:

- 2016 წელი - 178 ღონისძიება;
- 2017 წელი - 556 ღონისძიება;
- 2018 წელი - 706 ღონისძიება.

2018 წელს ჩატარებული ღონისძიებების სტატისტიკა რაიონულ და რეგიონულ ჭრილში ასე გამოიყურება

| N | პროკურატურა | ჩატარებული ღონისძიება რაიონის მიხედვით | რეგიონი | ჩატარებული ღონისძიება რეგიონის მიხედვით |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბათუმი | 24 | აჭარა | 66 |
| 2 | ხელვაჩაური | 31 | | |
| 3 | ოზურგეთი | 11 | | |
| 4 | ზუგდიდი | 60 | სამეგრელო ზემო სვანეთი | 181 |
| 5 | სენაკი | 96 | | |
| 6 | ფოთი | 17 | | |
| 7 | მესტია | 8 | | |
| 8 | ქუთაისი | 29 | დასავლეთ საქართველო (იმერეთი რაჭა-ლეჩხუმი) | 163 |
| 9 | ზესტაფონი | 41 | | |
| 10 | სამტრედია | 61 | | |
| 11 | საჩხერე | 16 | | |
| 12 | ამბროლაური | 16 | | |
| 13 | მცხეთა | 16 | შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი | 35 |
| 14 | გორი | 14 | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15 | ხაშური | 5 | | |
| 16 | თელავი | 24 | კახეთი | 45 |
| 17 | გურჯაანი | 14 | | |
| 18 | სიღნაღი | 7 | | |
| 19 | რუსთავი | 29 | ქვემო ქართლი | 56 |
| 20 | ბოლნისი | 14 | | |
| 21 | მარნეული | 13 | | |
| 22 | ახალციხე | 27 | სამცხე-ჯავახეთი | 49 |
| 23 | ახალქალაქი-ნინოწმინდა | 22 | | |
| 24 | ვაკე-საბურთალო | 41 | თბილისი | 111 |
| 25 | ძველი თბილისი | 13 | | |
| 26 | დიდუბე-ჩუღურეთი | 32 | | |
| 27 | გლდანი-ნაძალადევი | 16 | | |
| 28 | ისანი-სამგორი | 9 | | |
| | | 706 | | 706 |

პროექტის ფარგლებში ღონისძიებები ოთხი მიმართულებით ჩაატარდა: საგანმანათლებლო-ინტელექტუალური, კულტურული, სპორტული და  სოციალური აქციების ფარგლებში, რაც თავის მხრივ მოიცავს მრავალფეროვან ჩამონათვალს.

მისასალმებელია პროკურატურის აქტიური მუშაობა პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მიმართულებით და მნიშვნელოვანია, ტენდენცია მომდევნო წლებშიც შენარჩუნდეს. **ამ ეტაპისთვის, მეორე ინდიკატორის მიხედვით, მერვე ამოცანა შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის პრევენცია კომპლექსურ მიდგომას და ყველა რელევანტური უწყების ჩართულობას მოითხოვს. ამიტომ, მსგავსი ამოცანის ერთი უწების მიერ დასახვა რეკომენდებული არაა და უმჯობესია უწყების კომპეტენციის მიხედვით ჩამოყალიბდეს.

### 3.9. ამოცანა 9. სამუშაო გარემოს გაუმჯობესება

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეცხრე ამოცანა და მიზანი გულისხმობს პროკურატურაში სამუშაო გარემოს გაუმჯობესებას. აღნიშნული მიზნის/ამოცანის მიღწევის შესაფასებლად, მონიტორინგის ფარგლებში ხუთი თანაბარწონიანი ინდიკატორი განისაზღვრა, რომლებიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად ზომავენ ამოცანის მიღწევას.

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეცხრე მიზნის/ამოცანისთვის განსაზღვრული ხუთი თანაბარწონიანი ინდიკატორიდან ოთხი დაკმაყოფილებულია, ერთი კი - არა. შესაბამისად, 2018 წლის მდგომარეობით, მეცხრე ამოცანა მეტწილად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 80%.**

**შედეგების ინდიკატორები:**

1. პროკურატურიდან თანამშრომელთა გადინების მაჩვენებელი (20)

2. პროკურატურის თანამშრომელთა / ყოფილ თანამშრომელთა მიერ (პროკურატურის წინააღმდეგ) წარმოებული შრომითი დავების რაოდენობა (20)

3. პროკურატურის თანამშრომელთა წახალისების მაჩვენებელი (20)

4. პროკურატურის თანამშრომელთა მიერ ეთიკის ნორმების დარღვევის რაოდენობა (20)

5. მამხილებელთა სისტემის ფარგლებში მიღებული საჩივრების / განცხადებების რაოდენობა და მათზე რეაგირების მაჩვენებელი (20)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 80%

მეცხრე ამოცანის პირველი ინდიკატორია პროკურატურიდან თანამშრომელთა გადინების მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, პროკურატურიდან კადრების გადინების მაჩვენებელი 2016 წელს 8,3 % იყო, ხოლო 2018 წელს - 9,8 %. როგორც ამ მონაცემებიდან ირკვევა, უწყებიდან კადრების გადინება სტაბილურად მცირეა, რაც მისასალმებელია. **შესაბამისად, პირველი ინდიკატორის მიხედვით, მეცხრე ამოცანა მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.**

მეცხრე ამოცანის მეორე ინდიკატორს წარმოადგენს პროკურატურის თანამშრომელთა / ყოფილ თანამშრომელთა მიერ (პროკურატურის წინააღმდეგ) წარმოებული შრომითი დავების რაოდენობა. 2016 წელს პროკურატურის წინააღმდეგ სასამართლოში შევიდა ერთი სარჩელი, რომელზეც მიმდინარეობს საქმის წარმოება. ერთი სარჩელი შევიდა სასამართლოში პროკურატურის წინააღმდეგ შრომით დავაზე 2018 წელსაც. აღნიშნული მაჩვენებელი ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად დაბალია, რაც მისასალმებელია და მნიშვნელოვანია ამ ტენდენციის შენარჩუნება. **ამ ეტაპზე, მეორე ინდიკატორის მიხედვით, მეცხრე ამოცანა მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.**

მეცხრე ამოცანის მესამე ინდიკატორია პროკურატურის თანამშრომელთა წახალისების მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2016 წელს წახალისებული იქნა პროკურატურის 152 თანამშრომელი. წახალისების ფორმას წარმოადგენდა სახელმწიფო სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება; პროკურატურის საპატიო მუშაკის წოდების მინიჭება; მადლობის გამოცხადება; წინათ გამოყენებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა. 2018 წელს წახალისებული იქნა პროკურატურის 217 თანამშრომელი, იმავე ფორმების (ფულადი ჯილდოს დამატებით) გამოყენებით. აღნიშნული მონაცემები ადასტურებს პროკურატურაში თანამშრომელთა კმაყოფილებაზე ზრუნვას და **შესაბამისად, მესამე ინდიკატორის მიხედვით, მეცხრე ამოცანა შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

მეცხრე ამოცანის მეოთხე ინდიკატორს წარმოადგენს პროკურატურის თანამშრომელთა მიერ ეთიკის ნორმების დარღვევის რაოდენობა. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული მონაცემები ყოველწლიურად ქვეყნდება პროკურატურის ვებგვერდზე.[100] მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის მიერ 2016 წელს ზოგადად ჩატარებული იქნა 64 სამსახურებრივი შემოწმება პროკურატურის 126 მუშაკის მიმართ. შემოწმების შედეგების საფუძველზე, დისციპლინური სახდელი დაეკისრა 28 თანამშრომელს, რეკომენდაცია გაეგზავნა 62 თანამშრომელს, ხოლო 12 თანამშრომელი, სამსახურებრივი შემოწმების პროცესში, პირადი განცხადების საფუძველზე იქნა გათავისუფლებული პროკურატურის სისტემიდან.

2018 წლის განმავლობაში გენერალურ ინსპექციაში დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებით ჩატარდა 66 სამსახურებრივი შემოწმება პროკურატურის 112 თანამშრომლის მიმართ. ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად გამოკვეთილი დისციპლინური გადაცდომების გათვალისწინებით პასუხისმგებლობა დაეკისრა შვიდ თანამშრომელს; ოთხი თანამშრომელი, სამსახურებრივი შემოწმების პროცესში, პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლდა პროკურატურის სისტემიდან; სამსახურებრივი შემოწმების დროს აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, რეკომენდაციით მიემართა 23 თანამშრომელს.

წარმოდგენილი ინფორმაცია მიუთითებს, რომ დისციპლინურ სახდელს დაქვემდებარებული ქმედებები 2018 წელს საგრძნობლად შემცირებულია 2016 წელთან შედარებით. **ამ ეტაპზე, მეოთხე ამოცანის მიხედვით, მეცხრე ამოცანა შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

მეცხრე ამოცანის მეხუთე ინდიკატორია მამხილებელთა სისტემის ფარგლებში მიღებული საჩივრების / განცხადებების რაოდენობა და მათზე რეაგირების მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2016 და 2018 წელს მხილების არცერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა. 2017 წელს პროკურატურაში მხილების შვიდი შეტყობინება განხორციელდა. აქედან ხუთი გადაიგზავნა მთავარი პროკურატურის შესაბამის დეპარტამენტში, ხოლო ორ შეტყობინებაში კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების იდენტიფიცირება შეუძლებელი აღმოჩნდა. მხილების შესახებ შეტყობინებების ასეთი დაბალი მაჩვენებელი შესაბამის ყურადღებას მოითხოვს. საჭიროა, პროკურატურამ შეისწავლოს აღნიშნული საკითხი და განახორციელოს ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება მამხილებლის ინსტიტუტზე და მამხილებლის დაცვის გარანტიებზე. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, იმ ხუთ შეტყობინებაზე, რომელიც პროკურატურის მიერ ერთი დეპარტამენტიდან მეორე დეპარტამენტში გაიგზავნა, გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს და ორი წლის განმავლობაში რაიმე კონკრეტული შედეგი არ დამდგარა. **შესაბამისად, მეხუთე ინდიკატორის მიხედვით, მეცხრე ამოცანა შესრულებულად ვერ ჩაითვლება.**

[100] http://pog.gov.ge/res/docs/angarisi19_07_2017.pdf; http://pog.gov.ge/res/docs/6tebervalimtavariprokurorisangarishi.pdf; http://pog.gov.ge/res/docs/2018angarishigeninspeqcia.pdf.

### 3.10. ამოცანა 10. თანამშრომელთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლება

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეათე ამოცანა და მიზანი გულისხმობს პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლებას. აღნიშნული მიზნის/ამოცანის მიღწევის შესაფასებლად, მონიტორინგის ფარგლებში სამი ინდიკატორი განისაზღვრა, რომლებიც რაოდენობრივად ზომავენ ამოცანის მიღწევას.

**პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეათე მიზნის/ამოცანისთვის განსაზღვრული სამი ინდიკატორიდან სამივე დაკმაყოფილებულია. შესაბამისად, 2018 წლის მდგომარეობით, მეათე ამოცანა სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**შედეგების ინდიკატორები:**

1. პროკურატურის თანამშრომელთა რაოდენობა (მენეჯერები და არამენეჯერები), რომლებმაც გაიარეს მათთვის რელევანტური პროფესიული მომზადება (30)

2. საქმიანობის შეფასების სისტემაში ჩართულ პირთა რაოდენობა (35)

3. პროკურატურის მიერ წლიურად წარმოებული სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი (35)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

მეათე ამოცანის პირველი ინდიკატორია პროკურატურის თანამშრომელთა რაოდენობა (მენეჯერები და არამენეჯერები), რომლებმაც გაიარეს მათთვის რელევანტური პროფესიული მომზადება. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, პროკურატურის თანამშრომლებისთვის 2018 წელს სულ განხორციელდა 195 სასწავლო აქტივობა, რომელშიც ჩართული იყო 2630-ზე მეტი მონაწილე. დაახლოებით იგივე რაოდენობის პირი გადამზადდა 2016 და 2017 წლებშიც. მიმართულებების მიხედვით გადამზადებულ პირთა შესახებ ინფორმაცია მეორე, მესამე, მეათე და სხვა ამოცანების ქვეშაა წარმოდგენილი შესაბამისი ღონისძიებების სახით. უნდა აღინიშნოს, რომ პროკურატურის სისტემაში კადრების გადამზადების სისტემა ეფექტიანად მუშაობს, რასაც სამოქმედო გეგმაში ამ მიმართულებით გათვალისწინებული ღონისძიებები და მათი შესრულებაც მოწმობს. **ამ ეტაპზე, მეათე ამოცანა, მისი პირველი ინდიკატორის მიხედვით, შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

მეათე ამოცანის მეორე ინდიკატორია საქმიანობის შეფასების სისტემაში ჩართულ პირთა რაოდენობა. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, პროკურორთა საქმიანობის შეფასების სისტემა პროკურატურის სისტემაში ოფიციალურად დაინერგა 2017 წლის ბოლოს, შეფასების პროცესი კი 2018 წლიდან დაიწყო, რის შედეგადაც შეფასებულ იქნა სისტემაში მომუშავე ყველა პროკურორი. მოცემული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. ამიტომ, **მეორე ინდიკატორის საფუძველზე მეათე ამოცანა შესრულებულად უნდა ჩაითვალოს**.

მეათე ამოცანის მესამე ინდიკატორია პროკურატურის მიერ წლიურად წარმოებული სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2016-2018 წლებში პროკურატურის მიერ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის რაოდენობა იყო 19266, 19251 და 21327 შესაბამისი თანმიმდევრობით.




2018 წელს რეგისტრირებულ 58412 დანაშაულთან მიმართებით 2018 წელს განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია (35.6%). გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2016 წელთან შედარებით სისხლისსამართლებრივი დევნის რაოდენობა გაიზარდა. მნიშვნელოვანია, რომ მაჩვენებლის ზრდა გაგრძელდეს. **ამ ეტაპზე, მეათე ამოცანა, მისი მესამე ინდიკატორის მიხედვით, შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

## 4. საქართველოს პროკურატურის სამოქმედო გეგმის ღონისძიებების შესრულების 2017 წლის მონიტორინგის შედეგები

საქართველოს პროკურატურის სამოქმედო გეგმის ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის მიზნით ინფორმაცია გამოთხოვილი იქნა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან. IDFI-მ ინფორმაცია გამოითხოვა 2017 წელს განსახორციელებელი ღონისძიების შესრულების შესახებ, წინასწარ შემუშავებული ინდიკატორების შესაბამისად. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ წარმოადგინა ნარატიული ინფორმაცია და დამატებითი დოკუმენტები, მათ შორის, დღის წესრიგები, სახელმძღვანელოები, კვლევები და ა.შ. ღონისძიებების შესრულების გაზომვისას, პროკურატურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან ერთად, IDFI დაეყრდნო რეგიონული პარტნიორების, „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ ბათუმის ფილიალისა და ასოციაცია „დეა“-ს მიერ აჭარისა და

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში ადგილობრივად განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს, პროექტის ფარგლებში „CRRC-საქართველოს“ მიერ განხორციელებული გამოკითხვების შედეგებს და დამოუკიდებლად მოძიებულ ინფორმაციას.[101]

## 4.1. ამოცანა 1. პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდა

პროკურატურის სამოქმედო გეგმის პირველი ამოცანა და მიზანი გულისხმობს პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდას. აღნიშნული მიზნის მიღწევის მექანიზმად ექვსი კომპონენტია გათვალისწინებული, რომლებიც 2017 წლისთვის 10 ღონისძიების შესრულებას ითვალისწინებს. აღნიშნული 10 ღონისძიებიდან შვიდი სრულად შესრულდა, სამი კი - მეტწილად. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ პირველი მიზნის (ამოცანის) ქვეშ შეუსრულებელი და ნაწილობრივ შესრულებული ღონისძიება არ გვხვდება. **პირველი ამოცანის ღონისძიებების შესრულების პროგრესი 88%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 1.1.1.** კოლეგიური ორგანოების როლისა და მნიშვნელობის გაზრდა

**ღონისძიება:** სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც შეისწავლის საერთაშორისო პრაქტიკას კოლეგიური ორგანოების როლისა და ფუნქციების შესახებ.

**შედეგების ინდიკატორები:**

1. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (40)
2. სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილი საერთაშორისო პრაქტიკა (25)
3. სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატი (35)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად: 2017 წლის მეორე ნახევარში საქართველოს პროკურატურაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შემდეგი პირებისგან დაკომპლექტდა: საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; მთავარი პროკურატურის ადმინისტრაციის უფროსი; სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ევროინტეგრაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი; ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი; გენერალური ინსპექციის უფროსი და გენერალური ინსპექციის პროკურორი.

სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად შესწავლილი იქნა ევროპული ქვეყნების საკონსულტაციო ორგანოებთან დაკავშირებით არსებული სტანდარტები, ასეთი

[101] სექტორული სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები და სხვა.

ორგანოების შემადგენლობა და სხვა დაკავშირებული საკითხები, ვენეციის კომისიის მოსაზრებები და სხვა.

სამუშაო ჯგუფი პერიოდულად იკრიბება და, პარალელურად, ინფორმაციას ცვლის ელ. ფოსტის საშუალებით.

აღნიშნული ღონისძიება სრულად შესრულებულად შეფასდა და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია, რადგან განხორციელებულმა აქტივობებმა სამუშაო ჯგუფის შექმნის მინიმალური მოთხოვნა დააკმაყოფილა. სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტდა სხვადასხვა თემატური დეპარტამენტების წარმომადგენლებისგან და ელექტრონულ კომუნიკაციასთან ერთად სამუშაო ჯგუფის ფორმატი პირისპირ შეხვედრებსაც ითვალისწინებს. ამასთან, ჯგუფმა განსაზღვრა შესასწავლი საერთაშორისო პრაქტიკა - ევროპული ქვეყნების გამოცდილება და ვენეციის კომისიის მოსაზრებები. საგულისხმოა, რომ ვენეციის კომისიის მოსაზრებები სხვადასხვა ქვეყნებს ეხება და გამოყოფს საუკეთესო პრაქტიკას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, კოლეგიური ორგანოების როლისა და ფუნქციების მიმართულებით. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 1.1.2. შეფასების სისტემის დანერგვა**

**ღონისძიება:** პროკურორების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება.

**შედეგების ინდიკატორები:**

1. პროკურორების შეფასების კრიტერიუმების შემუშავების მიზნით გაანალიზებული საუკეთესო პრაქტიკა (50)
2. პროკურორების შეფასების კრიტერიუმები დამტკიცებულია მთავარი პროკურორის ბრძანებით (50)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ბოლოს შემუშავდა და მთავარი პროკურორის ბრძანებით დამტკიცდა პროკურატურის გამომძიებელთა და მთავარი პროკურატურის პროკურორთა შეფასების კრიტერიუმები. შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულ იქნა სხვა ქვეყნების პრაქტიკისა და ამ საკითხზე საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების (ვენეციის კომისია, ეუთო) გათვალისწინებით. შესწავლილი საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, პროკურორთა შეფასება განხორციელდება როგორც საპროცესო ხელმძღვანელობისა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის, ასევე, საპროცესო დოკუმენტების დასაბუთებულობის, სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში პროკურორის მუშაობის, დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დაცვის, ტრენინგებზე მიღწეული შედეგებისა და სხვა აქტივობების მიხედვით. შეფასების შედეგები

გათვალისწინებული იქნება პროკურორთა დაწინაურების, წახალისებისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას.

IDFI-ის შეფასებით, ღონისძიების ორივე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისას გაანალიზდა საუკეთესო პრაქტიკა ხოლო დოკუმენტი დამტკიცდა გენერალური პროკურორის ბრძანებით. მნიშვნელოვანია, რამდენად გამოიყენება შეფასების შედეგები პროკურორთა დაწინაურების, წახალისების პროცესში, თუმცა, აღნიშნული 2018 წლის შესაბამისი ღონისძიების შესრულების მონიტორინგისას გაანალიზდება. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 1.1.3.** გამჭვირვალე დისციპლინური პროცედურების დანერგვა

**ღონისძიება N1:** განახლებული ეთიკის კოდექსის პროექტის შემუშავება.

**შედეგების ინდიკატორები:**

1. განახლებული ეთიკის კოდექსის პროექტი დამტკიცებულია (20)
2. ეთიკის კოდექსის შემუშავებაში ჩართული სტრუქტურული დანაყოფები/პირები (20)
3. ეთიკის კოდექსი სხვა ნორმებთან ერთად ითვალისწინებს პროკურორთა დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის, ინტერესთა შეუთავსებლობის, საჩუქრის მარეგულირებელ წესებსა და პრინციპებს (30)
4. ეთიკის კოდექსის ნათელი და გამჭვირვალე აღსრულების მექანიზმი (30)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით: საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის ინიციატივით შექმნილმა სპეციალურმა ჯგუფმა შეიმუშავა პროკურატურის მუშაკთა ქცევის მარეგულირებელი ეთიკის ახალი კოდექსის პროექტი, რომელშიც მაქსიმალურად დეტალურად აისახა დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალი. კოდექსი საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა 2017 წლის 25 მაისს.

პროკურატურის მუშაკის ეთიკის კოდექსის ახალ პროექტს მის დამტკიცებამდე გაეცნენ პროკურატურის თანამშრომლები, რომელთა აზრი მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული. პროექტი მოსაზრებებისთვის ასევე წარედგინა საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს იუსტიციის დეპარტამენტს და ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტის ექსპერტებს, რომელთა მოსაზრებები მაქსიმალურად იქნა ასახული დოკუმენტში.

ეთიკის ახალი კოდექსი დისციპლინურ გადაცდომებს ყოფს მათი სიმძიმის ხარისხის მიხედვით და აკონკრეტებს მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებს კონკრეტული დისციპლინური დარღვევის შემთხვევაში.

ღონისძიების თითოეული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან ეთიკის კოდექსი 2017 წელს შემუშავდა და დამტკიცდა, მის შემუშავებაში ჩართული იყო სპეციალური სამუშაო ჯგუფი, პროექტი დამტკიცებამდე წარედგინა პროკურატურის თანამშრომლებს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს და გათვალისწინებული იქნა მათი მოსაზრებები. ეთიკის კოდექსის სამუშაო ვერსია განხილული იქნა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლების, აგრეთვე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.[102] ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ყველა მნიშვნელოვანი პროფესიული პრინციპი და ნორმა, როგორიცაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, დამოუკიდებლობა და გავლენისაგან თავისუფლება, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, ინტერესთა შეუთავსებლობა, საჩუქარი და სხვა.[103] ეთიკის კოდექსის VI თავი არეგულირებს დისციპლინური წარმოებას ეთიკის ნორმების დარღვევისთვის: განსაზღვრავს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, რომლებსაც ყოფს მსუბუქ, საშუალო და მძიმე გადაცდომად და გადაცდომის სიმძიმის მიხედვით განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებს, რაც აკმაყოფილებს ნორმების განჭვრეტადობის და სიცხადის კრიტერიუმებს და ხელს უწყობს ეთიკის კოდექსის პრაქტიკაში იმპლემენტაციას. შესაბამისად, **ღონისძიება სრულად შესრულებულად შეფასდა და მისი პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 1.1.3.** კოლეგიური ორგანოების როლისა და მნიშვნელობის გაზრდა

**ღონისძიება N2:** პროკურატურის თანამშრომლებისთვის განახლებული ეთიკის კოდექსის გაცნობა.

**შედეგების ინდიკატორები:**

1. განახლებული ეთიკის კოდექსის პროკურატურის თანამშრომლებისთვის გაცნობის ფორმა (50)
2. პროკურატურის თანამშრომელთა რაოდენობა, რომელსაც გაეცნო განახლებული ეთიკის კოდექსი (50)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 75%

[102] სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს 23-ე სხდომა, http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5337.

[103] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2017 წლის 25 მაისის ბრძანება №234 „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“, მუხლები 5, 7, 8 9, 22, 23; https://matsne.gov.ge/ka/document/view/3679145?publication=0

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად: 2017 წლის 5 ივნისს განახლებული ეთიკის კოდექსი ყველა თანამშრომელს დაეგზავნა საქართველოს პროკურატურის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ამასთან, ახალი ეთიკის კოდექსის დამტკიცების შემდეგ, პროფესიული ეთიკისა და ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებზე პროკურატურის თანამშრომლებისათვის ჩატარდა 14 ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარა 307-მა მონაწილემ, მათ შორის, პროკურორებმა, სისტემის გამომძიებლებმა, მრჩევლებმა, სპეციალისტებმა, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებმა. აღნიშნულ თემაზე სწავლება ჩაუტარდა სტაჟიორთა ორ ჯგუფს, ჯამში 62 მონაწილეს. სასწავლო პროცესში მონაწილეები ჩართულნი იყვნენ საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან და ტერიტორიული ორგანოებიდან.

IDFI-ის შეფასებით, განახლებული ეთიკის კოდექსის თანამშრომლებისთვის გაცნობა მათთვის ელექტრონულად დოკუმენტის მიწოდების გზით ვერ შეფასდება ეფექტიან საშუალებად განსხვავებით ტრენინგებისგან, სადაც თანამშრომლებთან პირისპირ შეხვედრის დროს უზრუნველყოფილი იქნა სიახლეების გაცნობა, დისკუსია, წამოჭრილ პრობლემურ კითხვებზე პასუხების მიღება და სხვა. რამდენადაც ტრენინგებში 2017 წლის მდგომარეობით ყველა თანამშრომელს არ აქვს მონაწილეობა მიღებული, ღონისძიება სრულად შესრულებულად ვერ ჩაითვლება. **შესაბამისად, ეს ღონისძიება მეტწილად შესრულებულად შეფასდა და მისი შესრულების პროგრესი 75%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 1.1.3.** კოლეგიური ორგანოების როლისა და მნიშვნელობის გაზრდა

**ღონისძიება N3:** სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც იმუშავებს ეთიკის კოდექსისა და დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებულ განმარტებებზე.

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ეთიკის კოდექსისა და დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებულ განმარტებების შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობა (60)

2. ეთიკის კოდექსისა და დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებულ განმარტებების შემუშავებაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატი (40)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 51%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ეთიკის კოდექსისა და დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებულ განმარტებების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფი შედგება მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის თანამშრომლებისგან. სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატი იყო ელექტრონული ფოსტით

მოსაზრებების გაცვლა და პერიოდული შეხვედრები. წლის განმავლობაში ჩატარდა ოთხი სამუშაო შეხვედრა.

სასურველია, ეთიკის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის წევრები ასევე იყვნენ მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლები, ადამიანური რესურსების მართვის თანამშრომლები და სხვა. აღნიშნული დეპარტამენტების ფუნქციათა შორისაა მთავარი პროკურორის რეკომენდაციებისა და ბრძანებების შესრულების კონტროლი, დარღვევების გამოვლენა და წინადადებების მომზადება პროკურორის მიმართ დისციპლინური ზომების გამოყენების თაობაზე და სხვა.[104] ამასთან, სასურველია, სამუშაო ჯგუფის მიერ შესასრულებელ ღონისძიებად არ აღიქმებოდეს ერთი დეპარტამენტის მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა ან კონკრეტული დავალება, რომლის შესრულების ვალდებულება მას ისედაც გააჩნია. **შესაბამისად, ღონისძიება მეტწილად შესრულებულად ჩაითვალა, თუმცა მისი შესრულების პროგრესი მხოლოდ 51%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 1.1.3.** კოლეგიური ორგანოების როლისა და მნიშვნელობის გაზრდა

**ღონისძიება N4:** პროფესიული ეთიკის სტანდარტების თემაზე პროკურატურის სისტემის მუშაკების მომზადება/გადამზადება.

**შედეგების ინდიკატორები:**

1. პროკურატურის სისტემის მუშაკების რაოდენობა, რომლებსაც გავლილი აქვთ ტრენინგი პროფესიული ეთიკის სტანდარტების თემაზე (40)

2. პროკურატურის სისტემის მუშაკებისთვის პროფესიული ეთიკის სტანდარტების თემაზე ჩატარებული ტრენინგების და მონაწილეთა რაოდენობის თანაფარდობა (35)

3. პროკურატურის სისტემის მუშაკებისთვის პროფესიული ეთიკის სტანდარტების თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (35)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით: პროფესიული ეთიკისა და ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებზე პროკურატურის თანამშრომლებისათვის ჩატარდა 14 ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარა 307-მა მონაწილემ, მათ შორის პროკურორებმა, სისტემის გამომძიებლებმა, მრჩევლებმა, სპეციალისტებმა, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებმა. ამასთან, აღნიშნულ თემაზე სწავლება ჩაუტარდა სტაჟიორთა ორ ჯგუფს, ჯამში 62 მონაწილეს. სასწავლო პროცესში მონაწილეები ჩართულნი

[104] საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება "საქართველოს მთავარი პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ", 2013 წ. მუხლი 6, პუნქტი 9

იყვნენ საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან და ტერიტორიული ორგანოებიდან.

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ღონისძიების ინდიკატორები ძირითადად დაკმაყოფილებულია. საშუალოდ, ტრენინგის თითო ჯგუფში იყო 22 მონაწილე, რაც ოპტიმალური რაოდენობაა ხარისხიანი ტრენინგისთვის. ამასთან, პროკურატურის მიერ მოწოდებული დღის წესრიგის თანახმად ტრენინგების თემატიკა მოიცავდა პროკურატურის მუშაკთა ეთიკის, ინტერესთა შეუთავსებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებს. მათგან, თითოეული საკითხის განხილვას დაახლოებით საათნახევარი დაეთმო. მონაწილეებმა, რელევანტური კანონმდებლობის ანალიზთან ერთად კაზუსები და მაგალითები განიხილეს. მართალია, ტრენინგში პროკურატურის ყველა თანამშრომელს არ მიუღია მონაწილეობა, მაგრამ აღნიშნული ღონისძიება ერთჯერადი არ არის და 2018 წელსაც დაგეგმილია სასწავლო კურსები აღნიშნული მიმართულებით. **ამიტომ, აღნიშნული ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 1.1.3.** კოლეგიური ორგანოების როლისა და მნიშვნელობის გაზრდა

**ღონისძიება N5:** საკონსულტაციო საბჭოს სამუშაო სხდომების გამართვა.

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ჩატარებული საკონსულტაციო საბჭოს სხდომების რაოდენობა (50)
2. საკონსულტაციო საბჭოს მიერ განხილული საკითხები (50)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წელს გაიმართა საკონსულტაციო საბჭოს შვიდი სხდომა. სხდომებზე განსახილველი საკითხები იყო პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა წახალისება, დაწინაურება და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

წელიწადში შვიდი სამუშაო შეხვედრის ჩატარება და ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, როგორიცაა პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა წახალისება, დაწინაურება და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, საკონსულტაციო საბჭოს აქტიურ მუშაობად უნდა ჩაითვალოს, **შესაბამისად, აღნიშნული ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 1.1.4. თანამშრომელთა როტაციის სისტემის რეფორმა**

**ღონისძიება:** პროკურატურის თანამშრომელთა როტაციის სისტემის რეფორმის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა.

**შედეგების ინდიკატორები:**

1. როტაციის რეფორმის დახვეწაზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობა (60)
2. სამუშაო ჯგუფი მუშაობის ფორმატი (40)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 51%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამუშაო ჯგუფი ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლებისგან დაკომპლექტდა. სამუშაო ჯგუფი პერიოდულად იკრიბებოდა და მოსაზრებებს ასევე ცვლიდა ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში მხოლოდ ერთი დეპარტამენტის თანამშრომლების არსებობა ვერ უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფის მიზანს. აღნიშნულ პრაქტიკასთან დაკავშირებით შეფასება გაკეთდა 1.1.3 მექანიზმის მესამე ღონისძიების შეფასებისას. შესაბამისად, მსგავს ღონისძიებებს სრულად შესრულებულად ვერ ჩაითვლება, თუმცა, რადგან ღონისძიება ტექნიკურად შესრულებულია, **ღონისძიება მეტწილად შესრულებულად ჩაითვალა და მისი შესრულების პროგრესი 51%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 1.1.5. პროკურატურის და პროკურორთა დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა**

**ღონისძიება:** სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც იმუშავებს მთავარი პროკურორის არჩევის წესის დახვეწასთან დაკავშირებით.

**შედეგების ინდიკატორები:**

1. მთავარი პროკურორის არჩევის წესის დახვეწაზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობა (60)
2. მთავარი პროკურორის არჩევის წესის დახვეწაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატი (40)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამუშაო ჯგუფი შექმნილია და ის დაკომპლექტდა შემდეგი თანამდებობის პირებისგან: საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ევროინტეგრაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი და სამართლებრივი

უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს უფროსი. სამუშაო ჯგუფი იკრიბება პირისპირ, საჭიროებისამებრ და აგრეთვე იყენებს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებს. 2017 წლის განმავლობაში სამუშაო ჯგუფი სამჯერ შეიკრიბა.

მისასალმებელია, რომ სამუშაო ჯგუფი სხვადასხვა რელევანტური დეპარტამენტების წარმომადგენლებისგან შედგებოდა, მუშაობის ფორმატი - საჭიროებისამებრ შეხვედრები და ელექტრონული კომუნიკაცია ასევე დამაკმაყოფილებელია. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 1.1.6. პროკურატურის სისტემაში თანამშრომლების აყვანისა და დაწინაურების გამჭვირვალე პროცედურების დანერგვა**

**ღონისძიება:** სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც იმუშავებს თანამშრომელთა შერჩევის და დაწინაურების კრიტერიუმებსა და პროცედურებზე.

**შედეგების ინდიკატორები:**

1. თანამშრომელთა აყვანისა და დაწინაურების გამჭვირვალე პროცედურებზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობა (60)

2. სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატი (40)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად თანამშრომელთა აყვანისა და დაწინაურების გამჭვირვალე პროცედურებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი შეიქმნა და დაკომპლექტდა შემდეგი პირებისგან: საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ევროინტეგრაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი და ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი. სამუშაო ჯგუფი პერიოდულად იკრიბება, ასევე ინფორმაციას ცვლის ელ. წერილების მეშვეობით. 2017 წლის განმავლობაში სამი შეხვედრა ჩატარდა.

მისასალმებელია, რომ სამუშაო ჯგუფი სხვადასხვა რელევანტური დეპარტამენტების წარმომადგენლებისგან შედგებოდა (თუმცა, სასურველია, სამუშაო დონეზე ისეთი პირების ჩართვაც (არა-მენეჯერები), რომლებიც უშუალოდ მუშაობენ კონკრეტულ საკითხებზე). მუშაობის ფორმატი - საჭიროებისამებრ შეხვედრები და ელექტრონული კომუნიკაცია ასევე დამაკმაყოფილებელია. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

### 4.2. ამოცანა 2. ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეორე ამოცანა და მიზანი გულისხმობს ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ პროკურატურის ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდას. აღნიშნული მიზნის მიღწევის მექანიზმად რვა კომპონენტია გათვალისწინებული, რომლებიც 2017 წლისთვის 36 ღონისძიების შესრულებას ითვალისწინებს. აღნიშნული 36 ღონისძიებიდან 25 სრულად შესრულდა, ექვსი - მეტწილად, სამი - ნაწილობრივ, ორი ღონისძიება კი შეუსრულებელია. **მეორე ამოცანის ღონისძიებების შესრულების პროგრესი 85%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.1.** ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N1:** შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა სამართალდამცავი ორგანოების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლებისა და შრომის ინსპექტორის მონაწილეობით

**შედეგების ინდიკატორები:**

1. შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით მომუშავე ჯგუფის შემადგენლობა (60)

2. შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით მომუშავე ჯგუფის მუშაობის ფორმატი (40)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად: შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით სამუშაო ჯგუფი შექმნილია და მის შემადგენლობაში შედიან: საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსი და სამმართველოს მრჩეველი, საქართველოს მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი და ტრეფიკინგზე სპეციალიზებული პროკურორი; ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის აღმოსავლეთ რეგიონალური განყოფილების უფროსი და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის აღმოსავლეთ რეგიონალური განყოფილების დეტექტივ-გამომძიებელი; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსი და მრჩეველი; სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსი და სოციალური მომსახურების სააგენტოს ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი და შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის შრომის ინსპექტორი.

აღნიშნული სამუშაო ჯგუფის პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა 2017 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს მთავარ პროკურატურაში, სადაც სამუშაო ჯგუფში მონაწილე უწყებები შეთანხმდნენ კოორდინირებული თანამშრომლობის ფორმატზე და სამომავლო გეგმებზე. უწყებებს შორის კომუნიკაცია ხდება როგორც წერილობით, ელექტრონული ფოსტით, ასევე ხშირია სატელეფონო კომუნიკაციაც.

შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა საკმაოდ წარმომადგენლობითია, მასში გვხვდება რელევანტური უწყებების, როგორც ხელმძღვანელი პირები, ასევე არა-მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი თანამშრომლები. მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურის სამოქმედო გეგმაში ხშირად გვხვდება სამუშაო ჯგუფის შექმნის ვალდებულება და რიგ შემთხვევებში ასეთი სამუშაო ჯგუფის მუშაობის ეფექტიანობა შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგეს, მოცემულ შემთხვევაში სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა მის ეფექტიანობაზე მეტყველებს. ამის მიუხედავად, 2017 წლის მოცემულობით, რთულია შეფასდეს ჯგუფის მუშაობა, რადგან მხოლოდ ერთი შეხვედრა გაიმართა, სადაც თანამშრომლობის ფორმატზე და სამომავლო გეგმებზე შედგა შეთანხმება. **აღნიშნული ღონისძიება სრულად შესრულებულად შეფასდა და მისი პროგრესი 100%-ია, რადგან ღონისძიების ინდიკატორები სრულად დაკმაყოფილებულია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.1.** ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N2:** ტრეფიკინგის ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით რეკომენდაციის განახლება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. რეკომენდაციის განახლებაზე მომუშავე პირები (50)
2. განახლებული რეკომენდაციების პროკურატურის თანამშრომლებისთვის გაცნობა (50)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის სახელმძღვანელო პრინციპები შემუშავდა 2014 წელს. ბოლო წლების მანძილზე არაერთი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა როგორც სისხლის სამართლის კოდექსში, აგრეთვე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში. შესაბამისად, საჭირო გახდა საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად დოკუმენტის განახლება: ცვლილებები შეეხო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივ ასპექტებს, ტრეფიკინგის მომიჯნავე

მუხლებს, ტრეფიკინგის მსხვერპლის დაკითხვა/გამოკითხვას, ტრეფიკინგის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვის თავისებურებებს, ტრეფიკინგის მსხვერპლისთვის სახელმწიფო სერვისების შეთავაზებას.

სახელმძღვანელო პრინციპები შემუშავდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის წარმომადგენლებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფის მიერ. სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაში გამოყენებულ იქნა „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის“ გაერთიანებული ერების ორგანიზაცის კონვენციის დამატებითი ოქმი „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მოდალური კანონი (UNODC Model Law against Trafficking in Persons), ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები;

2017 წლის 19 დეკემბერს, აღნიშნული რეკომენდაცია დამტკიცდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს სხდომაზე და პროკურორებს დაეგზავნათ სამსახურებრივი მეილების საშუალებით, ხოლო 2018 წლის 24 იანვარს საქართველოს მთავარი პროკურორის ხელმოწერით პროკურორებს დაეგზავნათ საქართველოს პროკურატურის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, კერძოდ ელექტრონულად კანცელარიის პროგრამის და მეილის საშუალებით. აღნიშნული რეკომენდაციის დაგზავნის შემდეგ ყველა პროკურორი კანცელარიის პროგრამაში აკეთებს ჩანაწერს რეკომენდაციის გაცნობასთან დაკავშირებით. ამავდროულად, რაიონულ პროკურატურებში და დეპარტამენტებში მენეჯერები პროკურორებს აცნობენ რეკომენდაციის მიღების შესახებ ინფორმაციას. იმ შემთხვევაში თუ რეკომენდაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებს და მიმართულებებს ეხება, აღნიშნული რეკომენდაციის განხილვა ხდება ტრენინგების ფარგლებში. აღნიშნული რეკომენდაციაც განხილულ იქნა ტრენინგების ფარგლებში.

ტრეფიკინგის რეკომენდაციაში მითითებულია, რომ რეკომენდაცია შემუშავდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოში, მითითებულია პასუხისმგებელი პროკურორის საკონტაქტო მონაცემები და იმ შემთხვევაში, თუ პროკურორს აქვს შეკითხვა, მოსაზრება ან აინტერესებს კონკრეტული საკითხი, უკავშირდება სამმართველოს უფროსს ან კონკრეტულ პროკურორს, რომელიც მუშაობდა რეკომენდაციაზე. რეკომენდაციის პრაქტიკაში იმპლემენტაციაზე სრულად აგებს პასუხს ის დანაყოფი, რომელმაც რეკომენდაცია შეიმუშავა.

ღონისძიების ყველა კომპონენტი შესრულებულია. 2014 - 2017 წლების განმავლობაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები სახელმძღვანელოს შესაბამის თავებში აისახა, ხოლო სამუშაო პროცესში ყველა რელევანტური უწყების წარმომადგენელი მონაწილეობდა. რეკომენდაცია პროკურორებს მიეწოდათ და განხილული იქნა ტრენინგების ფარგლებშიც. გარდა ამისა, პროკურორებისთვის მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია, რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვების ან მოსაზრების არსებობის შემთხვევაში

დაკავშირების მიზნით. **შესაბამისად ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.1**. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N3:** რეგიონებში საინფორმაციო შეხვედრები ტრეფიკინგთან დაკავშირებით

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ტრეფიკინგთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრებით დაფარული რეგიონები (35)
2. ტრეფიკინგთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა და მონაწილე აუდიტორია (35)
3. ტრეფიკინგთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრებზე განხილული საკითხები (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად: ტრეფიკინგის თემაზე საერთო ჯამში ჩატარდა 33 საინფორმაციო შეხვედრა, კერძოდ, აჭარის რეგიონში - შვიდი, სამეგრელოში - ორი, იმერეთში - ათი, შიდა ქართლში - ორი, კახეთში - ერთი, ქვემო ქართლში - სამი, სამცხე-ჯავახეთში - სამი, თბილისში კი - ხუთი შეხვედრა.

შეხვედრების სამიზნე ჯგუფს ძირითადად წარმოადგენდნენ ადგილობრივი მოსახლეობა, მათ შორის, სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები.

შეხვედრებზე განხილულ იქნა ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზები, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მისი გამოვლენის, და მასზე რეაგირების გზები, სახელმწიფოში არსებული მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები და ტრეფიკინგთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები.

როგორც პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, საინფორმაციო შეხვედრები ტრეფიკინგთან დაკავშირებით ჩატარდა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. დაფარული არ იყო მაღალმთიანი რეგიონები, მათ შორის, სვანეთი, თუშეთი, ხევსურეთი, რაჭა-ლეჩხუმი. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ საინფორმაციო შეხვედრებისთვის ტერიტორიული დანაყოფები და სამიზნე აუდიტორია ირჩევა რამდენიმე კრიტერიუმით. კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან ტრეფიკინგი ყველაზე მეტად გავრცელებულია თბილისსა და ბათუმში, პრიორიტეტი სწორედ ამ კრიტერიუმით განისაზღვრა. საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება გრძელდება და საბოლოო ჯამში, ყველა რეგიონის დაფარვაა დაგეგმილი. ტრეფიკინგის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და მათთვის ინფორმაციის მიწოდებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მისასალმებელია პროკურატურის მიერ განსაკუთრებული რისკის შემცველი რეგიონების გამოვლენა და პირველ ეტაპზე მათი დაფარვა. აუცილებელია, მსგავსი საინფორმაციო შეხვედრები თუ ცნობიერების ამაღლებისა

და პრევენციის ღონისძიებები მიზნობრივად ჩაატაროს სხვა რეგიონებშიც. **ღონისძიება სრულად შესრულებულია დამისი შესრულების პროგრესი 100%-ით შეფასდა.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.1.** ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N4:** ტრეფიკინგის მიმართულებით მომუშავე პროკურორების გადამზადება და სტაჟიორების მომზადება/ერთობლივი სასწავლო აქტივობების განხორციელება შესაბამისი საგამოძიებო უწყებების მონაწილეობით

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ტრეფიკინგის მიმართულებით მომუშავე პროკურორების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი ტრეფიკინგის თემაზე (40)

2. ტრეფიკინგის თემაზე პროკურორებისა და სტაჟიორებისთვის ჩატარებული ტრენინგების და მონაწილეთა რაოდენობის თანაფარდობა (30)

3. ტრეფიკინგის თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურისგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე განხორციელდა ხუთი სასწავლო აქტივობა, რომელშიც მონაწილეობდნენ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლები. სასწავლო აქტივობებში სულ 43 მსმენელი (პროკურორი) მონაწილეობდა. ჩატარებული სასწავლო აქტივობებიდან ოთხი იყო ერთობლივი ფორმატის, სადაც პროკურორებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ მოსამართლეები, ასევე იუსტიციის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. ხოლო ერთი სასწავლო აქტივობა ბუდაპეშტში განხორციელებული სასწავლო ვიზიტია. გარდა ამისა, ტრეფიკინგის თემაზე სწავლება ჩაუტარდა სტაჟიორთა ორ ჯგუფს, ჯამში 62 მონაწილეს.

ჩატარებული სასწავლო აქტივობების ფორმატი ძირითადად სამდღიანი ტრენინგები იყო, რაც ტრენინგისთვის ოპტიმალურ ხანგრძლივობად შეიძლება ჩაითვალოს. ტრენინგების ზოგადი თემა იყო ტრეფიკინგი და ბავშვებსა და კიბერდანაშაულზე აქცენტით. ტრენინგი მოიცავდა, როგორც საბაზისო (მათ შორის ტერმინთა განმარტებასა და სამართლებრივი კონტექსტი), ისე შინაარსობრივ საკითხებს (სექსუალური ექსპლუატაცია ტურიზმში, ინდიკატორები, გამოძიება, უახლესი ტენდენციები) და პრაქტიკულ სავარჯიშოებს. ერთ-ერთი აქტივობა სამუშაო შეხვედრის ფორმატში ჩატარდა და მასში მონაწილეობა მიიღეს ტრეფიკინგის მიმართულებით მომუშავე პროკურორებმა, გამომძიებლებმა და მოსამართლეებმა. შეხვედრის საკითხებს წარმოადგენდა შრომითი, სექსუალური, არასრულწლოვანთა ექსპლუატაცია და ტრეფიკინგის სხვა თანამედროვე გამოწვევები. ერთი ორდღიანი ტრენინგი ჩატარდა

პროკურორებისთვის და ის მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანას ეხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს თემა პირდაპირ ტრეფიკინგს არ უკავშირდება, შეხვედრაზე განხილული იყო განსხვავებები, კავშირი და თანხვედრა ამ ორ დანაშაულს შორის. ტრენინგზე ასევე განხილული იყო განმარტებები, საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირებები და გამოყენებული იყო პრაქტიკული სავარჯიშოები.

სასწავლო აქტივობებში დაახლოებით 15 მონაწილე ოპტიმალურ რაოდენობად უნდა ჩაითვალოს, ასევე მისაღებია სასწავლო აქტივობების საკითხების მიზანთან შესაბამისობა, პრაქტიკული ელემენტები და სხვა. საერთო სასწავლო აქტივობებში პროკურორებთან ერთად მოსამართლეებისა და შსს წარმომადგენლების მონაწილეობა ძალიან კარგი ინიციატივაა და სასურველია, გაგრძელდეს. რაც შეეხება ტრეფიკინგის მიმართულებით მომუშავე პროკურორების რაოდენობას, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი ტრეფიკინგის თემაზე, ერთი წლის განმავლობაში დატრენინგებული 43 პროკურორი და 62 სტაჟიორი მისაღებ რაოდენობად უნდა ჩაითვალოს იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ღონისძიება ერთჯერადი არ არის და რამდენიმე წელზეა გაწერილი. **შესაბამისად, აღნიშნული ღონისძიება სრულად შესრულებულია და შესრულების პროგრესი 100%-ით შეფასდა.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.2.** კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N1:** კორუფციული დანაშაულის ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების უზრუნველსაყოფად, აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე პროკურორებისა და გამომძიებლების გადამზადება; სტაჟიორების მომზადება/ერთობლივი სასწავლო აქტივობების განხორციელება შესაბამისი საგამოძიებო უწყებების მონაწილეობით

**შედეგების ინდიკატორები:**

1. კორუფციის თემაზე მომუშავე პროკურორებისა და გამომძიებლების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი კორუფციული დანაშაულის ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თემაზე (35)

2. კორუფციული დანაშაულის ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თემაზე პროკურორების, გამომძიებლების და სტაჟიორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (35)

3. კორუფციული დანაშაულის ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წელს კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე განხორციელდა რვა სასწავლო აქტივობა, მათ შორის ოთხი სასწავლო ვიზიტი. განხორციელებული სასწავლო კურსების ფარგლებში,

საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან და ტერიტორიული ორგანოებიდან სწავლება გაიარა 31-მა მონაწილემ (პროკურორი/ სისტემის გამომძიებელი). განხორციელებული სასწავლო აქტივობებიდან ოთხი იყო ერთობლივი ფორმატის, რომელშიც ასევე მონაწილეობდნენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, იუსტიციის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლები. ამასთან, 62-მა სტაჟიორმა მოსამზადებელი კურსის ფარგლებში სწავლება გაიარა კორუფციული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

პროკურატურის მიერ მოწოდებული დღის წესრიგებით დასტურდება, რომ სასწავლო აქტივობები იყო სხვადასხვა ხასიათის: კონფერენციები, ტრენინგები, მრგვალი მაგიდები და შეეხებოდა ისეთ თემებს, როგორიცაა ფულის გათეთრება, კორუფციის პრევენცია, ფინანსური მტკიცებულებების მოპოვება, ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის ურთიერთმიმართება, ანტიკორუფციული ნორმები და სტანდარტები კერძო და საჯარო სფეროებში, გამომძიებლის როლი ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, სამოქალაქო საზოგადოების როლი გამჭვირვალე საზოგადოების ხელშეწყობაში და ა.შ. რაც შეეხება კორუფციის მიმართულებით მომუშავე პროკურორების რაოდენობას, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი აღნიშნული მიმართულებით, ერთი წლის განმავლობაში დატრენინგებული 31 პროკურორი და 62 სტაჟიორი მისაღებ რაოდენობად უნდა ჩაითვალოს იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ღონისძიება ერთჯერადი არ არის და რამდენიმე წელზეა გაწერილი. **მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ღონისძიება სრულადაა შესრულებული და მისი პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.2.** კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N2:** სამუშაო ჯგუფის შექმნა საპროკურორო და საგამოძიებო საქმიანობისთვის ხელშემწყობ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით საკანონმდებლო წინადადებების მომზადების მიზნით

**შედეგების ინდიკატორები:**

1. საპროკურორო და საგამოძიებო საქმიანობისთვის ხელშემწყობ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით საკანონმდებლო წინადადებების მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (60)

2. საპროკურორო და საგამოძიებო საქმიანობისთვის ხელშემწყობ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით საკანონმდებლო წინადადებების მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატი (40)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად: 2017 წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სისხლის სამართლის კოდექსში კორუფციულ დანაშაულებზე განსახორციელებლ

ცვლილებებთან (ქრთამის მიცემა, ზეგავლენით ვაჭრობა, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და ა.შ.) დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მთავარი პროკურატურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, დაზვერვის სამსახურში და შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსმა, მისმა მოადგილემ, საქართველოს მთავარი პროკურატურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოში, ანტიკორუფციულ სააგენტოში და გენერალურ ინსპექციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა, ამავე სამმართველოს პროკურორმა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს საგამოძიებო მთავარი სამმართველოს უფროსმა, მისმა მოადგილემ, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის მეხუთე მთავარი სამმართველოს უფროსმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ოპერატიული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილემ, საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის კორუფციულ დანაშულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს უფროსმა პროკურორმა. ჯგუფის სამუშაო ფორმატია შეხვედრები, ასევე კომუნიკაცია ელ.ფოსტის მეშვეობით.

მისასალმებელია სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლობითობა, რაც მის ეფექტიანობას ხელს შეუწყობს. ჯგუფის სამუშაო ფორმატიც, რომელიც როგორც პირისპირ შეხვედრებს, ასევე ელექტრონულ კომუნიკაციას გულისხმობს, მის ქმედითობაზე მიუთითებს. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად არის შესრულებული და მისი შესრულების პროგრესი 100%-ით შეფასდა.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.2.** კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N3:** საქართველოს პროკურატურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურების მონაწილეობით სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც შეიმუშავებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმას

**შედეგების ინდიკატორები:**

1. საქართველოს პროკურატურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურების მონაწილეობით სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (40)

2. საქართველოს პროკურატურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურების მონაწილეობით სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა (30)

3. საქართველოს პროკურატურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურების მონაწილეობით სამუშაო ჯგუფის მიერ განხილული საკითხები (30)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 75%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2017 წლის 22 სექტემბერს საქართველოს პროკურატურაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმის შემუშავების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შემდეგნაირად დაკომპლექტდა: საქართველოს მთავარი პროკურატურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, დაზვერვის სამსახურში და შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი; აღნიშნული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი; მთავარი პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს უფროსი; მთავარი პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს პროკურორი; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს საგამოძიებო მთავარი სამმართველოს უფროსი; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს საგამოძიებო მთავარი სამმართველოს საგამოძიებო ცენტრალური სამმართველოს უფროსის მოადგილე; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი.

შეხვედრაზე განხილულ იქნა გეგმის შემუშავების მიზნით კორუფციულ დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლისა და პრობლემების იდენტიფიცირების საკითხები. რადგან სამუშაო ჯგუფი 2017 წლის მეორე ნახევარში შეიქმნა, მან მხოლოდ ერთი შეხვედრის ჩატარება მოასწრო, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მისი აქტიური მუშაობის გაგრძელება.

ღონისძიებით გათვალისწინებული იყო სამუშაო ჯგუფში შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაწილეობა. თუმცა, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ჯგუფი პროკურატურის, უსაფრთხოების სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. **შესაბამისად ღონისძიება მეტწილად შესრულებულად უნდა შეფასდეს და მისი პროგრესი 75%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.2.** კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N4:** საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები იდენტიფიცირებული რისკ-ზონების (საჯარო სამსახურები) საქმიანობის მაკონტროლებელი სტრუქტურების წარმომადგენლებთან (შიდა მონიტორინგის სამსახური, გენერალური ინსპექცია)

**შედეგების ინდიკატორები:**

1. კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების მიზნით რისკ-ზონების შერჩევის კრიტერიუმები (60)

2. კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრებზე განხილული საკითხები (40)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 80%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 2017 წლის 1 დეკემბერს გაიმართა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა იდენტიფიცირებული რისკ-ზონების საქმიანობის მაკონტროლებელი სტრუქტურების წარმომადგენლებთან. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს მთავარი პროკურატურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, დაზვერვის სამსახურში და შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საქართველოს მთავარი პროკურატურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოში, ანტიკორუფციულ სააგენტოში და გენერალურ ინსპექციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი, ამავე დეპარტამენტის პროკურორები, საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის კორუფციულ დანაშულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს უფროსი, ამავე სამმართველოს უფროსი პროკურორი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს საგამოძიებო მთავარი სამმართველოს საგამოძიებო ცენტრალური სამმართველოს უფროსის მოადგილე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსი მოადგილე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე.

ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს კორუფციული დანაშაულის ფორმირებისა და გამოვლენილ დანაშაულთა შესახებ, ასევე განიხილეს ის სფეროები, სადაც მომეტებულად არსებობს კორუფციული დანაშაულის ჩადენის საფრთხე. შეხვედრაზე განხილული იქნა თუ რა სახის ღონისძიებებს ახორციელებენ მაკონტროლებელი რგოლები კორუფციული დანაშაულის

პრევენციის კუთხით და მონაცემები გამოვლენილი საჯარო მოსამსახურეების დარღვევების შესახებ.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წელს პროკურატურამ ერთი შეხვედრა ჩაატარა, რომელსაც რამდენიმე სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი ესწრებოდა (უსაფრთხოების სამსახური, თბილისის მერია, სოფლის მეურნეობის სამინისტრო). აღნიშნული სტრუქტურების შერჩევა მოხდა კორუფციულ დანაშაულთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების და შესაბამის უწყებებში კორუფციის შემთხვევების რაოდენობიდან გამომდინარე. უწყებების (რისკ-ზონების) შერჩევის მიზნობრიობა, რაც ამ უწყებებში კორუფციული შემთხვევების რაოდენობას უკავშირდება და შეხვედრაზე განხილული საკითხები ერთმანეთს ბოლომდე არ შეესაბამება. კერძოდ, აღნიშნულ შეხვედრაზე საჭირო იყო მეტად გაკეთებულიყო აქცენტი შერჩეულ უწყებებში არსებულ გამოწვევებზე და მათი აღმოფხვრის გზებზე. **შესაბამისად, ეს ღონისძიება მეტწილად შესრულებულად უნდა შეფასდეს და მისი პროგრესი 80%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.2.** კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N5:** ანტიკორუფციულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან სამუშაო შეხვედრის ჩატარება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ანტიკორუფციულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მოწვეული იყვნენ შეხვედრაზე (60)
2. შეხვედრაზე განხილული საკითხები (40)

**სტატუსი**: შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურამ ანტიკორუფციულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა განახორციელა ადგილობრივი საბჭოებისა და პროექტ საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში.

საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში ანტიკორუფციულ საკითხებზე მოსახლეობასთან ჩატარებულია 14 საინფორმაციო შეხვედრა. 2017 წელს გამართულ ადგილობრივი საბჭოს სხდომებზე, რომლებსაც ესწრებოდნენ სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები, პროკურორების მიერ წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია დანაშაულის სტატისტიკის შესახებ, მათ შორის კორუფციულ დანაშაულებთან დაკავშირებით. საბჭოს სხდომის წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია აღნიშნული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის და შესაბამისი სასჯელის შესახებ.

აღნიშნული ღონისძიება შესრულებულად ვერ ჩაითვლება, რადგან ის ითვალისწინებდა სამუშაო შეხვედრის ჩატარებას არასამთავრობო ორგანიზაციებთან. პროკურატურის ვალდებულება ანტიკორუფციულ საკითხებზე საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ჩატარება საზოგადოებრივი პროკურატურისა და ადგილობრივი საბჭოების ფორმატში კი მეექვსე ღონისძიების შესაბამისად იყო გათვალისწინებული. რაც შეეხება ამ ღონისძიებას, მის შესასრულებლად საჭირო იყო კორუფციულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების იდენტიფიცირება და კონკრეტულად ამ ჯგუფთან სამუშაო შეხვედრის ჩატარება. **შესაბამისად, ღონისძიება არ არის შესრულებული და მისი შესრულების პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.2.** კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N6:** ანტიკორუფციულ საკითხებზე საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები საზოგადოებრივი პროკურატურის და ადგილობრივი საბჭოების ფორმატში

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ანტიკორუფციულ საკითხებზე საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების რაოდენობა და სამიზნე აუდიტორია (60)
2. ანტიკორუფციულ საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრებზე განხილული საკითხები (40)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში ანტიკორუფციულ საკითხებზე მოსახლეობასთან ჩატარებულია 14 საინფორმაციო შეხვედრა. 2017 წელს გამართულ ადგილობრივი საბჭოს სხდომებზე, რომლებსაც ესწრებოდნენ სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები, პროკურორების მიერ წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია კორუფციული დანაშაულის სტატისტიკის აგრეთვე იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს კორუფციული დანაშაული, რომელი დანაშაულები განიხილება კორუფციულ დანაშაულებად, დანაშაულის ელემენტები, მომეტებული საფრთხის წყაროები, სასჯელები და სხვა. საბჭოს სხდომის წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია აღნიშნული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის და შესაბამისი სასჯელის შესახებ. **შესაბამისად, ეს ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.3.** ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N1:** ტერორიზმის თემაზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების შესწავლა და ანალიზის მომზადება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ტერორიზმის თემაზე არსებული სისხლის საქმეების შესწავლასა და ანალიზის მომზადებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულები/სამსახურები (60)

2. ტერორიზმის თემაზე არსებულ სისხლის საქმეებზე განხორციელებული ანალიზის შედეგები (40)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პროკურატურის განვითარების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, საქართველოს მთავარი პროკურატურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის, კონტრტერორისტულს ცენტრის, შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისა და დაზვერვის სამსახურის წარმომადგენლებმა შეისწავლეს ტერორიზმთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები. ანალიზის შედეგად გამოკვეთილი ტენდენციების შესაბამისად, მომზადდა რეკომენდაციები. შესაბამისად, **ღონისძიება სრულად არის სრულად შესრულებული და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.3.** ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N2:** კონტრტერორისტულ სამსახურებთან ერთად სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც შეიკრიბება პერიოდულად (არანაკლებ წელიწადში ორჯერ) და მოახდენს ტერორიზმის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შემუშავებას, ინფორმაციის გაცვლას, კონტრტერორისტული ოპერატიული საქმიანობის ანალიზს და უზრუნველყოფს საერთაშორისო ანტიტერორისტული კამპანიის გამოცდილების გაზიარებას

**შედეგების ინდიკატორები:**

1. კონტრტერორისტულ სამსახურებთან ერთად შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (40)

2. კონტრტერორისტულ სამსახურებთან ერთად შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა (30)

3. კონტრტერორისტულ სამსახურებთან ერთად შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული აქტივობები (30)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 75%

საქართველოს პროკურატურამ კონტრტერორისტულ სამსახურებთან ერთად შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიკრიბა 2017 წელს, რა დროსაც მოხდა კონტრტერორისტული ოპერატიული საქმიანობის ანალიზი და განისაზღვრა ტერორიზმთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების განხორციელების თანმიმდევრობა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს მთავარი პროკურატურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, დაზვერვის სამსახურში და

შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საქართველოს მთავარი პროკურატურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტში, კონტრტერორისტულ ცენტრში, შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში და დაზვერვის სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი, ამავე სამმართველოს პროკურორები, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს უფროსი, საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის პირველი მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს უფროსი, საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის მესამე სამმართველოს უფროსის მოადგილე.

პროკურატურის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა სამუშაო ჯგუფის წელიწადში არანაკლებ ორჯერ შეკრებას, ხოლო 2017 წელს სამუშაო ჯგუფი მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა. აქვე აღსანიშნავია, რომ პროკურატურის სამოქმედო გეგმის აღნიშნულ ღონისძიებასა და მის შედეგს შორის არის ცდომილება. კერძოდ, ღონისძიება ითვალისწინებს არანაკლებ წელიწადში ორი შეხვედრის ჩატარებას, ხოლო შედეგში ერთი სამუშაო შეხვედრის გამართვაა გათვალისწინებული. როგორც პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, სამუშაო ჯგუფი წარმომადგენლობითია, ხოლო მის მიერ განხორციელებული საქმიანობა - კონტრტერორისტული ოპერატიული საქმიანობის ანალიზი და ტერორიზმთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა - ესადაგება ღონისძიების არსს. ამასთან, პროკურატურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში არ ჩანს სამუშაო ჯგუფის მიერ საერთაშორისო ანტიტერორისტული კამპანიის გამოცდილების გაზიარებისთვის გატარებული ღონისძიებები. **შესაბამისად, ღონისძიება მეტწილად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 75%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.3.** ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N3:** მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრების გამართვა ტერორისტული დანაშაულის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ტერორისტული დანაშაულის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით მოსახლეობასთან გამართული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა (70)

2. ტერორისტული დანაშაულის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით მოსახლეობის ჩართულობისთვის გატარებული ღონისძიებები (30)

**სტატუსი:** ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 50%

პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის დეკემბრის თვეში შეხვედრა გაიმართა მარნეულის რაიონის სოფელ ყიზილაჯოს სკოლის მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან და პედაგოგებთან, რა დროსაც პროკურორის მიერ მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია ტერორისტულ ორგანიზაციებში გაწევრიანებისათვის პირების გადაბირების მეთოდების, ტერორიზმის მარეგულირებელი სისხლის სამართლის ნორმების, დანაშაულის შემადგენლობის, სანქციების, ნასამართლობის, თანმდევი შედეგების შესახებ და ა.შ.

პროკურორებმა შეხვედრის მონაწილეებს ტერორიზმის, ტერორისტული აქტის, ტერორისტული ორგანიზაციებისა და დაჯგუფებების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია, ასევე მიმოიხილეს ტერორიზმთან ბრძოლის საქართველოს სამართალდამცავი უწყებები, ისაუბრეს საქართველოში არსებულ ტერორისტულ საფრთხეებზე, განუმარტეს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი ქმედებები. ასევე მიაწოდეს ინფორმაცია სამართალდამცავი ორგანოების, მათ შორის პროკურატურის ძირითადი ფუნქციების შესახებ, მიმოიხილეს კონკრეტული დანაშაულები: ცივი იარაღის ტარება, ოჯახში ძალადობა და სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება 16 წლის ასაკს მიუღწეველთან.

შეხვედრა მარნეულის რაიონული პროკურატურის ორგანიზებით და მარნეულის რესურსცენტრის მხარდაჭერით განხორციელდა, რომლის მიზანია დანაშაულის პრევენცია, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია და პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება. შეხვედრა ინტერაქტიულ ფორმატში ჩატარდა, მონაწილეებმა მათთვის საინტერესო შეკითხვებზე პასუხები პროკურორებისგან მიიღეს, თემების განხილვის შემდეგ დისკუსია გაიმართა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შეხვედრა ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს, ღონისძიება ითვალისწინებდა საინფორმაციო შეხვედრების გამართვას, ხოლო მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით მხოლოდ ერთ სოფელში გაიმართა შეხვედრა. ღონისძიების სრულად შესრულებულად შეფასებისთვის საჭირო იყო, რამდენიმე შეხვედრის ჩატარება, საუკეთესო შემთხვევაში, რისკ-ზონების მიხედვით. ასეთი შეხვედრების ჩატარების შემთხვევაში, სასურველია, მითითებული იყოს რაიონის/სოფლისა და სამიზნე ჯგუფის შერჩევის კრიტერიუმები. **შესაბამისად ღონისძიება ნაწილობრივ შესრულებულია, ხოლო მისი შესრულების პროგრესი 50%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.3.** ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N4:** ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მომუშავე პროკურორების გადამზადება/ერთობლივი სასწავლო აქტივობების განხორციელება შესაბამისი საგამოძიებო უწყებების მონაწილეობით

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მომუშავე პროკურორების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე (40)

2. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე პროკურორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე ჩატარდა ექვსი სასწავლო აქტივობა, რომელშიც საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან და ტერიტორიული ორგანოებიდან 28 მონაწილე (25 პროკურორი და სამი სისტემის გამომძიებელი) იყო ჩართული.

ჩატარებული ტრენინგებიდან ოთხი იყო ერთობლივი ფორმატის. ერთობლივ ტრენინგებში პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. განხორციელებული სასწავლო აქტივობებიდან ორი იყო სასწავლო ვიზიტი.

ჩატარებული სასწავლო აქტივობების თემები იყო ტერორიზმის დაფინანსების საქმეების გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა, ტერორიზმის დაფინანსების საფრთხეები, მეთოდები, ტერორისტული ორგანიზაციები, დაფინანსების წყაროები, მათ შორის ფინანსების მოძიება სოციალური ქსელების მეშვეობით, ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება (მეთოდები, ინსტრუმენტები, საუკეთესო პრაქტიკები), ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის მეთოდები, მისი პრევენცია, გამოვლენა, გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა, საგამოძიებო ტექნიკები, უწყებათაშორისი თანამშრომლობა, ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების საქმეების გამოძიებისას არსებული გამოწვევები, საკანონმდებლო ხარვეზები და იმპლემენტაციის პრობლემები, გადახდის ახალი მეთოდები, საერთაშორისო თანამშრომლობა. ტრენინგზე უზრუნველყოფილი იყო კითხვა-პასუხის რეჟიმი და სწავლების ერთ-ერთ მეთოდს კაზუსების განხილვა წარმოადგენდა.

დამაკმაყოფილებელია, როგორც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე გადამზადებული პროკურორების რაოდენობა, ასევე ტერორიზმის თემაზე ჩატარებული სასწავლო აქტივობებში მონაწილეთა რაოდენობა, სასწავლო აქტივობების საკითხები, ერთობლივ სასწავლო აქტივობებში მონაწილე საგამოძიებო უწყებების წარმომადგენლობითობა. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.3.** ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N5:** ანგარიშის მომზადება წლის განმავლობაში ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ანგარიშის გაცნობა ხელმძღვანელობისთვის (50)
2. ანგარიშის ხელმისაწვდომობა (50)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურამ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ანგარიში მოამზადა და მთავარ პროკურორს წარედგინა. ანგარიშის შინაარსის საჯარო ნაწილი საქართველოს მთავარი პროკურორის მიერ საპროკურორო საბჭოსთვის წარდგენილ 2017 წლის ანგარიშში აისახა. ანგარიში პროკურატურის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.[105] **შესაბამისად, ეს ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა ჩაითვალოს და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.4.** უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N1:** (1) სამუშაო ჯგუფის შექმნა; (2) მის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ კომპეტენტურ ორგანოებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის მექანიზმის გაანალიზება; (3) მის მიერ ამ მიმართულებით არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა; (4) სამუშაო ჯგუფის მიერ რეკომენდაციების მომზადება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ კომპეტენტურ ორგანოებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის მექანიზმის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე: (5) ჩატარებული ანალიზისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის, აგრეთვე მომზადებული რეკომენდაციების საკონსულტაციო საბჭოსათვის წარდგენა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (40)

2. სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის მიმართულებით არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა (30)

3. ჩატარებული ანალიზისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე მომზადებული რეკომენდაციები წარდგენილია საკონსულტაციო საბჭოსათვის (30)

[105] საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში, 2017, http://pog.gov.ge/res/docs/angarisi19_07_2017.pdf.

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

საქართველოს პროკურატურაში 2017 წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება მთავარი პროკურატურის რამდენიმე სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლებისგან (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, დაზვერვის სამსახურში და შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტები; ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტი; სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი; საქართველოს მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია; ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამსახურები; საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველო).

ღონისძიების შესრულების მიზნით გაანალიზდა საქართველოში არსებული პრაქტიკა, რამაც ცხადყო, რომ ზოგ შემთხვევაში ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოებისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ შესაძლო ფულის გათეთრების ან/და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევებად ხდებოდა ისეთი ფაქტების მიჩნევა, რომელიც საერთოდ არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. ამგვარი ტენდენცია იწვევს ადამიანური და ფინანსური რესურსების სრულიად არაგონივრულ ხარჯვას და სხვა პრობლემებს. სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა ავსტრალიის, საფრანგეთის და ნორვეგიის პრაქტიკა. აღნიშნული ქვეყნების შერჩევის მიზეზია მსგავსი სამართლებრივი ინსტიტუტები და სისტემური მოწყობა, ამავდროულად მათი მიღწევები და მაღალი შეფასება საერთაშორისო დონეზე.

სამუშაო ჯგუფმა მოამზადა რეკომენდაცია საქართველოში ზედამხედველობის განმახორციელებელი პირების, საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, კონტრტერორისტული ცენტრის და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელთა ჩართულობით მუდმივმოქმედი სამუშაო-ანალიტიკური პლატფორმის შექმნის თაობაზე, რომელიც მოახდენს დაგროვილი პრაქტიკის განზოგადებას და საქართველოში გავრცელებული ML/TF ტიპოლოგიების ანალიზს; ხსენებულ დანაშაულთა მაღალი რისკების სფეროების იდენტიფიცირებას და ა.შ.

საკონსულტაციო საბჭოს შესწავლის შედეგები და რეკომენდაციები წარედგინა 2017 წლის 28-30 დეკემბრის პერიოდში. საბჭოს მიერ საწინააღმდეგო მოსაზრებები არ გამოთქმულა. **ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შეფასების პროგრესი 100%-ით შეფასდა.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.4.** უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N2:** (1) სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამუშაო ჯგუფის მიერ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიებისა და ჩამორთმევის ეფექტიანობის გაანალიზება; (2) მის მიერ ამ მიმართულებით არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა; (3) რეკომენდაციების მოამზადება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიებისა და ჩამორთმევის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე; (4) ჩატარებული ანალიზისა და საუკეთესო საერთაშორისიო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის, აგრეთვე მომზადებული რეკომენდაციების საკონსულტაციო საბჭოსათვის წარდგენა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიებისა და ჩამორთმევის ეფექტიანობის ანალიზის მიმართულებით შესწავლილია საუკეთესო პრაქტიკა (30)

2. მომზადებულია რეკომენდაციები დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიებისა და ჩამორთმევის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე (35)

3. ჩატარებული ანალიზისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე მომზადებული რეკომენდაციების პროექტი წარდგენილია საკონსულტაციო საბჭოსთვის (35)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.4.** უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N3:** სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამუშაო ჯგუფის მიერ იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რომელთაც ახლავს მნიშვნელოვანი შემოსავლის მიღება, პარალელური ფინანსური გამოძიების წარმოების შიდა და საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზება; (2) სამუშაო ჯგუფის მიერ რეკომენდაციების მომზადება პარალელური ფინანსური გამოძიების ჩატარების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე; (3) ჩატარებული ანალიზის შესახებ ინფორმაციისა და მომზადებული რეკომენდაციების საკონსულტაციო საბჭოსათვის წარდგენა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რომელთაც ახლავს მნიშვნელოვანი შემოსავლის მიღება, გაანალიზებული პარალელური ფინანსური გამოძიების წარმოების შიდა და საერთაშორისო პრაქტიკა (30)
2. პარალელური ფინანსური გამოძიების ჩატარების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე მომზადებული რეკომენდაციები (35)

3. ჩატარებული ანალიზის შესახებ ინფორმაცია და მომზადებული რეკომენდაციები წარდგენილია საკონსულტაციო საბჭოსთვის (35)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

მეორე და მესამე ღონისძიებების შესრულების მიზნით პროკურატურის სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილი ადგილობრივი პრაქტიკის ანალიზი მიუთითებს, რომ არსებობს გამოწვევები პარალელური ფინანსური გამოძიებისა და ქონების მოძიება-კონფისკაციის კუთხით. აღნიშნულს ცხადყოფს ის გარემოებაც, რომ მცირეა იმ სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა, რომელიც საქართველოს გენერალური პროკურორის 2015 წლის 4 აგვისტოს სახელმძღვანელო მითითების თანახმად ქვემდებარეობით პროკურატურაში გადაიგზავნა პრედიკატი დანაშაულების გამოძიებაზე პასუხისმგებელი უწყებრივი ერთეულებიდან. სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა საფრანგეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და გერმანიის პრაქტიკა. აღნიშნული ქვეყნების შერჩევის მიზეზია მსგავსი სამართლებრივი ინსტიტუტები და სისტემური მოწყობა, ამავდროულად მათი მიღწევები და მაღალი შეფასება საერთაშორისო დონეზე. სამუშაო ჯგუფმა მოამზადა რეკომენდაციები მატერიალური სარგებლის მიღებით მოტივირებულ დანაშაულთა (profit-motivated crimes) ეტაპობრივი მონიტორინგის განხორციელების, საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის შემუშავების თაობაზე მსჯელობის დაწყებისა და სხვ. საკონსულტაციო საბჭოს შესწავლის შედეგები და რეკომენდაციები წარედგინა 2017 წლის 28-30 დეკემბრის პერიოდში. შესაბამისად, ორივე **ღონისძიება სრულად შესრულებულია და შესრულების პროგრესი 100%-ით შეფასდა.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.4.** უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N4:** (1) სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამუშაო ჯგუფის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების შიდა და საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზება; (2) რეკომენდაციების მომზადება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების მეთოდოლოგიის სრულყოფის თაობაზე; (3) ჩატარებული ანალიზის შესახებ ინფორმაციისა და მომზადებული რეკომენდაციების საკონსულტაციო საბჭოსათვის წარდგენა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიებისა და ჩამორთმევის ეფექტიანობის ანალიზი (40)

2. მომზადებული რეკომენდაციები დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიებისა და ჩამორთმევის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე (30)

3. ჩატარებული ანალიზის შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე მომზადებული რეკომენდაციების პროექტი წარდგენილია საკონსულტაციო საბჭოსათვის (30)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 70%

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშის და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შესაბამისი უწყებების ჩართულობით შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია. ვინაიდან რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშის შემუშავების პროცედურა ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს არამარტო საქართველოში, არამედ საერთაშორისო დონეზეც, ამ პროცესში სხვა ქვეყნების პრაქტიკაზე დაყრდნობა არ მომხდარა. არამედ ევროპის საბჭოს მხარდაჭერით რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშის შემუშავების პროცესში ჩაერთო ექსპერტი ჯუზეპე ლომბარდო.

უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში საქართველოს პროკურატურის მიერ მომზადდა ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების დეტალური ანალიზი და გაიწერა პოტენციური საფრთხეები. რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშის მომზადება დასკვნით ეტაპზეა და მისი დასრულების შემდგომ, უწყებათაშორისი კომისიის მიერ შემუშავდება ერთობლივი სტრატეგია. ამდენად, ამ ეტაპზე მოხდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების შიდა პრაქტიკის ანალიზი, რომელიც წარედგინა საკონსულტაციო საბჭოს. რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშის და სამოქმედო გეგმის შემუშავების დასრულების შემდგომ გაიწერება შესაბამისი რეკომენდაციები.

საქართველოს პროკურატურამ მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია ღონისძიების შესასრულებლად, დაკმაყოფილებულია ღონისძიების თითქმის ყველა კომპონენტი, რეკომენდაციების მომზადების ნაწილის გარდა. **შესაბამისად, მისი შესრულების სტატუსია მეტწილად შესრულებული პროგრესი კი - 70%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.4.** უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N5:** უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საკითხებზე პროკურორებისთვის, სტაჟიორებისა და გამომძიებლებისთვის ტრენინგის ჩატარება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თემაზე მომუშავე პროკურორების და გამომძიებლების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თემაზე (40)

2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თემაზე პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

ღონისძიების შესრულების მიზნით პროკურატურაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საკითხებზე პროკურორებისთვის და სისტემის გამომძიებლებისათვის განხორციელდა ხუთი ერთობლივი ტრენინგი, რომელშიც საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულიდან და ტერიტორიული ორგანოებიდან 24 მონაწილე (პროკურორი/სისტემის გამომძიებელი) იღებდა მონაწილეობას. სასწავლო კურსებში ასევე ჩართული იყვნენ: ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, ფინანსური მონიტორინგის სამსახურისა და სხვა შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები. ამასთან, აღნიშნულ თემაზე სწავლება გაიარა სტაჟიორთა ორმა ჯგუფმა, ჯამში 62 მონაწილე. ტრენინგები ფარავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიება: (საგამოძიებო ტექნიკა, გადახდის ახალი მეთოდები და სხვა), ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების საქმეებზე დანაშაულებრივის გზით მოპოვებული ქონების კონფისკაცია; ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობა; ფულის გათეთრება კაზინოებში და სხვა. თითოეულ თემასთან დაკავშირებით მონაწილეები განიხილავდნენ პრაქტიკულ მაგალითებს.

ერთი წლის განმავლობაში დატრენინგებული პროკურორების და გამომძიებლების რაოდენობა საკმარისად უნდა ჩაითვალოს. ტრენინგის ეფექტიანობაზე მიუთითებს დაფარული საკითხების რელევანტურობა და მონაწილეთა ოპტიმალური რაოდენობა. ამიტომ, **ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 100%-ით შეფასდება.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.4.** უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N6:** დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის საკითხებზე პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორების მომზადება/გადამზადება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის საკითხებზე მომუშავე პროკურორებისა და გამომძიებლების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის თემაზე (40)

2. დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის თემაზე პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურაში დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის საკითხებზე განხორციელდა ორი ერთობლივი სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულიდან და ტერიტორიული ორგანოებიდან სწავლება გაიარა 35-მა მონაწილემ (პროკურორი/სისტემის გამომძიებელი). სასწავლო კურსში პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობას იღებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლები. ამასთან, აღნიშნულ თემაზე სწავლება გაიარა სტაჟიორთა ორმა ჯგუფმა, ჯამში 62 მონაწილე. ტრენინგები ფარავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების საქმეების გამოძიებისას არსებული გამოწვევების იდენტიფიკაცია (საკანონმდებლო ხარვეზები; იმპლემენტაციის პრობლემები); ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, გადაცემა და ინფორმაციის მტკიცებულებად გარდაქმნა; ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების საქმეებზე დანაშაულებრივის გზით მოპოვებული ქონების კონფისკაცია; ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობა და სხვა. თითოეულ თემასთან დაკავშირებით მონაწილეებმა განიხილეს პრაქტიკული მაგალითები.

ერთი წლის განმავლობაში დატრენინგებული პროკურორების და გამომძიებლების რაოდენობა საკმარისად უნდა ჩაითვალოს. ტრენინგის ეფექტიანობაზე მიუთითებს დაფარული საკითხების რელევანტურობა და მონაწილეთა ოპტიმალური რაოდენობა. ამიტომ, **ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 100%-ით შეფასდა.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.5.** კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესება

**ღონისძიება N1:** კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფის შექმნა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (60)
2. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატი (40)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურაში 2017 წელს შეიქმნა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის საქართველოს მთავარი პროკურატურის ხუთი თანამშრომელი, კერძოდ: შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი, მოადგილე და დეპარტამენტის ორი პროკურორი, აგრეთვე სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ხუთი წარმომადგენელი, კერძოდ: დეპარტამენტის დირექტორი, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსი, კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსი და კიბერდანაშაულის სამმართველოს ორი გამომძიებელი.

სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატია შეხვედრები და ელექტრონული და სატელეფონო კომუნიკაცია. შეხვედრაში მონაწილე პირების მიერ განხილული იქნა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელების საკითხი.

ღონისძიება ინდიკატორების შესაბამისად სრულადაა შესრულებული. თუმცა, თავად ღონისძიებასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდებულია მომავალში ასეთი მცირე მასშტაბის ღონისძიებები ამოღებული იქნას, ან განისაზღვროს ერთი წლის განმავლობაში ჯგუფის შექმნასთან ერთად კონკრეტული აქტივობის განხორციელება. ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ სამუშაო ჯგუფის შექმნა სამოქმედო გეგმის მიზნებისთვის შედეგის თვალსაზრისით საკმაოდ მცირემასშტაბიანი აქტივობაა. **ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 100%-ით შეფასდა.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.5.** კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესება

**ღონისძიება N2:** ინტერნეტ სერვის პროვაიდერებთან ურთიერთობის სტრატეგიის მომზადება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ინტერნეტ სერვის პროვაიდერებთან ურთიერთობის სტრატეგიის პროექტის მომზადებაში ჩართული სტრუქტურული ერთეული / თანამდებობის პირები

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 90%

პროკურატურისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად ინტერნეტ სერვის პროვაიდერებთან ურთიერთობის სტრატეგიის სამუშაო ვერსია მომზადდა და მისი მიზანია ქართულ და უცხოურ ინტერნეტ პროვაიდერებთან (მათ შორის, ვებ სერვის პროვაიდერებთან) ურთიერთობის გამარტივება. სტრატეგიის პროექტის მომზადებაში ჩართული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო

ხელმძღვანელობის დეპარტამენტი. ინტერნეტ სერვის პროვაიდერებთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავებაში სასურველია, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტიც ყოფილიყო ჩართული. შესაბამისად, **აღნიშნული ღონისძიება მეტწილად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 90%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.5.** კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესება

**ღონისძიება N3:** ინტერნეტ სერვისის პროვაიდერებთან განახლებული მემორანდუმის პროექტის შემუშავება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ინტერნეტ სერვისის პროვაიდერებთან განახლებული მემორანდუმის პროექტის შემუშავებაში ჩართული პირები (50)
2. მემორანდუმით დარეგულირებული საკითხები (50)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

საქართველოს მთავარი პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს (სამუშაო ჯგუფის წევრების) ჩართულობით მომზადდა ინტერნეტ სერვისის პროვაიდერებთან განახლებული მემორანდუმის პროექტი. შეიცვალა მემორანდუმში მონაწილე როგორც სახელმწიფო დაწესებულებების, აგრეთვე პროვაიდერების წრე. მემორანდუმით განისაზღვრა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში სამართალდამცავ ორგანოებსა და ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებს შორის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებათა განხორციელებასთან დაკავშირებული თანამშრომლობის პრინციპები. **ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.5.** კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესება

**ღონისძიება N4:** კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდისა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესების საკითხებზე პროკურორებისთვის, გამომძიებლებისა და სტაჟიორებისათვის ტრენინგების ჩატარება/ერთობლივი სასწავლო აქტივობების განხორციელება შესაბამისი საგამოძიებო უწყებების მონაწილეობით

**შედეგების ინდიკატორები:**

1. კიბერდანაშაულის თემაზე მომუშავე პროკურორების, გამომძიებლების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდისა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესების თემაზე (40)

2. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდისა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესების თემაზე პროკურორების,

გამომძიებლებისა და სტაჟიორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდისა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესების თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურაში კიბერდანაშაულის გამოძიებისა და ელექტრონული მტკიცებულების თემაზე ჩატარდა ხუთი სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულიდან და ტერიტორიული ორგანოებიდან სწავლება გაიარა 38-მა მონაწილემ (პროკურორი/სისტემის გამომძიებელი). განხორციელებული ტრენინგებიდან ერთი იყო სასწავლო ვიზიტი, ხოლო ოთხი - ერთობლივი ფორმატის ტრენინგი, რომელშიც შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ამასთან, აღნიშნულ თემაზე სწავლება გაიარა სტაჟიორთა ორმა ჯგუფმა, ჯამში 62 მონაწილე. ტრენინგები ფარავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა კრიპტო ვალუტის ამოცნობა/განსაზღვრა; ზოგადი ექსპერტული მიდგომა; ქსელში ურთიერთობის ძირითადი საკითხები; სამართლებრივი მიმოხილვა; კიბერ-დანაშაულთან დაკავშირებულ ინციდენტებზე რეაგირება; კიბერ საფრთხეების გაცნობა, აქცენტი კომპლექსურ კიბერ დანაშაულებებზე და კიბერ სივრცის გამოყენებით ჩადენილ დანაშაულებებზე; კომპიუტერული სისტემების, მობილური ტელეფონების და ინტერნეტის ტექნიკური მიმოხილვა; ქსელის გამოძიების მიმოხილვა: ციფრული მტკიცებულებების იდენტიფიცირება და მოპოვება სერვის პროვაიდერებისგან, ფიჭური ქსელებისა და შეტყობინებების გასაგზავნი აპლიკაციებიდან; ციფრული მედიის ჩხრეკა-ამოღების მიმოხილვა, მათ შორის, ციფრული მედიის იდენტიფიცირება, მტკიცებულებების ამოღების პროცედურები  და კომპიუტერული კრიმინალისტიკის მიმოხილვა; ელექტრონული მტკიცებულებების სასამართლოში წარდგენასა და გამოყენებასთან დაკავშირებული გამოწვევები და სტრატეგიები. თითოეულ თემასთან დაკავშირებით მონაწილეებმა განიხილეს პრაქტიკული მაგალითები.

ერთი წლის განმავლობაში დატრენინგებული პროკურორების და გამომძიებლების რაოდენობა საკმარისად უნდა ჩაითვალოს. ტრენინგის ეფექტიანობაზე მიუთითებს დაფარული საკითხების რელევანტურობა და მონაწილეთა ოპტიმალური რაოდენობა. ამიტომ, **ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.5.** კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესება

**ღონისძიება N5:** კიბერდანაშაულისა და ელექტრონული მტკიცებულებების შესახებ მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი და შესაძლო საკანონმდებლო რეკომენდაციების შემუშავება ინიციატივაზე პასუხისმგებელი უწყებებისთვის

**შედეგების ინდიკატორები:**

1. კიბერდანაშაულისა და ელექტრონული მტკიცებულებების შესახებ მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ანალიზისა და შესაძლო საკანონმდებლო რეკომენდაციების შემუშავებაში ჩართული პირები (50)

2. კიბერდანაშაულისა და ელექტრონული მტკიცებულებების შესახებ მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ანალიზისა და შესაძლო საკანონმდებლო რეკომენდაციები წარდგენილია ინიციატივაზე პასუხისმგებელი უწყებებისთვის (50)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

საქართველოს პროკურატურაში კიბერდანაშაულისა და ელექტრონული მტკიცებულებების შესახებ მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ანალიზისა და შესაძლო საკანონმდებლო რეკომენდაციების შემუშავებაში ჩართული იყო მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმომადგენელი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან თანამშრომლობით. საკანონმდებლო რეკომენდაციები მომზადდა და წარედგინა იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო ცვლილების პროექტის მოსამზადებლად. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.6.** ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N1**: ნარკოტიკული დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ნარკოტიკული დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზისთვის დამუშავებული საქმეების რაოდენობა (45)
2. ანალიზის შედეგად დაგეგმილი ღონისძიებები (55)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

2017 წლის დასაწყისში საქართველოს პროკურატურამ გააანალიზა ყველა ის სისხლის სამართლის საქმე, რომლებზეც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა 2014-2016 წლებში. ვინაიდან ნარკოტიკული დანაშაული წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დანაშაულს, 2016 წელს, საქართველოს მთავარი პროკურატურის ინიციატივით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან თანამშრომლობით, განხორციელდა

ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი მიზეზების კვლევა. კვლევის ფარგლებში საქართველოს 10 რეგიონში გამოიკითხა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით მსჯავრდებული 1163 პრობაციონერი. აღნიშნული კვლევის პრეზენტაცია განხორციელდა 2017 წლის მარტში. ანალიზის შედეგად დამუშავდა ისეთი საკითხები, როგორიცაა გავრცელებული ნარკოტიკული საშუალებების სახეები, ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების ოდენობები, შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების სახეები, ნარკოტიკული დანაშაულის საქმეებზე გამოტანილი განაჩენები (საპროცესო შეთანხმების გზით დადებული და არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილი), გამოყენებული სასჯელები. ანალიზის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები ნარკოტიკულ დანაშაულზე გამოსაყენებელი აღკვეთის ღონისძიებების თაობაზე. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.6.** ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N2**: ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორების მომზადება/გადამზადება/ერთობლივი ტრენინგების განხორციელება შესაბამისი უწყებების მონაწილეობით

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ნარკოტიკული დანაშაულის თემაზე მომუშავე პროკურორებისა და გამომძიებლების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე

2. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან

3. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულისა და ტერიტორიული ორგანოების პროკურორებსა და გამომძიებლებს ჩაუტარდათ ორი სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 46 მონაწილე. სასწავლო აქტივობებში ჩართული იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებიც. ამასთან, აღნიშნულ თემაზე სწავლება გაიარა სტაჟიორთა ორმა ჯგუფმა, ჯამში 62 მონაწილემ. ტრენინგები ფარავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ლიბერალური პოლიტიკის ქვეყნების (მაგ: ჰოლანდია) ნარკოპოლიტიკის მიმოხილვა; ნარკოპოლიტიკის შედეგები: ნარკომომხმარებელთა მიერ ჩადენილი დანაშაულის განვითარება, საზოგადოებრივ

წესრიგთან დაკავშირებული პრობლემები, შედარება საერთაშორისო ნარკოპოლიტიკასთან და სხვა. მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოპტიმალური იყო ჯგუფებში მონაწილეთა რაოდენობა, ხოლო ტრენინგების საკიტხები - რელევანტური. რაც შეეხება ნარკოტიკული დანაშაულის თემაზე მომუშავე პროკურორებისა და გამომძიებლების რაოდენობას, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე, ერთი წლის ფარგლებში გადამზადებულთა რაოდენობა მისაღებია, რამდენადაც აღნიშნული ღონისძიება სხვა წლებშიც არის გაწერილი. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 100%-ით არის შეფასებული.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.6.** ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N3**: ნარკოტიკულ დანაშაულზე განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ამსახველი ანგარიშის მომზადება და საჯაროდ წარდგენა, საჭიროების შემთხვევაში პოლიტიკის გადახედვა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ნარკოტიკულ დანაშაულზე განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ამსახველი ანგარიშის მომზადება და საჯარო განხილვა (70)

2. ნარკოტიკულ დანაშაულზე განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ამსახველი ანგარიშის შესაბამისად დაგეგმილი ღონისძიებები (30)

**სტატუსი:** მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 70%

საქართველოს პროკურატურის მიერ მომზადდა ნარკოტიკულ დანაშაულზე განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ანგარიში, რომლის პრეზენტაცია გაიმართა 2017 წლის 20 მარტს, საქართველოს მთავარ პროკურატურაში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით. პრეზენტაციის ფარგლებში, ზემოაღნიშნული კვლევა და ანგარიში წარედგინათ საჯარო სტრუქტურებს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს. საჯარო პრეზენტაცია ემსახურებოდა ორ მიზანს: საზოგადოების ინფორმირებას საქართველოს პროკურატურის მიერ ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შესახებ და იმ უწყებების დახმარებას, რომლებიც მუშაობენ ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებულ საკითხებზე და ამ მიმართულებით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაზე.

საქართველოს პროკურატურამ სრულად შეასრულა ღონისძიების პირველი კომპონენტი, კერძოდ მოამზადა ნარკოტიკულ დანაშაულზე განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ანგარიში და ჩაატარა მისი საჯარო პრეზენტაცია. თუმცა, მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე არ ირკვევა, კერძოდ რა შედეგები მოჰყვა ანგარიშის მომზადებასა

და პრეზენტაციას. **შესაბამისად, ღონისძიება მეტწილადაა შესრულებული და მისი შესრულების პროგრესი 70%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.6.** ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N4:** სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც მოამზადებს წინადადებებს ნარკოტიკულ დანაშაულზე სისხლის სამართლის კანონმდებლობის დახვეწის მიზნით

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ნარკოტიკულ დანაშაულებზე სისხლის სამართლის კანონმდებლობის დახვეწის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (60)

2. ნარკოტიკულ დანაშაულებზე სისხლის სამართლის კანონმდებლობის დახვეწის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატი (40)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურაში 2017 წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ნარკოტიკულ დანაშაულზე სისხლის სამართლის კანონმდებლობის დახვეწის მიზნით. ჯგუფი შედგება მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის თანამშრომლებისგან. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ფორმატი იყო შეხვედრები და ელ. კომუნიკაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ერთწლიანი ღონისძიებისთვის მხოლოდ ჯგუფის შექმნის ვალდებულების განსაზღვრა ძალიან მცირემასშტაბიანი ღონისძიებაა სამოქმედო გეგმის მიზნებისთვის. **ღონისძიება სრულადაა შესრულებული და მისი პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.6.** ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N5:** საინფორმაციო შეხვედრების გამართვა (მინიმუმ 10 შეხვედრა)

**შედეგების ინდიკატორები:**

1. საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა (35)
2. საინფორმაციო შეხვედრებზე განხილული საკითხები (30)
3. შეხვედრებში მონაწილე აუდიტორია (35)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად პროექტ საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და მოსახლეობასთან გაიმართა 133 საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა. პროკურორები შეხვედრის მონაწილეებს ნარკოტიკული საშუალების სახეობების, მათი მოხმარებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების, ნარკოტიკულ დანაშაულსა და მათთვის დაწესებული სასჯელების, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გამომწვევი მიზეზების შესახებ აწვდიდნენ ინფორმაციას.

შეხვედრების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ მოსწავლეები, სტუდენტები, ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდები. სამიზნე აუდიტორიაში ახალგაზრდების მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნარკოტიკის მოხმარების ადრეული პრევენციისთვის, შეხვედრებზე განხილული საკითხები კი მათთვის საჭირო ინფორმაციას სრულად ფარავდა. შესაბამისად, **ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.6.** ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N6:** სტუდენტებისთვის პრევენციული ღონისძიებების კონკურსის გამოცხადება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. კონკურსის სამიზნე აუდიტორია (ქალაქი, რეგიონები) (50)
2. კონკურსის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ფორმა (50)

**სტატუსი:** ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 30%

2017 წლის მარტში საქართველოს პროკურატურამ ჩაატარა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების პრევენციის კვირეული, რომლის ფარგლებშიც ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი მიზეზების კვლევა წარედგინა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს (თბილისსა და რეგიონებში) და მათ მიეწოდათ ინფორმაცია კონკურსის შესახებ, რომლის ფარგლებში, სტუდენტებს ორი კვირის ვადაში უნდა წარმოედგინათ იდეები ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. თუმცა, სტუდენტებს ამ კუთხით დაინტერესება არ გამოუხატავთ და არ წარმოუდგენიათ იდეები.

ზემოაღნიშნულ ინფორმაციაში გამოკვეთილი რისკების შემცირების მიზნით სასურველი იყო პროკურატურას ეთანამშრომლა უნივერსიტეტებთან (ადმინისტრაციასთან), რომლებიც შიდა ქსელებით უზრუნველყოფდნენ სტუდენტების ინფორმირებას და ეს არ იქნებოდა შეთავაზება მხოლოდ კონკრეტულ ღონისძიებაზე დამსწრე სტუდენტებისთვის. ამ მიზნით შესაძლებელი იყო ასევე პროკურატურის ვებგვერდისა და სოციალური ქსელების გამოყენება და ამ გზით განცხადების განთავსება კონკურსის შესახებ. **შესაბამისად, ღონისძიება ნაწილობრივ შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 30%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.7.** იურიდიულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმების გაუმჯობესება

**ღონისძიება N1:** იურიდიულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმის გასაუმჯობესებლად სახელმძღვანელოს შექმნა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. იურიდიულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმის გასაუმჯობესებლად სახელმძღვანელო შექმნილია და გამოცემისთვის მზადების პროცესშია

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

ღონისძიების შესასრულებლად პროკურატურაში იურიდიულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმის გასაუმჯობესებლად სახელმძღვანელო შეიქმნა და გადაიგზავნა დასაბეჭდად. სახელმძღვანელოს მომზადებაში მონაწილეობდნენ პროკურატურის წარმომადგენლები და ევროსაბჭოს ექსპერტები. კერძოდ, პროკურატურის თანამშრომლების მიერ სახელმძღვანელოს ყოველი ნაწილის გადახედვა ხდებოდა ექსპერტის მიერ. რაც შეეხება საკითხებს, მიმოხილულია პროცესუალური რეგულირების მექანიზმები, პრობლემური საკითხები და მათი მოგვარების ხედვა. **ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 100%-ით შეფასდება.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.7.** იურიდიულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმების გაუმჯობესება

**ღონისძიება N2:** იურიდიული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საკითხებზე, ამ მიმართულებით მომუშავე პროკურორებისა და გამომძიებლების გადამზადება/სტაჟიორების მომზადება/ერთობლივი სასწავლო აქტივობების განხორციელება შესაბამისი საგამოძიებო უწყებების მონაწილეობით

**შედეგების ინდიკატორები:**

1. იურიდიული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საკითხებზე მომუშავე და ამავე მიმართულებთ გადამზადებული პროკურორების, გამომძიებლების და სტაჟიორების რაოდენობა (50)

2. განხორციელებული სასწავლო აქტივობების რაოდენობა და საკითხები (50)

**სტატუსი:** ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 30%

პროკურატურაში 2017 წელს იურიდიული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის თემაზე მოსამზადებელი კურსის ფარგლებში სწავლება გაიარა სტაჟიორთა ორმა ჯგუფმა, ჯამში 62-მა მონაწილემ. რამდენადაც ღონისძიებით გათვალისწინებული იყო პროკურორებისა და

გამომძიებლების გადამზადებაც, ღონისძიება შესრულებულად ვერ ჩაითვლება. **ღონისძიება ნაწილობრივაა შესრულებული და მისი პროგრესი 30%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.8.** სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N1:** ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე მყისიერი რეაგირებისა და კოორდინაციის გაზრდის მიზნით სამუშაო შეხვედრის ჩატარება სხვა სამართალდამცავი ორგანოებისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით (მინიმუმ ერთი შეხვედრა)

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე მყისიერი რეაგირებისა და კოორდინაციის გაზრდის მიზნით შექმნილ სამუშაო შეხვედრაში მონაწილე უწყებები (40)

2. ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე მყისიერი რეაგირებისა და კოორდინაციის გაზრდის მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე განხილული საკითხები (30)

3. ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე მყისიერი რეაგირებისა და კოორდინაციის გაზრდის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის შედეგები (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

საქართველოს პროკურატურაში 2017 წლის 28 სექტემბერს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე მყისიერი რეაგირებისა და კოორდინაციის გაზრდის მიზნით სამართალდამცავი ორგანოებისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც პირველ საკითხად განხილულ იქნა საქართველოს მთავრობის, 2015 წლის 25 მაისის N1044 განკარგულების საფუძველზე დაზარალებული მოქალაქეებისათვის სახელმწიფო ბალანსზე არსებული ქონების დაბრუნების პროცესში წამოჭრილი პრობლემური საკითხები, მათ შორის, თვითმმართველ ორგანოზე რიცხული ქონების დაბრუნების და მასთან დაკავშირებული დროში გაწელილი პროცესის თავიდან არიდების საკითხი; ქონების დასაბრუნებლად პროკურატურიდან სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში გადასაგზავნი მასალების და ინფორმაციის გაცვლის საკითხი; პრობლემურ დაზარალებულებთან ურთიერთობის წარმართვის და პროცესის დასრულების სამართლებრივი გზები. ხოლო მეორე საკითხად განხილულ იქნა დაზარალებული მოქალაქეებისათვის ზიანის ანაზღაურების ახალი მექანიზმის პროექტი - ალტერნატიული ქონებით ჩანაცვლების საკითხი.

სამუშაო შეხვედრის შედეგად მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ მოამზადებენ წინადადებებს ზემოხსენებულ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით და მათი სამუშაო შეხვედრის ფორმატში განხილვის გზით დასახავენ შემდგომ გზებს. **ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი - 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.8.** სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N2:** მოსამართლეებთან და ადვოკატებთან ერთობლივი შეხვედრების ჩატარება განაჩენის გადასინჯვის თაობაზე ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით

**შედეგების ინდიკატორები:**

1. შეხვედრაში მონაწილე მოსამართლეთა და ადვოკატების რაოდენობა (50)
2. შეხვედრის შედეგები/მიღწეული შეთანხმება (50)

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

განაჩენის გადასინჯვის ერთგვაროვანი სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკის ჩამოყალიბების და პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით პროკურორებისთვის შემუშავდა რეკომენდაცია. დაგეგმილია სამუშაო შეხვედრა აღნიშნულ საკითხზე მომუშავე პროკურორებისა და მოსამართლეების მონაწილეობით.

რადგან ღონისძიებით გათვალისწინებული იყო შეხვედრის ჩატარება მოსამართლეებთან და ადვოკატებთან, რაც არ განხორციელებულა, **ღონისძიება არ არის შესრულებული და მისი შესრულების პროგრესია 0%.**

## 4.3. ამოცანა 3. ადამიანის უფლებების დაცვა

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მესამე ამოცანა და მიზანი ადამიანის უფლებების დაცვას ითვალისწინებს. აღნიშნული მიზნის მიღწევის მექანიზმად ოთხი კომპონენტია გათვალისწინებული, რომლებიც 2017 წლისთვის 15 ღონისძიების შესრულებას ითვალისწინებს. აღნიშნული 15 ღონისძიებიდან ყველა სრულად შესრულდა, რაც მისასალმებელია. **მესამე ამოცანის ღონისძიებების შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.1.1.** ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N1:** ოჯახში ძალადობის შესახებ საზოგადოებასთან მინიმუმ 10 საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ოჯახში ძალადობის შესახებ შეხვედრებისთვის შერჩეული აუდიტორია (35)
2. ოჯახში ძალადობის შესახებ ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა (30)
3. ოჯახში ძალადობის შესახებ შეხვედრებზე განხილული საკითხები (35)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ოჯახში ძალადობის თემაზე მოსახლეობასთან, სტუდენტებთან და მოსწავლეებთან, საერთო ჯამში, ჩატარდა 90 შეხვედრა. შეხვედრები გაიმართა საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის: აჭარა-17, სამეგრელო-8, იმერეთი-28, შიდა ქართლი-5, კახეთი-7, ქვემო ქართლი-8, სამცხე-ჯავახეთი-5, ქ. თბილისი-12. ღონისძიებებს კოორდინაციას უწევს მთავარი პროკურატურის ადმინისტრაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩასატარებელი მინიმუმ 10 შეხვედრის ნაცვლად 90 შეხვედრის ჩატარება მისასალმებელია ისევე, როგორც შეხვედრებით ყველა რეგიონის დაფარვა. დადებითად უნდა შეფასდეს შეხვედრებში სხვადასხვა სოციალური სეგმენტის, განსაკუთრებით, ახალგაზრდების მონაწილეობა (მოსახლეობა, სტუდენტები და მოსწავლეები). **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი ფასდება 100%-ით.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.1.1.** ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N2:** ოჯახურ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით არსებული რეკომენდაციების გადასინჯვა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. რეკომენდაციის განახლება ეყრდნობა სიტუაციის ანალიზს (50)

2. განახლებული რეკომენდაციების გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის (50)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2017 წელს სისხლის სამართლის საქმეების შესწავლის საფუძველზე განახლდა ოჯახურ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ არსებული რეკომენდაცია. რეკომენდაცია განახლდა გენდერული დისკრიმინაციის ნაწილში. ოჯახში ძალადობაზე და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ რეკომენდაციის განახლების მიზანი იყო ძალადობის ფაქტებზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარების, ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფა. განახლებული რეკომენდაცია მეილით დაეგზავნა ყველა პროკურორს და გათვალისწინებული იქნა ოჯახური დანაშაულის თაობაზე ტრენინგების მოდულში. გარდა ამისა რეკომენდაცია პროკურორებს დაეგზავნათ საქართველოს პროკურატურის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. აღნიშნული რეკომენდაციის დაგზავნის შემდეგ ყველა პროკურორი კანცელარიის პროგრამაში აკეთებს ჩანაწერს რეკომენდაციის გაცნობასთან დაკავშირებით. ამავდროულად, რაიონულ პროკურატურებში და დეპარტამენტებში მენეჯერები პროკურორებს აცნობენ რეკომენდაციის მიღების შესახებ ინფორმაციას. რეკომენდაციაში მითითებულია, რომ რეკომენდაცია შემუშავდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოში, მითითებულია პასუხისმგებელი

პროკურორის საკონტაქტო მონაცემები და იმ შემთხვევაში, თუ პროკურორს აქვს შეკითხვა, მოსაზრება ან აინტერესებს კონკრეტული საკითხი, უკავშირდება სამმართველოს უფროსს ან კონკრეტულ პროკურორს, რომელიც მუშაობდა რეკომენდაციაზე. რეკომენდაციის პრაქტიკაში იმპლემენტაციაზე სრულად აგებს პასუხს ის დანაყოფი, რომელმაც რეკომენდაცია შეიმუშავა. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულებულია, მისი შესრულების პროგრესი კი 100%-ით შეფასდა.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.1.1.** ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N3**: კონფერენციის ჩატარება ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

**შედეგების ინდიკატორები:**

1. კონფერენციაში მონაწილე უწყებები (60)

2. კონფერენციაზე განხილული საკითხები (40)

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს მთავარ პროკურატურაში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით გაიმართა კონფერენცია ოჯახური დანაშაულის თემაზე. კონფერენციას ესწრებოდნენ მთავარი პროკურორის მოადგილეები, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები.

კონფერენციაზე წარდგენილი იქნა ოჯახური დანაშაულის და ქალთა მიმართ ჩადენილი მკვლელობების ანალიზი. მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია მოძალადეთა მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის, ძალადობასთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით განხორციელებული აქტივობებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

კონფერენციის წარმომადგენლობითობისა და მასზე განხილული საკითხების რელევანტურობის გამო **აღნიშნული ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.1.1.** ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N4:** ოჯახში ძალადობის საკითხებზე პროკურორთა სპეციალიზაციის უზრუნველყოფა.

**შედეგების ინდიკატორები:**

| |
|---|
| 1. ოჯახში ძალადობის საკითხებზე პროკურორთა სპეციალიზაციისთვის განხორციელებული აქტივობები (50)<br>2. ოჯახში ძალადობის საკითხებზე სპეციალიზებული პროკურორების რეგიონული განაწილება (50)<br>**სტატუსი:** სრულად შესრულებული<br>**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100% |

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 2017 წელს ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის თემაზე სპეციალიზაციის ტრენინგი გაიარა 25-მა პროკურორმა. პროკურორები შერჩეულ იქნენ მათი დატვირთვისა და პირადი მოტივაციის გათვალისწინებით.

ოჯახური დანაშაულების თემაზე სპეციალიზებული პროკურორების რეგიონული განაწილება:

| # | ტერიტორიული ორგანო | სპეციალიზებული პროკურორების რაოდენობა 2017 წლის მდგომარეობით |
|---|---|---|
| 1 | ქ. თბილისის პროკურატურა | **6** |
| 2 | აჭარის ა/რ პროკურატურა | **4** |
| 3 | სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა | **2** |
| 4 | დასავლეთის საოლქო პროკურატურა | **3** |
| 5 | შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურა | **3** |
| 6 | ქვემო ქართლი საოლქო პროკურატურა | **3** |
| 7 | კახეთის საოლქო პროკურატურა | **4** |
| | | **25** |

მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი სპეციალიზაციის ტრენინგები ყოველ წელს ხორციელდება. 2016 წელს სპეციალიზაციის კურსი გაიარა 21-მა პროკურორმა. სპეციალიზაციის კურსები დაგეგმილია 2018 წელსაც.

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ რეგიონებში სპეციალიზებულ პროკურორთა რიცხვის განსაზღვრა ხდება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და მენეჯერებთან კოორდინაციით, არსებული დატვირთვისა და საჭიროების გათვალისწინებით. კრიტერიუმები მოიცავს რეგიონის მოსახლეობის რაოდენობას, ოჯახში

დანაშაულის მაჩვენებელს, პროკურორების უნარებს, მგრძნობელობას და სხვა. შესაბამისად, **ღონისძიება შესრულებულად უნდა ჩაითვალოს და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.1.1.** ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N5:** მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართვა ოჯახური დანაშაულის საქმეებში.

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ოჯახური დანაშაულის საქმეებში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ზრდის მაჩვენებელი

**სტატუსი:** სრულად შესრულებულია

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად: 126[1] მუხლით კვალიფიცირებული სს საქმეთა რაოდენობა წლების მიხედვით, რომლებში ჩართულნი იყვნენ მოწმისა და დაზარალებული კოორდინატორები, შემდეგნაირად გამოიყურება:




დღეის მდგომარეობით, პროკურატურის სისტემაში დასაქმებულია 19 კოორდინატორი. აქედან 15 კოორდინატორი ჩართულია ოჯახური დანაშაულის საქმეებში. 126 პრიმა და 111 მუხლებით დაკვალიფიცირებული საქმეების რაოდენობა, სადაც ჩაერთვნენ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები, 2017 წელს შეადგენდა 710 სს საქმეს.

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სრულყოფილად პასუხობს ღონისძიების შეფასებისთვის გათვალისწინებულ ყველა ინდიკატორს. **შესაბამისად, აღნიშნული**

**ღონისძიება უნდა ჩაითვალოს სრულად შესრულებულად და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.1.1.** ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N6:** ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის საკითხებზე პროკურორებისა და სტაჟიორების მომზადება/გადამზადება/ერთობლივი სასწავლო აქტივობების ჩატარება შესაბამისი უწყებებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით.

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის თემაზე მომუშავე პროკურორების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის თემაზე (40)

2. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის თემაზე პროკურორებისა და სტაჟიორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე 2017 წელს განხორციელდა ერთი ტრენინგი, რომელშიც ჩართული იყო 26 პროკურორი. ამასთან, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე განხორციელდა სპეციალიზაციის კურსი, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარა 25-მა პროკურორმა. სასწავლო კურსის გავლის შემდგომ პროკურორებმა მონაწილეობა მიიღეს სამუშაო შეხვედრაში. შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებმა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის სერვისის განმახორციელებელი ორგანიზაციებისგან მიიღეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ. შეხვედრაში ჩართულნი იყვნენ სახალხო დამცველის აპარატის, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ტრენინგებში მონაწილეობას იღებდნენ პროკურატურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და ყველა ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლები.

| # | დანაყოფი | მსმენელთა რაოდენობა |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| 1 | გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი | **1** |
| 2 | თბილისის პროკურატურა | **8** |
| 3 | შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურა | **2** |
| 4 | სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა | **3** |
| 5 | სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა | **2** |
| 6 | კახეთის საოლქო პროკურატურა | **3** |
| 7 | აჭარის ა/რ პროკურატურა | **2** |
| 8 | ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა | **2** |
| 9 | დასავლეთის საოლქო პროკურატურა | **3** |
| | | **26** |

2017 წელს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე განხორციელდა სამი ერთობლივი სასწავლო აქტივობა, რომელშიც საქართველოს პროკურატურიდან ჩართული იყო შვიდი მონაწილე. ოჯახური დანაშაულის თემაზე სწავლება გაიარა სტაჟიორთა ორმა ჯგუფმა, ჯამში 62 მონაწილე. გარდა ამისა, ქუთაისსა და თელავში განხორციელდა ორი ერთობლივი სამუშაო შეხვედრა, სადაც მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების ჩართულობით განხილული იქნა ოჯახში ძალადობის თემატიკა და პრაქტიკული საკითხები.

| # | ტერიტორიული ორგანო | მსმენელთა რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | ქ. თბილისის პროკურატურა | **6** |
| 2 | აჭარის ა/რ პროკურატურა | **4** |
| 3 | სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა | **2** |
| 4 | დასავლეთის საოლქო პროკურატურა | **3** |
| 5 | შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურა | **3** |
| 6 | ქვემო ქართლი საოლქო პროკურატურა | **3** |
| 7 | კახეთის საოლქო პროკურატურა | **4** |
| | | **25** |

პროკურატურის მიერ მოწოდებული დღის წესრიგების თანახმად მონაწილეებმა გაიარეს თემები, რომელიც ეხებოდა როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ სამართლებრივ რეგულაციებს ქალთა უფლებების კუთხით: მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის გაზრდა და ქალთა უფლებები; ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობა; ოჯახში ძალადობა; სტამბოლის კონვენცია; ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია; ადგილობრივი სამართლებრივი რეგულაციები; პროკურატურის როლი ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაში; ოჯახში ძალადობის დანაშაულის ტენდენციები; გამოძიების ხარვეზები; გენდერი, როგორც დანაშაულის მოტივი; სექსუალური ძალადობა; ადრეული და იძულებითი ქორწინება; დაკავებულ ქალთა უფლებები; ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალები და სხვა. ტრენინგის თითოეული სესია ითვალისწინებდა პრაქტიკულ დავალებებს.

დღის წესრიგის გაანალიზების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დღის წესრიგი თემატურად და შინაარსობრივად პასუხობს ღონისძიების მიზანს. მისაღებია ტრენინგის თითო ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობაც. რაც შეეხება ოჯახურ დანაშაულებზე მომუშავე პროკურორების და გამომძიებლების რაოდენობას, რომლებმაც აიარეს სპეციალიზაცია, რამდენადაც აღნიშნული ღონისძიება ერთჯერადი არ არის და გრძელდება, ერთი წლის განმავლობაში სპეციალიზებულ პირთა რაოდენობა მისაღებად უნდა ჩაითვალოს. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულებულია, მისი პროგრესი 100%-ით შეფასდა.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.2.1.** წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენის მექანიზმის გაუმჯობესება

**ღონისძიება N1**: წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ რეკომენდაციის შემუშავება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ რეკომენდაციის შემუშავების მიზნით შესწავლილი საერთაშორისო სტანდარტები (20)
2. წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ რეკომენდაცია ეყრდნობა სიტუაციის ანალიზს (30)
3. რეკომენდაციის გაცნობა პროკურორებისთვის (25)
4. რეკომენდაციის ხელმისაწვდომობა (25)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 2017 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოში პროკურორებისთვის შემუშავდა რეკომენდაცია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების სათანადო კვალიფიკაციის შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში მიმოხილულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე, $144^1$, $144^2$, $144^3$, 335-ე მუხლების გამიჯვნასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები, არასათანადო მოპყრობის კვალიფიკაციის კუთხით საქართველოს საერთო სასამართლოების

პრაქტიკაში არსებული ხარვეზები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ძირითადი სტანდარტები. რეკომენდაციის მიზანია, პროკურატურის თანამშრომლებს გაუადვილოს არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე კვალიფიკაციის განსაზღვრა და შემდგომში გამოძიების ეფექტიანი სტრატეგიის დაგეგმვა. აღნიშნული რეკომენდაცია შეისწავლა ევროპის საბჭოს ექსპერტმა და მისი წინადადებები გათვალისწინებულ იქნა.

2017 წლის 10 მარტს აღნიშნული რეკომენდაცია საქართველოს მთავარი პროკურორის ხელმოწერით პროკურორებს დაეგზავნათ საქართველოს პროკურატურის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. რეკომენდაციის დაგზავნის შემდეგ ყველა პროკურორი კანცელარიის პროგრამაში აკეთებს ჩანაწერს რეკომენდაციის გაცნობასთან დაკავშირებით. ამავდროულად, რაიონულ პროკურატურებში და დეპარტამენტებში მენეჯერები პროკურორებს აცნობენ რეკომენდაციის მიღების შესახებ ინფორმაციას. რეკომენდაციაში მითითებულია, რომ რეკომენდაცია შემუშავდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოში, მითითებულია პასუხისმგებელი პროკურორის საკონტაქტო მონაცემები და იმ შემთხვევაში, თუ პროკურორს აქვს შეკითხვა, მოსაზრება ან აინტერესებს კონკრეტული საკითხი, უკავშირდება სამმართველოს უფროსს ან კონკრეტულ პროკურორს, რომელიც მუშაობდა რეკომენდაციაზე. რეკომენდაციის პრაქტიკაში იმპლემენტაციაზე სრულად აგებს პასუხს ის დანაყოფი, რომელმაც რეკომენდაცია შეიმუშავა.

როგორც პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რეკომენდაციის შემუშავების მიზნით შესწავლილი იქნა როგორც ადგილობრივი სიტუაციის ანალიზი, ასევე საერთაშორისო სამართლით დადგენილი სტანდარტები. ამის გარდა, რეკომენდაცია შეისწავლა საერთაშორისო ექსპერტმა. უზრუნველყოფილი იქნა პროკურატურის თანამშრომლებისთვის დოკუმენტის გაცნობა. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულებულად შეფასდა დამისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.2.1.** წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენის მექანიზმის გაუმჯობესება

**ღონისძიება N2**: წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორების მომზადება/გადამზადება.

**შედეგების ინდიკატორები:**

1. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მომუშავე პროკურორების და გამომძიებლების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე (40)

2. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულიდან და ტერიტორიული ორგანოდან სწავლება გაიარა 39-მა მონაწილემ (28 პროკურორი და 11 სისტემის გამომძიებელი) ორი სასწავლო აქტივობის ფარგლებში. ამასთან, აღნიშნულ თემაზე სწავლება გაიარა სტაჟიორთა ორმა ჯგუფმა, ჯამში 62 მონაწილე.

მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული დღის წესრიგების მიხედვით ტრენინგის ფარგლებში დაიფარა ისეთი საკითხები, როგორიცაა სიცოცხლის უფლებისა და წამების, არაადამიანური და ღირსების დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის შესახებ ევროკონვენციისა და ევროსასამართლოს პრაქტიკა; საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებები; მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიება და სხვა.

ღონისძიების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები აკმაყოფილებს მის ინდიკატორებს **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.2.1.** წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენის მექანიზმის გაუმჯობესება

**ღონისძიება N3:** სისტემატური ვიზიტები პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირებთან

**შედეგების ინდიკატორები:**

1. პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა (50)

2. დაწესებულებაში მოთავსებულ პირთა რაოდენობა, რომელთა მონახულებაც განხორციელდა (50)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით 2017 წელს პენიტენციურ დაწესებულებაში საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოსა და თავდაცვის და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორების მიერ განხორციელდა სულ 52 ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც პროკურორები შეხვდნენ 27 ბრალდებულს და 25 მსჯავრდებულს. **აღნიშნული ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.3.1.** დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N1:** დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი

**შედეგების ინდიკატორები:**

1. დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგია

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურისგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგის ფარგლებში ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველომ შეისწავლა 2016-2017 წლებში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებზე წარმოებული სისხლის სამართლის საქმეები. საქმეთა შესწავლა განხორციელდა ორი მიმართულებით: კრიმინოლოგიური ნაწილი, რომლის ფარგლებშიც დადგინდა დანაშაულის შესახებ შეტყობინების ავტორები, დანაშაულის ჩადენის ადგილი, გარემოებები, დამოკიდებულება დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის, აგრეთვე, დაზარალებულთა და ბრალდებულთა პერსონალური მახასიათებლები და გამოძიების ეფექტურობა, რომლის ფარგლებშიც დადგინდა, რამდენად დროულია ფაქტებზე რეაგირება, რამდენად ადეკვატური და ეფექტურია ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები, გამოკვეთილია თუ არა კონკრეტული შეუწყნარებლობის ნიშანი, როგორია დაზარალებულ პირთა პოზიცია დევნის დაწყების/გამოძიების შეწყვეტის თაობაზე, სწორად ხდება თუ არა შემაჯამებელი გადაწყვეტილებების მიღება საქმეზე და დისკრიმინაციული მოტივის იდენტიფიცირება. როგორც მოწოდებული ინფორმაციიდან ჩანს, მონიტორინგისას დეტალურად იქნა შესწავლილი პრაქტიკა, იდენტიფიცირებულ იქნა რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები. გაიცა დამატებითი რეკომენდაციები. შესაბამისად, **ღონისძიება სრულად არის შესრულებული და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.3.1.** დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N2:** დისკრიმინაციული დანაშაულის გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით საშუალო რგოლის მენეჯერების, პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორების მომზადება/გადამზადება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. დისკრიმინაციულ დანაშაულებზე მომუშავე პროკურორებისა და გამომძიებლების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი დისკრიმინაციული დანაშაულის გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე (40)

2. დისკრიმინაციული დანაშაულის გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თემაზე პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. დისკრიმინაციული დანაშაულის გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი**: 100%

მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სტანდარტების თემაზე ჩატარდა 11 ტრენინგი, რომლის შედეგად საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულიდან და ტერიტორიული ორგანოდან სწავლება გაიარა 233-მა მონაწილემ (პროკურორი და სისტემის გამომძიებელი). ამასთან, ტრენინგებში ჩართული იყვნენ ყველა ტერიტორიული ორგანოს საშუალო რგოლის მენეჯერებიც (25 მენეჯერი, 164 პროკურორი, 28 გამომძიებელი, 16 სტაჟიორი). ასევე, დისკრიმინაციის აკრძალვის თემაზე სწავლება გაიარა სტაჟიორთა ორმა ჯგუფმა, ჯამში 62 მონაწილე.

მოწოდებული დღის წესრიგებიდან ირკვევა, რომ ტრენინგებზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ცნება, მიკერძოების ინდიკატორები და გამოძიების დაწყება, ქართული კანონმდებლობა, საერთაშორისო და რეგიონალური სტანდარტები, ამ მიმართულებით სისხლისსამართლებრივი დევნის დამაბრკოლებელი ფაქტორები, მიკერძოების მოტივის მტკიცებულება, დისკრიმინაციის სხვა ნიშნები და მათი აკრძალვის ევროპული სტანდარტები.

როგორც მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, ტრენინგების თემატიკა სრულად შეესაბამებოდა ღონისძიების მიზანს, ხოლო ტრენინგის თითო ჯგუფში დაახლოებით 22 მონაწილე, შეიძლება მივიჩნიოთ ოპტიმალურ რაოდენობად. რაც შეეხება დისკრიმინაციულ დანაშაულებზე მომუშავე პროკურორებისა და გამომძიებლების რაოდენობას, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი დისკრიმინაციული დანაშაულის გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე, რამდენადაც აღნიშნული ღონისძიება არ არის ერთჯერადი და სხვა წლებშიც გრძელდება, **ღონისძიება არის სრულად შესრულებული და მისი შესრულების პროგრესი არის 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.3.1.** დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N3:** რელიგიური ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოვლენისა და დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციის მომზადება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. რელიგიური ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოვლენისა და დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შესწავლილი საუკეთესო პრაქტიკა (30)

2. მომზადებული რეკომენდაციის მიერ დაფარული საკითხები (გამოძიების დაწყება, კვალიფიკაცია, დაზარალებულის ჩართულობა, ეფექტიანი გამოძიება და ა.შ.) (40)

3.პროკურორებისთვის რეკომენდაციის გაცნობის ფორმა (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე ეფექტიანი საპროკურორო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოში პროკურორებისთვის შემუშავდა რეკომენდაცია, რომელშიც გაანალიზებულია პრაქტიკაში არსებული ხარვეზები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ძირითადი სტანდარტები. რეკომენდაცია შეისწავლა ევროპის საბჭოს ექსპერტმა და წარმოადგინა თავისი მოსაზრებები, რომლებიც აისახა დოკუმენტში. რეკომენდაცია ეხება რელიგიურ შეუწყნარებლობასთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოცემულ ნორმათა განმარტებას, რელიგიური შენობა-ნაგებობების დაზიანებათა შემთხვევებს, ვერბალური შეურაცხყოფის მიყენების სამართლებრივ კვალიფიკაციას და სხვა აქტუალურ საკითხებს. 2017 წლის 11 აგვისტოს, აღნიშნული რეკომენდაცია საქართველოს მთავარი პროკურორის ხელმოწერით პროკურორებს დაეგზავნათ საქართველოს პროკურატურის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. რეკომენდაცია არ არის საჯარო, ხელმისაწვდომია მხოლოდ პროკურორებისთვის სამსახურებრივი გამოყენების მიზნით.

როგორც პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რეკომენდაციის შემუშავებისას გაანალიზდა როგორც ადგილობრივი პრაქტიკა ასევე საერთაშორისო სტანდარტები, პროცესში ჩართული იყო საერთაშორისო ექსპერტიც. რაც შეეხება პროკურატურის თანამშრომლებისთვის დოკუმენტის გაცნობას, ზოგადად, უმჯობესია მსგავსი სიახლეების შესახებ ინფორმაცია სამუშაო შეხვედრების ფორმატში მიეწოდოთ პროკურორებს. თუმცა, როგორც ზევით სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით იქნა აღნიშნული, რეკომენდაციების წერილობითი გაცნობის ფორმა, რასაც თან ახლავს კითხვებისთვის ადგილობრივ დონეზე განხილვები და რეკომენდაციის ავტორის საკონტაქტო ინფორმაციის მიწოდება, დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულებულად შეფასდა დამისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.3.1.** დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N4:** დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სპეციალიზებულ პროკურორთა შერჩევა

**შედეგების ინდიკატორები:**

დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სპეციალიზებული პროკურორების შერჩევის კრიტერიუმები

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

2017 წლის მდგომარეობით დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სპეციალიზებული პროკურორების პირველი ჯგუფი შერჩეულია. შერჩევა განხორციელდა პროკურორთა კვალიფიკაციის, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე მუშაობის გამოცდილების, პროკურორთა დატვირთვისა და მოტივაციის შესაბამისად. მოცემულ ინდიკატორს პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სრულად პასუხობს, **შესაბამისად ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.3.1.** დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N5:** სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, პროკურორებისთვის, გამომძიებლებისა და სტაჟიორებისთვის მინიმუმ 4 ტრენინგის ჩატარება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების თემაზე მომუშავე პროკურორებისა და გამომძიებლების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენის და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე (40)

2. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენის და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენის და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პროკურორებისა და პროკურატურის სისტემის გამომძიებლებისათვის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ეფექტიანი გამოძიების თემაზე ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი ორი ჯგუფისთვის, რომელშიც 24 პროკურორი და სისტემის გამომძიებელი მონაწილეობდა. მსმენელები შეირჩნენ შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფებიდან და ყველა ტერიტორიული ორგანოდან.

ტრენერთა ტრენინგს წინ უძღოდა საქართველოს პროკურატურასა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც მომზადდა საქართველოში არსებულ გამოწვევებზე მორგებული სასწავლო პროგრამა და მასალები, ეუთოს ოფისთან თანამშრომლობით, მოსამზადებელ ეტაპში, ასევე ჩართული იყვნენ შსს-ს, სახალხო დამცველის აპარატისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

ამასთან, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე ლონდონში, ვარშავასა და სტრასბურგში განხორციელდა სამი სასწავლო ვიზიტი. მათ შორის - ორი ტრენერთა ტრენინგი, რომელშიც ჩართული იყო 10 მონაწილე (პროკურორი). სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ეფექტიანი გამოძიების თემაზე სწავლება გაიარა სტაჟიორთა ორმა ჯგუფმა, ჯამში 62 მონაწილე.

მოწოდებული დღის წესრიგების საფუძველზე ირკვევა, რომ ჩატარებული ტრენინგები მოიცავდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ზოგად სამართლებრივ საკითხების, ყურადღება გამახვილებული იყო პრაქტიკულ ნაწილზე (კაზუსების განხილვა და პრაქტიკული სესიები). განხილული ძირითადი თემები იყო: სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებული ცხოვრებისეული მოვლენები (მიკერძოებულობა და წინასწარ შექმნილი აზრი ადგილობრივ კონტექსტში), სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ცნება, მათი იდენტიფიცირება (მიკერძოების ინდიკატორები, მოტივი), საერთაშორისო და რეგიონალური სამართლებრივი ჩარჩო, საქართველოს კანონმდებლობის გამოყენება, სისხლისსამართლებრივი დევნის დამაბრკოლებელი ფაქტორები და მათი გადალახვის გზები, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შეუტყობინებლობა და მისი გამომწვევი მიზეზები, ადამიანთა უფლებების როლი სამართალდამცავი პირებისთვის, ლგბტ პირების წინააღმდეგ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება - დაზარალებულზე ორიენტირებული მიდგომები.

როგორც მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, ტრენინგების თემატიკა სრულად შეესაბამებოდა ღონისძიების მიზანს, ხოლო ტრენინგის ჯგუფებში მონაწილეთა რაოდენობა იყო ოპტიმალური. **ღონისძიება არის სრულად შესრულებული და მისი შესრულების პროგრესი არის 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.3.2.** დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ საზოგადოების პროაქტიული ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება

**ღონისძიება N1**: დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებრივ ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და პირის მსჯავრდების შესახებ ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება.

**შედეგების ინდიკატორები:**

დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებრივ ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და პირის მსჯავრდების შესახებ ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება.

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებრივ ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და პირის მსჯავრდების შესახებ ინფორმაციის განთავსება საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე პერიოდულად ხდებოდა 2017 წელს. ინფორმაცია წარმოდგენილია პრეს-რელიზების სახით.

დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებრივ ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და პირის მსჯავრდების შესახებ ვებგვერდზე ინფორმაცია სიახლეების სახით ქვეყნდება. **შესაბამისად, აღნიშნული ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი არის 100%.**

### 4.4. ამოცანა 4. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტიანი სისტემის შექმნა

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეოთხე ამოცანა და მიზანი გულისხმობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტიანი სისტემის შექმნას. აღნიშნული მიზნის მიღწევის მექანიზმად ოთხი კომპონენტია გათვალისწინებული, რომლებიც 2017 წლისთვის ექვსი ღონისძიების შესრულებას ითვალისწინებს. აღნიშნული ექვსი ღონისძიებიდან ოთხი სრულად შესრულდა, ერთი - მეტწილად, ხოლო ერთი - ნაწილობრივ. მისასალმებელია, რომ ამ ნაწილში შეუსრულებელი ღონისძიება არ გვხვდება. **მეოთხე ამოცანის ღონისძიებების შესრულების პროგრესი 85%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 4.1.1.** ადგილობრივ დონეზე საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერება

**ღონისძიება N1:** ადგილობრივ დონეზე საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერების მიზნით შეხვედრის ჩატარება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ადგილობრივ დონეზე საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერების მიზნით ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა (50)

2. შეხვედრის მონაწილეები და განხილული საკითხები (50)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 2017 წლის 19 დეკემბერს საქართველოს პროკურატურის ინიციატივით არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური ჯგუფების კონცეფციის პრეზენტაცია გაიმართა. საქართველოს პროკურატურის ინიციატივით შეიქმნა რვა მულტიდისციპლინური ჯგუფი: თბილისში, კახეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და აჭარაში. თითოეულ ჯგუფში წარმოდგენილია ყველა იმ უწყების წარმომადგენელი, რომლებსაც არასრულწლოვნებთან სხვადასხვა ეტაპზე აქვთ შეხება. მათ შორის არიან სასამართლოს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იურიდიული დახმარების სამსახურის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები. ამგვარი ჯგუფების შექმნა ადგილობრივ დონეზე მისასალმებელი, რადგან ეს კოორდინაციის გაძლიერებას, რეგიონალურ დონეზე არსებული პრობლემების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებას და მათ დროულ მოგვარებას უწყობს ხელს.

2017 წელს ჩატარდა შექმნილი რვა ჯგუფის შეხვედრა: ოთხი ჯგუფის (თბილისის, კახეთის, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის ჯგუფების) შეხვედრა - თბილისში, ხოლო დანარჩენი ოთხი ჯგუფის (იმერეთის, აჭარის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის) შეხვედრა წყალტუბოში გაიმართა. ჯგუფების მიერ განხილული იქნა არასრულწლოვანთა სფეროში არსებული პრობლემები, ხარვეზები და გამოწვევები.

ღონისძიების თითოეული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან საქართველოს რეგიონებში შეიქმნა არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური რვა ჯგუფი, ხოლო თითოეულ ჯგუფში წარმოდგენილია ყველა იმ უწყების წარმომადგენელი, რომლებსაც არასრულწლოვნებთან სხვადასხვა ეტაპზე აქვთ შეხება. თითოეულმა ჯგუფმა 2017 წელს შეხვედრა გამართა და განიხილა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გამოწვევები, შესაბამისად, **ღონისძიება სრულად შესრულებულად ითვლება და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 4.1.1.** ადგილობრივ დონეზე საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერება

**ღონისძიება N2:** ადგილობრივ დონეზე საკოორდინაციო მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით პასუხისმგებელი პირების გამოყოფა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ადგილობრივ დონეზე საკოორდინაციო მექანიზმის გაუმჯობესებაში მონაწილე უწყებები

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად პასუხისმგებელი პირები განსაზღვრული და გამოყოფილია პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პრობაციის ბიუროს, იუსტიციის სამინისტროს, სასამართლოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, იურიდიული დახმარების სამსახურის, განათლების სამინისტროს, მერიის/გამგეობის, არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულების (იმ რეგიონში სადაც დაწესებულება ფუნქციონირებს) წარმომადგენლებისგან. რამდენადაც ღონისძიების შესრულებაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მონაწილე ყველა ძირითადი უწყება მონაწილეობდა, **ღონისძიება სრულად შესრულებულად ითვლება და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 4.1.2.** არასრულწლოვანთა პროკურორების ოპტიმიზაცია და მათი გადამზადება

**ღონისძიება N1:** არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზებული პროკურორების დატვირთვის შესწავლა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზებული პროკურორების დატვირთვის ამსახველი დოკუმენტის მომზადება

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს პროკურატურა ყოველ ექვს თვეში ერთხელ ახორციელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროგრამის მონიტორინგს და ამზადებს მონიტორინგის ანგარიშებს განრიდების პროგრამისა და დევნადაწყებული არასრულწლოვნების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტებში მოცემულია ასევე ინდივიდუალურ პროკურორთა დატვირთვა, რომელიც სამსახურებრივი გამოყენების დოკუმენტია. ანგარიშები მომზადებული იქნა 2017 წლის ივლისში, ხოლო ერთი წლის მონაცემების ანალიზი განხორციელდება 2018 წლის იანვარში. აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით **ღონისძიება სრულად შესრულებულად შეფასდა და მისი პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 4.1.2.** არასრულწლოვანთა პროკურორების ოპტიმიზაცია და მათი გადამზადება

**ღონისძიება N2:** შშმ პირებთან ეფექტური კომუნიკაციის თემაზე პროკურორების კვალიფიკაციის ამაღლება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. საშუალო რგოლის მენეჯერების და პროკურორების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი შშმ პირებთან ეფექტური კომუნიკაციის თემაზე (40)

2. შშმ პირებთან ეფექტური კომუნიკაციის თემაზე საშუალო რგოლის მენეჯერებისა და პროკურორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. შშმ პირებთან ეფექტური კომუნიკაციის თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 50%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის თემაზე განხორციელდა ერთი ტრენინგი, რომელშიც საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულიდან და ტერიტორიული ორგანოებიდან ჩართული იყო 22 მონაწილე (პროკურორი/სისტემის გამომძიებელი).[106]

მოწოდებული დღის წესრიგის მიხედვით, ორდღიანი ტრენინგის განმავლობაში განხილული იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მესამე, მეხუთე, მეექვსე,მე-14 მუხლები და მე-12 ოქმი; შშმ პირთა უფლებებთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები; შშმპ პირთა უფლებების შესახებ სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტები; შშმ პირების სტატუსი და ეროვნული კანონმდებლობა; შშმ პირების მონაწილეობა გამოძიების პროცესში; შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაცია; შეზღუდული შესაძლებლობის ფორმები და კომუნიკაციის თავისებურებები; არასამთავრობო ორგანიზაციების როლი და გამოცდილება შშმ პირების უფლებათა დაცვის პროცესში; კომუნიკაციის ბარიერები და ხელშეწყობის ფაქტორები. ტრენინგი მოიცავდა პრაქტიკულ სავარჯიშოებს.

როგორც მოწოდებული ინფორმაციიდან ჩანს, ტრენინგი შინაარსობრივად მნიშვნელოვნად ფარავს შშმ პირებთან დაკავშირებულ ყველა არსებით საკითხს. მნიშვნელოვანია, მსგავსი ღონისძიების ყოველწლიურად უზრუნველყოფა, რასაც ითვალისწინებს სამოქმედო გეგმა. თუმცა, წარმოდგენილი ინფორმაციიდან არ ჩანს, მენეჯერების მონაწილეობა ტრენინგში, რაც სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შედეგი უნდა ყოფილიყო. **შესაბამისად, ღონისძიება ნაწილობრივ შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 50%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 4.1.3.** არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემოს შექმნა

[106] გარდა 2017 წელს განხორციელებული ტრენინგისა, 2016 წელს შშმ პირებთან კომუნიკაციის თემაზე ჩატარდა 3 სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 59 პროკურორი და გამომძიებელი.

**ღონისძიება N1:** არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემოს შექმნის მიზნით კონცეფციის შემუშავება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემოს შექმნის მიზნით კონცეფცია ეყრდნობა არსებული სიტუაციის ანალიზს (50)

2. კონცეფციით დაფარული საკითხები (იზოლირება ზრდასრულთა სივრცისგან, სპეციალიზებული პერსონალი, ბავშვის საუკეთესო ინტერესზე მორგებული გარემო და სხვა) (50)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნის მიზნით საქართველოს პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობს გაეროს ბავშვთა ფონდთან. ამჟამად არსებული გარემოს შესწავლის მიზნით, საქართველოს პროკურატურაში იმყოფებოდა საერთაშორისო ექსპერტი. ექსპერტის მიერ მომზადდა კონცეფცია ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შესახებ, რომელშიც მოცემულია პროკურატურის ოფისებში არსებული გარემოს ანალიზი და რეკომენდაციები. კერძოდ, კონცეფციის მიხედვით, სპეციალური ოთახი იქნება იზოლირებული პროკურატურის ოფისის ძირითადი ნაწილისგან, ექნება ინდივიდუალური შესასვლელი და დაყოფილი იქნება რამდენიმე სივრცედ, რომ არასრულწლოვანი, მისი ასაკობრივი თავისებურებებისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, მოხერხებულად განთავსდეს გამოკითხვის მიმდინარეობისას. ოთახში დამონტაჟებული იქნება შესაბამისი ტექნიკა, რომელითაც აუდიო-ვიდეო ჩაწერა მოხდება, რაც შესაძლებელს გახდის, თავიდან იქნეს აცილებული ბავშვის რამდენჯერმე გამოკითხვა და ფსიქოლოგის მიერ გამოკითხვის წარმოებისას გამომძიებელი დააკვირდეს გამოკითხვის მიმდინარეობას დისტანციურად. ბავშვზე მორგებულ გარემოში ინფრასტრუქტურა გათვლილი იქნება შშმ პირებზეც. **ღონისძიება ჩაითვალოს სრულად შესრულებულად, ხოლო შესრულების პროგრესი შეფასდეს 100%-ით.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 4.1.4.** სტატისტიკური მონაცემების სრულყოფა

**ღონისძიება 1:** არასრულწლოვან პროცესის მონაწილეებზე სტატისტიკური მონაცემების სრულყოფის მიზნით დოკუმენტის შემუშავება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. არასრულწლოვან პროცესის მონაწილეებზე სტატისტიკური მონაცემების სრულყოფის მიზნით შემუშავებული დოკუმენტი ითვალისწინებს მონაცემების შეგროვების კონკრეტულ მეთოდოლოგიას

**სტატუსი:** მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 60%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით სამუშაო ქვეჯგუფში სხვადსხვა უწყების წარმომადგენელთა ჩართულობის შედეგად შემუშავებულია სისხლის სამართალწარმოების პროცესის მონაწილე არასრულწლოვნებთან დაკავშირებული მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემის დოკუმენტის პროექტი. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი არასრულწლოვან და 18-დან 21 წლამდე პირებზე შესაგროვებელი მონაცემები (ინდიკატორები), განმარტებულია მათი მნიშვნელობა და შეგროვების მეთოდოლოგია, ასევე განსაზღვრულია მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყებები, მათ შორის საქართველოს მთავარი პროკურატურა. დოკუმენტის მიხედვით, თითოეულმა უწყებამ უნდა უზრუნველყოს ამ ინდიკატორის მიზნებისთვის დეტალური მონაცემების მიწოდება მონაცემთა ინტეგრირებული სისტემისთვის. ამ ეტაპზე დოკუმენტის პროექტი იუსტიციის სამინისტროშია გაჩერებული. რამდენადაც მომზადებული დოკუმენტი ჯერ საბოლოო არ არის და მას პროექტის სახე აქვს, **ღონისძიება მეტწილად შესრულებულად უნდა ჩაითვალოს და მისი შესრულების პროგრესი 60%-ია.** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ არის რეკომენდებული, უწყების სამოქმედო გეგმაში ისეთი ღონისძიების გათვალისწინება, რომლის შესრულება სხვა უწყების პრეროგატივაა.

### 4.5. ამოცანა 5. სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობა

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეხუთე ამოცანა და მიზანი გულისხმობს სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის გაზრდას. აღნიშნული მიზნის მიღწევის მექანიზმად ცხრა კომპონენტია გათვალისწინებული, რომლებიც 2017 წლისთვის 13 ღონისძიების შესრულებას ითვალისწინებს. აღნიშნული ღონისძიებებიდან ცხრა სრულად შესრულდა, ორი - მეტწილად, ხოლო ორი - ნაწილობრივ. აღნიშნული ამოცანის ქვეშ შეუსრულებელი ღონისძიება არ გვხვდება. **მეხუთე ამოცანის ღონისძიებების შესრულების პროგრესი 89%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.1.** სამართლებრივი თანამშრომლობის ქსელებთან ურთიერთობების გაღრმავება

**ღონისძიება N1:** eurojust-თან ხელშეკრულების გაფორმების მიზნით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი და ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან თავსებადობის თვალსაზრისით საკანონმდებლო რეკომენდაციების მომზადება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. eurojust-თან ხელშეკრულების გაფორმებამდე მომზადებულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ, EUROJUST-თან ხელშეკრულების გაფორმების ხელშეწყობის მიზნით, ჩატარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში, უშუალოდ პროკურატურის კომპეტენციაში შემავალი რეგულაციების ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან თავსებადობის უზრუნველყოფის მიზნით, არ არსებობდა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საჭიროება, თუმცა, რამდენიმე საკითხის უკეთ დარეგულირების მიზნით, რეკომენდებული იყო მთავარი პროკურორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა. შესაბამისად, 2017 წელს გამოცემულ იქნა მთავარი პროკურორის ბრძანებები შემდეგ საკითხებზე: საქართველოს პროკურატურაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ჯგუფის შექმნა და მათ მიერ გასატარებელი ღონისძიებები; საქართველოს პროკურატურის სისტემაში არსებული დოკუმენტთა ნუსხისა და მათი შენახვის ვადების განსაზღვრა; საქართველოს პროკურატურაში ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა; საქართველოს პროკურატურაში კომპიუტერული სისტემის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის მაისში საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა EUROJUST-ის ექსპერტთა მისია, რომლის მიზანს წარმოადგენდა მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემის გაცნობა. მითითებული ვიზიტის საფუძველზე მომზადებულ პოზიტიურ ანგარიშზე დაყრდნობით, 2017 წლის 31 ოქტომბერს EUROJUST-მა ევროკავშირის საბჭოს მიმართა ოფიციალური წერილით საქართველოსთან ორმხრივი შეთანხმების გაფორმების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყების შესახებ. ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული პროცედურები.

მოცემული ინფორმაციით ღონისძიების ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან ჩატარებულია კანონმდებლობის ანალიზი და მიღებულია შესაბამისი სამართლებრივი აქტები. **ღონისძიება ჩაითვალოს სრულად შესრულებულად, ხოლო შესრულების პროგრესი შეფასდეს 100%-ით.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.2.** სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტების გამოცემა

**ღონისძიება N1:** სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტების მომზადება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტი ეყრდნობა სიტუაციის ანალიზს და მასში ყურადღება გამახვილებულია არსებულ გამოწვევებსა და მათი მოგვარების გზებზე

**სტატუსი:** ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 50%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წელს დაიწყო სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობა. დოკუმენტზე მუშაობის დასრულება დაგეგმილია 2018 წლისთვის. მომზადებულია პირველადი პროექტი სამართლებრივ დახმარებაზე და ექსტრადიციებზე. მზადების პროცესშია დოკუმენტი შემდგომი წარმოების მიზნით სისხლის სამართლის საქმის გადაგზავნისა და მსჯავრდებულთა სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით გადაცემის შესახებ. დოკუმენტზე მუშაობს საქართველოს მთავრი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი. აღნიშნული დოკუმენტი ძირითადად ეყრდნობა სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობ**ის** სფეროში არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზს, მათ შორის, სისხლის სამართლის საკითხებზე თანამშრომლობის შესახებ ევროპული კონვენციების მოქმედების თაობაზე ევროპის საბჭოს ექსპერტთა კომიტეტის (PC-OC) ანგარიშებს.

რამდენადაც 2017 წელს დოკუმენტის მხოლოდ პირველადი სამუშაო ვერსია იქნა მომზადებული, ამასთან მისი მომზადების პროცესში მხოლოდ საქართველოს პროკურატურა მონაწილეობს, **ღონისძიება ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს და მისი შესრულების პროგრესი 50%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.3.** სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვა

**ღონისძიება N1:** სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის შექმნაზე მუშაობის დაწყება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის შესაქმნელად შესწავლილია საუკეთესო პრაქტიკა (40)

2. სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა უზრუნველყოფს პარტნიორ სახელმწიფოებთან თანამშრომლობას ელექტრონული გზით (60)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის შექმნის მიზნით, 2017 წლის განმავლობაში მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის EU4JUSTICE წარმომადგენლებთან. ლატვიელი ექსპერტების მონაწილეობით დაიწერა შესაბამისი პროექტი. პარალელურად, ნიდერლანდების სამეფოს იუსტიციის სამინისტროსთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო

თანამშრომლობის ნიდერლანდური ელექტრონული პროგრამის კოდის გაზიარებასა და საქართველოს საჭიროებების მიხედვით პროგრამის კოდის რედაქტირებაზე. ნიდერლანდების სამეფომ წინასწარი თანხმობა გამოხატა აღნიშნულის თაობაზე. ამ ეტაპზე საქართველოს პროკურატურა ელოდება EU4JUSTICE-ის მხრიდან პროექტის რეალიზაციისთვის თანხების მოძიებას. აღნიშნულის შემდეგ, დეტალური მოლაპარაკება გაიმართება ნიდერლანდების სამეფოს იუსტიციის სამინისტროსთან პროგრამის კოდის გაზიარების თაობაზე ან/და დაიწერება ახალი პროგრამა.

პროგრამის შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობს საქართველოს მთავრი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი. პროგრამას პრაქტიკაში გამოიყენებენ სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებზე მომუშავე საქართველოს კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლები. **ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულებულის პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.4** თანამშრომლების შესახებ შუამდგომლობების ელექტრონული გადაცემის სისტემების (E-transmission) დანერგვა

**ღონისძიება N1:** მინიმუმ 3 სახელმწიფოსთან (E-transmission) დანერგვის მიზნით მოლაპარაკებები დაწყებულია

**შედეგების ინდიკატორები:**

1. (E-transmission) დანერგვის მიზნით მოლაპარაკებების ფარგლებში ჩატარებული აქტივობები [მიმოწერა, სამუშაო შეხვედრები და ა.შ.]

**სტატუსი:** მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 70%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აშშ-მ გამოხატა სურვილი სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობების ელექტრონული ფოსტით მიღების შესახებ და 2017 წლის სექტემბრის თვიდან საქართველო ამ შესაძლებლობას აქტიურად იყენებს. 2017 წლის განმავლობაში საქართველოს მთავარი პროკურატურა ელექტრონულ ფოსტაზე international@pog.gov.ge იღებდა უცხო ქვეყნების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობებს. ასევე, საქათველოს მთავარი პროკურატურა აქტიურად ახდენდა ხსენებული ელექტრონული ფოსტის ცნობადობის გაზრდას. გარდა ამისა, საქართველო ელოდება ინტერპოლის მიერ ელექტრონული გადაცემის სისტემის e-MLA-ს განხორციელებას, რომელსაც მიუერთდება მისი ამოქმედებისთანავე. ღონისძიების მიხედვით, მოლაპარაკება e-transmission-ის დანერგვის მიზნით, სულ მცირე სამ სახელმწიფოსთან უნდა დაწყებულიყო წარმოდგენილი ინფორმაციით, მოლაპარაკებები გაცილებით მეტ სახელმწიფოსთან წარმოებდა, რის შედეგად 15-მდე სახელმწიფოსთან ელექტრონული ფოსტის საშუალებით ხდება მასალების გადაცემა.

ღონისძიებაში საუბარია შუამდგომლობების ელექტრონული გადაცემის სისტემებზე, ინფორმაცია კი წარმოდგენილია ელექტრონული ფოსტის გამოყენებაზე. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული განპირობებულია ფინანსური ხელმისაწვდომობით, ხოლო უსაფრთხოების პარამეტრები დაახლოებით ერთნაირია ორივე შემთხვევაში. **შესაბამისად, ღონისძიება მეტწილად არის შესრულებული და მისი შესრულებულის პროგრესი 70%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.5.** საერთაშორისო თანამშრომლობის გზით დანაშაულებრივი ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის სისტემა

**ღონისძიება N1:** საერთაშორისო თანამშრომლობის გზით დანაშაულებრივი ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის კანონმდებლობის ანალიზი და შესაძლო რეკომენდაციების მომზადება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. საერთაშორისო თანამშრომლობის გზით დანაშაულებრივი ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის ანალიზით დაფარული საუკეთესო პრაქტიკა და კანონმდებლობა

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის მეორე ნახევარში საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოში მიმდინარეობდა შედარებით-სამართლებრივი კვლევა დანაშაულებრივ ქონებასთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამშრომლობის რეგულაციების შესახებ. კვლევის შედეგების საფუძველზე 2018 წლის განმავლობაში მომზადდება რეკომენდაციები ამ სფეროში საკანონმდებლო და სხვა რეგულაციების რეფორმირების შესახებ.

საერთაშორისო თანამშრომლობის გზით დანაშაულებრივი ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის საკითხებზე ჩატარებული კვლევის ფარგლებში შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ევროკავშირის ჩარჩო გადაწყვეტილებები; ევროპის საბჭოს კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ; გაეროს კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ; გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ; როგორც შიდა, ისე დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს, ნიდერლანდების სამეფოს, იტალიისა და საფრანგეთის კანონმდებლობა და პრაქტიკა. ანალიზის შედეგად, საქართველოს პროკურატურამ იუსტიციის სამინისტროს კომპეტენტურ სტრუქტურულ დანაყოფებთან ერთად შეიმუშავა რეკომენდაციები განსახორციელებელი საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე, რომლის

საფუძველზე მომზადდა „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტი.

როგორც მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, ანალიზის ფარგლებში შესწავლილი იქნა როგორც ადგილობრივი პრაქტიკა, ასევე საერთაშორისო პრაქტიკა და სტანდარტები. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულებულად ჩაითვალა და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.6.** პრაქტიკოსებისთვის სამართლებრივი დახმარების სახელმძღვანელოს შექმნა

**ღონისძიება N1:** პრაქტიკოსებისთვის სამართლებრივი დახმარების სახელმძღვანელოს შექმნაზე მუშაობის დაწყება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. სამართლებრივი დახმარების სახელმძღვანელოს მომზადების მიზნით განხორციელებულია სიტუაციის ანალიზი

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამართლებრივი დახმარების სახელმძღვანელოზე მუშაობს საქართველოს მთავრი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი. აღნიშნული დოკუმენტი ძირითადად ეყრდნობა სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზს. საერთაშორისო პრაქტიკის მოძიების თვალსაზრისით, გამოიყენება სისხლის სამართლის საკითხებზე თანამშრომლობის შესახებ ევროპული კონვენციების მოქმედების თაობაზე ევროპის საბჭოს ექსპერტთა კომიტეტის (PC-OC) მიერ გამოქვეყნებული მონაცემები. შესწავლილ ქვეყნებს შორის არის დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო და ნიდერლანდების სამეფო. აღნიშნული ქვეყნები შეირჩა სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საუკეთესო სისტემების გამო. **ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.7.** მსხვილ ტრანსნაციონალურ და უცხოურ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებთან თანამშრომლობა

**ღონისძიება N1:** მსხვილ ტრანსნაციონალურ და უცხოურ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებში გასაგზავნი მიმართვების სტანდარტული ფორმის შემუშავება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. მსხვილ ტრანსნაციონალურ და უცხოურ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებში გასაგზავნი მიმართვების სტანდარტული ფორმის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წელს შემუშავებული იქნა Facebook-თან და Apple-თან კომუნიკაციის ფორმები. აღნიშნული ფორმები შედგენილია ამ კომპანიების და ევროპის საბჭოს კიბერდანაშაულის კონვენციის კომიტეტის (T-CY) სახელმძღვანელო წესების მიხედვით. **ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.7.** მსხვილ ტრანსნაციონალურ და უცხოურ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებთან თანამშრომლობა

**ღონისძიება N2:** მსხვილ ტრანსნაციონალურ და უცხოურ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებში ეფექტური ურთიერთობის მიზნით საკონტაქტო პირების გამოყოფა და მათი გადამზადება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. მსხვილ ტრანსნაციონალურ და უცხოურ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებში ეფექტური ურთიერთობის მიზნით გამოყოფილი და გადამზადებული საკონტაქტო პირების რაოდენობა

**სტატუსი:** მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 85%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მსხვილ ტრანსნაციონალურ და ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებთან ეფექტური ურთიერთობის მიზნით გამოყოფილი პროკურატურის საკონტაქტო პირები არიან მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ჩილინგარაშვილი და ამავე დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი გივი ბაღდავაძე. აღნიშნული კომპანიების რაოდენობა შეზღუდული არ არის. მსხვილ ტრანსნაციონალურ და უცხოურ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებთან კომუნიკაციის სტანდარტული ფორმები შექმნილია და პროკურატურის საქმიანობაში გამოიყენება ზემოაღნიშნული პროკურატურის საკონტაქტო პირების მიერ. გადამზადებასთან დაკავშირებით პროკურატურამ მიუთითა, რომ რელევანტური თანამშრომლები მონაწილეობდნენ კიბერდანაშაულის პროექტებში, დაესწრნენ ვორქშოფებს, კონფერენციასა და კიბერდანაშაულის კომიტეტის სხდომებს, თუმცა, აღნიშნული, ფორმატის გათვალისწინებით, ვერ ჩაითვლება საკონტაქტო პირთა გადამზადებად რამდენადაც ღონისძიება ითვალისწინებდა როგორც საკონტაქტო პირების გამოყოფას, ასევე მათ გადამზადებას, ღონისძიება სრულად შესრულებულად ვერ ჩაითვლება. **ღონისძიება მეტწილად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 85%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.7.** მსხვილ ტრანსნაციონალურ და უცხოურ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებთან თანამშრომლობა

**ღონისძიება N3:** მსხვილ ტრანსნაციონალურ და უცხოურ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებში ეფექტური ურთიერთობის სახელმძღვანელოს შემუშავება (დაწყება)

**შედეგების ინდიკატორები:**

1.მსხვილ ტრანსნაციონალურ და უცხოურ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებში ეფექტური ურთიერთობის სახელმძღვანელოს შემუშავების მიზნით გაანალიზებულია ადგილობრივი და საუკეთესო პრაქტიკა

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

მსხვილ ტრანსნაციონალურ და უცხოურ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებთან ეფექტური ურთიერთობის სახელმძღვანელო მომზადდა გამოყოფილი საკონტაქტო პირების მიერ. მისი მომზადების პროცესში გათვალისწინებულ იქნა ევროპის საბჭოს კიბერდანაშაულის კონვენციის კომიტეტის ვებგვერდზე არსებული მასალები (T-CY). სახელმძღვანელოს შექმნის მიზნით ასევე გაანალიზდა ცალკეული პროვაიდერების (Facebook, Microsoft, Apple) სამართალდამცავებთან თანამშრომლობის პრაქტიკა. ყველა მსხვილ კომპანიას მომხმარებლის მონაცემების სამართალდამცავი ორგანებისთვის გაცემის საკუთარი სტანდარტები აქვს. ამ სტანდარტების დადგენა ემსახურება მომხმარებლის პირადი მონაცემების დაცვას. თუმცა, ეს სტანდარტები კომპანიების მიხედვით ძალიან განსხვავებულია და ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი პრაქტიკოსებისთვის რთულად აღქმადი ან გაუგებარია. პროკურატურის სახელმძღვანელო ადგილობრივ პრაქტიკოსებს მარტივ და გასაგებ ენაზე აწვდის პროვაიდერების სტანდარტებს მონაცემების გამოთხოვაზე. გარდა ამისა, სახელმძღვანელოში თავმოყრილია ყველა მსხვილი პროვაიდერის მოთხოვნები. სახელმძღვანელო ასევე მოიცავს საქართველოს მხრიდან პროვაიდერებთან საკონტაქტო ცენტრალური პირის/დანაყოფის (გენერალური პროკურატურა) მიერ შეგროვებული პრაქტიკის მიმოხილვას, რაც პრაქტიკოსებს ნათელ და რეალისტურ წარმოდგენას უქმნის თუ რას ითხოვენ პროვაიდერები და რა მონაცემების მიღების მოლოდინი შეიძლება იყოს მათგან. სახელმძღვანელო ასევე სთავაზობს მონაცემების გამოთხოვის სტანდარტიზებულ ფორმებსა და შესაბამისი განჩინების მიღებისთვის საჭირო შუამდგომლობის ნიმუშს. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.7.** მსხვილ ტრანსნაციონალურ და უცხოურ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებთან თანამშრომლობა

**ღონისძიება N4:** მსხვილ ტრანსნაციონალურ და უცხოურ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებთან მოლაპარაკებების წარმოების დაწყება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. მსხვილი ტრანსნაციონალური და უცხოური ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიები, რომლებთანაც დაიწყო მოლაპარაკებები

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

საქართველოს პროკურატურას აქვს Facebook-თან და Apple-თან მომხმარებელთა შესახებ ინფორმაციის პირდაპირი კომუნიკაციის გზით მიღების წარმატებული პრაქტიკა. ამ პრაქტიკის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა, მათ შორის, მითითებული კომპანიების წარმომადგენლებთან გამართული ზეპირი და წერილობითი კონსულტაციები. მოლაპარაკებები გაიმართა და თანამშრომლობა დაიწყო Microsoft-თან. რამდენიმე პროვაიდერთან 2017 წლიდან მოყოლებული კვლავ მიმდინარეობს კონსულტაცია არაფორმალურ დონეზე. კომპანიების შერჩევა მოხდა იმის მიხედვით, საიდან ხდება ყველაზე ხშირად საჭირო მონაცემების გამოთხოვა სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას. **ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.8.** სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის ტრადიციული ფორმების გვერდის ავლით მტკიცებულებების მოპოვება.

**ღონისძიება N1:** სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის ტრადიციული ფორმების გვერდის ავლით მტკიცებულებების მოპოვების შესახებ სახელმძღვანელოზე მუშაობის დაწყება

**შეფასების ინდიკატორი:**

1. სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის ტრადიციული ფორმების გვერდის ავლით მტკიცებულებების მოპოვების შესახებ სახელმძღვანელოს შემუშავების მიზნით გაანალიზებული საერთაშორისო სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ დაწყებულია მუშაობა სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის ტრადიციული ფორმების გვერდის ავლით მტკიცებულებების მოპოვების შესახებ სახელმძღვანელოს პროექტზე. მასზე მუშაობის დროს მხედველობაში იქნა მიღებული კიბერდანაშაულის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის დებულებები, შიდა და საერთაშორისო პრაქტიკა, მათ შორის დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოსა და ნიდერლანდების სამეფოს მაგალითები. მართალია, ღონისძიება შესრულებულია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თავად ღონისძიება მეტად ბუნდოვანია, და მისი გაზომვა - რთული, რადგან გაუგებარია, რას ნიშნავს სახელმძღვანელოზე მუშაობის დაწყება, რისთვისაც სამოქმედო გეგმა ერთწლიან ვადას ითვალისწინებს. როგორც სამოქმედო გეგმის ზოგადი შეფასების თავში იქნა აღნიშნული,

უმჯობესია, სამოქმედო გეგმაში მსგავსი ღონისძიებები არ იქნეს გათვალისწინებული. **ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.8.** სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის ტრადიციული ფორმების გვერდის ავლით მტკიცებულებების მოპოვება.

**ღონისძიება N2:** უცხოური ღია რესურსების მონაცემთა ბაზის შექმნა.

**შეფასების ინდიკატორი:**

1. ღია რესურსები, რომლებიც ინტეგრირებულია მონაცემთა ბაზაში

**სტატუსი:** ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 50%

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველომ 2017 წელს დაიწყო ღია რესურსების მონაცემთა ბაზის შექმნაზე მუშაობა. თუმცა, აღნიშნული პროექტი ჯერ კიდევ სასტარტო პოზიციაზეა. ამ ეტაპზე ინფორმაცია შეკრებილია ღია რესურსების მხოლოდ რამდენიმე მონაცემთა ბაზის შესახებ. ამ მიმართულებით მუშაობა ინტენსიურად გაგრძელდება 2018 წელს. ღია რესურსების ბაზის შექმნასთან დაკავშირებული სამუშაო გულისხმობს სხვადასხვა დანაშაულის გამოძიებისათვის შესაძლო მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი ღია წყაროების შესახებ ინფორმაციის მოძიებას, სისტემატიზაციას, გამომძიებლებისათვის და პროკურორებისათვის მათ შესახებ ცოდნის მიწოდებას და მათ მიერ ამ წყაროების სათანადოდ გამოყენების უზრუნველყოფას. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ღია რესურსების წყარო, რომელიც განთავსებული იქნება ღია რესურსების ბაზაში არის ICANN-ის WHOIS მონაცემთა ბაზა.

ვინაიდან ღონისძიებით გათვალისწინებული იყო ბაზების შექმნა, მაგრამ პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ აღნიშნული პროექტი მხოლოდ საწყის ეტაპზეა, **ღონისძიება ითვლება ნაწილობრივ შესრულებულად და მისი შესრულების პროგრესი ფასდება 50%-ად.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.9.** სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის ახალი ფორმები

**ღონისძიება N1:** სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის ახალ ფორმებზე ტრენინგების ჩატარება

**შეფასების ინდიკატორი:**

1. შესაბამის მუშაკთა რაოდენობა, რომლებიც გადამზადდნენ სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის ახალ ფორმებზე (40)
2. ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. ტრენინგის ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

2017 წლის 27-30 მარტს ევროპის საბჭოს მიერ ჩატარდა ტრენინგი კომპიუტერული დანაშაულებისა და ელექტრონული მტკიცებულებების საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, რომელშიც საქართველოს პროკურატურიდან მონაწილეობას იღებდა 10-მდე პირი. ტრენინგის მიზანი იყო, რომ მონაწილეები გაცნობოდნენ ბუდაპეშტის კონვენციით გათვალისწინებულ სამართლებრივი ურთიერთდახმარებისა და „corporation via 24/7 points of contact" საკითხებს, ისევე, როგორც კიბერდანაშაულისა და ელექტრონული მტკიცებულებების შესახებ საერთაშორისო თანამშრომლობას. 2017 წლის 21-22 სექტემბერს აშშ იუსტიციის დეპარტამენტის მიერ ჩატარდა ტრენინგი ელექტრონული მტკიცებულებების საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, რომელშიც საქართველოს პროკურატურიდან მონაწილეობას ასევე 10-მდე პირი იღებდა. ტრენინგი ეხებოდა სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ეფექტური მოთხოვნების შემუშავების სახელმძღვანელოს მითითებებს, ელექტრონული კომუნიკაციების პრივატულობის აქტ ECPA-ს, მონაცემთა შენახვასა და Microsoft-ის გადაწყვეტილებებს და ელექტრონული მტკიცებულებების არსებულ სახეობებს, სამართლებრივი დახმარების შესახებ მოთხოვნის გარეშე დოკუმენტის მომზადების რჩევებსა და პრაქტიკულ მაგალითებს და დანაშაულის საგნის (საშუალების) ამოღება/კონფისკაციას. 2017 წლის 15 და 22 დეკემბერს პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველომ ჩაატარა ტრენინგები შემდეგ თემებზე: ვიდეო-აუდიო დისტანციური დაკითხვა, სამართლებრივი დახმარების გვერდის ავლით საერთაშორისო საპროცესო მოქმედებების ჩატარება, საერთაშორისო ინტერნეტ-მომსახურების მომწოდებლებთან თანამშრომლობა, საერთაშორისო თანამშრომლობის სხვა პრობლემური საკითხები. აღნიშნული ტრენინგი 44-მა მონაწილემ გაიარე. მოწოდებული ინფორმაციის შეფასების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტრენინგების განმავლობაში განხილული საკითხები სრულად შეესაბამებოდა ღონისძიების მიზანს, ხოლო პირთა, რაოდენობა, რომლებმაც ერთი წლის განმავლობაში ტრენინგი გაიარეს, მისაღებია. **ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა ჩაითვალოს, ხოლო მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

### 4.6. ამოცანა 6. საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეექვსე ამოცანა და მიზანი გულისხმობს საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლებასა და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბებას. აღნიშნული მიზნის მიღწევის მექანიზმად შვიდი კომპონენტია გათვალისწინებული, რომლებიც 2017 წლისთვის 12 ღონისძიების შესრულებას ითვალისწინებს. მეშვიდე ამოცანის ღონისძიებიდან ხუთი სრულად შესრულდა, ხუთი -

მეტწილად, ერთი - ნაწილობრივ, ხოლო ერთი რეკომენდაცია შეუსრულებელია. **მეექვსე ამოცანის ღონისძიებების შესრულების პროგრესი 75%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.1. სამართლებრივი წერის სახელმძღვანელოს დანერგვა**

**ღონისძიება N1:** სამართლებრივი წერის საკითხებზე ყველა პროკურორისა და სტაჟიორის მომზადება/გადამზადება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. პროკურორებისა და სტაჟიორების რაოდენობა, რომლებიც გადამზადდნენ სამართლებრივი წერის საკითხებზე (40)
2. ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)
3. ტრენინგის ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 75%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ სამართლებრივი მართლწერის ახალი სტანდარტების დანერგვის მიზნით, სამართლებრივი წერის თემაზე ჩატარდა 11 ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან და ტერიტორიული ორგანოებიდან სწავლება გაიარა 197-მა პროკურორმა. ამასთან, აღნიშნულ თემაზე სწავლება გაიარა სტაჟიორთა ორმა ჯგუფმა, ჯამში 62 მონაწილე. ზემოთაღნიშნული ტრენინგის დღის წესრიგის მიხედვით მონაწილეებმა გაიარეს მორფოლოგია-ორთოგრაფია, სტილისტიკა, პუნქტუაცია, სამართლებრივი წერის ზოგადი სტანდარტები, სისხლის სამართლის საქმის ქვემდებარეობის გადაგზავნისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილებები, ჩხრეკის/ამოღების ჩატარების, გადაუდებლად ჩატარებული ჩხრეკის/ამოღების კანონიერების შემოწმების შესახებ, დათვალიერების ჩატარების შესახებ და ა.შ. შუამდგომლობა და სხვა..

ღონისძიების მიხედვით, პროკურატურას აღებული ჰქონდა ვალდებულება, რომ ყველა პროკურორი და სტაჟიორი გადაემზადებინა სამართლებრივი მართლწერის საკითზე. მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ 197 პროკურორი და 62 სტაჟიორი გადამზადდა. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გარდა 2017 წელს ჩატარებული ტრენინგებისა, 2016 წელს განხორციელდა ხუთი ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც სწავლება გაიარა პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულისა და ტერიტორიული ორგანოს 83-მა პროკურორმა. უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაშიც, კი თუ 2017 და 2016 წლებში გატარებულ აქტივობებს ერთიანად შევაფასებთ, პროკურორთა სრული რიცხვი მეტია, ვიდრე ამ ორი წლის განმავლობაში გადამზადებულთა რაოდენობა, შესაბამისად, ღონისძიება ვერ შეფასდება სრულად შესრულებულად. **ღონისძიება მეტწილად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 75%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.2. ფუნქციათა გამიჯვნა**

**ღონისძიება N1:** ფუნქციების გამიჯვნის დოკუმენტის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ფუნქციური გამიჯვნის დოკუმენტის შექმნის მიზნით სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (60)
2. სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატი (40)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, პროკურატურის ფუნქციების გამიჯვნის დოკუმენტის შემუშავების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების სამმართველოების უფროსების, იურიდიული სამმართველოს უფროსისა და ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსისაგან. ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობდა შეხვედრების, ისევე როგორც ელ. კომუნიკაციის მეშვეობით. პროკურატურის სტრუქტურული ერთეულების მენეჯერებისა და მათი მოადგილეების ფუნქციების შესწავლის შედეგად შემუშავდა დოკუმენტი, რომელშიც გაიწერა ფუნქციები სტრუქტურული დანაყოფების მუშაობის ეფექტიანობისა და დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის მიზნით. რამდენადაც ჯგუფის მუშაობაში ჩართული იყო ყველა რელევანტური სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი და ჯგუფის მუშაობის ფორმა - შეხვედრები და ელ. კომუნიკაცია - მოქნილი, **აღნიშნული ღონისძიება შეიძლება ჩაითვალოს სრულად შესრულებულად და მისი შესრულების პროგრესი შეფასდეს 100%-ით.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.2. ფუნქციათა გამიჯვნა**

**ღონისძიება N2:** ფუნქციათა გამიჯვნის დოკუმენტის შექმნა და იმპლემენტაცია

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ფუნქციური გამიჯვნის დოკუმენტის მეთოდოლოგია (50)
2. ფუნქციური გამიჯვნის დოკუმენტის იმპლემენტაციის ფორმა (50)

**სტატუსი:** ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 50%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, პროკურატურის ფუნქციების გამიჯვნის დოკუმენტის შემუშავების მიზნით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა პროკურატურის სტრუქტურული ერთეულების მენეჯერებისა და მათი მოადგილეების ფუნქციების შესწავლის შედეგად შეიმუშავა დოკუმენტი, რომელშიც გაიწერა ფუნქციები სტრუქტურული დანაყოფების მუშაობის ეფექტიანობისა და დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის მიზნით. რაიონულ პროკურორსა და მის მოადგილეს შორის ფუნქციათა გამიჯვნის დოკუმენტის შედგენის დროს სამუშაო ჯგუფმა იხელმძღვანელა სისხლის სამართლის საპროცესო

კოდექსით, პროკურატურის შესახებ ორგანული კანონით, რაიონული პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ ბრძანებით, აგრეთვე გაანალიზდა სხვადასხვა რაიონულ პროკურატურებში რაიონულ პროკურორებსა და მათ მოადგილეებს შორის ფუნქციათა განაწილების განსხვავებული პრაქტიკა და შეფასდა, რამდენად თანაბრად და სწორად არის აღნიშნული ფუნქციები გადანაწილებული. განსხვავებული პრაქტიკებიდან რომელი უზრუნველყოფს უკეთ რაიონული პროკურატურის ეფექტიან მენეჯმენტს. დოკუმენტზე მუშაობის პროცესში 15-მდე რაიონულ პროკურორთან და მათ მოადგილეებთან ჩატარდა ინტერვიუები. მოსმენილი იქნა მათი ხედვა ეფექტიანი მენეჯმენტის განხორციელების მიზნით ფუნქციათა განაწილების თაობაზე, აგრეთვე, გათვალისწინებული იქნა რიგითი პროკურორების მოსაზრებები. წარმოდგენილ ინფორმაციაში არ არის აღნიშნული, რა ფორმით მოხდა დოკუმენტის იმპლემენტაცია. შესაბამისად, რადგან მხოლოდ ერთი ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულება დასტურდება, **აღნიშნული ღონისძიება შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივ შესრულებულად და მისი შესრულების პროგრესი შეფასდეს 50%-ით.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.3. საქმეთა გადანაწილების სისტემის რეფორმა**

**ღონისძიება N1:** არსებული ვითარების შეფასების მიზნით პროკურორთა დატვირთვის ანალიზის მომზადება

1. პროკურორთა დატვირთვის ანალიზის დოკუმენტის მეთოდოლოგია (40)
2. პროკურორთა დატვირთვის ანალიზის დოკუმენტის შემუშავებაში ჩართული პირები ან/და სტრუქტურული ერთეულები (60)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ პროკურორების დატვირთვის შეფასება ხორციელდება სამი ძირითადი მონაცემის მიხედვით: 1. შეწყვეტილი საქმეების რაოდენობა; 2. დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის რაოდენობა; 3. გამოტანილი განაჩენების რაოდენობა. ზემოთ აღნიშნულ მონაცემებს ენიჭებათ შესაბამისი ქულები (შეწყვეტილი საქმე 1=1 ქულა, სისხლისსამართლებრივი დევნა 1=2 ქულა, გამოტანილი განაჩენი 1=3 ქულა), რაც საბოლოოდ ჯამდება და მიიღება საბოლოო ქულა. მეთოდოლოგია ითვალისწინებს როგორც ინდივიდუალური პროკურორის დატვირთვის, ისე პროკურატურის ცალკეული რაიონის ან რეგიონის დატვირთვის შესწავლის შესაძლებლობას. დატვირთულობის ანალიზი სამსახურებრივი გამოყენების დოკუმენტია და მისი შედეგები ხელმისაწვდომია პროკურატურის შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფებისთვის (მთავარი პროკურატურის ხელმძღვანელობა, ადამიანური რესურსების მართვისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტი და სხვ.).

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ღონისძიებისთვის განსაზღვრულ ინდიკატორებს, შესაბამისად **ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა ჩაითვალოს, ხოლო მისი შესრულების პროგრესი 100%-ით უნდა შეფასდეს.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.4**. საპროკურორო საქმიანობის ხარისხის მონიტორინგი

**ღონისძიება N1:** საპროცესო დოკუმენტების ხარისხის მონიტორინგი და მის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. საპროცესო დოკუმენტების ხარისხის მონიტორინგის კომპონენტები და მეთოდოლოგია (35)
2. საპროცესო დოკუმენტების ხარისხის მონიტორინგის შედეგად მომზადებული რეკომენდაციები (35)
3. საპროცესო დოკუმენტების ხარისხის მონიტორინგის საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციების ხელმისაწვდომობა (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 91%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ 2017 წლის განმავლობაში განხორციელდა საპროცესო დოკუმენტების ხარისხის მონიტორინგი. ამ მიზნით თემატურად იქნა შესწავლილი სისხლის სამართლის საქმეები; გაანალიზდა წლის განმავლობაში განხორციელდა პროკურორთა მიერ შედგენილი ძირითადი საპროცესო დოკუმენტები, რომლის ფარგლებშიც შეფასებას დაექვემდებარა პირის ბრალდების შესახებ დადგენილება, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობა, დევნის არ დაწყების დადგენილება, დევნის შეწყვეტის დადგენილება, გამოძიების შეწყვეტის დადგენილება, საკასაციო საჩივარი და სხვა საპროცესო დოკუმენტები.

საპროცესო დოკუმენტების ხარისხის მონიტორინგი განხორციელდა მთავარი პროკურორის მიერ დამტკიცებული შეფასების სისტემით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, რომელიც წინასწარ მიეწოდათ პროკურატურის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებს. შეფასდა საპროცესო დოკუმენტების კანონმდებლობასთან და მართლწერის სტანდარტებთან შესაბამისობა. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეთა თემატურ შესწავლას და გაანალიზებას, მათი შერჩევა მოხდა შემხვედრი საჭიროებიდან (თემის აქტუალობა, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და მიღებული გადაწყვეტილებები) გამოდინარე. სისხლის სამართლის საქმეთა თემატურ შესწავლამდე შეიქმნა ცხრილი, რომელშიც საქმის შესწავლის პარალელურად აისახებოდა როგორც სტატისტიკური, კრიმინოლოგიური ანალიზისათვის საჭირო, ისე გამოძიების და დევნის ეფექტიანობის შეფასების მიმართულებით საჭირო სხვა მონაცემები.

მონიტორინგის ფარგლებში 2017 წელს შესწავლილი იქნა 2017 წლის 1-ლი იანვრიდან ივნისის ჩათვლით დაწყებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის 611 საქმე. შესწავლილი იქნა აგრეთვე 100-მდე საკასაციო საჩივარი და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები.

საქმეთა ანალიზის და საპროცესო დოკუმენტების შესწავლისას გამოვლენილი ტენდენციების გათვალისწინებით, პროკურორთა საქმიანობის ხარისხის ამაღლების, ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის და საპროცესო დოკუმენტების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 2017 წელს შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

5. რეკომენდაცია სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე და 353-ე პრიმა მუხლების გამიჯვნის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს არსებული ხარვეზების გამოსწორებას და ამ მიმართულებით ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

6. რეკომენდაცია პროკურორის დადგენილების საფუძველზე ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს 2016 წლის 12 ივლისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში განხორციელებული ცვლილების ხარვეზების გარეშე იმპლემენტაციასა და ამ მიმართულებით ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

7. რეკომენდაცია აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებების შესახებ, რომლის მიზანია აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებისას და გირაოს პირობების დარღვევის შემთხვევებში პროკურორების მიერ გირაოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვასთან დაკავშირებით შუამდგომლობის შეტანის ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბება;

8. რეკომენდაცია განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს პროკურორთა მიერ შედგენილი საკასაციო საჩივრების დასაბუთებულობის ხარისხის ამაღლებას;

9. რეკომენდაცია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და საქართველოს მოქალაქეების, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირების და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის აკრძალვის შესახებ;

10. რეკომენდაცია ოჯახში ძალადობაზე და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ.

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ნათლად ჩანს თუ რა ნაწილში განხორციელდა საპროცესო დოკუმენტების ხარისხის მონიტორინგი, მითითებულია მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით ხდებოდა ზემოთ ჩამოთვლილი საპროცესო დოკუმენტების შეფასება და სისხლის სამართლის საქმეთა თემატური შესწავლა. შემუშავებული რეკომენდაციები პოზიტიურად უნდა შეფასდეს მათი რაოდენობის და

თემატიკის მიხედვით. მომზადებული ანალიზის დოკუმენტი საჯაროდაა ხელმისაწვდომი პროკურატურის ვებგვერდზე, ხოლო მონიტორინგის შედეგები ინტეგრირებული იქნა სამართლებრივი წერის ტრენინგებში. ყოველივე აღნიშნული პოზიტიურად უნდა შეფასდეს, თუმცა, რადგან სამართლებრივი ტრენინგი ყველა პროკურორს არ გაუვლია, ხოლო განხორციელებული მონიტორინგის მიგნებებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით ცალკე შეხვედრა არ გამართულა, შესაბამისად **აღნიშნული ღონისძიება, მართალია, სრულად შესრულებულად უნდა ჩავთვალოთ, მაგრამ მისი შესრულების პროგრესია 91%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.4**. საპროკურორო საქმიანობის ხარისხის მონიტორინგი

**ღონისძიება N2:** პროკურორთა სასამართლო უნარ-ჩვევების ხარისხის მონიტორინგი და მის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. პროკურორთა სასამართლო უნარ-ჩვევების ხარისხის მონიტორინგის კომპონენტები და მეთოდოლოგია (35)
2. პროკურორთა სასამართლო უნარ-ჩვევების ხარისხის მონიტორინგის საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციები (35)
3. პროკურორთა სასამართლო უნარ-ჩვევების ხარისხის მონიტორინგის საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციების ხელმისაწვდომობა (30)

**სტატუსი:** მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 80%

პროკურორთა სასამართლო უნარ-ჩვევების ხარისხის შეფასების მიზნით საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ 2017 წელს განხორციელდა სასამართლო სხდომების მონიტორინგი, რის საფუძველზეც გაანალიზდა პროკურორთა მიერ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხი. მონიტორინგმა მოიცვა ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის, წინა სასამართლო სხდომის, საპროცესო შეთანხმების და არსებითი განხილვის სხდომები. სულ განხორციელდა 200-მდე სხდომის მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ტენდენციები გაანალიზდა და გათვალისწინებული იქნა სამართლებრივი წერის ტრენინგის ფარგლებში.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ პროკურორთა მიერ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის მონიტორინგი განხორციელდა ყველა სასამართლო ეტაპზე. თუმცა, სასურველია დაკონკრეტდეს თუ რა ფორმით მოხდა მათი უნარ-ჩვევების ხარისხის მონიტორინგი, მონიტორინგისთვის რა მეთოდოლოგია იქნა გამოყენებული შეფასებისას, რა ასპექტებზე გამახვილდა ყურადღება და სხვა.

რამდენადაც აღნიშნული ღონისძიება პრაქტიკაში წინა ღონისძიებასთან ერთად ხორციელდებოდა, პროკურატურის მიერ მონიტორინგის საფუძველზე მომზადებული

რეკომენდაციები საერთოა ორივე ღონისძიებისთვის. თუმცა, რადგან სამართლებრივი ტრენინგი ყველა პროკურორს არ გაუვლია, ხოლო განხორციელებული მონიტორინგის მიგნებებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით ცალკე შეხვედრა არ გამართულა, **აღნიშნული ღონისძიება უნდა ჩაითვალოს მეტწილად შესრულებულად და მისი შესრულების პროგრესი შეფასდეს 80%-ით.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.5.** ხარჯეფექტური მენეჯმენტის სისტემის დანერგვა

**ღონისძიება N1:** პროკურატურის მიერ გაწეული ხარჯებისა და მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე პრიორიტეტული მიმართულებების ჩამოყალიბება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. დაფინანსების მიმართულებით პროკურატურის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებები ეყრდნობა გაწეული ხარჯებისა და მიღწეული შედეგების ანალიზს

**სტატუსი**: შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს პროკურატურა ყოველ ექვს თვეში ერთხელ ახორციელებს გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შეფასებას და ამზადებს ანგარიშს. ანგარიში მომზადებული იქნა 2017 წლის ივლისში და 2017 წლის დეკემბერში, რომელთა საფუძველზეც ჩამოყალიბდა პრიორიტეტული მიმართულებები. აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ ინფორმირებული იქნა პროკურატურის ყველა სტრუქტურული ერთეულის მენეჯერი. დოკუმენტი სამსახურებრივი გამოყენებისთვის არის განკუთვნილი. რამდენადაც წარმოდგენილი ინფორმაცია კავშირში არ არის ღონისძიებით გათვალისწინებული ხარჯებისა და მიღწეული შედეგების ანალიზის განხორციელებასთან, **ღონისძიება შეუსრულებლად ითვლება და მისი შესრულების პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.5.** ხარჯეფექტური მენეჯმენტის სისტემის დანერგვა

**ღონისძიება N2:** ხარჯეფექტური მენეჯმენტის სისტემის შექმნის მიზნით სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ხარჯეფექტური სისტემის შექმნის მიზნით სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (60)
2. სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატი (40)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ხარჯეფექტური მენეჯმენტის სისტემის შექმნის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შემდეგნაირად

დაკომპლექტდა: საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; მთავარი პროკურატურის ადმინისტრაციის უფროსი; ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი; ეკონომიკური დეპარტამენტის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მრჩეველი. ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობს შეხვედრებისა და ელ. კომუნიკაციის მეშვეობით.

აღნიშნულ ღონისძიების ფარგლებში, დადებითად უნდა შეფასდეს, რომ სამუშაო ჯგუფში მონაწილეობას იღებენ სტრუქტურული ერთეულების ძირითადი დაინტერესებული მხარეები. **აღნიშნული ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.** თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაო ჯგუფის შექმნის ერთწლიან ღონისძიებად გაწერა, სამოქმედო გეგმის ხარვეზია და არ ემსახურება დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების დროულად მიღწევას.

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.6** ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის დანერგვა

**ღონისძიება N1:** ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (60)
2. ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატი (40)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 60%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოების უფროსებისა და ანალიტიკური სამმართველოს უფროსისგან. ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობს შეხვედრების და ელ. კომუნიკაციის მეშვეობით.

ღონისძიების შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, სამუშაო ჯგუფი შეიქმნა და მისი მუშაობა უზრუნველყოფილია როგორც პირისპირ შეხვედრების, აგრეთვე ელ. კომუნიკაციის გზით, ის მხოლოდ ერთ დეპარტამენტში მომუშავე თანამშრომლებისაგან შედგება. საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი მოიცავს როგორც საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის, ასევე ანალიტიკური სამმართველოებს. სამუშაო ჯგუფის შექმნის არსი არის ერთი მიზნით სხვადასხვა უწყებებისა თუ დეპარტამენტების გაერთიანება, რათა მუშაობის პროცესში

გათვალისწინებული იყოს ყველას ინტერესი და გაადვილდეს მათ შორის კოორდინაცია. შესაბამისად, **ღონისძიება მეტწილად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 60%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.6** ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის დანერგვა

**ღონისძიება N2:** ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების განახლება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით განახლებული რეკომენდაციების რაოდენობა

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2017 წელს შესწავლილი პრაქტიკის საფუძველზე გამოიკვეთა სამი რეკომენდაციის განახლების საჭიროება. შესაბამისად, განახლდა ოჯახურ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ არსებული რეკომენდაცია, დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან, ასევე ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ არსებული რეკომენდაციები. გარდა ამისა, პროკურორთა სასამართლო უნარ-ჩვევებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის მონიტორინგის შედეგად შემუშავდა ახალი რეკომენდაციები (მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.4. ღონისძიება N1 და N2). შესაბამისად, **აღნიშნული ღონისძიება შეიძლება ჩაითვალოს სრულად შესრულებულად, მისი შესრულების პროგრესი კი შეფასდეს 100%-ით.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.6** ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის დანერგვა

**ღონისძიება N3:** ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით ახალი რეკომენდაციების შემუშავება და დანერგვა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების რაოდენობა (50)

2. ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების დასანერგად განხორციელებული აქტივობები (50)

**სტატუსი:** მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 75%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2017 წელს შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

- ✓ რეკომენდაცია სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე და 353-ე პრიმა მუხლების გამიჯვნის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს არსებული ხარვეზების გამოსწორებას და ამ მიმართულებით ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას;
- ✓ რეკომენდაცია პროკურორის დადგენილების საფუძველზე ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს 2016 წლის 12 ივლისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში განხორციელებული ცვლილების ხარვეზების გარეშე იმპლემენტაციასა და ამ მიმართულებით ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას;
- ✓ რეკომენდაცია აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებების შესახებ, რომლის მიზანია აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებისას და გირაოს პირობების დარღვევის შემთხვევებში პროკურორების მიერ გირაოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვასთან დაკავშირებით შუამდგომლობის შეტანის ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბება;
- ✓ რეკომენდაცია განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს პროკურორთა მიერ შედგენილი საკასაციო საჩივრების დასაბუთებულობის ხარისხის ამაღლებას;
- ✓ რეკომენდაცია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და საქართველოს მოქალაქეების, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირების და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის აკრძალვის შესახებ;
- ✓ რეკომენდაცია ოჯახში ძალადობაზე და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ;

მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, შემუშავებული რეკომენდაციები ელ. ფოსტის და საქმისწარმოების ელ. პროგრამის მეშვეობით დაეგზავნა ყველა პროკურორს. გარდა ამისა, რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია პროკურორებს მიეწოდებათ სატრენინგო კურსის ფარგლებშიც.

მისასალმებელია, ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების რაოდენობა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია, სხვადასხვა ღონისძიება არ ფარავდეს ერთსა და იმავე აქტივობებს (მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.4. ღონისძიება N1 და N2). რაც შეეხება რეკომენდაციების პროკურორებისთვის მიწოდების ფორმას, მაშინ, როცა საუბარია ახალი რეკომენდაციების დანერგვაზე, მათი ელექტრონული ფორმით მიწოდება ვერ ჩაითვლება რეკომენდაციის დანერგვის ეფექტიან საშუალებად. სასურველია, შეხვედრების უზრუნველყოფა, რომლის ფარგლებში მოხდება რეკომენდაციების გაცნობა და პროკურორების კითხვებზე პასუხების გაცემა. ამ კუთხით მისასალმებელია ტრენინგების ფარგლებში პროკურორებისთვის ახალი რეკომენდაციების

გაცნობა, თუმცა, ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი აღიშნულ საკითზე ჩატარებული ტრენინგების და დატრენინგებული პროკურორების რაოდენობის შესახებ. შესაბამისად, **ღონისძიება მეტწილად არის შესრულებული და მისი შესრულების პროგრესია 75%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.7.** გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს დანერგვა

**ღონისძიება N1:** გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს შემუშავება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს შემუშავებაში ჩართული პირები (50)
2. გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს პროკურორებისთვის გაცნობის ფორმა (50)

**სტატუსი:** მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 70%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს შემუშავებაში მონაწილეობდნენ პროკურატურის (როგორც რიგითი პროკურორები, ისე მენეჯერები) და შსს (მოქმედი გამომძიებლები) წარმომადგენლები. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ყველა პროკურორისა და პროკურატურის გამომძიებლისთვის, მისი დაგზავნა მოხდა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით. სხვა ღონისძიებების მსგავსად, დოკუმენტი ელექტრონულად მიეწოდათ პროკურორებს, სხვა ღონისძიებებისგან განსხვავებით ამ შემთხვევაში საუბარია არა დოკუმენტის განახლებაზე, არამედ ახალი დოკუმენტის შექმნაზე, რომელიც გამოძიების ახალი მეთოდოლოგიის დანერგვას გულისხმობს. აღნიშნულის მიღწევა კი სახელმძღვანელოს სამუშაო ტიპის შეხვედრებზე გაცნობის გარეშე ფაქტიურად წარმოუდგენელია. ამიტომ, **ღონისძიება მეტწილად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 70%.**

## 4.7. ამოცანა 7. საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეშვიდე ამოცანა და მიზანი გულისხმობს საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას. აღნიშნული მიზნის მიღწევის მექანიზმად ხუთი კომპონენტია გათვალისწინებული, რომლებიც 2017 წლისთვის ცამეტი ღონისძიების შესრულებას ითვალისწინებს. აღნიშნული 13 ღონისძიებიდან რვა სრულად შესრულდა, სამი - ნაწილობრივ, ხოლო ორი ღონისძიება შეუსრულებელია. **მეშვიდე ამოცანის ღონისძიებების შესრულების პროგრესია 69%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 7.1.1.** მედიასთან კომუნიკაციის ერთგვაროვანი პოლიტიკის ჩამოყალიბება

**ღონისძიება N1:** პროკურატურის თანამშრომლების მედიასთან კომუნიკაციის დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. პროკურატურის თანამშრომლების მედიასთან კომუნიკაციის დოკუმენტის შემუშავებისას გაანალიზებულია საუკეთესო პრაქტიკა

**სტატუსი:** ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 30%

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პროკურატურის მიერ მოწოდებული იქნა შემდეგი ინფორმაცია: საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ შესწავლილი იქნა სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა, რომლის შემდგომ შემუშავდა მედიასთან კომუნიკაციის დოკუმენტი, რომელიც ჯერჯერობით არ არის დამტკიცებული.

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ზოგადად პასუხობს ინდიკატორს იმის შესახებ თუ რის მიხედვით ან რის საფუძველზეა შემუშავებული აღნიშნული დოკუმენტი. მაშინ როდესაც დოკუმენტი შემუშავებულია „სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკის მიხედვით", საჭიროა მითითება იყოს მინიმუმ იმ ქვეყნების ჩამონათვალზე, რომელის პრაქტიკაც გათვალისწინებული იყო დოკუმენტის შემუშავებისას. ამასთანავე, სასურველია, უფრო დეტალურად იყოს გადმოცემული ინფორმაცია, თუ კონკრეტულად რა ჭრილში იქნა გათვალისწინებული სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკა დოკუმენტზე მუშაობის პროცესში. **აღნიშნული ღონისძიება ნაწილობრივაა შესრულებული და მისი შესრულების პროგრესი 30%-ით შეფასდა.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 7.1.1.** მედიასთან კომუნიკაციის ერთგვაროვანი პოლიტიკის ჩამოყალიბება

**ღონისძიება N2:** პროკურატურის თანამშრომლების მედიასთან კომუნიკაციის დოკუმენტის გაცნობა ჟურნალისტებისთვის, პროკურორებისთვის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის.

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ჟურნალისტების, პროკურორებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის პროკურატურის თანამშრომლების მედიასთან კომუნიკაციის დოკუმენტზე გაცნობის ფორმა (40)

2. მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთაც გაეცნოთ პროკურატურის თანამშრომლების მედიასთან კომუნიკაციის დოკუმენტი (60)

**სტატუსი:** ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 20%

აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით, პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მედიასთან კომუნიკაციის დოკუმენტის პროექტს გაეცნენ პროკურატურის მუშაკები და ჟურნალისტები. აღნიშნული ზოგადი ინფორმაცია, ვერ გამოდგება ღონისძიების შესრულებულად მიჩნევისთვის. არ არის დაზუსტებული თუ

პროკურორებისთვის დოკუმენტის გაცნობის ფორმა. გარდა ამისა, დოკუმენტის გაცნობა არ მომხდარა მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისთვის. **შესაბამისად, ღონისძიება შესრულებულია ნაწილობრივ და მისი შესრულების პროგრესი მხოლოდ 20%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 7.1.1.** მედიასთან კომუნიკაციის ერთგვაროვანი პოლიტიკის ჩამოყალიბება

**ღონისძიება N3:** მედიის ინტერესის დაკმაყოფილების შეფასების კრიტერიუმების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. მედიის ინტერესის დაკმაყოფილების შეფასების კრიტერიუმების შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (60)

2. მედიის ინტერესის დაკმაყოფილების შეფასების კრიტერიუმების შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატი (40)

**სტატუსი:** ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 50%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მედიის ინტერესის დაკმაყოფილების შეფასების კრიტერიუმების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფი შედგება მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლებისაგან. ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობს შეხვედრების ისევე, როგორც ელ. კომუნიკაციის მეშვეობით.

მოწოდებული ინფორმაცია ზოგადია და არ იძლევა ჯგუფის შემადგენლობისა და მისი მუშაობის შესახებ შეფასების გაკეთების შესაძლებლობას. უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაო ჯგუფი შედგა მხოლოდ ერთ დეპარტამენტში მომუშავე თანამშრომლებისაგან. სამუშაო ჯგუფის შექმნის არსი კი არის ერთი მიზნით სხვადასხვა უწყებისა თუ დეპარტამენტის გაერთიანება, რათა მუშაობის პროცესში გათვალისწინებული იყოს ყველა ინტერესი და გაადვილდეს კოორდინაცია. საერთო ჯამში, **ღონისძიება ნაწილობრივ არის შესრულებული და მისი შესრულების პროგრესი 50%-ით შეფასდა.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 7.1.2.** პროკურატურის ვებ-გვერდის განახლება

**ღონისძიება N1:** ვებგვერდის მოდერნიზაციის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ვებგვერდის მოდერნიზაციის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (60)

2. ვებგვერდის მოდერნიზაციის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატი (40)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სამუშაო ჯგუფი შეიქმნა საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის, სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტისა და პროგრამული უზრუნველყოფის, უსაფრთხოების და ტექნიკური მხარდაჭერის სამმართველოს წარმომადგენლებისგან. ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობს შეხვედრების ისევე, როგორც ელ. კომუნიკაციის მეშვეობით.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში რელევანტური დეპარტამენტების მონაწილეობა დადებითად უნდა შეფასდეს. მისაღებია სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატიც - შეხვედრები და ელ. კომუნიკაცია, შესაბამისად, **ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 100%-ით არის შეფასებული.** თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ტექნიკური და მცირემასშტაბიანი აქტივობის ერთწლიან ღონისძიებად სამოქმედო გეგმაში გაწერა, დოკუმენტის ხარვეზს წარმოდგენს.

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 7.1.2.** პროკურატურის ვებ-გვერდის განახლება

**ღონისძიება N2:** პროკურატურის ვებგვერდის მოდერნიზაციის კონცეფციის შემუშავება

**შედეგების ინდიკატორები:**

პროკურატურის ვებგვერდის მოდერნიზაციის კონცეფცია ეყრდნობა სიტუაციის ანალიზს

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ჩატარებული სიტუაციური ანალიზის მიხედვით, არსებული ვებ-გვერდი არ იყო მომხმარებელზე მორგებული. მასზე განთავსებული ინფორმაცია არ იყო სისტემატიზებული, საძიებო სისტემა კი - გამართული, რის გამოც დღის წესრიგში დადგა ვებ-გვერდის მოდერნიზაციის საკითხი. ვებგვერდის განახლების შესახებ კონცეფცია შემუშავებულია და უახლოეს პერიოდში, საქართველოს პროკურატურის განახლებული ვებგვერდი (ახალი ინტერფეისითა და ფორმატით) დაიწყებს ფუნქციონირებას. **ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 7.1.3.** კოორდინატორების სამსახურის მოდერნიზაცია

**ღონისძიება N1:** კოორდინატორების სამსახურის საზღვარგარეთ არსებული პრაქტიკის შესწავლა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. კოორდინატორების სამსახურთან დაკავშირებით შესწავლილი საუკეთესო პრაქტიკა (40)

2. შემუშავებული დოკუმენტით დაფარული საკითხები (60)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, საზღვარგარეთის პრაქტიკის შესწავლის მიზნით შეირჩა ქვეყნები (შვედეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, კოსოვო), სადაც დაზარალებულთა მომსახურებისა და კომპენსაციის სისტემა წარმატებულად მუშაობს. ჩამოთვლილი ქვეყნების მაგალითზე შესწავლილი იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა: რა ტიპის დანაშაულის დაზარალებულებისთვის უნდა გაიცეს კონპენსაცია, რა სახის ხარჯები უნდა აუნაზღაურდეთ დაზარალებულებს, სისხლის სამართლის საქმის მსვლელობის რა ეტაპზე უნდა გაიცეს კონპენსაცია, რა სახით უნდა იყოს ჩართული კოორდინატორი დაზარალებულის კონპენსაციის პროცესში და სხვა. **ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 100%-ით არის შეფასებული.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 7.1.3.** კოორდინატორების სამსახურის მოდერნიზაცია

**ღონისძიება N2:** კოორდინატორების საქმიანობის სახელმძღვანელო განახლებულია მათი არასრულწლოვანთა და ოჯახში ძალადობის საქმეებში ჩართვის მიზნით

**შედეგების ინდიკატორები:**

1. კოორდინატორების საქმიანობის სახელმძღვანელოს განახლება ეყრდნობა პრაქტიკის ანალიზს (40)
2. კოორდინატორების საქმიანობის სახელმძღვანელოს ხელმისაწვდომობა (60)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 91%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ 2018 წლის მაისში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებების საფუძველზე საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ანალიტიკურმა სამმართველომ შეიმუშავა ახალი სახელმძღვანელო მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის შესახებ. აღნიშნული სახელმძღვანელო, როგორც შიდა სამსახურეობრივი დოკუმენტი, დაეგზავნა პროკურატურის სისტემის ყველა თანამშრომელს. **ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 91%-ით არის შეფასებული** (იმის გათვალისწინებით, რომ ახალი სახელმძღვანელოს გაცნობა სამუშაო შეხვედრების ფორმატში უფრო ეფექტიანი იქნებოდა, ვიდრე დოკუმენტის გაგზავნით).

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 7.1.3.** კოორდინატორების სამსახურის მოდერნიზაცია

**ღონისძიება N3:** კოორდინატორების გადამზადება არასრულწლოვანთა და ოჯახში ძალადობის საქმეებში ჩართვის მიზნით

**შედეგების ინდიკატორები:**

1. კოორდინატორთა რაოდენობა, რომლებიც გადამზადდნენ კოორდინატორებთან თანამშრომლობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით (40)

2. ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)
3. ტრენინგის ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის გაძლიერების მიზნით, პროკურატურის მენეჯერებისა და კოორდინატორების მონაწილეობით, ჩატარდა ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 26 პირი, მათ შორის 12 კოორდინატორი. ტრენინგზე განხილულ იქნა ოჯახში ძალადობა, ტრეფიკინგი და ბავშვთა ექსპლუატაცია. ამასთან, კოორდინატორებისთვის განხორციელდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზაციის კურსი, რომელშიც 17 კოორდინატორი იღებდა მონაწილეობას. გარდა ამისა, განხორციელდა ორი სასწავლო ვიზიტი, რომელშიც ჩართული იყო პროკურატურის 12 წარმომადგენელი, მათ შორის, ხუთი კოორდინატორი. ტრენინგის ფარგლებში დაიფარა ისეთი თემები, როგორიცაა დაზარალებულის უფლებები, ძირითადი კომუნიკაციის უნარები, თანამშრომლობის და ადვოკატირების ფორმები. **ღონისძიების სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 100%-ით არის შეფასებული.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 7.1.3.** კოორდინატორების სამსახურის მოდერნიზაცია

**ღონისძიება N4:** კოორდინატორების საქმიანობასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ვიდეო რგოლის და საინფორმაციო ბუკლეტების მომზადება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ვიდეო რგოლისა და ბუკლეტების გავრცელების ფორმები/საშუალებები, დაფარვის არეალი

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კოორდინატორების საქმიანობასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით მომზადდა სამი ვიდეორგოლი და საინფორმაციო ბუკლეტები. ვიდეორგოლები გავრცელდა საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ტელეკომპანია „იმედის“ ეთერის საშუალებით. ბუკლეტები დარიგებული იქნა ,,დაზარალებულთა კვირეულის“ ფარგლებში პროკურატურის მიერ განხორციელებული ყველა აქტივობის განმავლობაში. 2017 წელს დაზარალებულთა კვირეულის ფარგლებში ჩატარდა 48 ღონისძიება საქართველოს შვიდ ქალაქში: თბილისში, გორში, რუსთავში, თელავში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში. ღონისძიებები მოიცავდა საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან; გამწვანების აქციებს; არტ-ნამუშევრების კონკურს; მარათონს ლისის ტბაზე; იუსტიციის სახლებში ბანერების განთავსებასა და ბროშურების დარიგებას. კვირეულის

ფარგლებში დარიგდა ოთხი ათასამდე ბუკლეტი. აღნიშნული ღონისძიებები შუქდებოდა შემდეგ ტელევიზიებში: „იმედი“, „TV პირველი“ და სხვა რეგიონულ ტელევიზიებში („აჭარა“, „25“, „რიონი“, „ოდიში“, “თანამგზავრი“, „დია“ და „ქვემო ქართლი“). ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ განთავსებული იყო საქართველოს პროკურატურის ვებგვერდსა და „საზოგადოებრივი პროკურატურის“ სოციალური ქსელის (Facebook) გვერდზე. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად არის შესრულებული და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 7.1.4.** მოქალაქეებთან კომუნიკაციის დოკუმენტისა და ელექტრონული პროგრამის შექმნა

**ღონისძიება N1:** მოქალაქეებთან კომუნიკაციის დოკუმენტის შემუშავება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. მოქალაქეებთან კომუნიკაციის დოკუმენტი დამტკიცებულია

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის მიერ მოწოდებული იქნა შემდეგი ინფორმაცია: მოქალაქესა და პროკურორს შორის ეფექტური კომუნიკაციის წარმართვის უზრუნველსაყოფად შემუშავდა მოქალაქეებთან კომუნიკაციის დოკუმენტი, შეხვედრების ელექტრონული პროგრამა და ამ პროგრამის საპრეზენტაციო დოკუმენტი. პროგრამის შემუშავების მიზანი იყო განცხადებების სისტემატიზაცია; შეხვედრების ორგანიზაციული უზრუნველყოფა; ზემდგომი რგოლის ინფორმირება განხორციელებული შეხვედრის თაობაზე; მოქალაქისა და პროკურორის რესურსების დაზოგვა.

მოწოდებული ინფორმაციით აღნიშნული ღონისძიება შესრულებულად ვერ შეფასდება, ვინაიდან ღონისძიება ითვალისწინებდა ისეთი დოკუმენტის შემუშავებას, რაც საფუძველი ან სახელმძღვანელო დოკუმენტი იქნებოდა მოქალაქეებთან კომუნიკაციისთვის. მოწოდებული ინფორმაციიდან კი არ ირკვევა, რას გულისხმობს მოქალაქეებთან კომუნიკაციის დოკუმენტი და კონკრეტულად რა საკითხებს ითვალისწინებს ის. რაც შეეხება შეხვედრების ელექტრონულ პროგრამას, ცალსახაა, რომ ის შეხვედრების მხოლოდ ორგანიზაციულ მხარეს აუმჯობესებს. შესაბამისად, **ღონისძიება შეუსრულებელია და მისი შესრულების პროგრესი 0%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 7.1.4.** საქმეთა გადანაწილების სისტემის რეფორმა

**ღონისძიება N2:** მოქალაქეებთან კომუნიკაციის დოკუმენტის პროკურატურის თანამშრომლებისთვის გაცნობა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. მოქალაქეებთან კომუნიკაციის დოკუმენტის პროკურატურის თანამშრომლებისთვის გაცნობის ფორმა

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, კომუნიკაციის დოკუმენტს თავდაპირველად გაეცნენ პროკურატურის მენეჯერები, ხოლო მოგვიანებით მოქალაქეთა კომუნიკაციის დოკუმენტს გაეცნო პროკურატურის ყველა თანამშრომელი. როგორც წინა ღონისძიების შეფასებისას აღინიშნა, პროკურატურის მიერ მომზადებული დოკუმენტი, მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, წარმოადგენს არა მოქალაქეებთან კომუნიკაციის სახელმძღვანელოს, არამედ ტექნიკური ხასიათის ლოგისტიკურ დოკუმენტს. რამდენადაც პირველი ღონისძიება შეუსრულებლად ჩაითვალა, ვერც აღნიშნული ღონისძიება ჩაითვლება შესრულებულად. **ღონისძიება შეუსრულებელია და მისი შესრულების პროგრესი არის 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 7.1.4.** საქმეთა გადანაწილების სისტემის რეფორმა

**ღონისძიება N3:** მოქალაქეებთან კომუნიკაციის ელექტრონული პროგრამის შექმნა და დანერგვა

**შედეგების ინდიკატორები**

1. პროკურატურის სტრუქტურული ერთეულები, სადაც დაინერგა მოქალაქეებთან კომუნიკაციის ელექტრონული პროგრამა

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 91%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, შემუშავდა მოქალაქეებთან შეხვედრების ელექტრონული პროგრამა და ამ პროგრამის საპრეზენტაციო დოკუმენტი. პროგრამის შემუშავების მიზანი იყო განცხადებების სისტემატიზაცია; შეხვედრების ორგანიზაციული უზრუნველყოფა; ზემდგომი რგოლის ინფორმირება განხორციელებული შეხვედრის თაობაზე; მოქალაქისა და პროკურორის რესურსების დაზოგვა. მოქალაქეებთან კომუნიკაციის ელექტრონული პროგრამა ამუშავდა პროკურატურის ორგანოებში და მიმდინარეობს მასზე დაკვირვება მისი დახვეწის და სრულყოფილად ამუშავების მიზნით. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა ჩაითვალოს, ხოლო მისი შესრულების პროგრესი 91%-ია** (იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის დახვეწას საჭიროებს).

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 7.1.5.** სტატისტიკური ინფორმაციის პროაქტიური გამოქვეყნება.

**ღონისძიება N1:** სტატისტიკური მონაცემების სრულყოფის მიზნით დოკუმენტის შემუშავება.

**შედეგების ინდიკატორები**

1. სტატისტიკური მონაცემების სრულყოფის მიზნით დოკუმენტის შემუშავებაში ჩართული პირები (50)

| |
|---|
| 2. სტატისტიკური მონაცემების სრულყოფის მიზნით შემუშავებული დოკუმენტით გათვალისწინებული საკითხები (50)<br><br>**სტატუსი:** სრულად შესრულება<br><br>**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100% |

სისხლის სამართლის ელექტრონული საქმის წარმოების სისტემის სრულყოფისა და სტატისტიკური მოდულის დახვეწის მიზნით საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს მიერ შემუშავდა დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ის სტატისტიკური მონაცემები, რომელთა დათვლაც უნდა მოხდეს ახალი ელექტრონული პროგრამის დანერგვის შემდგომ. შესაგროვებელი სტატისტიკური მონაცემები გაიწერა სისხლის სამართლის პროცესის სტადიებისა და სუბიექტების მიხედვით, რათა შესაძლებელი იყოს გამოძიების დაწყებიდან სამართალწარმოების პროცესის ჩათვლით სხვადასხვა სახის სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება რეგიონულ ჭრილში, ცალკეული დანაშაულების, პირთა ასაკისა თუ სქესის მიხედვით. აღნიშნული მიზნით დოკუმენტი ითვალისწინებს მონაცემების შეგროვებას შემდეგი მიმართულებებით: გამოძიების დაწყება; სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება; სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყება და შეწყვეტა; გამოძიების შეწყვეტა; აღკვეთის ღონისძიებები; განაჩენი და სასჯელები; შეწყვეტილი დევნის განახლება; შეწყვეტილი გამოძიების განახლება; საქმის სასამართლოში წარმართვა; გამოსაძიებლად გადაცემა; დაკავება და დაკავებიდან განთავისუფლება; განრიდება; წინასასამართლო სხდომაზე დევნის შეწყვეტა; დაზარალებული; ზიანი; საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები, მათ შორის გადაუდებელი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები; ყადაღა დაყენებული შუამდგომლობებისა და სასამართლოს განჩინებების მიხედვით; ექსპერტიზა; ბრალდებაზე უარის თქმა და სხვა. ზემოაღნიშნული მონაცემების ნაწილს პროკურატურა სტატისტიკურად ამუშავებს შიდაუწყებრივი კვლევებისა და ანალიზების განხორციელების მიზნით და მათ გამოქვეყნებაზე და გაცემაზე პასუხისმგებელი არ არის, მაგალითად ასეთი მონაცემებია: გამოძიების დაწყება; განაჩენები და სასჯელები; გამოკითხვა-დაკითხვის მაჩვენებელი, რომელიც არ განუხორციელებია პროკურატურის გამომძიებელს. ინფორმაციის დამუშავება ხდება პირების მიხედვით, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით. შესაძლებელი ინფორმაცის დამუშავება პირებისა და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების ურთიერთმიმართებით, რაც გულისხმობს სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებას პირზე სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის მიხედვით რა გადაწყვეტილება იქნა მიღებული და პირიქით. პროგრამა ამ ინფორმაციის დამატებით ჩაშლის შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვა ინდიკატორებით: სქესი, ასაკი, გეოგრაფიული არეალი. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სააღრიცხვო მიზნებისთვის საჭირო თვლად ობიექტებს ბიზნეს ანალიტიკოსების მიერ პროგრამირების მიზნებისთვის დამუშავდა და გაიწერა ამოცანების სახით, რის საფუძველზეც შეიქმნა შესაბამისი პროგრამული მოდულები და მოხდა მათი ინტეგრირება სისხლის სამართლის

საქმისწარმოების ახალ სისტემაში. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, **ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

### 4.8. ამოცანა 8. დანაშაულის პრევენცია

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მერვე ამოცანა და მიზანი გულისხმობს დანაშაულის პრევენციას. აღნიშნული მიზნის მიღწევის მექანიზმად ოთხი კომპონენტია გათვალისწინებული, რომლებიც 2017 წლისთვის 12 ღონისძიების შესრულებას ითვალისწინებს. აღნიშნული ღონისძიებებიდან შვიდი სრულად შესრულდა, ერთი - მეტწილად, ოთხი - ნაწილობრივ. მერვე ამოცანის ქვეშ შეუსრულებელი ღონისძიება არ გვხვდება. **მერვე ამოცანის ღონისძიებების შესრულების პროგრესი 78%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.1.** ადგილობრივი საბჭოების შექმნა

**ღონისძიება N1:** ადგილობრივი საბჭოს შექმნა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. შექმნილი ადგილობრივი საბჭოების რაოდენობა (30)
2. ადგილობრივი საბჭოების ფუნქციები/უფლებამისილება (35)
3. ადგილობრივი საბჭოს შემადგენლობა (35)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული იქნა შემდეგი ინფორმაცია: 2017 წლის მდგომარეობით ადგილობრივი საბჭო შექმნილია ყველა ტერიტორიულ ერთეულში. ამავე წელს გაიმართა ადგილობრივი საბჭოს 14 სხდომა. ქუთაისში (ორი სხდომა), მცხეთაში, სამტრედიაში, თბილისში (ექვსი სხდომა რაიონების მიხედვით), თელავში, რუსთავში, გორსა და ზუგდიდში.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობის მიმართულება და მიზანი, მისი ფუნქციები და უფლებამოსილება გაწერილია ადგილობრივი საბჭოების დებულების პროექტში, რომელიც გამზადებულია დასამტკიცებლად.

საბჭოების შემადგენლობაში შედიან პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადგილობრივი თვითმართველობის, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების, პრობაციის სააგენტოს, სახალხო დამცველის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, **ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.1.** ადგილობრივი საბჭოების შექმნა

**ღონისძიება N2:** ადგილობრივი საბჭოს ამოქმედება მინიმუმ 4 ქალაქში (რეგიონში)

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ქალაქების (რეგიონების) რაოდენობა, სადაც მოქმედებს ადგილობრივი საბჭო

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ ადგილობრივი საბჭო შექმნილია რვა ტერიტორიულ ერთეულში. ამავე წელს გაიმართა ადგილობრივი საბჭოს 14 სხდომა. ქუთაისში (ორი სხდომა), მცხეთაში, სამტრედიაში, თბილისში (ექვსი სხდომა რაიონების მიხედვით), თელავში, რუსთავში, გორსა და ზუგდიდში. ადგილობრივი საბჭოების საქმიანობას კოორდინაციას უწევს საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე **ღონისძიება სრულად შესრულებულად ითვლება და მისი შესრულების პროგრესი, 100%-ით ფასდება.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.1.** ადგილობრივი საბჭოების შექმნა

**ღონისძიება N3:** თითოეული ადგილობრივ საბჭოს მიერ მინიმუმ 2 სხდომის გამართვა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. თითოეული ადგილობრივი საბჭოს მიერ გამართული სხდომების რაოდენობა (50)
2. სხდომების ღიაობა/საჯაროობა (50)

**სტატუსი:** მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 90%

2017 წელს თითოეული ადგილობრივი საბჭოს მინიმუმ ორი სხდომაა გამართული, რომლებიც საჯაროა. სხდომის ჩატარების შესახებ საბჭოს წევრებს ეცნობათ ელ. ფოსტის მეშვეობით. წარმოდგენილ ინფორმაციაში ზუსტად არ ჩანს, საჯაროობის შესახებ მოსახლეობა რა ფორმით იქნა ინფორმირებული და შესაბამისად, იქნა თუ არა საჯაროობა უზრუნველყოფილი. ამიტომ ღონისძიება სრულად შესრულებულად ვერ ჩაითვლება. **ღონისძიება მეტწილად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 90%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.1.** ადგილობრივი საბჭოების შექმნა

**ღონისძიება N4:** ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ წლიური ანგარიშის მომზადება და საკონსულტაციო საბჭოსთვის წარდგენა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ ანგარიში ყურადღებას ამახვილებს არსებულ გამოწვევებზე, ხარვეზებზე და მათ მიზეზებზე (50)

2. ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ ანგარიშში მოცემულია არსებული გამოწვევების დაძლევის შესახებ რეკომენდაციები (50)

**სტატუსი:** ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 40%

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ანგარიში მომზადდა საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს მიერ და 2017 წლის 28 დეკემბერს წარედგინა საკონსულტაციო საბჭოს. ანგარიშში საუბარია წლის განმავლობაში საბჭოების მიერ ჩატარებული შეხვედრების, დამსწრე პირებისა და შეხვედრებზე განხილული საკითხების შესახებ. ასევე იდენტიფიცირებულია საბჭოების საქმიანობასთან დაკავშირებული ხარვეზები და მოცემულია მათი შესაძლო მოგვარების გზები. მოცემულ ინფორმაციაში არ ჩანს რა ტიპის ხარვეზები იქნა გამოკვეთილი და რა რეკომენდაციები გაიცა. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ღონისძიება ნაწილობრივ არის შესრულებული და მისი შესრულების პროგრესია 40%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.2** კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფის შექმნა

**ღონისძიება N1:** კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფის შექმნა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. კრიმინილოგთა სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (60)
2. კრიმინილოგთა სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატი (40)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 91%

2017 წელს საქართველოს მთავარ პროკურატურაში მთავარი პროკურორის ბრძანებით შეიქმნა კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფი/საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შედგება კრიმინოლოგიის სფეროში თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირებისგან. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე არის მთავარი პროკურორი. ჯგუფის წევრები არიან კრიმინოლოგიის სფეროში თეორიული და პრაქტიკული, აგრეთვე საქართველოსა და ევროპის უნივერსიტეტებში აკადემიური გამოცდილების მქონე შემდეგი პირები: გიორგი თორდია, ამირან მოსულიშვილი, თემურ ცქიტიშვილი, გიორგი ღლონტი, ალექსანდრე ღლონტი, მორის შალიკაშვილი, უშანგი ბახტაძე. ჯგუფის მთავარი ფუნქციაა საქართველოს პროკურატურის მიერ მომზადებული ანალიზების, კვლევების, კონცეფციების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება. მისი წევრები მონაწილეობენ დანაშაულის პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვაში. სამუშაო ჯგუფი შეხვედრების ფორმატში საქმიანობს. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ღონისძიებისთვის გათვალისწინებული ყველა ინდიკატორი შეიძლება დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს, თუმცა, მსგავსი ტიპის ჯგუფის/საბჭოს შექმნისას, მნიშვნელოვანია, როგორ ხდება ჯგუფის/საბჭოს წევრების შერჩევა (მაგ: კონკურის საფუძველზე, ვინ ახდენს კანდიდატების შეფასებას და ა.შ.). **შესაბამისად, მართალია, ღონისძიება სრულად შესრულებულად ითვლება, მაგრამ მისი შესრულების პროგრესი 91%-ით ფასდება.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.2** კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფის შექმნა

**ღონისძიება N2:** კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფის სხდომაზე პროკურატურის მიერ მომზადებული ანგარიშის ან ანალიზის განხილვა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფის მიერ განხილული პროკურატურაში მომზადებული ანგარიშის ან ანალიზის რაოდენობა (40)
2. ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (60)

**სტატუსი:** ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 40%

2017 წელს კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფმა განიხილა პროკურატურაში მომზადებული ანალიტიკური დოკუმენტები: სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ოჯახური დანაშაულის ანალიზი, ქალთა მიმართ ჩადენილი მკვლელობების ანალიზი, არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ანალიზი, არასრულწლოვანი დაზარალებულები, განრიდების საქმეების კრიმინოლოგიური ანალიზი.

ვინაიდან დოკუმენტების განხილვას, როგორც აქტივობას, თან უნდა ახლდეს შესაბამისი შედეგი, ღონისძიების სრულად შესრულებულად მიჩნევისთვის, საჭირო იყო იმის დაზუსტება, თუ რა გადაწყვეტილებები მიიღო ჯგუფმა აღნიშნული დოკუმენტების განხილვის შემდგომ. **შესაბამისად, ღონისძიება ნაწილობრივ შესრულებულად ითვლება და მისი შესრულების პროგრესი 40%-ით არის შეფასებული.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.3** პრევენციული ღონისძიებების პროგრამისა და მათი ეფექტიანობის შეფასების სისტემის შექმნა

**ღონისძიება N1:** პრევენციულ ღონისძიებათა სტანდარტის შემუშავებაზე სამუშაო ჯგუფის შექმნა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. პრევენციულ ღონისძიებათა სტანდარტის შემუშავებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (60)
2. პრევენციულ ღონისძიებათა სტანდარტის შემუშავებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატი (40)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 91%

პრევენციულ ღონისძიებათა სტანდარტის შემუშავების მიზნით პროკურატურაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება მთავარი პროკურატურის ადმინისტრაციისა და საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტების წარმომადგენლებისგან. ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობს შეხვედრების

ისევე, როგორც ელ. კომუნიკაციის მეშვეობით. აღნიშნულ ღონისძიებასთან მიმართებით, ისევე როგორც სხვა მსგავს ღონისძიებებთან დაკავშირებით, სასურველია უფრო მეტი ინფორმაცია იქნეს წარმოდგენილი იმის შესახებ, თუ რა განრიგით/სიხშირით მიმდინარეობს სამუშაო ჯგუფის მუშაობა. **ღონისძიება სრულად შესრულებულია, მისი შესრულების პროგრესი კი შეფასებულია 91%-ით.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.3** პრევენციული ღონისძიებების პროგრამისა და მათი ეფექტიანობის შეფასების სისტემის შექმნა

**ღონისძიება N2:** პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასების დოკუმენტის შემუშავება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. პრევენციული ღონისძიებების შეფასების კრიტერიუმები (50)
2. პრევენციული ღონისძიებების შეფასების დოკუმენტის შექმნაში მონაწილე პირები (50)

**სტატუსი:** ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 50%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასების დოკუმენტის დოკუმენტი შემუშავების პროცესშია, მასზე მუშაობა დასრულდება მას შემდეგ, რაც დამტკიცდება დანაშაულის პრევენციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. გარდა აღნიშნულისა, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით მიმდინარეობს მუშაობა ეფექტიანობის შეფასების მექანიზმზე. 2017 წლის დეკემბრის თვეში სამუშაო ჯგუფის შეკრებისას შეჯამებული იქნა საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შედეგები და ასევე განისაზღვრა პრევენციული ღონისძიებების შეფასების სავარაუდო კრიტერიუმები. რამდენადაც წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილე პირების ან შინაარსის შესახებ, **ღონისძიება ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს შესრულების პროგრესი შეფასდეს 50%-ით.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.4.** საზოგადოებრივი პროკურატურის მასშტაბების ზრდა

**ღონისძიება N1:** ყველა რაიონული პროკურატურის ჩართვა საზოგადოებრივი პროკურატურის ღონისძიებებში

**შედეგების ინდიკატორები:**

რაიონული პროკურატურების რაოდენობა, რომლებიც ჩაერთვნენ საზოგადოებრივი პროკურატურის ღონისძიებებში

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტში ჩართულია ყველა რაიონული პროკურატურა. კერძოდ, პროექტში ჩართულია საქართველოს 28 რაიონული პროკურატურა, თითოეული პროკურატურიდან პროექტში აქტიურად არის ჩართული მინიმუმ ორი პროკურორი, როგორც რიგითი, ისე მენეჯერი. თითოეული რაიონი ადგენს ჩასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმას, დაგეგმილ ღონისძიებებს ახორციელებს პროკურატურის ადმინისტრაციასთან კოორდინირებით.

პროექტში ჩართულ რაიონებში დანაშაულის პრევენციის მიზნით ხორციელდება საგანმანათლებლო-ინტელექტუალური, კულტურული, სპორტული ხასიათის ღონისძიებები. ასევე ეწყობა სხვადასხვა სახის სოციალური აქციები, მათ შორის, საქველმოქმედო, დასაქმების, გამწვანების, დასუფთავების და სხვა. **ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 100%-ით შეფასდა.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.4.** საზოგადოებრივი პროკურატურის მასშტაბების ზრდა

**ღონისძიება N2:** საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე სამუშაო ჯგუფის შექმნა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (60)

2. საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატი (40)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე სამუშაო ჯგუფი შეიქმნა და 2017 წელს რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა. სამუშაო ჯგუფი შემადგენლობა შემდეგნაირად განისაზღვრა:

1. საქართველოს მთავარი პროკურატურის ადმინისტრაციის უფროსი;
2. საქართველოს მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი;
3. საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მრჩეველი;
4. საქართველოს მთავარი პროკურატურის ადმინისტრაციის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს მრჩეველი - პროექტის კოორდინატორი;

5. საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს მრჩეველი;
6. სამტრედიის რაიონული პროკურორი;
7. ზუგდიდის რაიონული პროკურორი;
8. თელავის რაიონული პროკურორის მოადგილე.

სამუშაო ჯგუფი პერიოდულად იკრიბებოდა და მოსაზრებებს ცვლიდა ელექტრონული ფოსტის საშუალებით. სამუშაო ჯგუფმა სულ სამი შეხვედრა ჩაატარა. საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. ასევე მისაღებია მოწოდებული ინფორმაცია სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ფორმატთან და შეკრების რაოდენობასთან დაკავშირებით. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულებულად ჩაითვალა და მისი შესრულების პროგრესი 100%-ით შეფასდა.**

| |
|---|
| **მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.4.** საზოგადოებრივი პროკურატურის მასშტაბების ზრდა |
| **ღონისძიება N3:** საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის კონცეფციის შექმნა |
| **შედეგების ინდიკატორები:** |
| 1. საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის კონცეფციით გათვალისწინებული საკითხები |
| **სტატუსი:** სრულად შესრულებული |
| **ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100% |

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის კონცეფცია 2017 წელს შემუშავდა და მისი შინაარსი შემდეგია:

- პროექტის მიზანი;
- პროექტის ამოცანები;
- პროექტის სამოქმედო არეალი;
- პროექტის სამიზნე ჯგუფი;
- პროექტის მიმართულება;
- კოორდინაცია და მონიტორინგი;
- მოსალოდნელი რისკები და შედეგები.

კონცეფციის პროექტი მის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბებამდე სამუშაო ჯგუფის მიერ შეთანხმებული იქნა საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილესთან, რომლის შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ დოკუმენტმა მიიღო საბოლოო სახე და გამოიყენება შიდა სამსახურებრივი მოხმარებისთვის. რამდენადაც კონცეფციის შინაარსი შეესაბამება სტანდარტულად მსგავსი ტიპის დოკუმენტისთვის საჭირო კომპონენტებს, აღნიშნული

**ღონისძიება სრულად შესრულებულად ჩაითვალა და მისი შესრულების პროგრესი 100%-ით შეფასდა.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.4.** საზოგადოებრივი პროკურატურის მასშტაბების ზრდა

**ღონისძიება N4:** საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების წლიური ანალიზის მომზადება და გასაჯაროება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების წლიური ანალიზი ყურადღებას ამახვილებს გამოწვევებზე და ხარვეზებზე, ითვალისწინებს რეკომენდაციებს მათი აღმოფხვრის / დაძლევის მიზნით (60)

2. საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების წლიური ანალიზის გაცნობა და ხელმისაწვდომობა საზოგადოებისთვის (40)

**სტატუსი:** ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 30%

ღონისძიებასთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების 2017 წლის ანგარიში შესულია მთავარი პროკურორის ანგარიშში. საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მართლაც ხელმისაწვდომია საქართველოს მთავარი პროკურორის 2017 წლის ანგარიშში, თუმცა, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო არა განხორციელებული ღონისძიებების შესახებ აღწერილობითი ინფორმაციის, არამედ ღონისძიებების შესახებ ანალიზის მომზადება, რაც გულისხმობს მათ შეფასებას, გამოწვევების და მიღწევების გაანალიზებას და ა.შ. პროკურატურის 2017 წლის ანგარიშში კი მხოლოდ მოკლე ინფორმაციაა მითითებული პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების სახეების, რაოდენობის და მონაწილეების შესახებ, თუმცა რაიმე ანალიზს აღნიშნული წლიური ანგარიში არ მოიცავს. შესაბამისად, **ღონისძიება ნაწილობრივ შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 30%-ით შეფასდა.**

## 4.9. ამოცანა 9. სამუშაო გარემოს გაუმჯობესება

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეცხრე ამოცანა და მიზანი გულისხმობს პროკურატურაში სამუშაო გარემოს გაუმჯობესებას. აღნიშნული მიზნის მიღწევის მექანიზმად სამი კომპონენტია გათვალისწინებული, რომლებიც 2017 წლისთვის სამი ღონისძიების შესრულებას ითვალისწინებს. აღნიშნული სამი ღონისძიებიდან ორი მეტწილად შესრულდა, ხოლო ერთი - ნაწილობრივ. **მეცხრე ამოცანის ღონისძიებების შესრულების პროგრესი 73%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 9.1.1.** სამუშაო პირობების სტანდარტიზაცია

**ღონისძიება N1:** შრომითი პირობების სტანდარტიზაციის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. შრომითი პირობების სტანდარტიზაციის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (60)
2. შრომითი პირობების სტანდარტიზაციის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატი (40)

**სტატუსი:** მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 90%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, შრომითი პირობების სტანდარტიზაციის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი შედგება პროკურატურის ადმინისტრაციისა და ეკონომიკური დეპარტამენტის წარმომადგენლებისგან. ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობს შეხვედრებისა და ელ. კომუნიკაციის ფორმატში. გარდა ამისა, სამუშაო ჯგუფი არაერთხელ შეიკრიბა მოსაზრებების გასაცვლელად. რამდენადაც სამუშაო ჯგუფში, რომელმაც შრომის პირობების სტანდარტიზაციაზე უნდა იმუშაოს, არ გვხვდება ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, ღონისძიება სრულად შესრულებულად ვერ ჩაითვლება. შესაბამისად, **ღონისძიება მეტწილად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 90%-ით შეფასდა.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 9.1.2.** სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის გაუმჯობესება

**ღონისძიება N1:** ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დახვეწის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დახვეწის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (60)
2. ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დახვეწის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატი (40)

**სტატუსი:** მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 90%

პროკურატურის სისხლის სამართლის ელექტრონული საქმისწარმოების (გამოძიების) სისტემის დახვეწის მიზნით შექმნილი სამუშაო შედგება საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლებისგან. ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობს პერიოდული შეხვედრების ფორმატში. ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის თანამშრომლების სამუშაო ჯგუფში ჩართვა დაგეგმილია მას შემდეგ, რაც მოხდება ხარვეზების იდენტიფიცირება. ღონისძიების შესრულების შეფასებისთვის აგრეთვე საჭირო იყო ინფორმაცია 2017 წლის განმავლობაში სამუშაო ჯგუფის

მიერ გამართულ შეხვედრებზე. **ღონისძიება მეტწილად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 90%-ით შეფასდა.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 9.1.3.** შიდამოხმარების ქსელის დახვეწა

**ღონისძიება N1:** შიდა მოხმარების ქსელის დახვეწის მიზნით სამუშაო ჯგუფის და ამოცანის შექმნა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. შიდა მოხმარების ქსელის დახვეწის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (35)
2. შიდა მოხმარების ქსელის დახვეწის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატი (30)
3. შიდა მოხმარების ქსელის დახვეწის მიზნით მომზადებული ამოცანა დამტკიცებულია (35)

**სტატუსი:** ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 40%

პროკურატურის შიდა მოხმარების ქსელის დახვეწის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტდა საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტისა და პროგრამული უზრუნველყოფის, უსაფრთხოების და ტექნიკური მხარდაჭერის სამმართველოს უფროსებისგან, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის და ხუთი პროკურორის, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის, უსაფრთხოების და ტექნიკური მხარდაჭერის სამმართველოს ორი მრჩევლისგან. ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობს შეხვედრების ფორმატში. ამ ეტაპზე ამოცანის ამსახველი დოკუმენტი შემუშავების პროცესშია. რამდენადაც ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების პერიოდულობის შესახებ. აგრეთვე, ღონისძიებით გათვალისწინებული ამოცანა მომზადებული არ არის. **ღონისძიება ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს, ღონისძიების შესრულების პროგრესი კი 40-ით შეფასდა.**

## 4.10. ამოცანა 10. თანამშრომელთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლება

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მე-10 ამოცანა და მიზანი გულისხმობს პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლებას. აღნიშნული მიზნის მიღწევის მექანიზმად შვიდი კომპონენტია გათვალისწინებული, რომლებიც 2017 წლისთვის შვიდი ღონისძიების შესრულებას ითვალისწინებს. აღნიშნული შვიდი ღონისძიებიდან ყველა სრულად შესრულდა, რაც მისასალმებელია. **მე-10 ამოცანის ღონისძიებების შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 10.1.1** თანამშრომლების მომზადება/გადამზადება

**ღონისძიება N1:** არსებული საჭიროებების გამოსავლენად, ტრენინგ საჭიროებათა ანალიზის განხორციელება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ტრენინგ საჭიროებათა ანალიზის განხორციელების მეთოდოლოგია (50)
2. საჭიროებათა ანალიზში მონაწილე პროკურატურის მუშაკთა რაოდენობა (50)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანური რესურსებისა მართვისა და განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განვითარებისა და კარიერის მართვის ცენტრი ყოველი წლის ბოლოს განსაზღვრავს მომდევნო წლის სწავლების პრიორიტეტებს. პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში ცენტრი ხელმძღვანელობს საქართველოს პროკურატურის ერთიანი სტრატეგიული მიზნებით და ატარებს ტრენინგის საჭიროებათა ანალიზს. არსებული პრაქტიკით, საქართველოს პროკურატურის ყველა სტრუქტურული ერთეულისა და ტერიტორიული ორგანოს მენეჯერს ეგზავნება კითხვარი ელ. ფოსტის მეშვეობით. მენეჯერები ადგილზე ახდენენ საჭიროებების კვლევას, პრიორიტეტების განსაზღვრას და შევსებულ კითხვარს უბრუნებენ ცენტრს. შედეგად, მუშავდება მიღებული მონაცემები და დგინდება ყველაზე მოთხოვნადი თემატური მიმართულებები.

კითხვარი მოიცავს როგორც სავარაუდო თემატიკის ჩამონათვალს, ასევე საჭიროების დასაბუთების ნაწილს. ამასთან, მენეჯერი ყოველი სასწავლო თემატიკის პარალელურად უთითებს, რამდენი თანამშრომლისთვის მიიჩნევს საჭიროდ აღნიშნული ტრენინგის ჩატარებას. მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სხვადასხვა სამოქმედო გეგმის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებისა და უწყების წინაშე არსებული გამოწვევების შესაბამისად, მუშავდება ყოველი მომდევნო წლის აქტივობების ჩამონათვალი.

მოცემული ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ღონისძიებისთვის გათვალისწინებულ ყველა ინდიკატორს. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესი 100%-ით არის შეფასებული.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 10.1.2** ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა

**ღონისძიება N1:** შემუშავდება და დაინერგება ახალი სასწავლო მოდულები: ქალთა უფლებების დაცვისა და  გენდერული თანასწორობის; სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების თემებზე

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ქალთა უფლებების დაცვისა და  გენდერული თანასწორობის; სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების თემებზე შემუშავებული და დანერგილი ახალი სასწავლო მოდულები (35)

2. ქალთა უფლებების დაცვისა და  გენდერული თანასწორობის; სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების თემებზე შემუშავებული და დანერგილი მოდულების საკითხები (35)

3. ქალთა უფლებების დაცვისა და  გენდერული თანასწორობის; სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების თემებზე შემუშავებული მოდულების დანერგვის ფორმა (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე ტრენინგ პროგრამა დაინერგა საქართველოს პროკურატურის საშუალო რგოლის მენეჯერებისათვის, პროკურორებისათვის, სისტემის გამომძიებლებისა და სტაჟიორებისათვის. პროფესიული ეთიკის, ინტერესთა შეუთავსებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის თემაზე ტრენინგ პროგრამა დაინერგა საქართველოს პროკურატურის თითოეული მუშაკისათვის. ქალთა უფლებების უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის თემაზე ტრენინგ პროგრამა დაინერგა საქართველოს პროკურატურის საშუალო რგოლის მენეჯერებისათვის, პროკურორებისათვის, სისტემის გამომძიებლებისა და სტაჟიორებისათვის.

დღის წესრიგების მიხედვით დასტურდება, რომ ჩატარებულია არაერთი ტრენინგი ქალთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულების თემებზე. ასევე, ჩატარებულია ტრენინგი პროკურატურის მუშაკთა ეთიკის, ინტერესთა შეუთავსებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის თემაზე. დღის წესრიგებით გათვალისწინებული თემატიკა სრულად შეესაბამება ღონისძიების არსს. **ღონისძიება სრულად შესრულებულია, შესრულების პროგრესი კი 100%-ით არის შეფასებული.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 10.1.3** მოქმედი მენეჯერებისა და მომავალი ლიდერების განვითარების პროგრამის დანერგვა

**ღონისძიება N1:** მენეჯერებისათვის განხორციელდება შესაბამისი სასწავლო კურსი მართვის მეთოდებთან დაკავშირებით

**შედეგების ინდიკატორები:**

1. მენეჯერების რაოდენობა, რომლებისთვისაც განხორციელდა ტრენინგი მართვის მეთოდებთან დაკავშირებით  (40)
2. მართვის მეთოდებთან დაკავშირებით ჩატარებული ტრენინგების თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)
3. ტრენინგების საკითხების რელევანტურობა (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

საქართველოს პროკურატურის მოქმედი მენეჯერებისათვის მომზადდა მიზნობრივი სასწავლო პროგრამა და მასალები ორგანიზაციის  მართვის თემაზე. სასწავლო პროგრამის შესაბამისად, 2017 წელს განხორციელდა ორი ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადება

გაიარა საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულისა და ტერიტორიული ორგანოს 43-მა მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერმა. სასწავლო პროგრამა და მასალები მომზადდა ევროკავშირის მიერ მოწვეულ ორგანიზაციასთან ,,კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი" თანამშრომლობით. ამასთან, საშუალო რგოლის მენეჯერებისთვის განხორციელდა სასწავლო ვიზიტი უნგრეთში ლიდერობისა და მენეჯმენტის თემაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 10-მა პირმა. ტრენინგების ფარგლებში განხილული იყო ლიდერობისა და მენეჯმენტის შესახებ სხვადასხვა ასპექტები: ლიდერობასა და მენეჯმენტს შორის განსხვავებები; ლიდერობის ნაირსახეობები; ინდივიდუალური ლიდერობის ნაირსახეობები; შეცდომები და ლიდერობის გამოწვევები; ზედამხედველობის კარგი და ცუდი პრაქტიკა; არაეფექტიანი ლიდერობისა და მენეჯმენტის შედეგები; სხვა. იმის გათვალისწინებით, რომ ერთი წლის განმავლობაში 50-მდე გადამზადებული მენეჯერი მისაღები ციფრია იმდენად, რამდენადაც აღნიშნული ღონისძიება მომავალ წლებშიც არის გათვალისწინებული, **ღონისძიება სრულად შესრულებულად ჩაითვალა და მისი შესრულების პროგრესი შეფასდა 100%-ით.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 10.1.4** მენტორების პროგრამის დანერგვა და ამოქმედება

**ღონისძიება N1:** მენტორების სისტემის დანერგვა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. მენტორთა სისტემის დანერგვის მიზნით გატარებული ღონისძიებები (30)
2. პროკურატურის სისტემაში განსაზღვრული მენტორების რაოდენობა (40)
3. მენტორების სისტემის დანერგვის ფორმა (30)

**სტატუსი:** მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

საქართველოს პროკურატურაში ახალი კადრების პროფესიული განვითარებისა და სისტემაში ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით 2017 წელს შემუშავდა მენტორობის პროგრამა. პროგრამის მიზანია პროკურატურის სისტემის გამოცდილი თანამშრომლების მხარდაჭერით სტაჟიორებმა შეძლონ ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი ცოდნის, უნარების განვითარება და პრაქტიკულ გამოწვევებთან გამკლავება. პროექტი ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის (DOJ) მხარდაჭერით ხორციელდება.

პროგრამის დანერგვამდე პროკურატურის პროფესიული განვითარებისა და კარიერის მართვის ცენტრმა განახორციელა კვლევა, რომლის საფუძველზეც მხედველობაში იქნა მიღებული პროგრამის დანერგვის და განხორციელების ეტაპზე არსებული შესაძლო რისკები.

მენტორის ოთხი ძირითადი ფუნქციაა:

- სოციალური მხარდაჭერა, რაშიც მოიაზრება მენტორის მიერ ახალდანიშნული მუშაკისა და სტაჟიორისთვის ორგანიზაციული კულტურის გაცნობა,

თანამშრომლებთან კოლეგიალური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ადაპტაციაში დახმარება.

- აკადემიური მხარდაჭერა, რაშიც მოიაზრება მენტორის მიერ ახალდანიშნული მუშაკისა და სტაჟიორისთვის თეორიული ცოდნის გაღრმავებასა და პროფესიული უნარების გამომუშავებაში დახმარება, ამ მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა, გამოცდილების გაზიარება და ა.შ.
- სოციალურ-ემოციური მხარდაჭერა, რაშიც იგულისხმება მენტორის მიერ ახალდანიშნული მუშაკისა და სტაჟიორისთვის პროფესიულ გამოწვევებთან და სტრესთან გამკლავებაში დახმარების გაწევა.
- კარიერის განვითარებაში ხელშეწყობა, სადაც მოიაზრება მენტორის მიერ ახალდანიშნული მუშაკისა და სტაჟიორისთვის სხვადასხვა სირთულის და შინაარსის დავალებების მიცემა პროფესიონალად ჩამოყალიბებაში დახმარების მიზნით.

2017 წელს შეირჩა 46 მენტორი პროკურატურის ყველა სტრუქტურულ ერთეულსა და დანაყოფში; შემუშავდა მენტორების სახელმძღვანელო, რაც შერჩეულ კანდიდატებს დაეხმარებათ მენტორის ფუნქცია-მოვალეობების შესრულებაში. ასევე, გაიწერა სტაჟიორების მიერ შესასრულებები აქტივობების პროგრამა მინიმუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს მენტორმა. გარდა ამისა, 2017 წელს შემუშავდა მენტორების ტრენინგ მოდული, რომელიც 2018 წლის იანვარში ჩაუტარდებათ შერჩეულ კანდიდატებს.

ინფორმაცია სრულყოფილად აღწერს მენტორთა სისტემას და აღნიშნული სისტემა დანერგვისთვის გატარებულ ღონისძიებებს. ამის გათვალისწინებით, **ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა ჩაითვალოს, მისი შესრულების პროგრესი არის 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 10.1.5** ახალი ელექტრონული პროდუქტების დანერგვა

**ღონისძიება N1:** ტექნიკური დავალების პროექტის მომზადება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. ტექნიკური დავალების პროექტის საკითხები

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

აღნიშნული ღონისძიების შესასრულებლად ევროკავშირის პროექტთან თანამშრომლობითა და მოწვეული უცხოელი ექსპერტების ჩართულობით, მომზადდა ელ. პროგრამის ტექნიკური დავალების პროექტი, რომელიც დეტალურად აღწერს პროგრამის მიზნებს, საჭიროებებს, ფუნქციონალსა და მახასიათებლებს.

ტრენინგ საჭიროებათა ანალიზის ელექტრონული პროგრამის მიზანია, ტრენინგების საჭიროებების კვლევა მოხდეს სრულყოფილად და პროცესში ჩაერთოს როგორც რიგითი, ისე მენეჯერული პოზიციის ყველა თანამშრომელი. ელექტრონული პროგრამა თითოეულ

მონაწილეს შესაძლებლობას მისცემს ელექტრონულად, სამუშაო ადგილიდან საკუთარი კომპიუტერის გამოყენებით ჩაერთოს გამოკითხვის პროცესში ტერიტორიული განლაგების მიუხედავად. როგორც თითოეულ თანამშრომელს ექნება საშუალება დაასახელოს თუ რა ტრენინგების გავლა სურს პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, ასევე მენეჯერი დააფიქსირებს საკუთარ პოზიციას თუ რა მიმართულებით ხედავს საკუთარი თანამშრომლების განვითარების საჭიროებას. რამდენადაც დეტალურად მოხდება ანალიზი, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას თანამშრომელი მისი საქმიანობიდან გამომდინარე, რომელ კომპონენტში სურს ან საჭიროებს განვითარებას, უფრო მეტი სიზუსტით მოხდება სწავლების სამოქმედო გეგმის განსაზღვრა. ამასთან, პროფესიული განვითარებისა და კარიერის მართვის ცენტრის თანამშრომლებს ექნებათ შესაძლებლობა პროგრამის საშუალებით მოახდინონ მრავალმხრივი მონაცემთა ანალიზი და ფილტრაცია, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ამ პროცესის ეფექტიანობას, მასშტაბებს და ამასთან, დაზოგავს ადამიანის და დროის რესურსს. **ღონისძიება სრულად შესრულებულად ითვლება და მისი შესრულების პროგრესი არის 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 10.1.6** სტუდენტებისათვის სასწავლო აქტივობების განხორციელება

**ღონისძიება N1:** სტუდენტებთან მინიმუმ 3 შეხვედრის ჩატარება

**შედეგების ინდიკატორები:**

1. სტუდენტებთან ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა (50)
2. შეხვედრებში მონაწილე უნივერსიტეტების/სტუდენტების რაოდენობა (50)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სხვადასხვა ორგანიზაციების მომართვის საფუძველზე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსა და სკოლის მოსწავლეებს 2017 წელს 33-ჯერ უმასპინძლა. განხორციელებულ აქტივობებში 852 სტუდენტი და სკოლის მოსწავლე მონაწილეობდა. პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“, ასევე ამავე პროექტის ფარგლებში ორგანიზებული დაზარალებულთა კვირეულის ფარგლებში კი სტუდენტებთან საერთო ჯამში 19 შეხვედრა გაიმართა. ამასთან, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებმა თბილისსა და რეგიონებში მოქმედ უმაღლეს სასწავლებლებში გამართეს საინფორმაციო შეხვედრები სტაჟირების კონკურსთან დაკავშირებით.

გამართულ შეხვედრებში და სასწავლო აქტივობებში სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ, მათ შორის იყვნენ: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, ევრორეგიონალური სასწავლო უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტის, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA), აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის, ქართულ ამერიკული

უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის უნივერისტეტისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

ღონისძიებისთვის მოწოდებული ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორებს. პოზიტიურად უნდა შეფასდეს 19 შეხვედრის ჩატარება, მაშინ როდესაც ღონისძიება მინიმუმ სამ შეხვედრას ითვალისწინებდა. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულებულად ითვლება და მისი შესრულების პროგრესი არის 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 10.1.7** რანგირების სისტემის რეფორმა

**ღონისძიება N1:** პროკურორთა რანგირების სისტემის რეფორმის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა

**შედეგების ინდიკატორები:**

1. პროკურორთა რანგირების სისტემის რეფორმის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (60)
2. პროკურორთა რანგირების სისტემის რეფორმის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატი (40)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, პროკურორთა რანგირების სისტემის რეფორმის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი შედგება საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის, სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტისა და ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლებისგან. ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობს შეხვედრების ფორმატში. **ღონისძიება სრულად შესრულებულად ითვლება და მისი შესრულების პროგრესი 100%-ით არის შეფასებული.** აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი მცირე სახის აქტივობა, როგორიც სამუშაო ჯგუფის შექმნაა, სამოქმედო გეგმაში ერთწლიან ღონისძიებად არ უნდა იყოს გაწერილი.

## 5. საქართველოს პროკურატურის სამოქმედო გეგმის ღონისძიებების შესრულების 2018 წლის მონიტორინგის შედეგები

საქართველოს პროკურატურის სამოქმედო გეგმის ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის მიზნით ინფორმაცია გამოთხოვილი იქნა საქართველოს გენერალური პროკურატურიდან. IDFI-მ ინფორმაცია გამოითხოვა 2018 წელს განსახორციელებელი ღონისძიების შესრულების შესახებ, წინასწარ შემუშავებული ინდიკატორების შესაბამისად. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ წარმოადგინა ნარატიული ინფორმაცია და დამატებითი დოკუმენტები, მათ შორის, დღის წესრიგები, სახელმძღვანელოები, კვლევები და

ა.შ. ღონისძიებების შესრულების გაზომვისას, პროკურატურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან ერთად, IDFI დაეყრდნო რეგიონული პარტნიორების, „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ (CSI) ბათუმის ფილიალისა და ასოციაცია „დეა“-ს მიერ აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში ადგილობრივად განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს, პროექტის ფარგლებში „CRRC-საქართველოს“ მიერ განხორციელებული გამოკითხვების შედეგებს და დამოუკიდებლად მოძიებულ ინფორმაციას.[107]

## 5.1. ამოცანა 1. პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდა

პროკურატურის სამოქმედო გეგმის პირველი ამოცანა და მიზანი გულისხმობს პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდას. აღნიშნული მიზნის მიღწევის მექანიზმად ექვსი კომპონენტია გათვალისწინებული, რომლებიც 2018 წლისთვის ცხრა ღონისძიების შესრულებას ითვალისწინებს. აღნიშნული ცხრა ღონისძიებიდან სამი სრულად შესრულდა, ერთი - მეტწილად ხუთი - ნაწილობრივ. პირველი მიზნის (ამოცანის) ქვეშ შეუსრულებელი ღონისძიება არ გვხვდება. **პირველი ამოცანის ღონისძიებების შესრულების პროგრესია 62%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 1.1.1.** კოლეგიური ორგანოების როლისა და მნიშვნელობის გაზრდა

**ღონისძიება N1:** სამუშაო ჯგუფის მიერ საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა კოლეგიური ორგანოების როლისა და ფუნქციების შესახებ და წინადადებების შემუშავება საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის დახვეწის მიზნით

**შეფასების ინდიკატორები:**

1. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული წინადადებები შესაბამისობაშია ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან (50)

2. პროკურატურის დეპარტამენტების/უწყებების წარმომადგენლები, რომლებსაც გაეცნო შემუშავებული დოკუმენტი (50)

**სტატუსი**: ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 20%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის პირველ ნახევარში მთავარ პროკურატურაში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა კვლევა სხვადასხვა ქვეყნის პროკურატურების კოლეგიური ორგანოების შესახებ, რომლის განხორციელებისას, იგი დაეყრდნო ამ საკითხზე ვენეციის კომისიის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა[108] და ვენეციის კომისიის ანგარიშებიდან შერჩეულ ინდივიდუალურ ქვეყნებში არსებულ მოდელებს.

[107] სექტორული სამოქმედო გეგმების შესრულების და სხვა.

[108] პროკურორთა შესახებ ვენეციის კომისიის მოსაზრებებისა და ანგარიშების კრებული, 2017; სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ ვენეციის კომისიის ანგარიში, ნაწილი II - პროკურატურა, 2011.

კვლევა შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა პროკურატურის კოლეგიურ ორგანოებთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტების არსებობა, კოლეგიური ორგანოს უპირატესობა, მანდატი, შემადგენლობა, დაკომპლექტების წესი და სხვა.

2018 წლის პირველ ნახევარში კვლევა გასაცნობად წარედგინათ მთავარ პროკურორს, მის მოადგილეებს, მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის, სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის წარმომადგენლებს, რომლებიც მუშაობდნენ პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის პროექტთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავებაზე.

კვლევაში ასახული საუკეთესო პრაქტიკის ნაწილი, რომელიც მოიწონა პროკურატურის მენეჯმენტმა, რეკომენდაციის სახით წარედგინა პარლამენტში პროკურატურის შესახებ ორგანულ კანონზე მომუშავე სამუშაო ჯგუფს. აღსანიშნავია, რომ მეტწილად სწორედ ამ რეკომენდაციების შედეგებს წარმოადგენს პროკურატურის შესახებ ორგანულ კანონში საპროკურორო საბჭოსთან და კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოსთან დაკავშირებული ახალი რეგულაციები.

მისასალმებელია კვლევის მომზადებისას იმ პერიოდში არსებული ვენეციის კომისიის რეკომენდაციების და სხვა სტანდარტების შესწავლა. მისაღებია იმ სამსახურების/დეპარტამენტების ჩამონათვალიც, რომელთაც გაეცნოთ მომზადებული დოკუმენტი. მიუხედავად ამისა, პროკურატურის მიერ მითითებული ვენეციის კომისიის ის რეკომენდაციები, რომლებიც გაანალიზდა სამუშაო ჯგუფის მიერ, მიუთითებდნენ პროკურატურის კოლეგიური ორგანოებისთვის მნიშვნელოვანი ფუნქციების და როლის მინიჭების საჭიროებას ისეთ საკითებში, როგორიცაა პროკურატურის დამოუკიდებლობა, პროკურორთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და ხარვეზად მიიჩნევს ასეთი ორგანოებისთვის მხოლოდ სარეკომენდაციო ან გენერალური პროკურორის დამხმარე ინსტიტუტის ფუნქციის ქონას.[109] ვენეციის კომისიის აღნიშნული მოსაზრებები არ არის ასახული პროკურატურის მიერ პარლამენტში არსებული სამუშაო ჯგუფისთვის წარდგენილ რეკომენდაციებში. მეორე ინდიკატორის მიხედვით კი, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად მომზადებული დოკუმენტის წარდგენა უნდა მომხდარიყო შესაბამისი სამსახურებისა და დეპარტამენტებისთვის. თუმცა, რადგან ზემოთ ნახსენები დოკუმენტი ვერ ჩაითვლება ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად მომზადებულ დოკუმენტად, მისი წარდგენა სხვადასხვა სამსახურებისა და დეპარტამენტებისთვის ინდიკატორის დაკმაყოფილებაზე არ მიუთითებს. **შესაბამისად, ღონისძიება ნაწილობრივ შესრულდა და მისი შესრულების პროგრესია 20%.**

[109] პროკურორთა შესახებ ვენეციის კომისიის მოსაზრებებისა და ანგარიშების კრებული, 2017, გვ. 55-56.

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 1.1.2.** შეფასების სისტემის დანერგვა

**ღონისძიება N1:** გამომძიებლების  შეფასების კრიტერიუმების შემუშავება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. გამომძიებლების შეფასების კრიტერიუმები შეესაბამება OECD/ACN-ის მეოთხე რაუნდის რეკომენდაციებს და ვენეციის კომისიის მიერ დადგენილ სტანდარტებს

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დაინერგა გამომძიებელთა შეფასების სისტემა, რომლითაც გაწერილ იქნა გამომძიებლის შეფასების მიმართულებები და კრიტერიუმები. კერძოდ, გამომძიებლის შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- გამომძიებლის საქმიანობის ხარისხის შეფასება;
- დატვირთვა;
- ხელმძღვანელის შეფასება;
- საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის შეფასება;
- პროკურორის ტრენინგებში მონაწილეობა და ტრენინგების დროს მიღებული შეფასება;
- პროკურორის პრევენციულ ღონისძიებებში და სხვა აქტივობებში მონაწილეობა;
- პროკურორის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელები და წახალისება.

გამომძიებლის შეფასება ზოგიერთ მიმართულებაში, როგორებიცაა - ტრენინგებში მონაწილეობა და ტრენინგების დროს მიღებული შეფასება; პრევენციულ ღონისძიებებსა და სხვა აქტივობებში მონაწილეობა; გამოყენებული დისციპლინური სახდელები და წახალისება - განხორციელდება პროკურორთა შეფასების იდენტურად. რაც შეეხება სხვა მიმართულებებს, შეფასების სისტემის დოკუმენტით, თითოეული მიმართულების მიხედვით, მოხდა გამომძიებლის შეფასების მეთოდოლოგიისა და კრიტერიუმების გაწერა, მიეთითა შესაფასებელი საპროცესო დოკუმენტები, საქმეთა კატეგორია. ამასთან, განისაზღვრა გამომძიებლის დატვირთვის გამოთვლის მეთოდოლოგია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, ზუსტად დადგინდეს საანგარიშო პერიოდში რამდენი და რა სახის დოკუმენტი აქვს გამომძიებელს შედგენილი. თითოეულ დოკუმენტს, სირთულისა და მნიშვნელობის მიხედვით, მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა. განისაზღვრა აგრეთვე ხელმძღვანელის და საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელი პროკურორის მიერ გამომძიებლის შეფასების მიმართულებები (ზოგადი და პროფესიული უნარ-ჩვევები) და გაიწერა თითოეულის შეფასების კრიტერიუმები.

აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ გამომძიებელთა შეფასების სისტემით დეტალურადაა გაწერილი შეფასების კრიტერიუმები. კერძოდ, რიგ მიმართულებებზე

შეფასება ხორციელდება პროკურორთა შეფასებისთვის დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, თუმცა, სხვა მიმართულებებთან დაკავშირებით, გათვალისწინებულია დეტალური კომპონენტები, რომელთა გამოყენებითაც ხდება გამომძიებლის შეფასება. ამასთან, კრიტერიუმების ჩამონათვალი არ მოიცავს მითითებას საქმეთა რაოდენობის შესახებ. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 1.1.3** გამჭვირვალე დისციპლინური პროცედურების დანერგვა

**ღონისძიება N1:** გენერალური ინსპექციის მუშაობის ამსახველი წლიური ანგარიშის მომზადება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. გენერალური ინსპექციის მუშაობის ამსახველ წლიურ ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია გამოწვევებზე და მათი მოგვარების გზებზე, დამუშავებული და გაანალიზებულია რელევანტური მონაცემები (50)

2. დეპარტამენტები და თანამშრომლების რაოდენობა, ვისაც ანგარიშის მიგნებები გაეცნოთ (50)

**სტატუსი**: ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 35%

პროკურატურის მიერ ღონისძიებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის 2016, 2017 და 2018 წლის ანგარიშები (სადაც ასევე ასახულია ინფორმაცია დისციპლინურ გადაცდომების თაობაზე) - გასაჯაროებულია და მასობრივი წვდომისთვის განთავსებულია საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე.[110] საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის 2018 წელს გაწეული საქმიანობის ამსახველი შემაჯამებელი ანგარიშის მიხედვით, 2018 წლის განმავლობაში გენერალურ ინსპექციაში დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებით ჩატარდა 66 სამსახურებრივი შემოწმება პროკურატურის 112 თანამშრომლის მიმართ. გარდა ამისა, გამოძიება დაიწყო 18 სისხლის სამართლის საქმეზე. ანგარიშში მითითებული ინფორმაციით იკვეთება, რომ დამუშავებული და გაანალიზებულია რელევანტური მონაცემები. თუმცა, ანგარიშში არ ხდება მითითება არსებულ გამოწვევებსა და მათი მოგვარების გზებზე. ასევე, პროკურატურას არ მოუწოდებია ინფორმაცია დეპარტამენტებისა და თანამშრომლების შესახებ, რომლებსაც ანგარიშის მიგნებები გაეცნოთ. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება ნაწილობრივ არის შესრულებული და მისი პროგრესია 35%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 1.1.3.** გამჭვირვალე დისციპლინური პროცედურების დანერგვა

**ღონისძიება N2:** ეთიკის კოდექსის და დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებული განმარტებების შემუშავება

**შეფასების ინდიკატორები:**

[110] http://old.pog.gov.ge/res/docs/2018angarishigeninspeqcia.pdf

1. ღონისძიებები, რომლებიც გატარდა ეთიკის კოდექსის და დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებული განმარტებების პროკურატურის თანამშრომლებისთვის გასაცნობად (50)

2. პროკურატურის თანამშრომლების პროცენტული რაოდენობა, ვისაც გაეცნოთ ეთიკის კოდექსთან და დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებული განმარტებების დოკუმენტი (50)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 80%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2017 წლის 25 მაისის N234 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი“, რომელიც ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

2018 წელს, საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის მიერ მომზადდა „ეთიკის კოდექსის“ კომენტარები, რომლის ფარგლებშიც დეტალურად გაიწერა კონკრეტული გადაცდომების სახეები და მათი უკეთ აღქმის მიზნით, თითოეული მუხლის კომენტარში მოხდა კონკრეტული შემთხვევების (კაზუსების) ასახვა, რაც თანამშრომელთათვის მუხლის/გადაცდომის შინაარსს უკეთ აღქმადს ხდის. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, რომელშიც ასევე გაიწერა, თუ რა ქმედება შეიძლება ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად, რა სიმძიმისაა ესა თუ ის გადაცდომა და რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოჰყვეს მას. ყოველივე ეს კი, გაცილებით გამჭვირვალეს ხდის დისციპლინური წარმოების პროცესს. ზემოაღნიშნული საკითხები, 2017-2018 წლებში, ტრენინგის რეჟიმში, დეტალურად გაეცნო საქართველოს პროკურატურის 552 თანამშრომელს. 2018 წლის 28 დეკემბრის მდგომარეობით, პროკურატურის მუშაკთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 848 თანამშრომელს. ტრენინგი ჩაუტარდათ პროკურორებსა და გამომძიებლებს. რაც შეეხება დანარჩენ თანამშრომლებს (სპეციალისტები, ტექნიკური მუშაკები და სხვ.), მათ ტრენინგი არ ჩატარებიათ, თუმცა, ელექტრონულად ყველას გაეცნო აღნიშნული დოკუმენტი

პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით სრულად ვერ დასტურდება ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია. ეთიკის კოდექსთან და დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებული განმარტებების დოკუმენტი ტრენინგების ფარგლებში გაეცნო პროკურატურის 552 თანამშრომელს, რაც პროკურატურის თანამშრომლების 65%-ს წარმოადგენს. მისასალმებელია, რომ დანარჩენ თანამშრომლებს ელექტრონული ფორმით მიეწოდეათ დოკუმენტი, თუმცა ეთიკის ნორმების პრაქტიკაში იმპლემენტაციისთვის აუცილებელია, მათი სამუშაო რეჟიმში დეტალური განხილვა. **შესაბამისად, ღონისძიება მეტწილად არის შესრულებული და მისი შესრულების პროგრესია 80%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 1.1.3.** გამჭვირვალე დისციპლინური პროცედურების დანერგვა

**ღონისძიება N3:** პროფესიული ეთიკის სტანდარტების თემაზე პროკურატურის სისტემის მუშაკების მომზადება/გადამზადება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. პროკურატურის თანამშრომელთა რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი პროფესიული ეთიკის სტანდარტების თემაზე (40)
2. პროფესიული ეთიკის სტანდარტების თემაზე ჩატარებული ტრენინგების და მონაწილეთა რაოდენობა (30)
3. პროფესიული ეთიკის სტანდარტების თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, პროფესიული ეთიკისა და ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებზე სწავლება გაიარეს პროკურატურის თანამშრომლებმა, მათ შორის, პროკურორებმა, სისტემის გამომძიებლებმა, მრჩევლებმა, სპეციალისტებმა, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებმა. 2018 წელს ჩატარდა 12 ტრენინგი, რომელთა ფარგლებშიც გადამზადება გაიარა 254-მა მონაწილემ.

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ღონისძიების ინდიკატორები, ძირითადად, დაკმაყოფილებულია. საშუალოდ, ტრენინგის თითო ჯგუფში იყო 21 მონაწილე, რაც ოპტიმალური რაოდენობაა ხარისხიანი ტრენინგისთვის. ამასთან, პროკურატურის მიერ მოწოდებული დღის წესრიგის თანახმად, ტრენინგების თემატიკა მოიცავდა პროკურატურის მუშაკთა ეთიკის, პერსონალური მონაცემების დაცვისა და დისციპლინური სახდელების გამოყენების საკითხებს. მათგან, თითოეული საკითხის განხილვას, დაახლოებით, საათნახევარი დაეთმო. მონაწილეებმა, რელევანტური კანონმდებლობის ანალიზთან ერთად, კაზუსები და მაგალითები განიხილეს. მართალია, ტრენინგში პროკურატურის ყველა თანამშრომელს არ მიუღია მონაწილეობა, მაგრამ აღნიშნული ღონისძიება ერთჯერადი არ არის, ის განხორციელდა 2017 წელს და აღნიშნული მიმართულებით სასწავლო კურსები 2019-2020 წლებშიც არის დაგეგმილი. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება სრულად შესრულებულად ჩაითვალა და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 1.1.3.** გამჭვირვალე დისციპლინური პროცედურების დანერგვა

**ღონისძიება N4:** საკონსულტაციო საბჭოს სამუშაო სხდომების გამართვა

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ჩატარებული საკონსულტაციო საბჭოს სხდომების რაოდენობა (50)

2. საბჭოს მიერ განხილული თემები/საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები (50)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს ჩატარდა პროკურატურის განვითარებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი საკითხების, პროკურატურის მუშაკთა წახალისების, დაწინაურებისა და დისციპლინურ საკითხთა განმხილველი საკონსულტაციო საბჭოს ხუთი სხდომა, რომლებზეც განხილულ იქნა პროკურატურის 140 მუშაკის საქმე. მთავარ პროკურორს მიეცა რეკომენდაცია 18 მუშაკის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების, 77 მუშაკის წახალისებისა და 10 მუშაკის დაწინაურების შესახებ.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ საბჭოს მიერ მოხდა რელევანტური საკითხების განხილვა საბჭოს ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა მთავარი პროკურორის მიერ. იმის გათვალისწინებით, რომ დამაკმაყოფილებელია საბჭოს შეხვედრების რაოდენობაც, **ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 1.1.4.** თანამშრომელთა როტაციის სისტემის რეფორმა

**ღონისძიება N1:** პროკურატურის თანამშრომელთა როტაციის სისტემის რეფორმის პროექტის მომზადება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. პროკურატურის თანამშრომელთა როტაციის სისტემის რეფორმის პროექტი შეესაბამება ვენეციის კომისიის რეკომენდაციებსა და სტანდარტებს

**სტატუსი**: ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 50%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის 16 დეკემბერს ძალაში შევიდა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი,[111] რომელიც არეგულირებს პროკურატურის თანამშრომელთა როტაციის წესს. აღნიშნული კანონის თანახმად, პროკურატურის თანამშრომელთა თანამდებობრივი გადაადგილების (როტაციის) წესებს ამტკიცებს გენერალური პროკურორი. 38-ე მუხლის თანახმად, პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის სხვა თანამდებობაზე გადაყვანა შესაძლოა განხორციელდეს მისი მოთხოვნის ან თანხმობის საფუძველზე. ამასთან, რიგ შემთხვევებში, აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს თანხმობის არსებობის მიუხედავად, პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის უფრო დაბალ თანამდებობაზე გადაყვანის შესაძლებლობას.

ვენეციის კომისია თავის მოსაზრებებში ყურადღებას ამახვილებს თანამდებობაზე იძულებით გადაყვანის საკითხის რეგულირებაზე. ვენეციის კომისიის სტანდარტების მიხედვით, სხვა თანამდებობაზე იძულებით გადაყვანასთან დაკავშირებით, კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს პროცედურულ გარანტიებსა და კრიტერიუმებს, გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე

[111] საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“ (2018), მუხლი 15(2)(შ).

მითითებასთან ერთად.[112] გასაჩივრების თვალსაზრისით, ვენეციის კომისიამ, მაგალითად, პროკურატურის შესახებ მონტენეგროს კანონის პროექტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კანონმდებლობა, გადაუდებელ შემთხვევებში, შესაძლოა ითვალისწინებდეს გადაყვანის თაობაზე გადაწყვეტილების საპროკურორო საბჭოსთან გასაჩივრების შესაძლებლობას.[113]

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით შედარებით უფრო დეტალურად მოხდა როტაციის საფუძვლების განსაზღვრა. მართალია, 41-ე მუხლი (გასაჩივრების წესი) არ შეიცავს მითითებას პროკურატურის თანამშრომელთა მიერ თანამდებობრივი გადაადგილების თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ, თუმცა, აღნიშნულის რეგულირება ორგანული კანონის სხვადასხვა მუხლით ხდება. კერძოდ, მე-60 მუხლი ითვალისწინებს შეფასების შედეგების გასაჩივრებას, 76-ე მუხლი კი - დისციპლინური სახდელის დადების შესახებ გენერალური პროკურორის ბრძანების/საპროკურორო საბჭოს განკარგულების გასაჩივრებას. „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონის მიხედვით, პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის უფრო დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა, მისი თანხმობის არსებობის მიუხედავად, შესაძლოა განხორციელდეს, ასევე, თუკი შეუძლებელია გადაყვანა მისი რანგისა და პოზიციის შესაბამის თანამდებობაზე ან არსებობს „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები (რეორგანიზაციის ან/და შტატების შემცირებისას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება და პროკურატურის სისტემის სხვა სტრუქტურულ დანაყოფში შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე გადაყვანის შეთავაზება), თუმცა, აღნიშნულ საფუძვლებთან დაკავშირებით ორგანული კანონი არ განამტკიცებს გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება ნაწილობრივ შესრულდა და მისი შესრულების პროგრესია 50%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 1.1.5.** პროკურატურის და პროკურორთა დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა

**ღონისძიება N1:** წინადადებების მომზადება მთავარი პროკურორის არჩევის წესის დახვეწის მიზნით

**შეფასების ინდიკატორები:**

1. მთავარი პროკურორის არჩევის წესი შეესაბამება GRECO და OECD-ACN მეოთხე რაუნდის რეკომენდაციებს და ვენეციის კომისიის სტანდარტებს.

---

[112] Venice Commission, Interim Opinion on the Draft Law on the State Prosecution Office of Montenegro, CDL-AD(2014)042, 15 December 2014, პარ. 80, https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2014)042-e;
Venice Commission, Final Opinion on the Revised Draft Law on the Public Prosecution Office of Montenegro, CDL-AD(2015)003, 23 March 2015, პარ. 46, https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2015)003-e;
Venice Commission, Opinion on the Draft Law on Judges and Prosecutors of Turkey, CDL-AD(2011)004, 29 March 2011, პარ. 48, https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2011)004-e;

[113] Venice Commission, Opinion on the Draft Amendments to the Law on the State Prosecutor of Montenegro, CDL-AD(2008)005, 18 March 2008, პარ. 48, https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2008)005-e;

**სტატუსი**: ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 50%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გენერალური პროკურორის არჩევის წესს განამტკიცებს „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, რომლის მე-16 მუხლი არეგულირებს თანამდებობაზე გამწესების კრიტერიუმებს. გენერალური პროკურორის დანიშვნის პროცედურაზე მთავრობისა და საპარლამენტო უმრავლესობის გავლენის შემცირების მიზნით შესაბამისი ზომების მიღების თაობაზე მიუთითებდა როგორც ევროსაბჭოს კორუფციის წინაღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფი (GRECO) შეფასების მეოთხე რაუნდის ანგარიშში,[114] ისე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელი (OECD-ACN) ანტიკორუფციული რეფორმების მეოთხე რაუნდის შეფასების ანგარიშში[115] და ვენეციის კომისია პროკურატურის შესახებ კანონის პროექტზე მოსაზრებაში.[116]

ცვლილებების შედეგად, გენერალური პროკურორობის კანდიდატების შერჩევისა და თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარდგენის პროცესს ჩამოშორდა იუსტიციის მინისტრი და კანდიდატის თანამდებობაზე გამწესების პრეროგატივა საპროკურორო საბჭოს და პარლამენტს შორის გადანაწილდა, რაც პოზიტიურ ნაბიჯად უნდა შეფასდეს. თუმცა, საპროკურორო საბჭოს მიერ დასახელებული კანდიდატებიდან გენერალურ პროკურორს თანამდებობაზე ირჩევს საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით.[117] აღნიშნული, კანდიდატის არჩევის დეპოლიტიზირებას სრულად ვერ უზრუნველყოფს. ამასთან, კრიტერიუმების თვალსაზრისით, ფაქტობრივად, მდგომარეობა არ შეცვლილა და ორგანული კანონი კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ამომწურავ ჩამონათვალზე არ მიუთითებს. ამის გათვალისწინებით, **ღონისძიება ნაწილობრივ შესრულდა და მისი შესრულების პროგრესი 50%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 1.1.6.** პროკურატურის სისტემაში თანამშრომლების აყვანისა და დაწინაურების გამჭვირვალე პროცედურების დანერგვა

**ღონისძიება N1:** დოკუმენტის მომზადება, რომელშიც გაწერილი იქნება თანამშრომელთა შერჩევის და დაწინაურების კრიტერიუმები და პროცედურები

**შეფასების ინდიკატორები:**

---

[114] ევროსაბჭოს კორუფციის წინაღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) შეფასების მეოთხე რაუნდის ანგარიში (2016), გვ. 42 – 43.

[115] ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD-ACN) ანტიკორუფციული რეფორმების მეოთხე რაუნდის შეფასების ანგარიში (2016), გვ. 69 – 71.

[116] სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად ევროპული კომისიის (ვენეციის კომისია), ევროპის პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოსა (CCPE) და ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) ერთობლივი მოსაზრება (2015), გვ. 4, 7 – 9.

[117] საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“ (2018), მუხლი 16(3).
საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი (2018), მუხლი 204(4).

1. თანამშრომელთა შერჩევის და დაწინაურების კრიტერიუმების და პროცედურების შესახებ დოკუმენტი შეესაბამება GRECO-სა და OECD/ACN-ის მეოთხე რაუნდის რეკომენდაციებს

**სტატუსი**: ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 25%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თანამშრომელთა შერჩევისა და დაწინაურების კრიტერიუმებსა და პროცედურებს განამტკიცებს „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.[118] აღნიშნული კანონის 34-ე მუხლი ეხება თანამდებობის დაკავების წესსა და კრიტერიუმებს, პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის დაწინაურების საკითხს კი არეგულირებს 36-ე მუხლი.

მიუხედავად განხორციელებული ცვლილებისა, დანიშვნისა და დაწინაურების მარეგულირებელი ნორმები კვლავ საკმაოდ ბუნდოვანია და გენერალური პროკურორისთვის ზედმეტად დიდ დისკრეციულ უფლებამოსილებას ითვალისწინებს. ამასთან, ორგანული კანონი კვლავ არ ითვალისწინებს დანიშვნის/დაწინაურების თაობაზე გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობას, რაზეც მიუთითებდა როგორც ევროსაბჭოს კორუფციის წინაღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფი (GRECO) შეფასების მეოთხე რაუნდის ანგარიშში,[119] ისე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელი (OECD-ACN) ანტიკორუფციული რეფორმების მეოთხე რაუნდის შეფასების ანგარიშში.[120] უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის დაწინაურების კრიტერიუმები დეტალურად არაა გაწერილი ორგანულ კანონში. ნიშანდობლივია, რომ OECD-ACN-მა რეკომენდაცია გასცა პროკურორთა დანიშვნის, დაწინაურების, დისციპლინირებისა და გათავისუფლების საკითხებზე წამყვანი ფუნქციის საპროკურორო საბჭოსთვის მინიჭების თაობაზე. ამასთან, რეკომენდაციაში საპროკურორო საბჭოს ალტერნატივად შემოთავაზებული იყო მსგავსი ორგანო, რომელიც იქნებოდა თვითმმართველი და გენერალური პროკურორისგან დამოუკიდებელი.[121] „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით კი, გენერალური პროკურორის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად დისციპლინური გადაცდომის, წახალისებისა და დაწინაურების საკითხების განხილვა და რეკომენდაციის გაცემა წარმოადგენს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს - კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს უფლებამოსილებას, აღნიშნულ საბჭოს კი ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი.[122] იმის გათვალისწინებით, რომ დაწინაურების პროცედურები, ფაქტობრივად, არ შეცვლილა, ხოლო დანიშვნასთან დაკავშირებით ცვლილებები

[118] საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“ (2018).
[119] ევროსაბჭოს კორუფციის წინაღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) შეფასების მეოთხე რაუნდის ანგარიში (2016), გვ. 43 – 44.
[120] ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD-ACN) ანტიკორუფციული რეფორმების მეოთხე რაუნდის შეფასების ანგარიში (2016), გვ. 70 – 71.
[121] იქვე.
[122] საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“ (2018), მუხლი 21.

არასრულყოფილია, **ღონისძიება ნაწილობრივ შესრულდა და მისი შესრულების პროგრესია 25%.**

### 5.2. ამოცანა 2. ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეორე ამოცანა და მიზანი გულისხმობს ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ პროკურატურის ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდას. აღნიშნული მიზნის მიღწევის მექანიზმად რვა კომპონენტია გათვალისწინებული, რომლებიც 2018 წლისთვის 34 ღონისძიების შესრულებას ითვალისწინებს. აღნიშნული 34 ღონისძიებიდან 18 სრულად შესრულდა, სამი - მეტწილად, ხუთი - ნაწილობრივ, რვა ღონისძიება კი შეუსრულებელია. **მეორე ამოცანის ღონისძიებების შესრულების პროგრესი 65%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.1.** ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N1:** სამუშაო ჯგუფის მინიმუმ ორი შეხვედრის ჩატარება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით მომუშავე ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა (30)

2. შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით მომუშავე ჯგუფის შეხვედრებზე განხილული საკითხები (35)

3. შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით მომუშავე ჯგუფის შეხვედრებზე განხილული მიღებული გადაწყვეტილებები/მომზადებული დოკუმენტები (35)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წელს შეიქმნა შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის სამუშაო ჯგუფი, საქართველოს გენერალური პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლების, შრომის ინსპექტორისა და სახელმწიფო ფონდის მონაწილეობით. 2017 წლის 2 ოქტომბერს გაიმართა პირველი სამუშაო შეხვედრა, რომელზეც დაიგეგმა შრომითი ექსპლუატაციის ფაქტების გამოსავლენად, სამუშაო ჯგუფში მონაწილე უწყებების მიერ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

2018 წელს ჩატარდა ორი სამუშაო შეხვედრა, 3 ოქტომბერს და 4-5 დეკემბერს. 2018 წლის 4-5 დეკემბერს შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის სამუშაო ჯგუფისა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამუშაო შეხვედრა გაიმართა აშშ-ის საელჩოს იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით, ბორჯომში. სამუშაო ჯგუფის შეხვედრების შესახებ ოქმების მიხედვით, პირველ შეხვედრაზე უწყებებს შორის განხილულ იქნა საქართველოს პროკურატურის სტრატეგიის 2017 – 2021 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების საკითხი. ამასთან, გამოითქვა

მოსაზრებები არსებული მდგომარეობისა და სამომავლოდ შრომითი ტრეფიკინგის წინააღმდეგ უფრო ეფექტიანი ბრძოლის მეთოდების შესახებ, რის შედეგადაც, მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები შემდეგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ:

- შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შრომის ინსპექტორების მიერ შესამოწმებელ ობიექტთა სახეობათა განსაზღვრა შრომითი ტრეფიკინგის გამოვლენის საჭიროებებისა და გამოწვევების გათვალისწინებით;
- მჭიდრო კოორდინაცია და თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავება სამუშაო ჯგუფის წევრ ყველა უწყებას შორის;
- შრომითი ტრეფიკინგის გამოვლენის მაჩვენებლის ასამაღლებლად სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება სამუშაო ჯგუფის მონაწილე ცალკეულ სტრუქტურთა თანამშრომლებისათვის მათი სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით;
- 2019 წლისათვის ტრენინგების დაგეგმვა-ჩატარება ცალკეულ სტრუქტურებში მომუშავე პირთა საჭიროებების გათვალისწინებით;
- 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრის ჩატარება.

მეორე შეხვედრის ფარგლებში, შეხვედრაში მონაწილე ყველა უწყებამ წარადგინა მოხსენება შრომითი ტრეფიკინგის შესახებ. საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველომ შეხვედრის მონაწილეებს ტრეფიკინგის სისხლის სამართლის საქმეების 2017-2018 წლების ანალიზი წარუდგინა. აღნიშნული შეხვედრის შემდგომ, შემუშავდა შრომითი ტრეფიკინგის გამოვლენის სამუშაო ჯგუფის 2019 წლის სამოქმედო გეგმა, რომლითაც გაიწერა სამუშაო ჯგუფში შემავალი უწყებების აქტივობები, პასუხისმგებელი უწყებები და შესრულების ვადები.

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ღონისძიების ინდიკატორები, ძირითადად, დაკმაყოფილებულია. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება სრულად არის შესრულებული და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.1.** ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N2:** რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი

**შეფასების ინდიკატორები:**

1. რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ მეთოდოლოგიას/ინსტრუქციას (30)
2. მონიტორინგის დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს არსებულ გამოწვევებზე, ხარვეზებზე (35)
3. მონიტორინგის დოკუმენტი განსაზღვრავს სამომავლო ნაბიჯებს / პრაქტიკულ რეკომენდაციებს (35)

**სტატუსი**: ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 30%

პროკურატურის მიერ აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით მითითებულ იქნა, რომ 2018 წელს განხორციელდა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების კვალიფიკაციის შესახებ რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი, რომელიც გამოქვეყნდა პროკურატურის ვებგვერდზე. [123] ვებგვერდზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით, მონიტორინგის შედეგად პროკურორები პრაქტიკაში აქტიურად იყენებენ სახელმძღვანელო პრინციპებს, წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია და სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი. ამასთან, არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, საქართველოს პროკურატურის შესაბამის საგამოძიებო ნაწილში დაუყოვნებლივ იწყება გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე. შემჭიდროვებულ ვადებში ტარდება ყველა შესაძლო საგამოძიებო მოქმედება, მოწმეთა დაკითხვა, ამოცნობა, ჩხრეკა-ამოღება, დოკუმენტაციის გამოთხოვა, ექსპერტიზების დანიშვნა და ჩატარება, ვიდეოჩანაწერების ამოღება და ა.შ. თუმცა, პროკურატურის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ანგარიში[124] მოიცავს მხოლოდ დიაგრამებზე ვიზუალურად გამოსახულ მონაცემებს და არ ახდენს მითითებას მონიტორინგის მეთოდოლოგიაზე, ისევე როგორც არსებულ გამოწვევებზე, ხარვეზებსა და სამომავლო ნაბიჯებზე/პრაქტიკულ რეკომენდაციებზე. შესაბამისად, **ღონისძიება ნაწილობრივ შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი შესრულების პროგრესია 30%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.1.** ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N3:** რეგიონებში საინფორმაციო შეხვედრები ტრეფიკინგთან დაკავშირებით

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ტრეფიკინგთან დაკავშირებით რეგიონებში ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა (15)

2. ტრეფიკინგთან დაკავშირებით რეგიონებში ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილე ადამიანების რაოდენობა (20)

3. ტრეფიკინგთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრების რეგიონული დაფარვა - ეთნიკურ უმცირესობათა დასახლებები (20)

4. ტრეფიკინგთან დაკავშირებით რეგიონებში ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრებისას განხილული საკითხები (25)

5. შეხვედრებთან დაკავშირებით მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდების საშუალებები (20)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

[123] http://pog.gov.ge/geo/news?info_id=1939 [01.08.2019]
[124] http://old.pog.gov.ge/res/docs/angarishi31_12_2018.pdf

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ტრეფიკინგთან დაკავშირებით 2018 წელს 78 საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა, მათ შორის, აჭარის რეგიონში - 5, სამეგრელო ზემო-სვანეთში - 12, დასავლეთში (იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი) - 16, შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში - 3, კახეთში - 5, ქვემო ქართლში - 12, სამცხე-ჯავახეთში - 12 და თბილისში - 13. თითო შეხვედრას საშუალოდ 50 მონაწილე ესწრებოდა (სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, სტუდენტები, ადგილობრივი მოსახლეობა).

შეხვედრაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

- ეროვნული და საერთაშორისო ნორმატიული აქტების მიმოხილვა ტრეფიკინგის შესახებ;
- სისხლის სამართლის კოდექსის 143[1], 143[2], 143[3] განმარტება;
- დაზარალებულის/მსხვერპლის უფლებები;
- ტრეფიკინგის ძირითადი მტკიცებულებები;
- ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლის ამოსაცნობი ზოგადი ინდიკატორები;
- თავის დაცვის მექანიზმები.

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ საინფორმაციო შეხვედრები ტრეფიკინგთან დაკავშირებით ჩატარდა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში და მათში მონაწილეობა მიიღო, დაახლოებით, 3900-მა მონაწილემ. თუმცა, შეხვედრებით დაფარული არ იყო, მაგალითად, თუშეთისა და ხევსურეთის მხარეები. გასათვალისწინებელია, რომ ტრეფიკინგთან დაკავშირებით რეგიონთან საინფორმაციო შეხვედრები ერთჯერადი აქტივობა არ არის და აღნიშნული გათვალისწინებულია 2019 – 2021 წლების შემთხვევაშიც. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, სახელმწიფო უწყებებმა გააძლიერონ მუშაობა მაღალმთიან რეგიონებთან. განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ტრეფიკინგის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებასა და მათთვის ინფორმაციის მიწოდებას. მომავალში, ასევე მნიშვნელოვანი იქნება პროკურატურამ განსაკუთრებული რისკის შემცველი რეგიონები გამოავლინოს და მსგავსი საინფორმაციო შეხვედრები თუ ცნობიერების ამაღლებისა და პრევენციის ღონისძიებები მიზნობრივად ჩაატაროს ასეთ რეგიონებში. ამასთან, სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრებზე ხდება სკოლის დირექციის ინფორმირება, რამდენიმე სკოლის გაერთიანების შემთხვევაში, რესურსცენტრის დახმარებით ხდება შეხვედრის მონაწილე პირების ინფორმირება. ადგილობრივ მოსახლეობას რაც შეეხება, ამ შემთხვევაში პროკურატურას კომუნიკაცია აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება სრულად შესრულებულია და მისი პროგრესი 100%-ით შეფასდა.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.1**. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N4:** ტრეფიკინგის მიმართულებით მომუშავე პროკურორების გადამზადება და სტაჟიორების მომზადება/ერთობლივი სასწავლო აქტივობების განხორციელება შესაბამისი საგამოძიებო უწყებების მონაწილეობით

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ტრეფიკინგის მიმართულებით მომუშავე პროკურორების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი ტრეფიკინგის თემაზე (40)

2. ტრეფიკინგის თემაზე პროკურორებისა და სტაჟიორებისთვის ჩატარებული ტრენინგების და მონაწილეთა რაოდენობის თანაფარდობა (30)

3. ტრეფიკინგის თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ტრეფიკინგის დანაშაულზე სპეციალიზებულია სამი პროკურორი აჭარის ავტონომიურ ოლქში, ორი კი - თბილისში. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე 2018 წელს სულ განხორციელდა 14 სასწავლო აქტივობა, რომელთა ფარგლებშიც გადამზადდა 79 მონაწილე (პროკურორი). მათ შორის, სტაჟიორებისთვის ჩატარდა ერთი ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 22 სტაჟიორი.

ტრენინგების ზოგად თემატიკას წარმოადგენდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ქართული პოლიტიკა, კანონმდებლობა და ინსტიტუციური მექანიზმი, საერთაშორისო კანონმდებლობა, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება, ტრეფიკინგის დანაშაულის თანამედროვე ტენდეციები და შრომითი და სექსუალური ექსპლუატაციის ნიშნები/ინდიკატორები, ტრეფიკინგთან მომიჯნავე დანაშაულების მიმოხილვა. ტრენინგები ასევე მოიცავდა პრაქტიკულ სავარჯიშოებს. ორი ტრენინგი ეხებოდა მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანას. მიუხედავად იმისა, რომ ეს თემა პირდაპირ ტრეფიკინგს არ უკავშირდება, ტრენინგის ფარგლებში განხილულ იქნა განსხვავებები, კავშირი და თანხვედრა ამ ორ დანაშაულს შორის. ასევე, ნიშანდობლივია, რომ პროკურატურის წარმომადგენლებმა გადამზადება გაიარეს უცხოეთში სასწავლო ვიზიტების ფარგლებშიც. მაგალითად, ქ. ბუდაპეშტში განხორციელებული სასწავლო ვიზიტი ემსახურებოდა ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის ამაღლებას, ამ კატეგორიის დანაშაულებზე სრულფასოვანი გამოძიების ჩატარებას და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას. სასწავლო აქტივობის ფარგლებში დაიფარა შემდეგი საკითხები: მსხვერპლთა იდენტიფიკაცია; მსხვერპლის, როგორც მოწმის მზადება გამოკითხვისათვის -მიზნები და პრობლემები; გამოკითხვის ჩატარების ტექნიკა; ეჭვმიტანილის დაკავება, ეჭვმიტანილის გამოკითხვა, სტრუქტურა და მეთოდოლოგია; დაკავების შემდგომი ფაზა - მტკიცებულებებით დადასტურება; საერთაშორისო თანამშრომლობა.

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ირკვევა, რომ განხორციელებული აქტივობები შესაბამისობაშია მიზანთან, ასევე, მისაღებია მათი პრაქტიკული ელემენტები და სხვ. საერთო ჯამში, 2018 წელს მოხდა 79 მონაწილის გადამზადება, მათ შორის, 22 სტაჟიორის. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ღონისძიება ერთჯერადი ხასიათის არაა და გათვალისწინებულია 2019 – 2021 წლებშიც, გადამზადებულთა ოდენობა ოპტიმალურ რაოდენობად უნდა ჩაითვალოს. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება სრულად არის შესრულებული და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1. 2.** კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N1:** კორუფციული დანაშაულის ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების უზრუნველსაყოფად, აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე პროკურორებისა და გამომძიებლების გადამზადება; სტაჟიორების მომზადება/ერთობლივი სასწავლო აქტივობების განხორციელება შესაბამისი საგამოძიებო უწყებების მონაწილეობით

**შეფასების ინდიკატორები:**

1. კორუფციის თემაზე მომუშავე პროკურორებისა და გამომძიებლების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი კორუფციული დანაშაულის ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თემაზე (40)

2. კორუფციული დანაშაულის ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თემაზე პროკურორების, გამომძიებლების და სტაჟიორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. კორუფციული დანაშაულის ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კორუფციულ დანაშაულზე პროკურატურაში მუშაობს თითქმის ყველა სტრუქტურული დანაყოფის პროკურორი. კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე 2018 წელს ჩატარდა რვა სასწავლო აქტივობა, რომელთა ფარგლებშიც გადამზადდა 96 მონაწილე (პროკურორი/გამომძიებელი), მათ შორის, 45 სტაჟიორ-პროკურორი.

პროკურატურის მიერ მოწოდებული დღის წესრიგებით დასტურდება, რომ სასწავლო აქტივობები იყო სხვადასხვა ხასიათის - ტრენინგები, სასწავლო კურსები - და შეეხებოდა ისეთ თემებს, როგორებიცაა: ფულის გათეთრება, შიდა კორუფციასთან ბრძოლა, კორუფციის პრევენცია, მოწმის გამოკითხვის ტექნიკა, კორუფციასთან ბრძოლის სფეროში

განსახორციელებელი საგამოძიებო მოქმედებები, საგამოძიებო სტატისტიკა და მეთოდები, კორუფციის ტიპები, ანტიკორუფციული ნორმები და სტანდარტები კერძო და საჯარო სფეროებში და ა.შ. განხორციელებული აქტივობები შესაბამისობაშია მიზანთან, ასევე, მისაღებია მათი პრაქტიკული ელემენტები, თემატიკა და სხვ. რაც შეეხება კორუფციის მიმართულებით მომუშავე პროკურორების რაოდენობას, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი აღნიშნული მიმართულებით, ერთი წლის განმავლობაში გადამზადდა 96 მონაწილე, მათ შორის, 45 სტაჟიორი, რაც მისაღებ რაოდენობად უნდა ჩაითვალოს იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ღონისძიება ერთჯერადი არ არის და რამდენიმე წელზეა გაწერილი. **შესაბამისად, ღონისძიება სრულადაა შესრულებული და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.2.** კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N2:** საპროკურორო და საგამოძიებო საქმიანობისთვის ხელშეწყობა, საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება და მიწოდება საკანონმდებლო ინიციატივაზე უფლებამოსილი ორგანოსთვის

**შეფასების ინდიკატორები:**

1. საპროკურორო და საგამოძიებო საქმიანობისთვის ხელშემწყობ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით მომზადებული წინადადებები წარმოადგენს კონკრეტულ რეკომენდაციებს საპროკურორო და საგამოძიებო უფლებამოსილებების ეფექტიანად გამიჯვნისთვის

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, დაზვერვის სამსახურსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ საპროკურორო და საგამოძიებო საქმიანობისთვის ხელშემწყობ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით წინადადებების დოკუმენტი არ შედგენილა. **შესაბამისად, ღონისძიება არ არის შესრულებული და მისი პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.2.** კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N3:** საქართველოს პროკურატურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურების მონაწილეობით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მინიმუმ ორი შეხვედრა

**შეფასების ინდიკატორები:**

1. საქართველოს პროკურატურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურების მონაწილეობით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა (50)

2. სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე განხილული საკითხები (50)

**სტატუსი**: ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 50%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კორუფციულ დანაშაულებთან დაკავშირებით 2018 წელს შედგა საქართველოს პროკურატურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურების მონაწილეობით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოთხი შეხვედრა. სამუშაო ჯგუფის შეხვედრების თემატიკასთან დაკავშირებით, პროკურატურამ აღნიშნა, რომ განხილულ საკითხები კონფიდენციალურ ინფორმაციას წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ განხილული საკითხების შესახებ ზოგადი ინფორმაციის (რომელიც შესაძლოა არ წარმოადგენდეს არასაჯარო ინფორმაციას) მოწოდებაც არ მომხდარა, **ღონისძიება ნაწილობრივ შესრულდა და მისი პროგრესია 50%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.2.** კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N4:** საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები იდენტიფიცირებული რისკ-ზონების (საჯარო სამსახურები) საქმიანობის მაკონტროლებელი სტრუქტურების წარმომადგენლებთან (შიდა მონიტორინგის სამსახური, გენერალური ინსპექცია)

**შეფასების ინდიკატორები:**

1. რისკ-ზონების იდენტიფიცირების მეთოდოლოგია/ინსტრუქცია/კრიტერიუმები (30)
2. იდენტიფიცირებული რისკ-ზონების (საჯარო სამსახურები) საქმიანობის მაკონტროლებელი სტრუქტურების წარმომადგენლებთან (შიდა მონიტორინგის სამსახური, გენერალური ინსპექცია) გამართული შეხვედრების რაოდენობა (20)
3. შეხვედრაში მონაწილე პირების რაოდენობა, თანამდებობები (25)
4. შეხვედრებზე განხილული საკითხები (25)

**სტატუსი**: ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 40%

პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, კორუფციულ დანაშაულებთან დაკავშირებით რისკ-ზონები იდენტიფიცირებულ იქნა საქმეების ანალიზისა და ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკიდან გამომდინარე. 2018 წელს იდენტიფიცირებული რისკ-ზონებისა და მათი საქმიანობის მაკონტროლებელი სტრუქტურების წარმომადგენლებთან, კერძოდ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი

სამსახურების თანამშრომლებთან, შედგა ერთი შეხვედრა. პროკურატურის მიერ არ მომხდარა ინფორმაციის მოწოდება შეხვედრაზე განხილული საკითხების შესახებ იმაზე მითითებით, რომ აღნიშნული კონფიდენციალურ ინფორმაციას წარმოადგენს. გარდა ამისა, პროკურატურას არ წარმოუდგენია კონკრეტული ინფორმაცია შეხვედრაში მონაწილე პირების რაოდენობის, მათი თანამდებობების თაობაზე. ამასთან, სასურველია გაიზარდოს ყოველწლიური შეხვედრების რიცხვი. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ აქტივობა ერთჯერადი ხასიათის არაა და მისი განხორციელება შემდეგ წლებშიც არის დაგეგმილი. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ღონისძიება ნაწილობრივ შესრულდა და მისი შესრულების პროგრესია 40%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.2.** კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N5:** ანტიკორუფციულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან სამუშაო შეხვედრის ჩატარება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ანტიკორუფციულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების შერჩევის მეთოდოლოგია/ინსტრუქცია/კრიტერიუმები (30)
2. შეხვედრაზე მოწვეული ანტიკორუფციულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა (25)
3. ანტიკორუფციულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართული შეხვედრების რაოდენობა (20)
4. შეხვედრებზე განხილული საკითხები (25)

**სტატუსი**: შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს ანტიკორუფციულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა არ შემდგარა. ასევე პროკურატურის მიერ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ანტიკორუფციულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების შერჩევის მეთოდოლოგიის/ინსტრუქციის/ კრიტერიუმების შესახებ. **შესაბამისად, ღონისძიება არ არის შესრულებული და მისი პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.2.** კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N6:** ანტიკორუფციულ საკითხებზე საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები საზოგადოებრივი პროკურატურის და ადგილობრივი საბჭოების ფორმატში

**შეფასების ინდიკატორები:**

1. საზოგადოებრივი პროკურატურის და ადგილობრივი საბჭოების ფორმატში ანტიკორუფციულ საკითხებზე გამართული შეხვედრების რაოდენობა (30)

2. შეხვედრებზე განხილული საკითხები (35)

3. შეხვედრებზე მიღებული გადაწყვეტილებები (35)

**სტატუსი**: ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 50%

პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ადგილობრივი საბჭოების ფორმატში ანტიკორუფციულ საკითხებზე შეხვედრა არ ჩატარებულა. საზოგადოებრივი პროკურატურის ფორმატში კი ანტიკორუფციულ საკითხებზე 2018 წელს 56 საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. თითო შეხვედრას, საშუალოდ, 50 მონაწილე ესწრებოდა (ადგილობრივი მოსახლეობა, საჯარო მოხელეები). შეხვედრაზე განხილულ საკითხებს წარმოადგენდა:

- სამოხელეო დანაშაულების ზოგადი მიმოხილვა, მუხლების განმარტება;
- კანონმდებლობით დაწესებული სასჯელები;
- დანაშაულის მაპროვოცირებელი და გამომწვევი ფაქტორები;
- დანაშაულის თავიდან აცილების მექანიზმები;
- უძრავი ქონების თაღლითობა, ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენება.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ შეხვედრებზე განხილული საკითხები რელევანტური და ღონისძიების მიზნის შესაბამისი იყო. ასევე მისაღებია საინფორმაციო შეხვედრებისა და მასზე დამსწრეთა რაოდენობაც. იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი საბჭოების ფორმატში ანტიკორუფციულ საკითხებზე შეხვედრა არ ჩატარებულა და ამასთან, პროკურატურის მიერ არ მოხდა ინფორმაციის წარმოდგენა საზოგადოებრივი პროკურატურის ფორმატში შეხვედრებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, **ღონისძიება ნაწილობრივ შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი პროგრესია 50%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.3.** ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N1:** ტერორიზმის თემაზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების შესწავლა და ანალიზის მომზადება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ტერორიზმის თემაზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების ანალიზის მეთოდოლოგია/ინსტრუქცია (50)

2. ტერორიზმის თემაზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებული რეკომენდაციები/დაგეგმილი ღონისძიებები (50)

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ტერორიზმის თემაზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი არ მომზადებულა. **შესაბამისად, ღონისძიება არ არის შესრულებული და მისი პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.3.** ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N2:** კონტრტერორისტული სამსახურების სამუშაო ჯგუფის მინიმუმ ორი შეხვედრა

**შეფასების ინდიკატორები:**

1. კონტრტერორისტული სამსახურების სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა (50)
2. კონტრტერორისტული სამსახურების სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე განხილული საკითხები (50)

**სტატუსი**: ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 25%

პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ტერორიზმის დანაშაულებთან დაკავშირებით 2018 წელს შედგა საქართველოს პროკურატურისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამოძიებო სამსახურების მონაწილეობით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ერთი შეხვედრა. სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე განხილული საკითხების შესახებ კი აღინიშნა, რომ ხსენებული წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. რამდენადაც ღონისძიებით გათვალისწინებული მინიმუმ ორი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი განხორციელდა და, ამასთან, განხილული საკითხების შესახებ ზოგადი ინფორმაციის (რომელიც შესაძლოა არ წარმოადგენდეს არასაჯარო ინფორმაციას) მოწოდებაც არ მომხდარა, **ღონისძიება ნაწილობრივ შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი პროგრესია 25%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.3.** ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N3:** მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრების გამართვა ტერორისტული დანაშაულის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით

**შეფასების ინდიკატორები:**

1. შეხვედრების გეოგრაფიული განაწილება/დაფარვა და სამიზნე ჯგუფები (30)
2. შეხვედრების რაოდენობა (20)
3. შეხვედრებზე მონაწილე ადამიანების რაოდენობა (20)
4. შეხვედრებზე განხილული საკითხები (30)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ტერორისტული დანაშაულის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და აღნიშნული დანაშაულის პრევენციის მიზნით, ქვემო ქართლში გაიმართა ერთი საინფორმაციო შეხვედრა, რომელზეც მიწვეულ იქნენ შესაბამისი

სამიზნე ჯგუფები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან. გარდა ამისა, სენაკის, ოზურგეთის, ხელვაჩაურისა და რუსთავის რაიონული პროკურატურების მიერ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები (ჯამში ოთხი შეხვედრა), რომლებსაც, საშუალოდ, 50 მონაწილე ესწრებოდა (ადგილობრივი მოსახლეობა, სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები). შეხვედრებზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ტერორიზმის ზოგადი მიმოხილვა, ტერორიზმისა და ტერორისტული აქტის განმარტება, საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები და ტერორისტული დაჯგუფებები, ტერორისტული საფრთხეები საქართველოსთვის და ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით საქართველოს სამართალდამცავი უწყებები.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ ჩატარებული შეხვედრები აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს. მისაღებია მათი თემატიკა, ასევე, შეხვედრაში, საშუალოდ, 50 პირის მონაწილეობა, ოპტიმალურ რაოდენობას წარმოადგენს. გარდა ამისა, სამიზნე აუდიტორია მოცულია ადგილობრივი მოსახლეობით, მათ შორის, სკოლის მოსწავლეებით, რაც მისასალმებელია, რამდენადაც, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია ტერორისტული დანაშაულის შესახებ საყოველთაო ცნობიერების ამაღლება, მეორე მხრივ კი, აუცილებელია, აღნიშნული ადრეული ასაკიდანვე განხორციელდეს. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულდა, მისი შესრულები პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.3.** ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N4:** ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მომუშავე პროკურორების გადამზადება/ერთობლივი სასწავლო აქტივობების განხორციელება შესაბამისი საგამოძიებო უწყებების მონაწილეობით

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მომუშავე პროკურორების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე (40)

2. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე  პროკურორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე  ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ტერორიზმის დანაშაულებზე საპროკურორო საქმიანობას ახორციელებს სამი პროკურორი. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე 2018 წელს განხორციელდა ერთი ტრენინგი და ორი სასწავლო ვიზიტი, რომელთა ფარგლებშიც გადამზადდა 11 მონაწილე (პროკურორი/სისტემის გამომძიებელი).

საინფორმაციო აქტივობების ფარგლებში განხილულ იქნა საკითხები ძალადობრივი ექსტრემისტული ორგანიზაციების, სხვა ქვეყნებისა და კონფლიქტური ზონებიდან მიღებული მტკიცებულებების, ბიოტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, ბიოტერორიზმის გამოძიების კონკრეტული მეთოდებისა და შემთხვევების, ფულის გათეთრების, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებისა და დაფინანსების გამოვლენის ინსტრუმენტების შესახებ. ასევე, შეხვედრები ითვალისწინებდა პრაქტიკული მაგალითებისა და პრეცედენტული სამართლის განხილვას.

აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლოა ითქვას, რომ სასწავლო აქტივობების თემატიკა შეესაბამება ღონისძიების მიზანს. ამასთან, პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ტერორიზმის დანაშაულებზე საპროკურორო საქმიანობას ახორციელებს სამი პროკურორი, ტრენინგი კი გაიარა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მომუშავე 11-მა პროკურორმა, რაც სრულიად აკმაყოფილებს ღონისძიების ინდიკატორს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ღონისძიება ერთჯერადი ხასიათის არაა და პროკურორთა გადამზადება შემდეგ წლებშიც დაგეგმილია. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი შესრულები პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.3.** ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N5:** ანგარიშის მომზადება წლის განმავლობაში ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია გამოწვევებზე და მათი მოგვარების გზებზე, დამუშავებული და გაანალიზებულია რელევანტური მონაცემები

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას მოიცავს გაწეული საქმიანობის შესახებ საქართველოს პროკურატურის ანგარიში.[125] აღნიშნულის თაობაზე, ანგარიშის ფარგლებში ინფორმაცია წარმოდგენილია პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების, კერძოდ, ტერორიზმის თავში. ანგარიშის ფარგლებში აღნიშნულია ტერორიზმის კუთხით არსებული გამოწვევების შესახებ, კერძოდ, საქართველოს ცალკეულ რეგიონში ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერთა მიერ თურქეთის გავლით სირიაში გადასვლისა და „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში ბრძოლის, „ისლამური სახელმწიფოსგან“ გამომდინარე ნეგატიური პროცესების უარყოფით გავლენისა და ტერორისტული მიზნებისთვის როგორც საქართველოს მოქალაქეების ქვეყნიდან

[125] საქართველოს პროკურატურის 2018 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში. [30/07/2019].

გამგზავრების, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოს ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით შესაძლო გამოყენების პრობლემის შესახებ. პრობლემების მოგვარების მიზნით, პროკურატურის მიერ მოხდა ზემოხსენებული საქმიანობით დაკავებულ პირთა ქმედებების სამართლებრივი შეფასება და მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. ასევე, გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები პირთა მიგრაციისა და ტერორისტული ორგანიზაციის მხარდამჭერთა ოდენობის შესამცირებლად. ამასთან, ტერორისტული ორგანიზაცია ,,ისლამური სახელმწიფოს" წევრობისათვის 2017-2018 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო და გამამტყუნებელი განაჩენი დადგა სამი პირის მიმართ. ტერორიზმთან დაკავშირებულ დანაშაულებთან მიმართებით, 2018 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო რვა პირის მიმართ, რომელთაგან შვიდ პირთან მიმართებით ანგარიშის მომზადების დროისთვის უკვე დამდგარი იყო გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო ერთი პირის მიმართ მიმდინარეობდა საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში.

ზემოხსენებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის ნაწილია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. მასში ყურადღება გამახვილებულია არსებულ გამოწვევებზე და გაანალიზებულია რელევანტური სტატისტიკური მონაცემები. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.4.** უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N1:** (1) სამუშაო ჯგუფის მიერ წარდგენილი ინფორმაციისა და რეკომენდაციების საფუძველზე, საკონსულტაციო საბჭოს მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ კომპეტენტურ ორგანოებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა; (2) აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება.

**შეფასების ინდიკატორები:**

1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ კომპეტენტურ ორგანოებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის მექანიზმის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გასატარებელი და გატარებული ღონისძიებები

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ კომპეტენტურ ორგანოებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შემუშავდა მუდმივმოქმედი სამუშაო-ანალიტიკური პლატფორმის შექმნის

რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, პლატფორმა არანაკლებ წელიწადში ორჯერ პრაქტიკული მაგალითების (case scenario) განხილვის პრინციპით მოახდენს დაგროვილი პრაქტიკის განზოგადებას და საქართველოში გავრცელებული ML/TF ტიპოლოგიების ანალიზს. ასევე მოახდენს ხსენებულ დანაშაულთა მაღალი რისკების სფეროების იდენტიფიცირებას.

რეკომენდაცია გულისხმობს სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში უშუალოდ მონიტორინგის განმახორციელებელ პირებთან პერიოდულად გაფართოებული ფორმატის შეხვედრების გამართვას, სადაც ML/TF სფეროში მომუშავე პრაქტიკოსები ინტერაქტიულ რეჟიმში განიხილავენ სამუშაო ჯგუფის ფარგლებში უკვე გამოვლენილ პრობლემებს და იმსჯელებენ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების იმ მახასიათებლებზე, რომლებიც ტენდენციების სახით გამოკვეთა ქართულმა საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკამ. ყოველივე აღნიშნული მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს გაუწევს მნიშვნელოვან დახმარებას შესაძლო დანაშაულის შემთხვევათა სწორ იდენტიფიცირებაში. სამუშაო ჯგუფმა, საჭიროების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ML/TF სფეროში არსებული საკანონმდებლო სისტემის მოდერნიზაციის კუთხით და საჭიროების შემთხვევაში, პერიოდულად შეიმუშაოს საკანონმდებლო წინადადებები, რომელთა ინიცირებასაც შესაბამისი უწყებები უზრუნველყოფენ.

რეკომენდაციის შესრულების საპასუხოდ, საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შესაბამისი კომპეტენტური დანაყოფების წარმომადგენელთა მონაწილეობით ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი სამუშაო-ანალიტიკური პლატფორმა და გაიმართა შესაბამისი შეხვედრები.

მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება რეკომენდაციის შესაბამისად გასატარებელი ღონისძიებები. კერძოდ, მათგან ცენტრალურ ღონისძიებას წარმოადგენდა სამუშაო-ანალიტიკური პლატფორმის შექმნასა და პლატფორმის არანაკლებ წელიწადში ორჯერ შეკრებას რელევანტური საკითხების განხილვის მიზნით, რაც განხორციელდა. **შესაბამისად, ღონისძიება, სრულად შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი შესრულების პროგრესს 100% წარმოადგენს.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.4.** უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N2:** (1) სამუშაო ჯგუფის მიერ წარდგენილი ინფორმაციისა და რეკომენდაციების საფუძველზე, საკონსულტაციო საბჭოს მიერ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიებისა და ჩამორთმევის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა; (2) აღნიშნული ღონისძიებების დანერგვა

**შეფასების ინდიკატორები:**

1. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიებისა და ჩამორთმევის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გასატარებელი და გატარებული ღონისძიებები
**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიებისა და ჩამორთმევის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შემუშავდა მუდმივმოქმედი სამუშაო-ანალიტიკური პლატფორმის შექმნის რეკომენდაცია, რომლის მიხედვით, პლატფორმა არანაკლებ წელიწადში ორჯერ მოახდენს დაგროვილი პრაქტიკის განზოგადებას და საქართველოში გავრცელებული ML/TF ტიპოლოგიების ანალიზს. ასევე მოახდენს ხსენებულ დანაშაულთა მაღალი რისკების სფეროების იდენტიფიცირებას.

რეკომენდაციის შესრულების საპასუხოდ, საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შესაბამისი კომპეტენტური დანაყოფების წარმომადგენელთა მონაწილეობით ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი სამუშაო-ანალიტიკური პლატფორმა და გაიმართა შესაბამისი შეხვედრები.

მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე რეკომენდაციის შესაბამისად გასატარებელ ღონისძიებას წარმოადგენდა სამუშაო-ანალიტიკური პლატფორმის შექმნა და პლატფორმის არანაკლებ წელიწადში ორჯერ შეკრება რელევანტური საკითხების განხილვის მიზნით, რაც განხორციელდა. აქედან გამომდინარე, **ღონისძიება შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.4.** უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N3:** (1) სამუშაო ჯგუფის მიერ წარდგენილი ინფორმაციისა და რეკომენდაციების საფუძველზე, საკონსულტაციო საბჭოს მიერ იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რომელთაც ახლავს მნიშვნელოვანი შემოსავლის მიღება, პარალელური ფინანსური გამოძიების წარმოების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა. (2) საკონსულტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული ღონისძიებების დანერგვა

**შეფასების ინდიკატორები:**

1. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (25)
2. სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა (20)
3.პარალელური ფინანსური გამოძიების წარმოების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებები (25)
4. პარალელური ფინანსური გამოძიების წარმოების უზრუნველსაყოფად გატარებული ღონისძიებები (30)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან წარმომადგენლები შემდეგი დანაყოფებიდან: საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, დაზვერვის სამსახურსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტი; ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტი; შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტი; სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ევროინტეგრაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველო. 2018 წლის განმავლობაში სამუშაო ჯგუფის სამი შეხვედრა ჩატარდა.

პარალელური ფინანსური გამოძიების ეფექტიანობის გაზრდის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს პროკურატურაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ 2017 წელს მომზადდა რეკომენდაციები. აღნიშნული ითვალისწინებდა 2018 წლის პირველი ორი კვარტლის განმავლობაში საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ ეტაპობრივი მონიტორინგის ჩატარებასა და იმ ინდივიდუალური შემთხვევების გამოვლენას, როდესაც დანაშაულის გამოძიებაზე უფლებამოსილმა პირმა, საქართველოს გენერალური პროკურორის 2015 წლის 4 აგვისტოს რეკომენდაციის შესაბამისად, არ განახორციელა ყველა სათანადო მოქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის მიხედვით ჩამორთმევას დაქვემდებარებული ქონების მოძიების მიზნით. აღნიშნულის საპასუხოდ, 2018 წლის განმავლობაში საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ ჩატარდა მონიტორინგი და მომზადდა შესაბამისი ანალიზი.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი ინფორმაციით იკვეთება განსახორციელებელი და განხორციელებული ღონისძიების შესახებ ინფორმაცია, რაც აკმაყოფილებს აქტივობისთვის განსაზღვრულ ინდიკატორებს, მისაღებია სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობაც. შესაბამისად, **ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.4.** უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N4:** (1) სამუშაო ჯგუფის მიერ წარდგენილი ინფორმაციისა და რეკომენდაციების საფუძველზე, საკონსულტაციო საბჭოს მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების მეთოდოლოგიის განსაზღვრა; (2) აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით, სამუშაო ჯგუფის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ჩატარება; (3) რისკების შემცირების მიზნით რესურსების შესაძლო გადანაწილების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება; (4) რისკების შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციისა და მათი შემცირების თაობაზე შემუშავებული რეკომენდაციების საკონსულტაციო საბჭოსათვის წარდგენა; (5) საკონსულტაციო საბჭოს მიერ რისკების შემცირების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა; (6) აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (25)
2. სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა (20)
3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების შედეგად გამოვლენილი გამოწვევები და მათ საპასუხოდ განსაზღვრული ღონისძიებები (25)
4. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების საპასუხოდ განხორციელებული ღონისძიებები (30)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 70%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, როგორც უკვე აღინიშნა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან წარმომადგენლები შემდეგი დანაყოფებიდან: საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, დაზვერვის სამსახურსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტი; ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტი; შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტი; სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ევროინტეგრაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველო.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობის შესახებ პროკურატურას ინფორმაცია არ წარმოუდგენია. ასევე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია რისკების შეფასების შედეგად გამოვლენილი გამოწვევების შესახებ. განსახორციელებელ ღონისძიებებთან მიმართებით, აღნიშნულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის რისკების შეფასების შიდა და საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზებისა და მათი შეფასების მეთოდოლოგიის სრულყოფის შესახებ. ამ ეტაპზე მოხდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების შიდა პრაქტიკის ანალიზი, რომელიც წარედგინა საკონსულტაციო საბჭოს. აღნიშნულ აქტივობასთან დაკავშირებით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშის და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შესაბამისი უწყებების ჩართულობით შექმნილია უწყებათაშორისი კომისია, რომლის ფარგლებშიც მომზადდა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების დეტალური ანალიზი და გაიწერა სამომავლო საფრთხეები. რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშისა და სამოქმედო გეგმის მომზადებისთვის კი კვლავ მიმდინარეობს მუშაობა. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ღონისძიება მეტწილად შესრულდა და მისი შესრულების პროგრესია 70%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.4.** უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N5:** უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საკითხებზე პროკურორებისთვის, სტაჟიორებისა და გამომძიებლებისთვის ტრენინგის ჩატარება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თემაზე მომუშავე პროკურორების და გამომძიებლების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თემაზე (40)

2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თემაზე პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საკითხებზე 2018 წელს განხორციელდა ხუთი სასწავლო აქტივობა,

რომელშიც ჩართული იყო 40 მონაწილე (პროკურორი და გამომძიებელი). ჩატარებული სასწავლო აქტივობების ფორმატი ძირითადად ორდღიანი ტრენინგები იყო, რაც მისაღებ ხანგრძლივობად შეიძლება ჩაითვალოს. ტრენინგებზე განხილული საკითხების თემატიკა უკავშირდებოდა კრიპტო ვალუტას, ფულის გათეთრებას, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებულ პრობლემებს; აღნიშნულ საქმეთა გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას მათ მტკიცებულებით ასპექტებს; კორუფციიდან, ფულის გათეთრებიდან და სხვა ეკონომიკური დანაშაულიდან მიღებული ქონების დაყადაღებას, ჩამორთმევასა და უკან დაბრუნებას; ამ კუთხით საერთაშორისო პრაქტიკასა და საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების სახეებს. ტრენინგების ერთ-ერთ მეთოდს პრაქტიკულ სავარჯიშოების განხორციელება და კაზუსების განხილვა წარმოადგენდა.

აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ ტრენინგების ფარგლებში დაფარული თემატიკა ღონისძიების მიზნის შესაბამისია. ამასთან, საერთო ჯამში, ხუთი ტრენინგის ფარგლებში მოხდა 40 პროკურორისა და გამომძიებლის გადამზადება. შესაბამისად, თითოეულ ტრენინგს, საშუალოდ, რვა მონაწილე ესწრებოდა. აქტივობის მრავალჯერადი ხასიათის გათვალისწინებით, 2018 წელს გადამზადებულთა რიცხვი, შესაძლებელია, მისაღებ რაოდენობად იქნეს მიჩნეული. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულდა, და მისი პროგრესია 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.4.** უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N6:** დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის საკითხებზე პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორების მომზადება/გადამზადება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის საკითხებზე მომუშავე პროკურორებისა და გამომძიებლების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის თემაზე (40)

2. დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის თემაზე პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 91%

პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის საკითხებზე 2018 განხორციელდა ერთი სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც სწავლება გაიარა 15-მა მონაწილემ (პროკურორი და სისტემის გამომძიებელი). ორდღიანი ტრენინგის ზოგად თემატიკას წარმოადგენდა კორუფციიდან, ფულის გათეთრებიდან და სხვა ეკონომიკური დანაშაულიდან მიღებული ქონების დაყადაღება, ჩამორთმევა და უკან დაბრუნება. ტრენინგის ფარგლებში განხილულ იქნა ქონების ჩამორთმევისათვის საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული სისხლის სამართლებრივი წარმოება, კონფისკაციას დაქვემდებარებული ქონების სახეები, ბრალის არსებობის გარეშე კონფისკაცია და გაყინა, დაკავება, დაყადაღება, გაყინვა როგორც კონფისკაციის განხორციელებამდე საფეხური, ქონების დაბრუნების შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო. ტრენინგის მიმდინარეობისას, ასევე, განხილულ იქნა პრაქტიკული სავარჯიშოები და სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება. ტრენინგის დღის წესრიგით ირკვევა, რომ თითოეული საკითხის დაფარვას საათნახევარი დაეთმო, რაც საკითხის განსახილველად ოპტიმალურ დროდ შეიძლება იქნეს მიჩნეული. თუმცა, მისაღებ რაოდენობად ვერ ჩაითვლება წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი ტრენინგის ჩატარება. მიუხედავად ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ აქტივობის განხორციელება შემდეგ წლებშიც არის დაგეგმილი, **ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული, თუმცა, მისი შესრულების პროგრესი 91%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.5.** კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესება

**ღონისძიება N1:** მინიმუმ 2 სამუშაო შეხვედრის ჩატარება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა (50)

2. სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე განხილული საკითხები (50)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 75%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფმა გამართა ერთი შეხვედრა. შეხვედრაზე განხილულ იქნა კიბერდანაშაულის გამოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები, მტკიცებულებათა მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი შესაძლო მოგვარების გზები. სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე განხილული თემატიკა შეესაბამება ღონისძიების მიზანს, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სამოქმედო გეგმით გაწერილი ორი შეხვედრის ნაცვლად 2018 წელს მხოლოდ ერთი შეხვედრა განხორციელდა, **ღონისძიება მეტწილადაა შესრულებული და მისი პროგრესია 75%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.5**. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესება

**ღონისძიება N2:** ინტერნეტ სერვის პროვაიდერებთან ურთიერთობის სტრატეგიის დამტკიცება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ინტერნეტ სერვის პროვაიდერებთან ურთიერთობის სტრატეგია დაფუძნებულია სიტუაციის/პრობლემის ანალიზზე (35)
2. ინტერნეტ სერვის პროვაიდერებთან ურთიერთობის სტრატეგია დამტკიცებულია გენერალური პროკურორის ბრძანებით (35)
3. ინტერნეტ სერვის პროვაიდერებთან ურთიერთობის სტრატეგიის დაინტერესებული პირებისთვის გაცნობის ღონისძიებები (30)

**სტატუსი**: შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ინტერნეტ სერვის პროვაიდერებთან ურთიერთობის სტრატეგია არ შემუშავებულა. **შესაბამისად, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.5.** კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესება

**ღონისძიება N3:** ინტერნეტ სერვისის პროვაიდერებთან განახლებული მემორანდუმის გაფორმება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ინტერნეტ სერვისის პროვაიდერებთან გაფორმებული განახლებული მემორანდუმის პროკურატურის შესაბამისი სამსახურებისთვის გაცნობისთვის გატარებული ღონისძიებები (60)

2. ინტერნეტ სერვისის პროვაიდერებთან გაფორმებული მემორანდუმის განახლებული ნაწილები (40)

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის თანახმად, აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით, კვლავ მიმდინარეობს მუშაობა და მემორანდუმის განახლებულ ვერსიაში დაზუსტებულია მხარეთა კონკრეტული ვალდებულებები. გარდა აღნიშნულისა, პროკურატურას ინფორმაცია არ მოუწოდებია განახლებული მემორანდუმის პროკურატურის შესაბამისი სამსახურებისთვის გაცნობისთვის გატარებული ღონისძიებების შესახებ და არც დაზუსტებული ვალდებულებების შესახებ მომხდარა თვალსაჩინო ინფორმაციის წარმოდგენა. ამის გათვალისწინებით, აქტივობის შეფასება ვერ მოხდება. **შესაბამისად, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.5.** კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესება

**ღონისძიება N4:** კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდისა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესების საკითხებზე პროკურორებისთვის, გამომძიებლებისა და სტაჟიორებისათვის ტრენინგების ჩატარება/ერთობლივი სასწავლო აქტივობების განხორციელება შესაბამისი საგამოძიებო უწყებების მონაწილეობით

**შეფასების ინდიკატორები:**

1. კიბერდანაშაულის თემაზე მომუშავე პროკურორების, გამომძიებლების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდისა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესების თემაზე (40)

2. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდისა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესების თემაზე პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდისა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესების თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი**: სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2018 წელს კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდისა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესების თემაზე პროკურორებისა და სისტემის გამომძიებლებისთვის განხორციელდა შვიდი ტრენინგი, რომელთა ფარგლებშიც სწავლება გაიარა 35-მა მონაწილემ (პროკურორი და გამომძიებელი). ტრენინგების ზოგად თემატიკას წარმოადგენდა კიბერდანაშაულის გამოძიება, ელექტრონული მტკიცებულებები და კიბერდანაშაულის თაობაზე სასამართლო თანამშრომლობა. სასწავლო აქტივობები, ძირითადად, ორდღიანი ტრენინგების ფარგლებში განხორციელდა და მათ ფარგლებში მოხდა როგორც კიბერდანაშაულის სახეებისა და კიბერდანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესის ზოგადი მიმოხილვა, ისე ამ სფეროში არსებული სასამართლო ექსპერტიზის ინსტრუმენტების, ვირტუალური ვალუტისა და ციფრული ტექნოლოგიებით ფულის გათეთრების გამოძიებების საფუძვლების, კიბერცენტრული გამოძიებების, სასამართლოში ბრალდების დასადასტურებლად მობილურის/კომპიუტერის ექსპერტიზის გამოყენების, მტკიცებულების ფორმისა და ტიპის მიხედვით სასამართლოში ციფრული მტკიცებულების გამოყენების სტრატეგიების, კიბერდანაშაულთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის, ვირტუალური ვალუტისა და კიბერდანაშაულის საფრთხის შეფასების განხილვა. ტრენინგების ფორმატი ასევე მოიცავდა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის განხილვას, პრაქტიკული სამუშაოების განხორციელებასა და საქმეების განხილვას.

წარმოდგენილი დღის წესრიგების მიხედვით, ირკვევა, რომ ტრენინგების ფარგლებში დაფარული თემატიკა საკმაოდ მრავლისმომცველი და ღონისძიების მიზნის შესაბამისი იყო. განხილული საკითხები შეესაბამებოდა თანამედროვე გამოწვევებს. თითოეული საკითხის განხილვას ტრენინგების მიმდინარეობისას, საშუალოდ, საათნახევარი დაეთმო, რაც ოპტიმალურ ვადად უნდა იქნეს მიჩნეული. ასევე ოპტიმალურ რაოდენობად შეიძლება იქნეს მიჩნეული გადამზადებულ პროკურორთა და გამომძიებელთა საერთო ოდენობა, იმის გათვალისწინებით, რომ ღონისძიება ერთჯერადი ხასიათის არ არის და შემდეგ წლებშიც დაგეგმილია ტრენინგების განხორციელება. თუმცა, სასურველია, რომ, ყოველწლიურად, პროკურატურის უფრო მეტი თანამშრომლის გადამზადება მოხდეს რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებით. **ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.5.** კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესება

**ღონისძიება N5:** კიბერდანაშაულისა და ელექტრონული მტკიცებულებების შესახებ მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი და შესაძლო საკანონმდებლო რეკომენდაციების შემუშავება ინიციატივაზე პასუხისმგებელი უწყებებისთვის

**შეფასების ინდიკატორები:**

1. შემუშავებული საკანონმდებლო რეკომენდაციები ეყრდნობა კიბერდანაშაულისა და ელექტრონული მტკიცებულებების შესახებ მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ანალიზს (50)

2. დაინტერესებული უწყებების რაოდენობა, რომლებსაც წარედგინათ რეკომენდაციები (50)

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კიბერდანაშაულისა და ელექტრონული მტკიცებულებების შესახებ მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი შემუშავებულია და შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე, 285-ე მუხლი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე და სხვა იმ მუხლებს, რომლებიც გარკვეული ხარვეზით ხასიათდება და მათი პრაქტიკაში გამოყენება ქმნის პრობლემებს. პროკურატურის თანახმად, აღნიშნულის შესახებ მოხდა დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირება.

მიუხედავად ანალიზის შემუშავებისა, პროკურატურას არ მოუწოდებია ინფორმაცია აღნიშნული ანალიზის საფუძველზე შემუშავებული საკანონმდებლო რეკომენდაციებისა და იმ უწყებების შესახებ, რომლებსაც წარედგინა რეკომენდაციები. ამის გათვალისწინებით, აქტივობა ვერ შეფასდება. **შესაბამისად, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.6.** ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N1:** ნარკოტიკული დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ნარკოტიკული დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზის დოკუმენტი ეყრდნობა შესაბამისად დამუშავებულ მონაცემებს (30)

2. ნარკოტიკული დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზის დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს არსებულ გამოწვევებზე და შეიცავს პრაქტიკულ რეკომენდაციებს (35)

3. ნარკოტიკული დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზის დოკუმენტის ხელმძღვანელობისთვის გაცნობა უზრუნველყოფილია და დაგეგმილია სამომავლო ნაბიჯები (35)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნარკოტიკული დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი შემუშავებულია და წარდგენილია ხელმძღვანელობისთვის გასაცნობად. ანალიზი შეეხება 2018 წლის განმავლობაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის, 2017 წლის 13 ივლისის, 2017 წლის 14 ივლისისა და 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებების პრაქტიკაში იმპლემენტაციის პრობლემებს და მათი აღმოფხვრის საკანონმდებლო და პრაქტიკულ გზებს. აგრეთვე, ნარკოტიკული დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების პროცესში წამოჭრილი საკანონმდებლო და პრაქტიკული ხასიათის პრობლემური საკითხების ანალიზსა და მათი გადაწყვეტის საშუალებებს. პროკურატურის თანახმად, სამომავლოდ იგეგმება საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება ინიცირებაზე პასუხისმგებელი უწყებისთვის მისაწოდებლად. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ღონისძიება სრულად არის შესრულებული და მისი პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.6.** ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N2:** ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორების მომზადება/გადამზადება/ერთობლივი ტრენინგების განხორციელება შესაბამისი უწყებების მონაწილეობით

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ნარკოტიკული დანაშაულის თემაზე მომუშავე პროკურორებისა და გამომძიებლების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე (40)

2. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

| |
|---|
| 3. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)<br><br>**სტატუსი:** სრულად შესრულებული<br><br>**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100% |

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ნარკოტიკულ დანაშაულთან შეხება საპროკურორო საქმიანობის განმახორციელებელ თითქმის ყველა სტრუქტურული დანაყოფის პროკურორებს აქვთ, გარდა სპეციალიზებული დანაყოფებისა. 2018 წელს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე განხორციელდა 11 ტრენინგი, რომელთა ფარგლებშიც გადამზადდა 62 მონაწილე (პროკურორი და სისტემის გამომძიებელი). სასწავლო აქტივობების თემატიკა შეეხებოდა ნარკოტიკების კონტროლირებად მიწოდებას, ახალ ფსიქოტროპულ ნივთიერებებს, ნარკოდანაშაულის აღკვეთას, ნარკოდანაშაულთან დაკავშირებით პარალელურ ფინანსურ გამოძიებას და ა.შ. სასწავლო აქტივობების განხორციელების ფორმატი, ძირითადად, ორდღიან ტრენინგებსა და სასწავლო ვიზიტებს ითვალისწინებდა. შეხვედრების ფარგლებში განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ნარკოდანაშაულთან დაკავშირებით პარალელური ფინანსური გამოძიების პრაქტიკა სხვადასხვა ქვეყანაში; ნარკომანიის წინააღმდეგ პროკურორთა ქსელი, მისი ფუნქციონირება და გამოცდილება; სინდიკატის მუშაობის სპეციფიკა; შავი ზღვის სამშვიდობო ქსელის რეგულაციების პროექტები; ახალი ფსიქოტროპული ნივთიერებების მახასიათებლები, წარმოება, კონტროლი და მონიტორინგი და მათი ინტერნეტით გავრცელება; ნარკოდანაშაულის გამოძიების კუთხით არსებული გამოწვევები. საინფორმაციო აქტივობების ფარგლებში ასევე მოხდა ევროკავშირის გამოცდილების გაზიარება, ნარკოტიკებსა და ნარკოდანაშაულთან დაკავშირებით უცხო ქვეყნების პოლიტიკის განხილვა. ტრენინგების ფორმატი, ასევე, ითვალისწინებდა პრაქტიკული მაგალითების განხილვასა და სიმულაციურ დავალებებს, რაც უზრუნველყოფდა საკითხის განხილვაში აუდიტორიის მაქსიმალურ მონაწილეობას.

წარმოდგენილი დღის წესრიგების მიხედვით ირკვევა, რომ ტრენინგების ფარგლებში დაფარული თემატიკა საკმაოდ მრავლისმომცველი და ღონისძიების მიზნის შესაბამისი იყო. განხილული საკითხები შეესაბამებოდა თანამედროვე გამოწვევებს და უზრუნველყოფილი იყო საკითხის განხილვაში მონაწილეთა ჩართულობა. თითოეული საკითხის განხილვას ტრენინგების მიმდინარეობისას, საშუალოდ, საათნახევარი დაეთმო, რაც ოპტიმალურ ვადად უნდა იქნეს მიჩნეული. ასევე, ოპტიმალურ რაოდენობას წარმოადგენს გადამზადებულთა ოდენობაც. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ღონისძიება ერთჯერადი ხასიათის არ არის და პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადება შემდეგ წლებშიც გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმით. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ღონისძიება სრულად არის შესრულებული და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.6.** ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N3**: ნარკოტიკულ დანაშაულზე განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ამსახველი ანგარიშის მომზადება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ნარკოტიკულ დანაშაულზე განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ამსახველი ანგარიშის მომზადებაში ჩართული სამსახურები (35)

2. ნარკოტიკულ დანაშაულზე განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ამსახველი ანგარიში ეყრდნობა სიტუაციის ანალიზს (30)

3. ნარკოტიკულ დანაშაულზე განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ამსახველ ანგარიშს იცნობს მენეჯმენტი და დაგეგმილია შემდგომი ნაბიჯები (35)

**სტატუსი:** მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 65%

პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ნარკოტიკულ დანაშაულზე განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ამსახველი ანალიზი მომზადებულია საქართველოს გენერალური პროკურატურის შესაბამისი დეპარტამენტების მონაწილეობით. თუმცა, სამოქმედო გეგმით აქტივობაზე პასუხისმგებელ დანაყოფად გამოყოფილია, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტი, რომლის ანგარიშში მონაწილეობის თაობაზე მოწოდებული ინფორმაცია მითითებას არ შეიცავს. ანალიზი აღწერს საქართველოში არსებულ ნარკოვითარებას, შეხება ნარკოპოლიტიკის სფეროში არსებულ ძირითად გამოწვევებს, მათი გადაჭრის გზებსა და განამტკიცებს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობის საკითხებს. პროკურატურის მიერ არ მომხდარა ინფორმაციის წარმოდგენა მენეჯმენტისთვის ანგარიშის გაცნობის შესახებ. სამომავლო ნაბიჯებთან დაკავშირებით კი აღინიშნა, რომ დაგეგმილია არსებული პრობლემების გადაჭრის შესახებ სამუშაო შეხვედრების ჩატარება პროკურატურის სტრუქტურულ ერთეულებთან და სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობით ტრენინგების დაგეგმვა-ორგანიზება. **შესაბამისად, ღონისძიება არის მეტწილად შესრულებული და მისი პროგრესი 65%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.6.** ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N4**: საინფორმაციო შეხვედრების გამართვა (მინიმუმ 10 შეხვედრა)

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა (20)

2. საინფორმაციო შეხვედრების რეგიონული დაფარვა (30)
3. საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილე პირების რაოდენობა (25)
4. შეხვედრებზე განხილული საკითხები (25)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით 2018 წელს 166 საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა. შეხვედრების ფარგლებში დაიფარა საქართველოს ყველა რეგიონი და თითოეულ შეხვედრას, საშუალოდ, 50 მონაწილე ესწრებოდა (სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, სტუდენტები, ადგილობრივი მოსახლეობა). შეხვედრებზე განხილულ საკითხებს წარმოადგენდა: ნარკოტიკული დანაშაულის ზოგადი მიმოხილვა; ნარკოტიკული საშუალების სახეობები; ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები; ნარკოტიკული დანაშაულისთვის დაწესებული სასჯელები; კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები; ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გამომწვევი მიზეზებისა და ნარკოტიკული საშუალების მოხმარების მავნე ზეგავლენის შესახებ კვლევის შედეგები.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, ტრენინგების ფარგლებში დაფარული თემატიკა საკმაოდ მრავლისმომცველი და ღონისძიების მიზნის შესაბამისი იყო. უზრუნველყოფილი იყო ტრენინგებში საზოგადოების სხვადასხვა ფენის ჩართულობა. ამასთან, დატრენინგებული საზოგადოების რაოდენობა მისაღებ ოდენობას წარმოადგენს. ოპტიმალურია განხორციელებული ტრენინგების ოდენობა და არეალიც. ნიშანდობლივია, რომ განხორციელებული აქტივობა ერთჯერადი ხასიათის არაა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება შემდეგ წლებშიც არის დაგეგმილი. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.6.** ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N5**: გამარჯვებული პრევენციული ღონისძიების განხორციელება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. სტუდენტთა კონკურსში გამარჯვებულ პრევენციულ ღონისძიებაში მონაწილეთა რაოდენობა

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურამ აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით წარმოადგინა 2.1.6. აქტივობის მეოთხე ღონისძიებასთან ერთად საინფორმაციო შეხვედრებთან დაკავშირებული ინფორმაცია. უშუალოდ სტუდენტთა კონკურსში გამარჯვებული პრევენციული ღონისძიების განხორციელებისა და მასში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ პროკურატურის მიერ

ინფორმაციის მოწოდება არ მომხდარა. შესაბამისად, აღნიშნული აქტივობის შეფასება ვერ მოხდება. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.7.** იურიდიულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმების გაუმჯობესება

**ღონისძიება N1:** 2016 წელს იურიდიულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმის გასაუმჯობესებლად გატარებული ღონისძიებების შედეგების მონიტორინგი

**შეფასების ინდიკატორები:**

1. 2016 წელს იურიდიულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმის გასაუმჯობესებლად გატარებული ღონისძიებების შედეგების მონიტორინგი ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ მეთოდოლოგიას/ინსტრუქციას და ინდიკატორებს (30)

2. 2016 წელს იურიდიულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმის გასაუმჯობესებლად გატარებული ღონისძიებების შედეგების მონიტორინგის დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს არსებულ გამოწვევებზე, ხარვეზებზე (35)

3. 2016 წელს იურიდიულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმის გასაუმჯობესებლად გატარებული ღონისძიებების შედეგების მონიტორინგის დოკუმენტი განსაზღვრავს სამომავლო ნაბიჯებს/პრაქტიკულ რეკომენდაციებს (35)

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმის გასაუმჯობესებლად გატარებული ღონისძიებების შედეგების მონიტორინგის ამსახველი ანგარიში არ მომზადებულა. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.7.** იურიდიულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმების გაუმჯობესება

**ღონისძიება N2:** იურიდიული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საკითხებზე, ამ მიმართულებით მომუშავე პროკურორებისა და გამომძიებლების გადამზადება /სტაჟიორების მომზადება/ერთობლივი სასწავლო აქტივობების განხორციელება შესაბამისი საგამოძიებო უწყებების მონაწილეობით

**შეფასების ინდიკატორები:**

1. იურიდიული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის თემაზე მომუშავე პროკურორებისა და გამომძიებლების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი იურიდიული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თემაზე (40)

2. იურიდიული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თემაზე პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. იურიდიული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული საქმეები შესაძლოა საპროკურორო საქმიანობის განმახორციელებელ თითქმის ყველა სტრუქტურული დანაყოფის პროკურორს ჰქონდეს. 2018 წელს იურიდიული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის თემაზე ჩატარდა ორი სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც ჩართული იყო 33 მონაწილე (პროკურორი და გამომძიებელი). აქტივობის ფორმატი წარმოადგენდა ორდღიან ტრენინგებს, რომელთა ზოგადი თემატიკა იურიდიული პირის პასუხისმგებლობას შეეხებოდა. ტრენინგებზე განხილულ იქნა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების კრიტერიუმები, კორპორატიული დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიება, კორპორატიული რისკის მართვა, სანქციებისა და სასჯელის დაწესების პრაქტიკა, მორიგების პროცედურები, იურიდიული პირის პასუხისმგებლობის მემკვიდრეობითობა და სხვ.

წარმოდგენილი დღის წესრიგების მიხედვით ირკვევა, რომ თითოეული საკითხის განხილვას, დაახლოებით, ერთი საათი დაეთმო, რაც ოპტიმალურ დროდ შეიძლება მივიჩნიოთ. ასევე, მისაღებია თითოეულ ტრენინგზე, საშუალოდ, 16 პირის დასწრება. ტრენინგებზე განხილული თემატიკა მრავლისმომცველია და შესაბამისობაშია ღონისძიების მიზანთან. მიუხედავად იმისა, რომ სასურველია, ყოველწიურად უფრო მეტი თანამშრომლის გადამზადება მოხდეს და სისტემურად ტარდებოდეს ტრენინგები, გასათვალისწინებელია, რომ აქტივობა ერთჯერადი ხასიათი არ არის და მისი განხორციელება შემდეგ წლებშიც არის დაგეგმილი. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად არის შესრულებული და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 2.1.8.** სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N1:** ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე მყისიერი რეაგირებისა და კოორდინაციის გაზრდის მიზნით სამუშაო შეხვედრის ჩატარება სხვა სამართალდამცავი ორგანოებისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით (მინიმუმ ერთი შეხვედრა)

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე მყისიერი რეაგირებისა და კოორდინაციის გაზრდის მიზნით ჩატარებული სამუშაო შეხვედრების რაოდენობა (50)

2. სამუშაო შეხვედრებზე განხილული საკითხები (50)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მთავარი პროკურატურის ინიციატივით შექმნილი ჯგუფის შემადგენლობაში შედიან საქართველოს პროკურატურის, ფინანსთა, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების, შინაგან საქმეთა, თავდაცვის სამინისტროებისა და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფმა 2018 წელს სულ ექვსი შეხვედრა გამართა. პირველ შეხვედრაზე განხილულ იქნა მოქალაქეების მიერ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით საქართველოს პროკურატურაში შესული საქმეების განხილვის დასაჩქარებლად საჭირო სისტემური მიდგომის, მათ შორის, ჩამორთმეული ქონების დაბრუნების ალტერნატიული მექანიზმის შემუშავების საკითხი. დანარჩენ შეხვედრებზე კი განიხილებოდა დაზარალებულთა უფლებების აღდგენის სამართლებრივი გზები და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 მაისის №1044 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესაძლებლობის საკითხი.

აღნიშნული ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, რომ სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა აკმაყოფილებს სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ მინიმალურ კვოტას. ასევე, ის საკითხები, რომლებიც განიხილებოდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრების მიმდინარეობისას, ეხმიანება არსებულ გამოწვევებს და ღონისძიების მიზნის შესაბამისია. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

### 5.3. ამოცანა 3. ადამიანის უფლებების დაცვა

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მესამე ამოცანა და მიზანი ადამიანის უფლებების დაცვას ითვალისწინებს. აღნიშნული მიზნის მიღწევის მექანიზმად ოთხი კომპონენტია გათვალისწინებული, რომლებიც 2018 წლისთვის 14 ღონისძიების შესრულებას ითვალისწინებს. აღნიშნული 14 ღონისძიებიდან 12 სრულად შესრულდა, ორი კი არ შესრულდა. **მესამე ამოცანის ღონისძიებების შესრულების პროგრესი 86%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.1.1.** ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N1:** ოჯახში ძალადობის შესახებ საზოგადოებასთან მინიმუმ 10 საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება, მათ შორის 3 შეხვედრა ეთნიკურ უმცირესობებთან

**შეფასების ინდიკატორები:**

1. შეხვედრებისთვის აუდიტორიის შერჩევის მეთოდოლოგია/კრიტერიუმები (25)
2. ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა (25)
3. შეხვედრაში მონაწილე პირების რაოდენობა (20)
4. შეხვედრებზე განხილული საკითხები (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახური დანაშაულის საკითხებზე 2018 წელს საქართველოს ყველა რეგიონში 241 საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა, თითო შეხვედრას საშუალოდ 50 მონაწილე ესწრებოდა (სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, სტუდენტები, საჯარო მოხელეები, ადგილობრივი მოსახლეობა). შეხვედრებისთვის სამიზნე აუდიტორიის შერჩევა განხორციელდა დანაშაულისა და დანაშაულის მახასიათებლების შესახებ სტატისტიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე. ეთნიკური უმრავლესობის წარმომადგენლებთან 28 შეხვედრა გაიმართა. შეხვედრებზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ოჯახში ძალადობის განმარტება; ძალადობის ფორმები; დაზარალებულის უფლებები/სტატუსის მინიჭება; ოჯახში ძალადობის/ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ შეტყობინების ვალდებულება; დაცვის მექანიზმები და სერვისები; ადევნების დანაშაულის მიმოხილვა.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ ტრენინგების ფარგლებში დაფარული თემატიკა საკმაოდ მრავლისმომცველი და ღონისძიების მიზნის შესაბამისი იყო. მოხდა ტრენინგებში საზოგადოების სხვადასხვა ფენის ჩართულობის უზრუნველყოფა. ამასთან, დატრენინგებული საზოგადოების რაოდენობა მისაღებ ოდენობას წარმოადგენს. ოპტიმალურია განხორციელებული ტრენინგების ოდენობა და არეალიც. ნიშანდობლივია, რომ განხორციელებული აქტივობა ერთჯერადი ხასიათის არაა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება შემდეგ წლებშიც არის დაგეგმილი. მისაღებია კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც მოხდა შეხვედრებისთვის სამიზნე აუდიტორიის შერჩევა. ამასთან, უშუალოდ ეთნიკურ უმცირესობებთან გამართული შეხვედრების რაოდენობა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ღონისძიება სრულად არის შესრულებული და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.1.1.** ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N2:** კონფერენციის ჩატარება ოჯახში ძალადობის საკითხებზე

**შეფასების ინდიკატორები:**

1. კონფერენციაში მონაწილე დაინტერესებული მხარეები (50)

2. კონფერენციაზე განხილულია ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებული გამოწვევები და დაგეგმილი ნაბიჯები (50)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წლის 27 ნოემბერს საქართველოს მთავარ პროკურატურაში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგებისა და გამოწვევების შესაჯამებლად კონფერენცია გაიმართა. კონფერენციას სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კონფერენციაზე მიწვეული იყვნენ, ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასამართლოს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, პრობაციის ეროვნული სააგენტოს, იურიდიული დახმარების სამსახურისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები. კონფერენციის მონაწილეებს წარედგინათ ანგარიში ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენციების, მიღწევებისა და გამოწვევების, ასევე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთის კუთხით არსებული ტენდენციის შესახებ. კონფერენციაზე დამსწრე პირებს მიეწოდათ ინფორმაცია 2018 წლის ცხრა თვის განმავლობაში ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის კვალიფიკაციით დევნის დაწყების მაჩვენებლების, აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის და შეფარდების, საქმეთა განხილვის შედეგების შესახებ. ასევე მოხდა ინფორმაციის მიწოდება იმ დადებითი ტენდენციების შესახებ, რომლებიც გულისხმობს ძალადობის შემსწრე არასრულწლოვანთა დაზარალებულად ცნობას, ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტების გამოკვეთასა და დევნის დაწყებას, დანაშაულთა ერთობლიობით დევნის დაწყების მაჩვენებლის გაზრდას, გენდერული დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთას და პროკურორთა საქმიანობის ხარისხის ამაღლებას, რასაც ხელი შეუწყო 2018 წლის ოჯახური დანაშაულის მიმართულებით პროკურორთა სპეციალიზაციის დანერგვამ.

გამოწვევებთან დაკავშირებით გამოიკვეთა სპეციალიზებული პროკურორების დატვირთვა და სასამართლოს გადატვირთულობა, არსებითი განხილვის ეტაპზე დაზარალებულის მიერ ჩვენების შეცვლა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმა, დაზარალებულისთვის სერვისების ნაკლებობა, მოძალადის რეაბილიტაციის პროგრამების არარსებობა. ასევე, ხაზი გაესვა პირველადი პრევენციის მექანიზმების გაძლიერების მნიშვნელობას, მონაწილეებმა იმსჯელეს სწორი სისხლის სამართლის პოლიტიკის მნიშვნელობაზე ოჯახური დანაშაულის შემცირების კუთხით.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ კონფერენცია საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო და მის ფარგლებში მოხდა რელევანტური საკითხების განხილვა. კონფერენციაზე განხილული სამომავლო ნაბიჯების შესახებ, პროკურატურას ინფორმაცია არ მოუწოდებია, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ აქტივობა ერთჯერადი ხასიათის არაა და მისი განხორციელება შემდეგ წლებშიც არის დაგეგმილი, **ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.1.1.** ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N3**: ოჯახში ძალადობის საკითხებზე სპეციალიზებული პროკურორების მონიტორინგი (სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ზრდა წინა წელთან შედარებით)

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ოჯახში ძალადობის საკითხებზე სპეციალიზებული იმ პროკურორების წილი, რომლებმაც გაირეს მონიტორინგი/შეფასება

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ოჯახური ძალადობის საკითხებზე სპეციალიზებული პროკურორების რაოდენობა 161-ს შეადგენს. ამასთან, 2018 წელს შეფასებულ იქნა პროკურატურის ყველა პროკურორი (საერთო ჯამში - 420).

პროკურატურის თანახმად, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, 2018 წლის განმავლობაში ახორციელებდა ოჯახური ძალადობის კვალიფიკაციით გამოძიება დაწყებულ საქმეთა მონიტორინგს, რომელთა ფარგლებშიც ყურადღება ექცევა გაჭიანურების გარეშე ტარდება თუ არა გამოძიება აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე, დროულად მიიღება თუ არა შემაჯამებელი გადაწყვეტილებები, აგრეთვე, სრულდება თუ არა სისხლის სამართლის კოდექსის $11^1$ და $126^1$ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ რეკომენდაცია. ამასთან, სასამართლო მონიტორინგის ფარგლებში, ამ კატეგორიის საქმეებზე ყურადღება ექცევა აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებას და საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე სახელმწიფო ბრალდების ეფექტიანი მხარდაჭერის საკითხს. **ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.1.1.** ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N4:** მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართვა ოჯახური დანაშაულის საქმეებში

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ოჯახური დანაშაულის საქმეთა რაოდენობა, სადაც ჩართულია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 126[1] პრიმა და 11[1] მუხლებით კვალიფიცირებულ იმ საქმეთა რაოდენობა, რომლებიც ჩაერთვნენ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები 2018 წელს შეადგენდა 1525-ს. აღნიშნული 815-ით აღემატება 2017 წლის მაჩვენებელს. სტატისტიკური მონაცემების ამგვარი ზრდა მისასალმებელია. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.1.1.** ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N5:** ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის საკითხებზე პროკურორებისა და სტაჟიორების მომზადება/გადამზადება/ერთობლივი სასწავლო აქტივობების ჩატარება შესაბამისი უწყებებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის თემაზე მომუშავე პროკურორების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის თემაზე (40)

2. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის თემაზე პროკურორებისა და სტაჟიორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ოჯახურ დანაშაულში სპეციალიზებული პროკურორების რაოდენობა 161-ს შეადგენს. 2018 წელს ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის თემაზე განხორციელდა სპეციალიზაციის სამი კურსი, რომელთა ფარგლებშიც გადამზადება გაიარა 83-მა მონაწილემ (პროკურორი და სისტემის გამომძიებელი). დამატებით, ქალთა მიმართ ძალადობის, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და ოჯახური დანაშაულის თემაზე განხორციელდა 11 სასწავლო აქტივობა, რომლებშიც ჩართული იყო 118 მონაწილე (პროკურორი, გამომძიებელი, მრჩეველი). სასწავლო აქტივობების ფარგლებში განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცა: სიძულვილის ენა, გენდერული ნიშნით ძალადობა, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, სამართლებრივი ბაზა, მათ შორის, სტამბული კონვენციის სტანდარტები, დაცვის მექანიზმები, სექსუალური შევიწროება, ძალადობის მსხვერპლთან მუშაობის სპეციფიკა, ბავშვთა მიმართ ოჯახში ძალადობა, ლბტ ქალთა საკითხების ინტეგრირება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისგან დაცვის/დახმარების მექანიზმებში და სხვა.

დღის წესრიგების მიხედვით ირკვევა, რომ საინფორმაციო აქტივობების თემატიკა მრავლისმომცველი, რელევანტური და მიზანთან შესაბამისი იყო. თითოეული საკითხის განხილვას, დაახლოებით, საათი - საათნახევარი დაეთმო რაც ოპტიმალურ ხანგრძლივობას წარმოადგენს. ამასთან, მისაღებია თითოეულ ტრენინგზე დამსწრეთა საშუალო რაოდენობა. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად არის შესრულებული და მისი პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.1.1.** ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N6:** ადამიანის უფლებათა საბჭოსთან, იუსტიციის სამინისტროსთან და სხვა შესაბამის უწყებებთან აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრი და სხვა უწყებების ჩამონათვალი, რომელთა მონაწილეობით მოხდა საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება (30)

2. საკანონმდებლო წინადადების მომზადების პროცესში ჩართული სხვა დაინტერესებული მხარეები (30)

3. საერთაშორისო სტანდარტები, რომლებსაც ეყრდნობა მომზადებული საკანონმდებლო წინადადებები - მათთან შესაბამისობა (40)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წლის 3 ივლისს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა გამართა შეხვედრა სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ეფექტურობის შეფასებისა და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით. კომიტეტის სხდომაზე, უწყების წარმომადგენლების, მათ შორის, პროკურატურის წარმომადგენლის მიერ გაკეთდა მოხსენება ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრობლემურ საკითხებზე. შეხვედრის შემდგომ, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ შემუშავებული იქნა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებდა ცვლილებების შეტანას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, სისხლის სამართლის კოდექსში, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში, პატიმრობის კოდექსში, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. პროკურატურა აქტიურად იყო

ჩართული ცვლილებების განხილვის პროცესში. გარდა აღნიშნულისა, პროკურატურა აქტიურად იყო ჩართული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის დამუშავებაში. აღნიშნული კანონის ფარგლებში ცვლილებები განხორციელდა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის, აგრეთვე, ოჯახური დანაშაულის მუხლებში.[126]

პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით უწყების როლი ზემოთ აღნიშნულ საკომიტეტო მოსმენებში გახლდათ პროკურატურის წარმომადგენლის მიერ მოხსენების გაკეთება კომიტეტის სხდომაზე, კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების თაობაზე წერილობითი მოსაზრებების წარდგენა, საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის განხილვა. საკომიტეტო განხილვას თემაზე „საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა: პრობლემების იდენტიფიცირება“ გარდა პროკურატურისა, მოხსენებით წარსდგა სოფიო ჯაფარიძე - გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი, ნათია მეზვრიშვილი - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახალხო დამცველის მოადგილე (არასრული ჩამონათვალი), სხდომას ასევე ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები (მაგ. კავშირი საფარი)

კანონპროექტის განხილვის პროცესში ჩართული იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, იურიდიული დახმარების სამსახური, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, უზენაესი სასამართლო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და სხვა უწყებები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართულებით არსებული პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ პროკურატურის ხედვა მოიცავდა მოსაზრებებს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობის თაობაზე. საკანონმდებლო ცვლილებების მიზანი იყო უფრო მოქნილი და ეფექტიანი გახდეს ქალთა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენება, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის და დახმარების მიმართულებით. მომზადებული საკანონმდებლო წინადადებები ეყრდნობა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს

[126] სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი.

კონვენციას, მიზნად ისახავს ქართული საკანონმდებლო ჩარჩოს მაქსიმალურად დაახლოებას კონვენციით დადგენილ სტანდარტებთან.

აღნიშნულის საფუძველზე იკვეთება რომ მოხდა საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს. მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, შეხვედრაში მონაწილეობდა სხვადასხვა რელევანტური სახელმწიფო უწყება, და ადამიანის უფლებათა დაცვის რელევანტური წევრები, მათ შორის, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია. მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებები ეყრდნობა ევროსაბჭოს სტანდარტებს. აღნიშნულის გათვალისწინებით **ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.2.1.** წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენის მექანიზმის გაუმჯობესება

**ღონისძიება N1**: წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი

**შეფასების ინდიკატორები:**

1. წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ მეთოდოლოგიასა და ინდიკატორებს (30)

2. წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ რეკომენდაციის მონიტორინგის დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს არსებულ გამოწვევებზე, ხარვეზებზე (35)

3. წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ რეკომენდაციის მონიტორინგის დოკუმენტი განსაზღვრავს სამომავლო ნაბიჯებს / პრაქტიკულ რეკომენდაციებს (35)

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურამ ღონისძიებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 2018 წელს განხორციელდა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების კვალიფიკაციის შესახებ რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი და წარმოადგინა ვებგვერდზე განთავსებული მონიტორინგის ანგარიში.[127] ანგარიში მოიცავს მხოლოდ დიაგრამებზე ვიზუალურად გამოსახულ მონაცემებს და არ ახდენს მითითებას მონიტორინგის მეთოდოლოგიასა და ინდიკატორებზე ისევე, როგორც არსებულ გამოწვევებზე, ხარვეზებსა და სამომავლო ნაბიჯებზე/პრაქტიკულ რეკომენდაციებზე. **შესაბამისად, ღონისძიება შეუსრულებლად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი შესრულების პროგრესი 0%-ია.**

[127] http://old.pog.gov.ge/res/docs/angarishi31_12_2018.pdf [01/08/2019]

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.2.1.** წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენის მექანიზმის გაუმჯობესება

**ღონისძიება N2**: წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორების მომზადება/გადამზადება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მომუშავე პროკურორების და გამომძიებლების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე (40)

2. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წელს წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე განხორციელდა ორი სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 45 მონაწილე (პროკურორი და სისტემის გამომძიებელი). ტრენინგების ფარგლებში დაფარულ იქნა საკითხები როგორც საქართველოს ეროვნული კანონმდებლობისა და გამოძიების მექანიზმების, ისე ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან მიმართებით. კერძოდ, კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელოვან ნაწილთან დაკავშირებული სიახლეები, ამ მუხლთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი, არასათანადო მოპყრობის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა, არასათანადო მოპყრობის ფაქტების საფუძვლიანი გამოძიების უზრუნველმყოფი საგამოძიებო მოქმედებები. ტრენინგები ასევე მოიცავდა ინტერაქტიულ პრაქტიკულ სავარჯიშოებს, რომლებიც უზრუნველყოფდა დამსწრეთა მაქსიმალურ ჩართულობას.

დღის წესრიგების მიხედვით ირკვევა, რომ თითოეული საკითხის განხილვას, დაახლოებით, საათნახევარი დაეთმო, რაც ოპტიმალურ ხანგრძლივობას წარმოადგენს. ამასთან, ტრენინგებზე განხილულ იქნა რელევანტური და მიზნის შესაბამისი თემები. გასათვალისწინებელია, რომ აქტივობა შემდეგ წლებშიც დაგეგმილია სამოქმედო გეგმის ფარგლებში და სასურველია, საინფორმაციო შეხვედრების განხორციელებას უფრო სისტემატური ხასიათი ჰქონდეს. **ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.2.1.** წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენის მექანიზმის გაუმჯობესება

**ღონისძიება N3:** სისტემატური ვიზიტები პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირებთან

**შეფასების ინდიკატორები:**

1. 2018 წელს, პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტების ზრდის მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით (50)

2. განხორციელებული ვიზიტების შედეგებზე დაყრდნობით დაგეგმილი / განხორციელებული ღონისძიებები (50)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წელს, პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 152-ს შეადგენდა, რაც 2017 წლის მაჩვენებელს 90-ით, 2016 წლისას კი - 89-ით აღემატება. პროკურატურის თანახმად, პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოში, თავდაცვის სამინისტროში, იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის პროკურორები სისტემატურად ახორციელებდნენ ვიზიტებს პენიტენციური დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებაში. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.3.1.** დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N1:** დისკრიმინაციული დანაშაულის გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორების მომზადება/გადამზადება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. დისკრიმინაციულ დანაშაულებზე მომუშავე პროკურორებისა და გამომძიებლების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი დისკრიმინაციული დანაშაულის გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე (40)

2. დისკრიმინაციული დანაშაულის გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თემაზე პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. დისკრიმინაციული დანაშაულის გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წელს დისკრიმინაციული დანაშაულის გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე განხორციელდა ექვსი ტრენინგი, რომელთა ფარგლებშიც სწავლება გაიარა 128 მონაწილემ (პროკურორი და სისტემის გამომძიებელი). ტრენინგების ფარგლებში დაიფარა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის, დაცვის მექანიზმების, სექსუალური შევიწროების, გენდერული ნიშნით ძალადობის, ჰომო/ბი/ტრანსფობიური ძალადობის, რელიგიის თავისუფლების, სქესისა და გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის, დისკრიმინაციისგან დაცვის სამართლებრივი ბაზის, შეზღუდული შესაძლებლობის, ეთნიკური და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის საკითხები და სხვ. ტრენინგების ფარგლებში განხილულ იქნა პრაქტიკული სავარჯიშოები და პრეცედენტული სამართალიც. თითოეული საკითხის განხილვას, დაახლოებით, ერთი საათი დაეთმო, რაც მისაღებ ხანგრძლივობას წარმოადგენს. ოპტიმალურია ტრენინგებისა და თითოეულ ტრენინგზე დამსწრეთა საშუალო რაოდენობაც, იმის გათვალისწინებით, რომ აქტივობა მრავალჯერადი ხასიათისაა და შემდეგ წლებშიც არის დაგეგმილი მისი განხორციელება. მისაღებია ტრენინგების განმავლობაში დაფარული საკითხების თემატიკაც. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად არის შესრულებული და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.3.1.** დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N2:** დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტურობის გაზრდის მიზნით ანგარიშის მომზადება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტურობის გაზრდის მიზნით მომზადებულ ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია არსებულ ხარვეზებსა და გამოწვევებზე (35)

2. დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტურობის გაზრდის მიზნით მომზადებულ ანგარიში მოიცავს რეკომენდაციებს არსებული ხარვეზების/გამოწვევების აღმოფხვრის მიზნით (30)

3. დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტურობის გაზრდის მიზნით მომზადებულ ანგარიშის საფუძველზე განხორციელებული / დაგეგმილი ღონისძიებები (35)

**სტატუსი**: შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი**: 0%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ 2016-2018 წლების სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი გამოქვეყნდა პროკურატურის ვებგვერდზე.[128] სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების

[128] http://old.pog.gov.ge/geo/news?info_id=1962 [01/08/2019]

ანალიზის დოკუმენტი მოიცავს მხოლოდ დიაგრამებზე ვიზუალურად გამოსახულ მონაცემებს და არ ახდენს მითითებას არსებულ ხარვეზებსა და გამოწვევებზე, ასევე, არ შეიცავს მითითებას მათი აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების შესახებ, ისევე როგორც ანგარიშის საფუძველზე განხორციელებული/დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ღონისძიება შეუსრულებლად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი შესრულების პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.3.1.** დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N3:** სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, პროკურორებისთვის, გამომძიებლებისა და სტაჟიორებისთვის მინიმუმ 4 ტრენინგის ჩატარება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების თემაზე მომუშავე პროკურორებისა და გამომძიებლების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენის და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე (40)

2. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენის და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენის და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე ოთხი ტრენინგი ჩატარდა, რომელთა ფარგლებშიც 65 მონაწილე (პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი) გადამზადდა. ამასთან, პროკურორებისა და ჟურნალისტებისთვის ჩატარდა ტრენინგი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის თემაზე, რომელშიც პროკურატურის 13 წარმომადგენელი იყო ჩართული. ორდღიანი ტრენინგების ფარგლებში მოხდა ისეთი საკითხების დაფარვა, როგორებიცაა: სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, მიკერძოების ინდიკატორები და გამოძიება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე, ქართული კანონმდებლობა, საერთაშორისო სტანდარტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დამაბრკოლებელი ფაქტორები, გენდერული ნიშნით ძალადობა, სიძულვილის ენა და სხვ. ტრენინგების ფარგებში განხილული საკითხები რელევანტური მნიშვნელობისაა და შეესაბამება აქტივობის

მიზანს. მისაღებია თითოეულ საკითხისთვის გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა (დაახლოებით, ერთი საათი). ოპტიმალურია ასევე ტრენინგებისა და თითოეულ ტრენინგზე დამსწრეთა ოდენობა, იმის გათვალისწინებით, რომ აქტივობა ერთჯერადი ხასიათის არაა და მისი განხორციელება შემდეგ წლებშიც არის დაგეგმილი. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.3.1.** დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდა

**ღონისძიება N4:** დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სპეციალიზებული პროკურორების საქმიანობის კონტროლი

**შეფასების ინდიკატორები:**

1. დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სპეციალიზებული იმ პროკურორების წილი, რომლებმაც გაირეს მონიტორინგი/შეფასება

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის მონაცემებით, აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე სპეციალიზებული იყო 28 პროკურორი, რომელთაგან, 2018 წელს მომზადებულ ანალიზში სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის ფარგლებში, ყველა შემოწმდა. გარდა სპეციალიზებული პროკურორების საქმიანობისა და ეფექტიანი საპროცესო ზედამხედველობის გარდა, განხორციელდა ასევე ყველა იმ სისხლის სამართლის საქმის შემოწმება, რომელშიც იკვეთებოდა სიძულვილის მოტივი. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 3.3.2.** დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ საზოგადოების პროაქტიული ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება

**ღონისძიება N1**: დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებრივ ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და პირის მსჯავრდების შესახებ ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებრივ ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და პირის მსჯავრდების შესახებ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია (60)

2. დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებრივ ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და პირის მსჯავრდების შესახებ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თვალსაჩინოება/პოვნის სიმარტივე (40)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებრივ ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და პირის მსჯავრდების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია პროკურატურის ვებგვერდზე. პროკურატურამ აღნიშნულთან დაკავშირებით, თითოეულზე წარმოადგინა ელექტრონული მისამართი, კერძოდ:

- გენდერული დისკრიმინაციის მოტივი - მკვლელობის მცდელობა;[129]
- გენდერული დისკრიმინაციის მოტივი;[130]
- გენდერული იდენტობა;[131]
- ეროვნული შეუწყნარებლობის ნიშნით ვიტალი საფაროვის მკვლელობა;[132]
- გენდერული დისკრიმინაციის მოტივი- წამება;[133]
- რელიგიური ნიშნით დევნა[134]
- სექსუალური ორიენტაცია;[135]

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ ინფორმაცია დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებრივ ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების შესახებ აქტიურად ქვეყნდებოდა პროკურატურის ვებგვერდზე. ინფორმაციის განთავსება ხდებოდა ახალი ამბების სვეტში და თვალსაჩინო იქნებოდა დაინტერესებული პირისთვის. შესაბამისად, **ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

### 5.4. ამოცანა 4. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტიანი სისტემის შექმნა

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეოთხე ამოცანა და მიზანი გულისხმობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტიანი სისტემის შექმნას. აღნიშნული მიზნის მიღწევის მექანიზმად ოთხი კომპონენტია გათვალისწინებული, რომლებიც 2018 წლისთვის ექვსი ღონისძიების შესრულებას ითვალისწინებს. აღნიშნული ექვსი ღონისძიებიდან ოთხი სრულად შესრულდა, ერთი - მეტწილად, ხოლო ერთი არ შესრულდა. მეოთხე ამოცანის ქვეშ

---

[129] http://old.pog.gov.ge/geo/news?info_id=1753 [01/08/2019]
[130] http://old.pog.gov.ge/geo/news?info_id=1775 [01/08/2019]
[131] http://old.pog.gov.ge/geo/news?info_id=1929; [01/08/2019]
http://old.pog.gov.ge/geo/news?info_id=1934; [01/08/2019]
http://old.pog.gov.ge/geo/news?info_id=1936;[01/08/2019]
http://old.pog.gov.ge/geo/news?info_id=1506; [01/08/2019]
[132] http://old.pog.gov.ge/geo/news?info_id=1857[01/08/2019]
[133] http://old.pog.gov.ge/geo/news?info_id=1873[01/08/2019]
[134] http://old.pog.gov.ge/geo/news?info_id=1924; http://old.pog.gov.ge/geo/news?info_id=1938[01/08/2019]
[135] http://old.pog.gov.ge/geo/news?info_id=1940 [01/08/2019]

ნაწილობრივ შესრულებული ღონისძიება არ გვხვდება. **მეოთხე ამოცანის ღონისძიებების შესრულების პროგრესია 78%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 4.1.1.** ადგილობრივ დონეზე საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერება

**ღონისძიება N1:** ადგილობრივ დონეზე გამოყოფილი პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით შეხვედრის გამართვა და მათი ანგარიშების განხილვა, ანგარიშებიდან გამომდინარე საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ადგილობრივ დონეზე გამოყოფილი პასუხისმგებელი პირების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს (30)
2. შეხვედრებზე განხილული საკითხები (35)
3. შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებები/დაგეგმილი ნაბიჯები (35)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტიანი სისტემის შექმნის მიზნით პროკურატურის ინიციატივით შეიქმნა არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმი, რომელშიც, პროკურატურის სისტემიდან წარმომადგენლად, რეგიონების მიხედვით, გამოყოფილია თითო პროკურორი (სულ რვა პროკურორი). პროკურორები ადგილობრივ დონეზე იღებენ შეხვედრებში მონაწილეობას. შეხვედრების განმავლობაში, როგორც წესი, ხდება პრაქტიკაში არსებული პრობლემებისა და საკანონმდებლო ხარვეზების განხილვა. 2018 წლის სხდომებზე, საკითხების განხილვის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულ იქნა ისეთ პრობლემებზე, როგორებიცაა: საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფსიქოლოგის ყოლის აუცილებლობა; პროცესში ჩართულ პირთა (გამომძიებელი, პროკურორი) გადატვირთულობა; ბავშვზე მორგებული გარემოს არარსებობა; კანონთან კონფლიქტში მყოფ 14 წლამდე ასაკის პირთა რეფერირების სისტემის არარსებობა; პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების, თარჯიმნებისა და საპროცესო წარმომადგენლად ჩართული სოციალური მუშაკების სიმცირე. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული საკითხები წარედგინება ცენტრალურ დონეზე არსებულ მულტიდისციპლინურ ჯგუფს, რომელიც იმსჯელებს თითოეულ პრობლემაზე, შეიმუშავებს წინადადებებს და წარუდგენს შესაბამის უწყებებს პრობლემათა გადაჭრის გზების დასახვის მიზნით, რის შესახებაც აუცილებლად მოხდება ადგილობრივ დონეზე არსებული არასრულწლოვანთა საკოორდინაციო მექანიზმების ინფორმირება.

ადგილობრივი მულტიდისციპლინური შეხვედრების შემდეგ მოხდა შესაბამისი ანგარიშების განხილვა. პრობლემები, რომლებიც მრავალდარგობრივია და რომელთა გადაჭრა საჭიროებს სხვა უწყებების დახმარებას, გადამისამართდა შესაბამის უწყებებში. რაც შეეხება პრობლემებს, რომელიც დაკავშირებულია სამართლებრივ პროცედურებთან და შიდაუწყებრივი

ხასიათისაა, მაგ.: არასრულწლოვანთა გამოკითხვა-დაკითხვის საკითხი, კანონიერი წარმომადგენლისა და საპროცესო წარმომადგენლის მართლმსაჯულების პროცესში ჩართვის საკითხი, საკანონმდებლო ნორმების არაერთგვაროვანი გაგება, მათზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი გახდა მსგავსი ტიპის პრობლემების გადაჭრა. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 4.1.1.** ადგილობრივ დონეზე საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერება

**ღონისძიება N2:** ადგილობრივ დონეზე გამოყოფილი პირის მიერ წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ ადგილობრივ დონეზე შეხვედრის ორგანიზება და მის მიერ ანგარიშის მომზადება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ადგილობრივ დონეზე გამოყოფილი იმ პასუხისმგებელი პირების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც წელიწადში მინიმუმ ორი შეხვედრა გამართეს (30)

2. შეხვედრებზე განხილული საკითხები (30)

3. შეხვედრებთან დაკავშირებით მომზადებულ ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია გამოწვევებზე და მათი მოგვარების გზებზე (40)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმში რეგიონების მიხედვით წარმოდგენილი პროკურორები (სულ რვა პროკურორი), ადგილობრივ დონეზე იღებენ შეხვედრებში მონაწილეობას. შეხვედრების განმავლობაში, როგორც წესი, ხდება პრაქტიკაში არსებული პრობლემებისა და საკანონმდებლო ხარვეზების განხილვა. 2018 წლის სხდომებზე, საკითხების განხილვის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულ იქნა ისეთ პრობლემებზე, როგორებიცაა: საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფსიქოლოგის ყოლის აუცილებლობა; პროცესში ჩართულ პირთა (გამომძიებელი, პროკურორი) გადატვირთულობა; ბავშვზე მორგებული გარემოს არარსებობა; კანონთან კონფლიქტში მყოფ 14 წლამდე ასაკის პირთა რეფერირების სისტემის არარსებობა; პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების, თარჯიმნებისა და საპროცესო წარმომადგენლად ჩართული სოციალური მუშაკების სიმცირე. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული საკითხები წარედგინება ცენტრალურ დონეზე არსებულ მულტიდისციპლინურ ჯგუფს, რომელიც იმსჯელებს თითოეულ პრობლემაზე, შეიმუშავებს წინადადებებს და წარუდგენს შესაბამის უწყებებს პრობლემათა გადაჭრის გზების დასახვის მიზნით, რის შესახებაც აუცილებლად მოხდება ადგილობრივ დონეზე არსებული არასრულწლოვანთა საკოორდინაციო მექანიზმების ინფორმირება.

2018 წელს განხორციელებულ ადგილობრივ შეხვედრებში რეგიონში წარმომადგენლად გამწესებულმა პროკურორებმა გამართეს თითო შეხვედრა. შეხვედრაზე დასმული საკითხების მრავალდარგობრივი ხასიათიდან გამომდინარე, რომელთა გადაჭრა და კონკრეტული მიზნის დასახვა საჭიროებდა ხანგრძლივ კოორდინაციას სხვადასხვა უწყებებთან, ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმის მომდევნო სხდომა დაიგეგმა 2019 წლის დასაწყისისთვის, სადაც მონაწილე მხარეებს გასული წლის ანგარიშიც წარედგინებათ.

სხდომებზე წამოჭრილი საკითხების იდენტიფიცირებისა და უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე განხილვის მიზნით, გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს მიერ ხდება არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმის სხდომებზე წამოჭრილი საკითხების განზოგადებული სახით თავმოყრა და გაანალიზება. არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმების სხდომების შესახებ ზოგადი ინფორმაცია აისახება გენერალური პროკურორის ანგარიშებში. ასევე, არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმის შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება ხდება პროკურატურის მიერ ორგანიზებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ყოველწლიურ კონფერენციაზე. კონფერენციის შესახებ ინფორმაცია აისახება პროკურატურის ვებგვერდზე.

არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმის სხდომებზე გამოკვეთილი პრაქტიკული პრობლემების გადაჭრის მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურატურის ანალიტიკური სამმართველოს მიერ ხდება შიდაუწყებრივი ხასიათის რეკომენდაციების შემუშავება. აღსანიშნავია, რომ შეხვედრების ფარგლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად ბავშვზე მორგებული გარემოს არარსებობა სახელდება. ამ მიმართულებით პროკურატურა აქტიურად მუშაობს და არსებული მდგომარეობით უკვე პროკურატურის ორ სტრუქტურულ ერთეულში შექმნილია ბავშვზე მორგებული გარემო (რუსთავის და ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურები).

შეხვედრების თემატიკა ცხადყოფს, რომ მოხდა რელევანტური საკითხების დაფარვა, რაც შესაბამისობაშია აქტივობის მიზანთან. პროკურატურის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში იკვეთება, რომ 2018 წელს რეგიონში წარმომადგენლად გამწესებულმა პროკურორებმა თითო შეხვედრა გამართეს ნაცვლად ორისა. პროკურატურამ წარმოადგინა ინფორმაცია შეხვედრებთან დაკავშირებული ანგარიშის შესახებ, რომელშიც ასახულია ძირითადი გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 4.1.2.** არასრულწლოვანთა პროკურორების ოპტიმიზაცია და მათი გადამზადება

**ღონისძიება N1:** არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზებული პროკურორების დატვირთვის შესწავლა

**შეფასების ინდიკატორები:**

1. არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზებული პროკურორების დატვირთვის ამსახველი დოკუმენტის მომზადებაში ჩართული დეპარტამენტები და პირები (50)

2. არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზებული პროკურორების დატვირთვის ამსახველი დოკუმენტის საფუძველზე განხორციელებული / დაგეგმილი ღონისძიებები (50)

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის თანახმად, არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზებული პროკურორების დატვირთვის ამსახველი დოკუმენტი არ მომზადებულა. **შესაბამისად, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 4.1.2.** არასრულწლოვანთა პროკურორების ოპტიმიზაცია და მათი გადამზადება

**ღონისძიება N2:** შშმ პირებთან ეფექტური კომუნიკაციის თემაზე საშუალო რგოლის მენეჯერებისა და პროკურორების კვალიფიკაციის ამაღლება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. საშუალო რგოლის მენეჯერების და პროკურორების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი შშმ პირებთან ეფექტური კომუნიკაციის თემაზე (40)

2. შშმ პირებთან ეფექტური კომუნიკაციის თემაზე საშუალო რგოლის მენეჯერებისა და პროკურორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. შშმ პირებთან ეფექტური კომუნიკაციის თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებთან ეფექტიანი კომუნიკაციის თემაზე ოთხი სასწავლო აქტივობა განხორციელდა. ტრენინგების შედეგად გადამზადდა 62 მონაწილე (პროკურორი, პროკურატურის გამომძიებელი და საშუალო რგოლის მენეჯერი). ტრენინგების ფარგლებში მონაწილეებს გაეცნოთ ინფორმაცია როგორც სამართლებრივი ბაზის, ისე ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა შეზღუდული შესაძლებლობების ძირითადი სახეები, კომუნიკაცია და ურთიერთობის ეთიკა, დამოკიდებულებების შეცვლა, უნივერსალური დიზაინის სტანდარტების შესაბამისი ადაპტირებული გარემო, თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით ადამიანის შესაძლებლობების ინტერპრეტაცია, დისკრიმინაციული ქცევის ანალიზი,

ინკლუზიური პოლიტიკა და პრაქტიკა. ტრენინგების ფარგლებში ასევე განხილულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით იკვეთება, რომ ტრენინგებზე განხილული საკითხები საკმაოდ მრავალფეროვანი, მნიშვნელოვანი და აქტივობის მიზნის შესაბამისი იყო. თემატიკა შინაარსობრივად მნიშვნელოვნად ფარავდა შშ პირებთან დაკავშირებულ ყველა არსებით საკითხს. მისაღებია ტრენინგებისა და მასში მონაწილეთა წარმომადგენლობა/რაოდენობა, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი ღონისძიებები ყოველწლიურად გაიმართოს, რასაც ითვალისწინებს კიდეც სამოქმედო გეგმა. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 4.1.3.** არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემოს შექმნა

**ღონისძიება 1:** არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემოს შექმნა

**შეფასების ინდიკატორები:**

1. არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემოს კომპონენტები (სრულად იზოლირებული ზრდასრულთა სივრცისგან, სპეციალიზებული პერსონალი, ბავშვის საუკეთესო ინტერესზე მორგებული გარემო) (50)

2. პროკურატურის სტრუქტურული ერთეულების რაოდენობა, სადაც უზრუნველყოფილია არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემო (50)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს არასრულწლოვანზე მორგებული გარემო შეიქმნა რუსთავის რაიონული პროკურატურის ოფისში. რუსთავის რაიონული პროკურატურის ოფისში გამოყოფილი სპეციალური ოთახი არის იზოლირებული პროკურატურის ოფისის ძირითადი ნაწილისგან, აქვს ინდივიდუალური შესასვლელი და დაყოფილია რამდენიმე სივრცედ, რომ არასრულწლოვანი, ასაკობრივი თავისებურებებისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, მოხერხებულად განთავსდეს გამოკითხვის მიმდინარეობისას. ოთახში დამონტაჟებულია შესაბამისი ტექნიკა, რომლითაც აუდიო-ვიდეოჩაწერა წარმოებს, რაც საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული ბავშვის რამდენჯერმე გამოკითხვა და ფსიქოლოგის მიერ გამოკითხვის წარმოებისას გამომძიებელი დააკვირდეს გამოკითხვის მიმდინარეობას დისტანციურად. ბავშვზე მორგებულ გარემოში ინფრასტრუქტურა გათვლილია შშმ პირებზე. პროკურატურის მიერ შეიქმნა შესაბამისი ინსტრუქცია, რომელიც ადგენს ბავშვზე მორგებულ გარემოში შესაბამისი პროცედურების განხორციელების მინიმალურ სტანდარტს. აღნიშნული ინფორმაცია აკმაყოფილებს აქტივობისთვის გაწერილ ინდიკატორებს, თუმცა, არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემოს მქონე ერთი ერთეული არ წარმოადგენს ოპტიმალურ რაოდენობას. აუცილებელია, გაგრძელდეს პროცესი და ადაპტირებული გარემო ეტაპობრივად მოეწყოს პროკურატურის

ყველა სტრუქტურულ ერთეულში. მიუხედავად აღნიშნულისა, იმის გათვალისწინებით, რომ აქტივობა ერთჯერადი ხასიათის არაა და მისი განხორციელება შემდეგ წლებშიც არის დაგეგმილი, **ღონისძიება შეიძლება სრულად შესრულებულად იქნეს მიჩნეული და თუმცა, მისი პროგრესი მხოლოდ 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 4.1.4.** სტატისტიკური მონაცემების სრულყოფა

**ღონისძიება 1:** შესაბამისი ცვლილებების განხორციელება სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში

**შეფასების ინდიკატორები:**

1. არასრულწლოვან პროცესის მონაწილეებზე სტატისტიკური მონაცემების სრულყოფის მიზნით ცვლილებების შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირები / მხარეები (30)

2. არასრულწლოვან პროცესის მონაწილეებზე სტატისტიკური მონაცემების სრულყოფის მიზნით შემუშავებული ცვლილებები ეყრდნობა სიტუაციის ანალიზს (35)

3. სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში განხორციელებული ცვლილებები უზრუნველყოფს არასრულწლოვან პროცესის მონაწილეებზე სტატისტიკური მონაცემების სრულყოფას (35)

**სტატუსი:** მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 70%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პროკურატურა სხვა უწყებებთან (იუსტიციის სამინისტრო, შსს, სახალხო დამცველის აპარატი, განათლების სამინისტრო და სხვ.) ერთად ჩართული იყო არასრულწლოვანთა მონაცემების ერთიანი ბაზის ფორმირების სამუშაო ჯგუფში, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივითა და მხარდაჭერით შეიქმნა. სამუშაო პროცესის დაწყებამდე გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შესწავლილ იქნა, თუ რა სახის სტატისტიკური მონაცემები გროვდება თითოეული უწყების მიერ არასრულწლოვანთა მიმართ და რა ფორმით. აღნიშნულის შემდეგ არასრულწლოვანთა მონაცემების ერთიანი ბაზის ფორმირების მიზნით შემუშავებული იქნა ინდიკატორები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მონაწილე პირების მიერ მოსაწოდებელ ცალკეულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. ინდიკატორებზე მუშაობის დასრულების შემდეგ სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადა მთავრობის დადგენილებისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელმაც უნდა შექმნას მონაცემების შეგროვების, გაცვლისა და ანალიზისათვის სათანადო სამართლებრივი ბაზა. ამავდროულად, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, არასრულწლოვანთა მონაცემების ერთიანი ბაზისთვის შექმნილი ინდიკატორების საფუძველზე, განახორციელა შესაბამისი ცვლილებები სისხლის სამართალწარმოების ახალ ელექტრონულ პროგრამაში, რომელიც ტესტირების რეჟიმშია და უახლოეს მომავალში ამოქმედდება. ახალი ელექტრონული პროგრამა არასრულწლოვნის სტატუსის და დანაშაულის მიხედვით

რეგიონულ, გენდერულ, ასაკობრივ ჭრილში სრულყოფილი სტატისტიკის წარმოებას გახდის შესაძლებელს. მისასალმებელია პროკურატურის მიერ ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამაში ცვლილებების განხორციელება, თუმცა, რადგან ა, სახით პროგრამა ჯერ ამოქმედებული არ არის, შედეგი მიღწეულად ვერ ჩაითვლება. **შესაბამისად, ღონისძიება მეტწილად შესრულდა და მისი პროგრესია 70%.**

### 5.5. ამოცანა 5. სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობა

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეხუთე ამოცანა და მიზანი გულისხმობს სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის გაზრდას. აღნიშნული მიზნის მიღწევის მექანიზმად ცხრა კომპონენტია გათვალისწინებული, რომლებიც 2018 წლისთვის 12 ღონისძიების შესრულებას ითვალისწინებს. აღნიშნული 12 ღონისძიებიდან ექვსი სრულად შესრულდა, ერთი - მეტწილად, ხოლო ხუთი შეუსრულებელია. ამ ნაწილში ნაწილობრივ შესრულებული ღონისძიება არ გვხვდება. **მეხუთე ამოცანის ღონისძიებების შესრულების პროგრესია 55%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.1.** სამართლებრივი თანამშრომლობის ქსელებთან ურთიერთობების გაღრმავება

**ღონისძიება N1:** eurojust-თან ხელშეკრულების გაფორმება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. eurojust-თან გაფორმებული ხელშეკრულება განსაზღვრავს თანამშრომლობის კონკრეტულ აქტივობებს

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოსა და ევროჯასტს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხება გაფორმდა 2019 წლის 29 მარტს. შეთანხმებით გათვალისწინებულია ევროჯასტში საქართველოს მიერ მეკავშირე პროკურორის მივლინება. აღნიშნულთან დაკავშირებით კრიტერიუმები და პროცედურები გაწერილია შეთანხმების მეექვსე მუხლში. შეთანხმება ასევე ითვალისწინებს საქართველოსთან სამართლებრივი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, იმ საქმეებზე, რომლებზეც ევროჯასტის მხრიდან ხორციელდება დახმარება, შესაძლებელია საქართველოში მოხდეს ევროჯასტის მეკავშირე მაგისტრატის დანიშვნა. აღნიშნულს შეთანხმების მეშვიდე მუხლი არეგულირებს. შეთანხმებით განმტკიცებულია მეკავშირე პროკურორის, მისი დამხმარის, საქართველოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლებისა და ევროჯასტთან საკონტაქტო პირის სამოქმედო და სტრატეგიულ შეხვედრებში მონაწილეობის შესაძლებლობა. ამასთან შეთანხმების მე-20 მუხლის თანახმად, მხარეებმა, სულ მცირე წელიწადში ერთხელ, რეგულარულად უნდა გაცვალონ მოსაზრებები, მონაცემთა დაცვასა და მონაცემთა

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელებასა და შემდგომ განვითარებაზე. ამ მიზნით, ევროჯასტის მონაცემთა დაცვის ოფიცერი და საქართველოს მონაცემთა დაცვის ორგანო სულ მცირე წელიწადში ერთხელ, ერთმანეთს წარუდგენენ ანგარიშს შეთანხმებით გათვალისწინებული მონაცემთა დაცვის დებულებების იმპლემენტაციის მდგომარეობის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, შეთანხმება ითვალისწინებს კონსულტაციების პროცესში იდენტიფიცირებული საკითხების შესაბამის საზედამხედველო მექანიზმებისა და ევროჯასტის ერთობლივი საზედამხედველო ორგანოსთვის წარდგენას. მნიშვნელოვანია, რომ შეთანხმება ითვალისწინებს შეთანხმების შესრულების მონიტორინგსა და ზედამხედველობას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.2.** სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტების გამოცემა

**ღონისძიება N1:** სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტების მომზადება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტი ეყრდნობა სიტუაციის ანალიზს და მასში ყურადღება გამახვილებულია არსებულ გამოწვევებსა და მათი მოგვარების გზებზე (60)

2. სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტის მომზადებაში მონაწილე დაინტერესებული მხარეები (40)

**სტატუსი:** მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 60%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტით მოცულის ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ექსტრადიციებზე აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის პოლიტიკა; ექსტრადიციებზე დისკრეციული უფლებამოსილებების გამოყენების პოლიტიკა; ორმაგი დასჯადობის განსაზღვრის პოლიტიკა სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობისას; სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობებისა და ექსტრადიციის საქმეების პრიორიტეტიზაციის პოლიტიკა - საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეების დამუშავება. კერძოდ, პოლიტიკის დოკუმენტი, სიტუაციის ანალიზზე დაყრდნობით, ითვალისწინებს ისეთი გამოწვევების მოგვარებას, როგორებიცაა:

- შესაბამისი პროცედურების (ექსტრადიცია, სამართლებრივი დახმარება) შესრულებისას თანმიმდევრულობის ნაკლებობის რისკი;
- მაღალი დისკრეციის პირობებში უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენების რისკი;

- მნიშვნელოვან საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის დაჩქარება პრიორიტეტიზაციის პოლიტიკის დანერგვის საფუძველზე;
- აღკვეთის ღონისძიებების არათანმიმდევრულად მოთხოვნის რისკები - თანაბარი მოპყრობის ნაკლებობის რისკი.

პროკურატურის თანახმად, დოკუმენტის მომზადებაში მონაწილეობდა სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, ამავე დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი და სამმართველოს სამი პროკურორი. მიუხედავად ამისა, პროკურატურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში არ იკვეთება დოკუმენტის მომზადებაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია. **ღონისძიება მეტწილად შესრულდა და მისი პროგრესია 60%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.3.** სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვა

**ღონისძიება N1:** სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის შექმნა

**შეფასების ინდიკატორები:**

1. სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის შესაქმნელად შესწავლილია საუკეთესო პრაქტიკა (40)

2. სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა უზრუნველყოფს პარტნიორ სახელმწიფოებთან თანამშრომლობას ელექტრონული გზით (60)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამით უზრუნველყოფილია დოკუმენტების ეფექტური მენეჯმენტი - ექსტრადიციის, სამართლებრივი დახმარების, სისხლის სამართლის საქმეების გადაგზავნის/გადმოგზავნის, უცხოურ ინტერნეტ მომსახურების პროვაიდერებთან თანამშრომლობისა და დანაშაულებრივ ქონებაზე საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეებზე - მათ შორის, დოკუმენტების ორგანიზების ავტომატიზაცია საქმეების მიხედვით, ახალი დოკუმენტების არსებულ საქმეებზე მარტივად მიბმა (ბარკოდით), დოკუმენტების მარტივი ხილვადობა და მოძიება საქმეების, თანამშრომლების, საქმის ტიპებისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით. პროგრამის მეშვეობით, ასევე, ხდება როგორც სტანდარტული წერილების/დოკუმენტების ავტომატური გენერაცია წინასწარ შეყვანილი მონაცემების საფუძველზე, ისე რეგულაციებით ან/და პოლიტიკით განსაზღვრული პრინციპების შესრულების ავტომატიზაცია, მათ შორის, პრიორიტეტიზაციის პოლიტიკა, პერსონალური მონაცემების დაცვა, ინფორმაციული

უსაფრთხოება და ა.შ. გარდა ამისა, პროგრამა უზრუნველყოფს მონაცემთა ავტომატურ დამუშავებასა და ანალიზს.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ პროგრამა იძლევა ელექტრონული გზით თანამშრომლობის შესაძლებლობას. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.4** თანამშრომლების შესახებ შუამდგომლობების ელექტრონული გადაცემის სისტემების (E-transmission) დანერგვა

**ღონისძიება N1:** თანამშრომლობის შესახებ შუამდგომლობების ელექტრონული გადაცემის სისტემების (E-transmission) პროგრამული უზრუნველყოფის მომზადება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. თანამშრომლობის შესახებ შუამდგომლობების ელექტრონული გადაცემის სისტემების (E-transmission) პროგრამული უზრუნველყოფისთვის შესწავლილია განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის თანახმად, შეცვლილი ვითარების გათვალისწინებით, მიმდინარეობს აქტივობის მოცულობის გადახედვა. უახლოეს მომავალში ინტერპოლი აამოქმედებს სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების ელექტრონული გადაცემის სისტემას e-MLA (secure web transmission), რომელშიც ბევრი ქვეყანა საკუთარი ინიციატივით ან/და ავტომატურად ჩაერთვება. ამიტომ, ამ საკითხზე ქვეყნებთან აქტიური მოლაპარაკებები ამ ეტაპზე შეჩერებულია რესურსების დაზოგვის მიზნით. თუმცა, დღეის მდგომარეობით, უკვე ორ სახელმწიფოსთან სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების გადაცემა და გადმოცემა სრულიად ელექტრონულად ხდება secure e-mail კავშირის გამოყენებით. 10-მდე სახელმწიფოსთან, პარალელურად, ხდება დოკუმენტების ელექტრონულად (e-mail) და, მათი მოთხოვნისამებრ, მატერიალურად გადაცემა/გადმოცემა ხდება. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი ინფორმაცია ვერ აკმაყოფილებს აქტივობის ინდიკატორებით მოთხოვნილ კრიტერიუმებს. **შესაბამისად, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.4** თანამშრომლების შესახებ შუამდგომლობების ელექტრონული გადაცემის სისტემების (E-transmission) დანერგვა

**ღონისძიება N2:** სხვა სახელმწიფოებთან (E-transmission) დანერგვის მიზნით მემორანდუმის გაფორმება

**შეფასების ინდიკატორები:**

1.სტრატეგიული პარტნიორების რაოდენობა, რომლებთანაც გაიმართა მოლაპარაკება E-transmission დანერგვის მემორანდუმის გაფორმებაზე (60)

2. სტრატეგიული პარტნიორების რაოდენობა, რომლებთანაც გაფორმდა E-transmission დანერგვის მემორანდუმი (40)

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურამ აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებითაც აღნიშნა, რომ შეცვლილი ვითარების გათვალისწინებით, მიმდინარეობს აქტივობის მოცულობის გადახედვა. უახლოეს მომავალში ინტერპოლი აამოქმედებს სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების ელექტრონული გადაცემის სისტემას e-MLA (secure web transmission), რომელშიც ბევრი ქვეყანა საკუთარი ინიციატივით ან/და ავტომატურად ჩაერთვება. ამიტომ, ამ საკითხზე ქვეყნებთან აქტიური მოლაპარაკებები ამ ეტაპზე შეჩერებულია რესურსების დაზოგვის მიზნით. თუმცა, დღეის მდგომარეობით, უკვე ორ სახელმწიფოსთან სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების გადაცემა და გადმოცემა სრულიად ელექტრონულად ხდება secure e-mail კავშირის გამოყენებით. 10-მდე სახელმწიფოსთან, პარალელურად, ხდება დოკუმენტების ელექტრონულად (e-mail) და, მათი მოთხოვნისამებრ, მატერიალურად გადაცემა/გადმოცემა ხდება. მიუხედავად ამისა, პროკურატურას არ მოუწოდებია ინფორმაცია ელექტრონული გადაცემის სისტემის (E-transmission) სხვა სახელმწიფოებთან დანერგვის მიზნით მემორანდუმის გაფორმების თაობაზე, წარმოდგენილი ინფორმაცია კი ვერ აკმაყოფილებს აქტივობის ინდიკატორებით მოთხოვნილ კრიტერიუმებს. **შესაბამისად, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.5.** საერთაშორისო თანამშრომლობის გზით დანაშაულებრივი ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის სისტემა

**ღონისძიება N1:** საერთაშორისო თანამშრომლობის გზით დანაშაულებრივი ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის კანონმდებლობის ანალიზი და შესაძლო რეკომენდაციების მომზადება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. საერთაშორისო თანამშრომლობის გზით დანაშაულებრივი ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის კანონმდებლობის ანალიზით დაფარული საკანონმდებლო აქტები (60)

2. ანალიზი მოიცავს არსებულ საკანონმდებლო ხარვეზებზე მითითებას და გამოსწორების შესახებ რეკომენდაციებს (40)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამ აქტივობის შედეგად, შესაბამისი კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე, მომზადდა სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ კანონის ცვლილებების პროექტი და

კანონს დაემატა VI[1] თავი, რომელიც მიემართება ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ საერთაშორისო თანამშრომლობას. აღნიშნული თავით განმტკიცებულია ჩამორთმევას დაქვემდებარებული ქონების საკითხი, ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებული საერთაშორისო თანამშრომლობის სახეები, შუამდგომლობის ფორმა, ინფორმაციის მიწოდების საკითხი და სხვ. წარმოდგენილი ინფორმაცია არ შეიცავს მითითებას დანაშაულებრივი ქონების დაყადაღების თაობაზე. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.5.** საერთაშორისო თანამშრომლობის გზით დანაშაულებრივი ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის სისტემა

**ღონისძიება N2:** საერთაშორისო თანამშრომლობის გზით დანაშაულებრივი ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის პოლიტიკის დოკუმენტის მომზადება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. საერთაშორისო თანამშრომლობის გზით დანაშაულებრივი ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის პოლიტიკის დოკუმენტი ეყრდნობა სიტუაციის ანალიზს და მასში ყურადღება გამახვილებულია არსებულ გამოწვევებსა და მათი მოგვარების გზებზე (35)

2. საერთაშორისო თანამშრომლობის გზით დანაშაულებრივი ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის პოლიტიკის დოკუმენტის მომზადებაში მონაწილე დაინტერესებული მხარეები (30)

3. საერთაშორისო თანამშრომლობის გზით დანაშაულებრივი ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის პოლიტიკის დოკუმენტზე დაყრდნობით დაგეგმილი / განხორციელებული ღონისძიებები (35)

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დოკუმენტი მზადების პროცესშია და ამჟამად კვლევის სტადიაზეა. შესაბამისად, მისი შეფასება 2018 წლის ფარგლებში ვერ მოხდება. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.6.** პრაქტიკოსებისთვის სამართლებრივი დახმარების სახელმძღვანელოს შექმნა

**ღონისძიება N1:** სამართლებრივი დახმარების სახელმძღვანელოს შექმნა პრაქტიკოსებისთვის

**შეფასების ინდიკატორები:**

1. სამართლებრივი დახმარების სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისთვის ეყრდნობა სიტუაციის ანალიზს (50)
2. საკითხები, რომელსაც ფარავს სამართლებრივი დახმარების სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისთვის (50)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სიტუაციის ანალიზის საფუძველზე მომზადებული პრაქტიკოსებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო მარტივად ხელმისაწვდომად კრებს შესაბამის საერთაშორისო სამართლის, საკანონმდებლო და პოლიტიკის დოკუმენტის რეგულაციებს და მათი გამოყენების პრაქტიკას ექსტრადიციის, სამართლებრივი დახმარების, სისხლის სამართლის საქმეების გადაგზავნა/გადმოგზავნის და ინტერპოლით პირების ძებნის საკითხებზე. დოკუმენტი ასევე მოიცავს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების ნიმუშებსაც. წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს აქტივობისთვის გაწერილ ორივე ინდიკატორს, **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.7.** პრაქტიკოსებისთვის სამართლებრივი დახმარების სახელმძღვანელოს შექმნა

**ღონისძიება N1:** მსხვილ ტრანსნაციონალურ და უცხოურ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებში ეფექტური ურთიერთობის სახელმძღვანელოს შემუშავება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. მსხვილ ტრანსნაციონალურ და უცხოურ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებში ეფექტური ურთიერთობის სახელმძღვანელო დაფუძნებულია სიტუაციის/პრობლემის ანალიზზე (50)

2. იმ რელევანტური თანამშრომლების პროცენტული რაოდენობა, რომლებისთვისაც უზრუნველყოფილია მსხვილ ტრანსნაციონალურ და უცხოურ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებში ეფექტური ურთიერთობის სახელმძღვანელოს გაცნობა (50)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მსხვილ ტრანსნაციონალურ და უცხოურ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებში ეფექტური ურთიერთობის სახელმძღვანელოს პირველადი ვერსია 2017 წელს მომზადდა და მიმდინარეობს მისი განახლება. აღნიშნულ კომპანიებს სამართალდამცავებთან ურთიერთობის განსხვავებული პოლიტიკა აქვთ. წინააღმდეგობას წარმოადგენს ენის ბარიერი და სამართლებრივი კულტურის განსხვავებულობაც, რაც ადგილობრივ პრაქტიკოსებს მათთან თანამშრომლობაში სერიოზულ პრობლემებს უქმნის. სახელმძღვანელო მარტივად გადმოცემს ცალკეული კომპანიების სამართალდამცავებთან ურთიერთობის პოლიტიკას. ასევე შეიცავს ამ კომპანიებიდან ელექტრონული მტკიცებულების ეფექტურად მიღების რჩევებს, რომლებიც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ცალკეულ კომპანიებთან თანამშრომლობისას წამოჭრილი საკითხების ანალიზის შედეგად შეიმუშავა.

პროკურატურის თანახმად, სახელმძღვანელოებისა და სახელმძღვანელო პრინციპების გაცნობა, ზოგადად, ხდება სამსახურეობრივი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მსხვილ ტრანსნაციონალურ და უცხოურ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებში ეფექტური ურთიერთობის სახელმძღვანელოც ყველა პროკურორსა და პროკურატურის გამომძიებელს დაეგზავნა ელექტრონული ფოსტით. გარდა ამისა, ჩატარდა ტრენინგებიც, მათ შორის, 2017 - 2018 წლებში და დეტალურად მოხდა ამ საკითხების განხილვა. 2017 წლის დეკემბერში, აღნიშნულ საკითხზე, ტრენინგების ფარგლებში გადამზადდა 50-მდე პროკურორი. 2018 წელს განხორციელებულ ტრენინგებთან დაკავშირებით, პროკურატურას ინფორმაცია არ წარმოუდგენია. მიუხედავად ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმძღვანელო ელექტრონულად გაეცნო ყველა პროკურორსა და პროკურატურის ყველა გამომძიებელს, **ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.7.** პრაქტიკოსებისთვის სამართლებრივი დახმარების სახელმძღვანელოს შექმნა

**ღონისძიება N2:** საჭიროების შემთხვევაში კომპანიებსა და პროკურატურას შორის მემორანდუმის გაფორმება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. კომპანიებსა და პროკურატურას შორის მემორანდუმის გაფორმების საჭიროება შესწავლილია

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიხედვით, ამ აქტივობის შესრულება აღარ გახდა საჭირო. ერთ-ერთ კომპანიასთან (Facebook) მიმდინარეობდა კონსულტაცია მსგავსი მემორანდუმის გაფორმებაზე, თუმცა მოგვიანებით ამ კომპანიასთან თანამშრომლობა წარმატებით აეწყო და ამდენად მემორანდუმის გაფორმება აღარ გახდა საჭირო. სამივე საჭიროება რასაც მემორანდუმის გაფორმება ემსახურებოდა, ისედაც შესრულდა. იგივე, სიტუაციაა სხვა კომპანიებთან დაკავშირებითაც. შესაბამისად, აქტივობის ტექსტობრივი ფორმულირებიდან გამომდინარე, **ღონისძიება სრულად შესრულებულად შეიძლება იქნეს მიჩნეული და მისი პროგრესი, შესაბამისად, 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.8.** პრაქტიკოსებისთვის სამართლებრივი დახმარების სახელმძღვანელოს შექმნა

**ღონისძიება N1:** სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის ტრადიციული ფორმების გვერდის ავლით მტკიცებულებების მოპოვების შესახებ სახელმძღვანელოს შექმნა

**შეფასების ინდიკატორები:**

1. იმ რელევანტური თანამშრომლების პროცენტული რაოდენობა, ვისთვისაც სისხლის სამართლის საქმეებზე  თანამშრომლობის ტრადიციული ფორმების გვერდის ავლით მტკიცებულებების მოპოვების შესახებ სახელმძღვანელოს გაცნობა უზრუნველყოფილია

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სახელმძღვანელოს ძირითადი ნაწილი დასრულებულია და მიმდინარეობს რედაქტირება, რის შემდეგადაც გამოქვეყნდება ინტრანეტზე და დაეგზავნებათ თანამშრომლებს ელექტრონულ ფოსტაზე. მიუხედავად ამისა, აქტივობა 2018 წლისთვის ვერ შეფასდება. **შესაბამისად, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 5.1.8.** სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის ტრადიციული ფორმების გვერდის ავლით მტკიცებულებების მოპოვება.

**ღონისძიება N2:** უცხოური ღია რესურსების მონაცემთა ბაზის შექმნა

**შეფასების ინდიკატორი:**

1. უცხოური ღია რესურსების მონაცემთა ბაზის შექმნისთვის გაანალიზებული ინფორმაცია / მონაცემები (35)

2. იმ რელევანტური თანამშრომლების პროცენტული რაოდენობა, ვისთვისაც მოხდა უცხოური ღია რესურსების მონაცემთა ბაზის გაცნობა (35)

3. იმ რელევანტური თანამშრომლების პროცენტული რაოდენობა, ვისაც წვდომა აქვს უცხოური ღია რესურსების მონაცემთა ბაზაზე (30)

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ჯერჯერობით, ბაზა შევსებისა და დამუშავების პროცესშია. ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს შემდეგ ბაზებზე მუშაობა: 1) უცხო ქვეყნების კანონმდებლობა; 2) უცხო ქვეყნების ბიზნეს და ქონების რეესტრები (EU Asset Recovery Platform-ის რესურსებზე დაყრდნობით). მიუხედავად ამისა, აქტივობა 2018 წლისთვის ვერ შეფასდება. **შესაბამისად, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესია 0%.**

## 5.6. ამოცანა 6. საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეექვსე ამოცანა და მიზანი გულისხმობს  საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლებასა და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბებას. აღნიშნული მიზნის მიღწევის მექანიზმად შვიდი კომპონენტია

გათვალისწინებული, რომლებიც 2018 წლისთვის 11 ღონისძიების შესრულებას ითვალისწინებს. აღნიშნული 11 ღონისძიებიდან ხუთი სრულად შესრულდა, ორი - მეტწილად, ხოლო ოთხი ღონისძიება შეუსრულებელია. **მეექვსე ამოცანის ღონისძიებების შესრულების პროგრესი 61%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.1. სამართლებრივი წერის სახელმძღვანელოს დანერგვა**

**ღონისძიება N1:** სამართლებრივი წერის საკითხებში ყველა სტაჟიორის მომზადება და პროკურორებისათვის, არსებული საჭიროების შესაბამისად, მიზნობრივი ტრენინგების ჩატარება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. სტაჟიორების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი სამართლებრივი წერის საკითხებში (40)

2. სამართლებრივი წერის საკითხებზე პროკურორებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. სამართლებრივი წერის საკითხებზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს პროკურორებისთვის სამართლებრივი მართლწერის საკითხებზე განხორციელდა ორი ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 22 მონაწილე. ამასთან, გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის დამატებით განხორციელდა ორი ტრენინგი მართლწერის საკითხებზე, რომელშიც ჩართული იყო 23 მონაწილე (პროკურორი). წარმოდგენილი დღის წესრიგის მიხედვით იკვეთება, რომ ტრენინგები საკმაოდ მრავლისმომცველი იყო და განხილულ იქნა ყველა რელევანტური საკითხი, მათ შორის, მორფოლოგია-ორთოგრაფია, სტილისტიკა, პუნქტუაცია, სამართლებრივი წერის ზოგადი სტანდარტები, სისხლის სამართლის საქმის ქვემდებარეობის გადაგზავნისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილებები, ჩხრეკის/ამოღების ჩატარების, გადაუდებლად ჩატარებული ჩხრეკის/ამოღების კანონიერების შემოწმების შესახებ, დათვალიერების ჩატარების შესახებ და ა.შ. შუამდგომლობა და სხვა.

დღის წესრიგების საფუძველზე ირკვევა, რომ თითოეული საკითხის განხილვას, დაახლოებით, საათნახევარი დაეთმო, რაც ოპტიმალური ხანგრძლივობაა. მისაღებია ასევე ტრენინგებისა და გადამზადებულ პროკურორთა რიცხვი, იმის გათვალისწინებით, რომ, ერთი მხრივ, პროკურორებისთვის მიზნობრივი ტრენინგის ჩატარება საჭიროების შესაბამისად იყო გათვალისწინებული, მეორე მხრივ კი, აქტივობა მრავალჯერადი ხასიათისაა და მისი განხორციელება შემდეგ წლებშიც დაგეგმილია. მიუხედავად ამისა, ღონისძიების მიხედვით,

პროკურატურას ჰქონდა ვალდებულება, გადაემზადებინა ყველა სტაჟიორი, თუმცა, პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წელს სტაჟიორების ახალი ჯგუფი არ ყოფილა და აღნიშნული პერიოდისთვის მოქმედ სტაჟიორებს სამართლებრივი წერის საკითხებზე მომზადება გავლილი ჰქონდათ 2017 წლის მოსამზადებელი კურსის ფარგლებში. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.2.** ფუნქციათა გამიჯვნა

**ღონისძიება N1:** ფუნქციათა გამიჯვნის დოკუმენტის შედეგების მონიტორინგის ანალიზის მომზადება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ფუნქციათა გამიჯვნის დოკუმენტის შედეგების მონიტორინგის ანალიზი ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ მეთოდოლოგიასა და ინდიკატორებს (35)

2. ფუნქციათა გამიჯვნის დოკუმენტის შედეგების მონიტორინგის ანალიზის დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს არსებულ გამოწვევებზე, ხარვეზებზე (35)

3. ფუნქციათა გამიჯვნის დოკუმენტის შედეგების მონიტორინგის ანალიზის დოკუმენტი განსაზღვრავს სამომავლო ნაბიჯებს/პრაქტიკულ რეკომენდაციებს (30)

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შემუშავებულია რაიონული პროკურორებსა და მათ მოადგილეებს შორის ფუნქციათა გამიჯვნის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პროკურატურის სტრუქტურული ერთეულების მენეჯერებისა და მათი მოადგილეების ფუნქციები. 2018 წლის 17 დეკემბრიდან ამოქმედდა 2018 წლის 30 ნოემბერს მიღებული საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, რომლის შესაბამისად, პირველ ეტაპზე, გენერალური პროკურატურის ყველა სტრუქტურული ერთეულის დებულება, საჭიროებს განახლებას, ხოლო შემდგომ, ცვლილებები განხორციელდება რაიონული პროკურორებსა და მისი მოადგილეებს შორის ფუნქციათა გამიჯვნის დოკუმენტში და მოხდება მისი იმპლემენტაცია.

აღნიშნულის საფუძველზე არ იკვეთება ინფორმაცია ფუნქციათა გამიჯვნის შედეგების მონიტორინგის ანალიზის, მისი მეთოდოლოგიისა და ინდიკატორების შესახებ. ასევე, ინფორმაცია არ შეიცავს მითითებას არსებული გამოწვევების, ხარვეზების, სამომავლო ნაბიჯებისა თუ რეკომენდაციების თაობაზე. შესაბამისად, მოწოდებული ინფორმაცია აქტივობისთვის გაწერილ ვერც ერთ ინდიკატორს ვერ აკმაყოფილებს. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება არ შესრულდა დ ამისი პროგრესი 0%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.3. საქმეთა გადანაწილების სისტემის რეფორმა**

**ღონისძიება N1:** საქმეთა გადანაწილების ახალი სისტემის კონცეფციის შექმნა

1. საქმეთა გადანაწილების ახალი სისტემის შესაქმნელად შესწავლილია არსებული სიტუაცია და კარგი გამოცდილება (40)
2. საქმეთა გადანაწილების ახალი სისტემის კონცეფცია ყურადღებას ამახვილებს არსებულ ხარვეზებზე, გამოწვევებზე და მათი მოგვარების გზებზე (60)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს პროკურატურის შიგნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა წინადადებები საქმეთა განაწილების სისტემის დახვეწის მიზნით. დოკუმენტი შემუშავებულ იქნა პროკურორთა დატვირთვისა და არსებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე. ჯგუფის მიერ მოხდა იმ კრიტერიუმების შემუშავება, (მაგალითად, პროკურორის სპეციალიზაცია, დატვირთვა და ა.შ.), რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული საქმეთა განაწილების დროს. აღნიშნული წინადადებები ამჟამად უკვე დამტკიცებულია გენერალური პროკურორის ბრძანებით. დოკუმენტი ერთი მხრივ განსაზღვრავს საქმეთა განაწილების ზოგად პრინციპებს და მეორე მხრივ არეგულირებს იმ შემთხვევებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც არის შესაძლებელი ერთი პროკურორისთვის საქმის ჩამორთმევა და მეორესთვის გადაცემა. დოკუმენტით ასევე გათვალისწინებულია მსგავსი გადაწყვეტილების მიღების დასაბუთების აუცილებლობა აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კომპონენტი შესრულებულად ჩაითვალა GRECO-ს მეოთხე რაუნდის შესაბამისობის ანგარიშში. **ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.4**. საპროკურორო საქმიანობის ხარისხის მონიტორინგი

**ღონისძიება N1:** საპროცესო დოკუმენტების ხარისხის მონიტორინგი და მის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. საპროცესო დოკუმენტების ხარისხის მონიტორინგი ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ მეთოდოლოგიასა და ინდიკატორებს (50)

2. საპროცესო დოკუმენტების ხარისხის მონიტორინგის დოკუმენტი ყურადღებას განსაზღვრავს კონკრეტულ რეკომენდაციებს (50)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ შეფასების სისტემის საფუძველზე განხორციელდა ქ. თბილისის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის, საოლქო

და რაიონული პროკურატურების პროკურორთა მიერ განხორციელებული საპროკურორო საქმიანობის შეფასება. 2018 წლის მეორე ნახევარში შეფასდა 2018 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა. შეფასება განხორციელდა შემდეგი ძირითადი მიმართულებების მიხედვით: დატვირთვის მაჩვენებლები, საპროცესო დოკუმენტების დასაბუთებულობის ხარისხი, სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხი, ხელმძღვანელის შეფასება, დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დაცვა, ტრენინგებზე მიღწეული შედეგები და სხვა აქტივობები. საერთო ჯამში, შეფასებას დაექვემდებარა 196 პროკურორის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობა.

საპროცესო დოკუმენტების ხარისხის მონიტორინგი განხორციელდა მთავარი პროკურორის მიერ დამტკიცებული შეფასების სისტემით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, რომელიც წინასწარ მიეწოდათ პროკურატურის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებს. შეფასდა საპროცესო დოკუმენტების კანონმდებლობასთან და მართლწერის სტანდარტებთან შესაბამისობა - რამდენად შეესაბამებოდა დოკუმენტი შეფასების სისტემით ამ დოკუმენტისათვის დადგენილ კრიტერიუმებს.

შეფასებას დაექვემდებარა პირის ბრალდების შესახებ დადგენილება, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობა, დევნის არდაწყების დადგენილება, დევნის შეწყვეტის დადგენილება, გამოძიების შეწყვეტის დადგენილება. შეფასებული იქნა თითოეული პროკურორის მიერ წლის განმავლობაში შედგენილი თითოეული სახის 5-5 საპროცესო დოკუმენტი.

მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, შემუშავებული იქნა რეკომენდაცია, რომელიც გაეგზავნათ პროკურატურის შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფებს. რეკომენდაციაში ასახული იქნა საპროცესო დოკუმენტებში სამართლებრივი წერის კუთხით არსებული ხარვეზები. კერძოდ, დეტალურად აღიწერა ნაკლოვანებები, რომელიც გამოვლინდა მუხლის დისპოზიციის გადმოცემის, ბრალდების ფორმულირების ჩამოყალიბების, კვალიფიკაციის, მტკიცებულებათა მითითების სტანდარტის დაცვის, გადაწყვეტილების დასაბუთების, დოკუმენტის სავალდებულო რეკვიზიტების, დოკუმენტის სტრუქტურული და სტილისტური გამართულობის კუთხით. აღნიშნულის პარალელურად აქცენტი გაკეთდა სწორ მიდგომებსა და სტილზე.

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ნათლად ჩანს თუ რა ნაწილში განხორციელდა საპროცესო დოკუმენტების ხარისხის მონიტორინგი, მითითებულია მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით ხდებოდა ზემოთ ჩამოთვლილი საპროცესო დოკუმენტების შეფასება და სისხლის სამართლის საქმეთა თემატური შესწავლა. **ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა ჩავთვალოთ, მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.4**. საპროკურორო საქმიანობის ხარისხის მონიტორინგი

**ღონისძიება N2:** პროკურორთა სასამართლო უნარ-ჩვევების ხარისხის მონიტორინგი და მის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. პროკურორთა სასამართლო უნარ-ჩვევების ხარისხის მონიტორინგი ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ მეთოდოლოგიას (30)

2. პროკურორების რაოდენობა, რომელთა სასამართლო უნარ-ჩვევების მონიტორინგიც განხორციელდა (35)

3. პროკურორთა სასამართლო უნარ-ჩვევების ხარისხის მონიტორინგის დოკუმენტი განსაზღვრავს პრაქტიკულ რეკომენდაციებს (35)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, პროკურორთა სასამართლო უნარ-ჩვევების შეფასების მიზნით, შეფასების სისტემით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ, 2018 წლის განმავლობაში განხორციელდა საპროკურორო უფლებამოსილების განმახორციელებელი პროკურატურის ყველა სტრუქტურული დანაყოფის პროკურორთა მონიტორინგი რაიონულ და სააპელაციო სასამართლოებში. 2018 წლის მეორე ნახევარში, შეფასდა ქ. თბილისის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის, საოლქო და რაიონული პროკურატურის 124 პროკურორი.

შეფასების სისტემის ფარგლებში შემუშავებულია ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც ფასდება პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხი საქმის სასამართლო განხილვის თითოეულ ეტაპზე. შემოწმების შედეგად ფასდება თითოეული პროკურორის ინდივიდუალური სასამართლო უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია, ასევე იდენტიფიცირდება საერთო ხარვეზები, რაც საჭიროებს გამოსწორებას. შეფასების სისტემით შემუშავებულია სპეციალური ფორმა - ე.წ. ბლანკი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ყველა პროკურორის შეფასება განხორციელდეს ერთიანი მეთოდოლოგიით, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების და საერთო სტანდარტების დაცვით.

სასამართლო მონიტორინგმა მოიცვა ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის, წინასასამართლო სხდომის, საპროცესო შეთანხმების და არსებითი განხილვის სხდომები. შეფასების დასრულების შემდგომ იდენტიფიცირებული იქნა მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები. შემოწმების საბოლოო შედეგებიდან გამომდინარე, შედგენილი იქნა ერთიანი რეკომენდაცია, რომელშიც აისახა სასამართლო მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი როგორც საერთო, ისე კონკრეტული სტრუქტურული ერთეულისათვის დამახასიათებელი ხარვეზები, რაც გაეგზავნათ პროკურატურის შესაბამის

სტრუქტურულ დანაყოფებს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.5.** ხარჯეფექტური მენეჯმენტის სისტემის დანერგვა

**ღონისძიება N1:** პროკურატურის მიერ გაწეული ხარჯებისა და მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე პრიორიტეტული მიმართულებების ჩამოყალიბება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. დაფინანსების მიმართულებით პროკურატურის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებები ეყრდნობა გაწეული ხარჯებისა და მიღწეული შედეგების ანალიზს

**სტატუსი**: შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

აღნიშნულთან დაკავშირებით, პროკურატურას ინფორმაცია არ მოუწოდებია, რის გამოც ვერ მოხდება ღონისძიების შეფასება. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება შეუსრულებლად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი პროგრესი 0%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.5.** ხარჯეფექტური მენეჯმენტის სისტემის დანერგვა

**ღონისძიება N2:** ხარჯეფექტური მენეჯმენტის სისტემის დანერგვა

**შეფასების ინდიკატორები:**

1. პროკურატურის ხარჯეფექტური მენეჯმენტის სისტემით დაზოგილი რესურსი

**სტატუსი**: შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

აღნიშნულთან დაკავშირებით, პროკურატურას ინფორმაცია არ მოუწოდებია, რის გამოც ვერ მოხდება ღონისძიების შეფასება. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება შეუსრულებლად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი პროგრესი 0%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.5.** ხარჯეფექტური მენეჯმენტის სისტემის დანერგვა

**ღონისძიება N3:** შესაბამისი კადრების გადამზადება ხარჯეფექტური მენეჯმენტის სისტემის უზრუნველსაყოფად

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ტრენინგების განხორციელებისას გათვალისწინებული საჭიროებათა ანალიზის შედეგების პროცენტული მაჩვენებელი (20)

2. ფინანსების / ადმინისტრირების მიმართულებით მომუშავე თანამშრომლების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი ხარჯთეფექტურობის საკითხებზე (30)

3. ხარჯთეფექტურობის თემაზე ფინანსების / ადმინისტრირების მიმართულებით მომუშავე თანამშრომლებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა (20)

4. ხარჯთეფექტურობის თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი**: შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

აღნიშნულთან დაკავშირებით, პროკურატურას ინფორმაცია არ მოუწოდებია, რის გამოც ვერ მოხდება ღონისძიების შეფასება. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება შეუსრულებლად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი პროგრესი 0%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.6** ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის დანერგვა

**ღონისძიება N1:** რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება და ანგარიშის მომზადება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით მონიტორინგი ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ მეთოდოლოგიასა და ინდიკატორებს (30)

2. ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით მონიტორინგის დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს არსებულ გამოწვევებზე, ხარვეზებზე (35)

3. ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით მონიტორინგის დოკუმენტი განსაზღვრავს სამომავლო ნაბიჯებს / პრაქტიკულ რეკომენდაციებს (35)

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 80%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული არ არის. 2018 წლის გამავლობაში ხორციელდებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 111 და 1261 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი სისხლის სამართლის საქმეთა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლის გზით. სპეციალიზაციის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგ კურსის ფარგლებში პროკურორებს და პროკურატურის გამომძიებლებს მიეწოდათ მონიტორინგის განორციელებისას იდენტიფიცირებული გამოწვევების, ხარვეზების, მათი გამოსწორების გზების თაობაზე პრაქტიკული რეკომენდაციები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე გამოძიების ჩატარებას გაჭიანურების გარეშე, მტკიცებულებათა პროაქტიულად მოპოვებას, კვალიფიკაციის საკითხებს, მტკიცებულებათა სტანდარტს, შემაჯამებელი გადაწყვეტილების

დროულად მიღებას, აგრეთვე, სასამართლო მონიტორინგის ფარგლებში სახელმწიფო ბრალდების ეფექტიან მხარდაჭერას.

ერთგვაროვანი და სწორი მიდგომების დანერგვის მიზნით გაანალიზდა ოჯახური დანაშაულის საქმეებზე სასამართლოს მიერ გამოტანილი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები - განაჩენები და აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ განჩინებები და მომზადდა შესაბამისი დოკუმენტი. საუკეთესო პრაქტიკის/ტენდენციების შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ პროკურორებს მათი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით.

ამასთან, 2018 წელს შესწავლილი იქნა სისხლის სამართლის კოდექსის ამა თუ იმ დანაშაულზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების და სასჯელის შეფარდების არსებული სასამართლოს პრაქტიკა. პრაქტიკის ანალიზის შემდგომ მომზადდა არსებული რეკომენდაციის განახლებული ვერსია, რომელიც ერთი მხრივ შესაბამისობაში მოვიდა 2016 წლის შემდგომ სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებთან, პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე დაემატა ახალი მუხლები, ასევე, სასამართლო პრაქტიკის და სისხლის სამართლის პოლიტიკის გათვალისწინებით, გარკვეული ცვლილებები შევიდა აღკვეთის ღონისძიების სახეებს, გასათვალისწინებელ გარემოებებსა და საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას გამოსაყენებელ პირობებში.

ასევე არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის საფუძველზე მზადდება ყოველწლიური, ანგარიში რაც საშუალებას იძლევა გაანალიზდეს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა. ანგარიშში ასევე აისახება არსებული გამოწვევები, გამოვლენილი ხარვეზები და საკითხები, რომლებზეც შემუშავებული უნდა იქნეს დამატებითი რეკომენდაციები. რეკომენდაციები ეხება არასრულწლოვანთა მიმართ ცალკეული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარების თავისებურებებს, პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობას.

პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუმჯობესების მიმართულებით პროკურატურას დღეის მდგომარეობით არ აქვს შემუშავებული მეთოდოლოგიის დოკუმენტი, თუმცა, განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შეფასება ხორციელდება გარკვეული მეთოდოლოგიით. კერძოდ, 2016 წლის 27 ივნისიდან საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მოქმედებს რეკომენდაციები „აღკვეთის ღონისძიებისა და საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას გამოსაყენებელი პირობების შესახებ“. აღნიშნული რეკომენდაციების შემუშავების მიზანი იყო  საპროცესო შეთანხმების გაფორმებისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელება და გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურების თავიდან აცილება. საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლები, პროკურატურის სტრუქტურული ერთეულებიდან ყოველდღიურად შემოსულ ინფორმაციაზე (ე.წ. დღის ცნობებზე) დაყრდნობით ახდენენ რეკომენდაციიდან გადახვევის შემთხვევების იდენტიფიცირებას და გარკვეული

პერიოდულობით ამზადებენ რეკომენდაციიდან გადახვევის შემთხვევების შესახებ ანგარიშს. პროკურატურის ყველა სტრუქტურული დანაყოფიდან, ყოველდღიურ რეჟიმში ანალიტიკურ სამმართველოში წინასწარ შემუშავებული ექსელის ცხრილების მეშვეობით იგზავნება ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ მოთხოვნილი და გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების, აგრეთვე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ. ზონალური პროკურორის მიერ ასევე ყოველდღიურ რეჟიმში ხდება ყველა ასეთი ინფორმაციის დამუშავება, რეკომენდაციასთან შესაბამისობის ან შეუსაბამობის ფაქტის დადგენა და რეკომენდაციიდან გადახვევის მიზეზების იდენტიფიცირება. აღნიშნული ინფორმაცია მუშავდება როგორც რეგიონულ ჭრილში, ასევე მუხლობრივი პრაქტიკის, აღკვეთის ღონისძიების ამა თუ იმ სახის მოთხოვნა/შეფარდების და სხვადასხვა საჭიროებების მიხედვით. აღნიშნული მეთოდოლოგიით რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი იძლევა შესაძლებლობას აღმოჩენილი იქნეს რეკომენდაციის შესრულების პროცესში არსებული ხარვეზები და სისხლის სამართლის პოლიტიკის ცვლილების საჭიროებები.

რაც შეხება ოჯახური ძალადობის საქმეებზე შემუშავებული რეკომენდაციის მონიტორინგის მეთოდოლოგიას, ოჯახში ძალადობის რეკომენდაცია მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ოჯახის წევრების განმარტება, გამოძიების დაწყება და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების ფარგლები, ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენება, დანაშაულის კვალიფიკაცია, ძალადობის ფორმები, მაკვალიფიცირებელი გარემოებების გამოკვეთა, დანაშაულთა ერთობლიობა (დანაშაულთა სიმრავლე და სისტემატური ძალადობა) გენდერული დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთის საკითხები, ოჯახური ძალადობის ერთობლიობა სხვა მომიჯნავე დანაშაულებთან, მტკიცებულებათა მოპოვების სტანდარტი და წესი, დევნის სტანდარტები, დაზარალებულად ცნობა და სხვა. ერთგვაროვანი და სწორი მიდგომების დანერგვის მიზნით 2018 წელს გაანალიზდა ოჯახური დანაშაულის საქმეებზე სასამართლოს მიერ გამოტანილი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები - განაჩენები და აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ განჩინებები და მომზადდა დოკუმენტი საუკეთესო პრაქტიკის/ტენდენციების შესახებ, რომელიც პროკურორებს მიეწოდათ პრაქტიკაში გამოყენების მიზნით.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ნათლად ჩანს, თუ რა ნაწილში განხორციელდა რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი, ირკვევა, რომ რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობის ამსახველი ანგარიში მოიცავს არსებული გამოწვევებისა და ხარვეზების შესახებ ინფორმაციას. ასევე, იკვეთება, რომ მონიტორინგის განხორციელების შესახებ ინფორმაცია, მიგნებების გათვალისწინებით შემუშავებულ პრაქტიკულ რეკომენდაციებთან ერთად, სპეციალიზაციის ტრენინგ კურსის ფარგლებში მიეწოდათ პროკურორებსა და გამომძიებლებს. ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით მონიტორინგი ეყრდნობა გარკვეულ წინასწარ განსაზღვრულ მეთოდოლოგიას, თუმცა, დღეის მდგომარეობით, არ არსებობს ერთიანი მეთოდოლოგია/გაწერილი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც განხორციელდება მონიტორინგი. **ამის გათვალისწინებით, ღონისძიება მეტწილად შესრულდა და მისი პროგრესია 80%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.6.** ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის დანერგვა

**ღონისძიება N2:** რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე რეკომენდაციების განახლება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. მონიტორინგის დოკუმენტის რეკომენდაციების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც განახლდა

**სტატუსი**: მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 90%

პროკურატურის თანახმად, 2018 წელს განახლდა ხუთი რეკომენდაცია. კერძოდ, არასრულწლოვანთა განრიდების რეკომენდაცია (პროექტი), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს პროკურორს ყოველგვარი გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, მაქსიმალურად მცირე დროში იქნეს მიღებული გადაწყვეტილება არასრულწლოვნის მიმართ აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების შესახებ.

პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფის, აგრეთვე, ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარების უზრუნველსაყოფად, 2018 წელს მომზადდა სრულწლოვანთა განრიდების რეკომენდაცია (პროექტი), რომლის მიზანია მაქსიმალურად მცირე დროში მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება სრულწლოვანის მიმართ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შესახებ.

სისხლის სამართლის კოდექსის მეშვიდე მუხლის პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენების მიზნით, შემუშავებული იქნა რეკომენდაცია (პროექტი), რომელიც ხელს შეუწყობს პროკურორებს რეკომენდაციაზე დაყრდნობით, ერთგვაროვანი გარემოებების არსებობისას, ქმედების ხასიათისა და მისი ჩამდენი პირის პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით, თავიდან იქნეს აცილებული მეშვიდე მუხლით გათვალისწინებულ შემხვევებში პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

2011 წლიდან საქართველოს პროკურატურაში მოქმედებდა რეკომენდაცია თაღლითობის სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებასთან დაკავშირებით, რომელიც საჭიროებდა განახლებას. შესაბამისად, რეკომენდაციის განახლების მიზნით, 2018 წლის ბოლოს საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ შესწავლილი იქნა წინასაგამოძიებო, მიმდინარე და დასრულებული თაღლითობის საქმეები, აგრეთვე გაანალიზებული იქნა სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები. მომზადდა ანალიზი. იგეგმება საკითხის შიდა უწყებრივი განხილვა, რის შემდგომაც მოხდება რეკომენდაციის შემუშავება (რომლის ე.წ. დრაფტი მზადაა) და პროკურატურის სტრუქტურული ერთეულებისთვის მიწოდება. აღნიშნული მიზნად ისახავს თაღლითობის საქმეთა ეფექტური გამოძიების, სწორი და დროული შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფას და ერთგვაროვანი მიდგომების დანერგვას.

2016 წლის 27 ივნისიდან საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მოქმედებს რეკომენდაციები „აღკვეთის ღონისძიებისა და საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას გამოსაყენებელი პირობების შესახებ“. აღნიშნული რეკომენდაციების შემუშავების მიზანი იყო საპროცესო შეთანხმების გაფორმებისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელება და გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურების თავიდან აცილება. 2018 წელს საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიულ განვითარების დეპარტამენტის მიერ შესწავლილი იქნა როგორც საპროკურორო, ისე სასამართლო პრაქტიკა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და საქმის განხილვის შედეგების შესახებ. აგრეთვე გადამუშავდა სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები და იდენტიფიცირებული იქნა საკანონმდებლო სიახლეებიდან გამომდინარე რეკომენდაციაში ცვლილებების განხორციელების საჭიროება. გარდა ზემოაღნიშნულისა, დეპარტამენტის მიერ შეჯამდა პროკურატურის მენეჯერთა წლიური შეხვედრის დროს გამოთქმული მოსაზრებები რეკომენდაციაში ცვლილებების და დამატებების შესახებ. ზემოაღნიშნული მოსაზრებებისა და ანალიზის შედეგად 2018 წელს შემუშავდა რეკომენდაციის განახლებული პროექტი.

გადადგმული ნაბიჯები პოზიტიურად უნდა იქნეს შეფასებული. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ყველა მსგავსი რეკომენდაცია მუდმივად ახლდებოდეს საჭიროების შესაბამისად. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ღონისძიება მეტწილად შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი პროგრესია 90%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 6.1.7.** გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს დანერგვა

**ღონისძიება N1:** გამოძიების მეთოდოლოგიის შესაბამისად პროკურორებისა და გამომძიებლების გადამზადება / ერთობლივი ტრენინგების ჩატარება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. პროკურორებისა და გამომძიებლების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი გამოძიების მეთოდოლოგიაში (40)

2. გამოძიების მეთოდოლოგიაში პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. გამოძიების მეთოდოლოგიაში ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს გამოძიების მეთოდოლოგიის თემაზე შვიდი სასწავლო აქტივობა განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარა 60-მა მონაწილემ (პროკურორი და გამომძიებელი). ტრენინგები შეეხებოდა კიბერ-დანაშაულის გამოძიებისა და ელექტრონული მტკიცებულებების,

კორუფციასთან ბრძოლის სფეროში განსახორციელებელი საგამოძიებო მოქმედებების, მათ შორის, საგამოძიებო სტატისტიკისა და მეთოდების, ბიოტერორიზმის გამოძიების, ფინანსური გამოძიებების, ანტიტერორისტული გამოძიების თემატიკასა და სხვა. სასწავლო აქტივობების ფარგლებში დაფარულ იქნა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ექსტრემისტული ორგანიზაციები, სხვა ქვეყნებისა და კონფლიქტური ზონებიდან მიღებული მტკიცებულებები, ბიოტერორიზმის გამოძიების კონკრეტული მეთოდები და შემთხვევები, კიბერ-დანაშაულის სფეროში სასამართლო ექსპერტიზის ინსტრუმენტები, ვირტუალური ვალუტისა და ციფრული ტექნოლოგიებით ფულის გათეთრების გამოძიებების საფუძვლები, ფულის გათეთრება, კორუფციული დელიქტები, მამხილებელთა დაცვა და სხვა.

წარმოდგენილი დღის წესრიგების მიხედვით, ირკვევა, რომ ტრენინგების განმავლობაში განხილული საკითხები საკმაოდ მრავლისმომცველი და აქტივობის მიზნის შესაბამისი იყო. თითოეული საკითხი განხილვას, დაახლოებით, საათი - საათნახევარი დაეთმო, რაც ოპტიმალურ ხანგრძლივობას წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ ღონისძიება ერთჯერადი ხასიათია არაა და მისი განხორციელება შემდეგ წლებშიც არის დაგეგმილი, მისაღებია ტრენინგებისა და მონაწილეთა რაოდენობაც. თუმცა, სასურველია, სისტემურად გაგრძელდეს პროკურატურის თანამშრომელთათვის ტრენინგების ჩატარება და და აღნიშნული მიმართულებით ყოველწლიურად მეტი პროკურორი/გამომძიებელი გადამზადდეს. **ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი პროგრესია 100%.**

## 5.7. ამოცანა 7. საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეშვიდე ამოცანა და მიზანი გულისხმობს საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას. აღნიშნული მიზნის მიღწევის მექანიზმად ხუთი კომპონენტია გათვალისწინებული, რომლებიც 2018 წლისთვის შვიდი ღონისძიების შესრულებას ითვალისწინებს. აღნიშნული შვიდი ღონისძიებიდან ორი სრულად შესრულდა, ორი - მეტწილად, ერთი - ნაწილობრივ, ხოლო ორი ღონისძიება შეუსრულებელია. **მეშვიდე ამოცანის ღონისძიებების შესრულების პროგრესია 50%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 7.1.1.** მედიასთან კომუნიკაციის ერთგვაროვანი პოლიტიკის ჩამოყალიბება

**ღონისძიება N1:** პროკურატურის თანამშრომლების გადამზადება მედიასთან კომუნიკაციის უნარებში

**შეფასების ინდიკატორები:**

1. სპიკერი პროკურორების და სტრუქტურული ერთეულების რაოდენობა, რომელთა მენეჯერები გადამზადდნენ მედიასთან კომუნიკაციის უნარებში (40)

2. ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა იმ სპიკერი პროკურორების და სტრუქტურული ქვედანაყოფების მენეჯერების რაოდენობებთან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ტრენინგებში (30)

3. ტრენინგის ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 80%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მედიასთან კომუნიკაციის ერთგვაროვანი პოლიტიკის ჩამოყალიბების მიზნით 2018 წელს განხორციელდა ორი სასწავლო აქტივობა, რომელშიც ჩართული იყო 34 მონაწილე (პროკურორი, გამომძიებელი და მენეჯერი).

აქტივობებს წარმოადგენდა ორდღიანი ტრენინგი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის შესახებ და ერთდღიანი ტრენინგი გამოხატვის თავისუფლებისა და ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლის თაობაზე. ამ უკანასკნელისთვის, მონაწილეები შეირჩნენ შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფებიდან და ტერიტორიული ორგანოებიდან. სასწავლო აქტივობაში მონაწილეობას იღებდა 21 რიგითი პროკურორი და გამომძიებელი. რაც შეეხება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის თემაზე პროკურორებისა და ჟურნალისტების ჩართულობით განხორციელებულ ტრენინგს, მასში საქართველოს პროკურატურიდან ჩართული იყო 13 მონაწილე (მენეჯერი და რიგითი პროკურორი). განხორციელებულ სასწავლო აქტივობაში მონაწილეები შეირჩნენ შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფებიდან და ტერიტორიული ორგანოებიდან.

დღის წესრიგების მიხედვით ირკვევა, რომ ტრენინგების განმავლობაში დაფარული საკითხები, როგორებიცაა: გამოხატვის თავისუფლების ფარგლები, მედიის როლი, სახელმწიფოსა და ჟურნალისტების ვალდებულებები, სიძულვილის ენა, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და მისი გაშუქების სპეციფიკა, ნეიტრალური, მგრძობიარე ენის გამოყენების მნიშვნელობა და ა.შ. რელევანტური და აქტივობის მიზნის შესაბამისია. მისაღებია თითოეული საკითხისთვის დათმობილი დროც (საშუალოდ, საათნახევარი). მისასალმებელია, რომ ტრენინგებში ჩართული მონაწილეები იყვნენ როგორც მთავარი პროკურატურის, ისე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის, სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის წარმომადგენლები. იმის გათვალისწინებით, რომ ღონისძიება ერთჯერადი ხასიათია არაა და მისი განხორციელება 2019 წელსაც არის დაგეგმილი, მისაღებია ტრენინგების რაოდენობაც. თუმცა, პროკურატურას სამოქმედო გეგმის მიხედვით, ჰქონდა ვალდებულება, გადაემზადებინა ყველა სტრუქტურული ერთეულის მენეჯერი, რაც არ განხორციელებულა. ამასთან, არ იკვეთება ინფორმაცია, მოხდა თუ არა ყველა სპიკერი პროკურორის გადამზადება. **შესაბამისად, ღონისძიება მეტწილად შესრულდა და მისი პროგრესია 80%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი** **7.1.1.** მედიასთან კომუნიკაციის ერთგვაროვანი პოლიტიკის ჩამოყალიბება

**ღონისძიება N2:** მედიის ინტერესის დაკმაყოფილების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. მედიის ინტერესის დაკმაყოფილების შეფასების კრიტერიუმები ეყრდნობა არსებული სიტუაციის ანალიზს

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული დოკუმენტი არ შემუშავებულა. **შესაბამისად, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესი 0%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 7.1.2.** პროკურატურის ვებ-გვერდის განახლება

**ღონისძიება N1:** პროკურატურის ვებგვერდზე ახალი სერვისების დამატება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. პროკურატურის ვებგვერდზე დამატებული ახალი სერვისები ეყრდნობა საჭიროების ანალიზს (50)

2. პროკურატურის ვებგვერდზე დამატებული ახალი სერვისების ხელმისაწვდომობა (50)

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის თანახმად, საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, შეიქმნა საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული ახალი, თანამედროვე ვებგვერდი, რომლითაც გამარტივებულია მოსახლეობის კომუნიკაცია პროკურატურის სისტემასთან. მიუხედავად იმისა, რომ ვებგვერდი ითვალისწინებს რიგი ახალი სერვისების დამატებას, პროკურატურის თანახმად, ახალი ვებგვერდი მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი ჯერ არ არის. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვებგვერდის შექმნა 2018 წლის მონაცემებით ვერ შეფასდება. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 7.1.3.** კოორდინატორების სამსახურის მოდერნიზაცია

**ღონისძიება N1:** პროკურორების გადამზადება კოორდინატორებთან თანამშრომლობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით

**შეფასების ინდიკატორები:**

1. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების რაოდენობა, რომელთა პროკურორები გადამზადდნენ კოორდინატორებთან თანამშრომლობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით (40)

2. ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა იმ პროკურორების რაოდენობასთან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ტრენინგებში (30)

3. ტრენინგის ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** ნაწილობრივ შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 10%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებთან თანამშრომლობის საკითხებზე მენეჯერებისთვის ჩატარდა ერთი ტრენინგი, რომელშიც საქართველოს პროკურატურის ყველა ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. გადამზადება გაიარა სისტემის 17-მა მაღალი რგოლის მენეჯერმა, რომელთაც თავიანთ სტრუქტურულ ერთეულებსა და ტერიტორიულ ორგანოებში განახორციელეს დარჩენილი მენეჯერებისა და თანამშრომლების ინფორმირება. ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის შესახებ საკანონმდებლო სიახლეების გაცნობა და კოორდინატორებსა და პროკურორებს შორის თანამშრომლობის ეფექტურობის გაზრდა. ტრენინგის განმავლობაში განხილულ იქნა ინფორმაცია განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებსა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის შესახებ სახელმძღვანელოს თაობაზე. ასევე, მოხდა პრობლემური საკითხების განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურის თანახმად, მოხდა მაღალი რგოლის მენეჯერების გადამზადება, რომლებმაც თავიანთ სტრუქტურულ ერთეულებსა და ტერიტორიულ ორგანოებში განახორციელეს დარჩენილი მენეჯერებისა და თანამშრომლების ინფორმირება, იმის გათვალისწინებით, რომ აქტივობა ერთჯერადი ხასიათისაა და სამოქმედო გეგმით შემდეგ წლებში გათვალისწინებული არ არის, აქტივობის მასშტაბი არ არის მისაღები. ამასთან, დღის წესრიგის მიხედვით, ირკვევა, რომ აღნიშნული აქტივობა წარმოადგენდა არათუ ტრენინგს, არამედ სამუშაო შეხვედრას, რომლის ფარგლებშიც საკითხების განხილვას, საერთო ჯამში, მხოლოდ ორი საათი დაეთმო, რაც ვერ იქნება ოპტიმალურ ხანგრძლივობად მიჩნეული.

ღონისძიების მიხედვით უნდა განხორციელებულიყო პროკურორთა გადამზადება, რაც, როგორც მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, არ განხორციელებულა. სასურველია, ჩატარებულიყო ტრენინგი, რომელზეც მოხდებოდა პრაქტიკული მაგალითების, სხვა სახელმწიფოთა გამოცდილების, პრობლემური ასპექტებისა და ა.შ. განხილვა, რაც უფრო პროდუქტიულს გახდიდა შეხვედრას. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ღონისძიება შესაძლოა ნაწილობრივ შესრულებულად იქნეს მიჩნეული, თუმცა მისი პროგრესი მხოლოდ 10%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 7.1.3.** კოორდინატორების სამსახურის მოდერნიზაცია

**ღონისძიება N2:** კოორდინატორების საქმიანობასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით კოორდინატორების მოსახლეობასთან შეხვედრა

**შეფასების ინდიკატორები:**

1. რაიონების რაოდენობა, სადაც ჩატარდა შეხვედრა კოორდინატორების საქმიანობასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით (20)

2. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა თითო რაიონში (15)

3. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებულ შეხვედრებში მონაწილე ადამიანების რაოდენობა (20)

4. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებულ შეხვედრებზე განხილული საკითხები (25)

5. შეხვედრებთან დაკავშირებით მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდების საშუალებები (20)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის საქმიანობასთან დაკავშირებით 2018 წელს საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდა. აღნიშნულის რაოდენობა სულ 27-ს შეადგენდა და თითო შეხვედრას, საშუალოდ, 50 მონაწილე ესწრებოდა (სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, სტუდენტები, საჯარო მოხელეები, ადგილობრივი მოსახლეობა). შეხვედრის ფარგლებში, ასევე, რიგდებოდა საინფორმაციო ბუკლეტები სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით.

შეხვედრების მიმდინარეობისას გაზიარებულ იქნა ინფორმაცია კოორდინატორის სამსახურის შექმნის ისტორიის, კოორდინატორის ფუნქციებისა და მოვალეობების, მოწმისა და დაზარალებულის უფლება-მოვალეობების, დაზარალებულის უფლებრივი და ემოციური მდგომარეობისა და გაწეული საქმიანობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შესახებ.

მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შესაძლოა ითქვა, რომ შეხვედრების ფარგლებში დაიფარა ყველა რეგიონი და საზოგადოების სხვადასხვა ფენა. თითოეულ შეხვედრაში 50 პირის მონაწილეობა მისაღებ ოდენობას წარმოადგენს. ამასთან შეხვედრებზე მოხდა რელევანტური და აქტივობის მიზანთან შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება როგორც პრეზენტაციების, ისე საინფორმაციო ბუკლეტების მეშვეობით. აუცილებელია, რომ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით საინფორმაციო შეხვედრები შემდეგ წლებშიც გაგრძელდეს საქართველოს ყველა რეგიონში, რაც არის კიდეც გაწერილი სამოქმედო გეგმით. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 7.1.4.** მოქალაქეებთან კომუნიკაციის დოკუმენტისა და ელექტრონული პროგრამის შექმნა

**ღონისძიება N1:** მოქალაქეებთან კომუნიკაციის შეფასების ანგარიშის მომზადება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. მოქალაქეებთან კომუნიკაციის შეფასების ანგარიში ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებს და მეთოდოლოგიას (30)

2. შეფასების ანგარიში ყურადღებას ამახვილებს არსებულ გამოწვევებზე, ხარვეზებზე და მათ მიზეზებზე (35)

3. შეფასების ანგარიში განსაზღვრავს სამომავლო ნაბიჯებს / პრაქტიკულ რეკომენდაციებს (35)

**სტატუსი:** მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 60%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წელს შედგენილ იქნა მოქალაქეებთან კომუნიკაციის ანგარიში და კომუნიკაციის შეფასება. ანგარიშის მიხედვით, 2018 წლის განმავლობაში მოქალაქეებთან განხორციელდა 309 შეხვედრა, რომელთა თემატიკა შეეხებოდა გამოძიების გაჭიანურებას, საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, გამოძიების დაწყებასა და შეწყვეტას, ზიანის ანაზღაურებას, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასა და სხვ.

2018 წელს განხორციელებული შეხვედრების შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეხვედრისას ძირითად შემთხვევაში მოქალაქეს განემარტებოდა მის მოთხოვნასთან დაკავშირებით პროკურატურის პოზიცია, თუმცა შეხვედრების შეფასებისას პრიორიტეტად განისაზღვრა, რომ შემდგომ ეტაპებზე უფრო მეტად მოხდეს მოქალაქეების პრობლემური საკითხების შეხვედრის ფარგლებშივე გადაწყვეტა.

ანგარიშის შედგენისას გამოიკვეთა ხარვეზები, კერძოდ მოქალაქეთა შეხვედრების დროს პრეტენზიების დიდი ნაწილი დაკავშირებულია გამოძიების გაჭიანურებასთან, გამოძიების დაწყების ან/და არ დაწყებასთან დაკავშირებით ადგილებზე მოქალაქეებისთვის საკითხის არასათანადოდ განმარტებასთან. შეხვედრების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, დაიგეგმა პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება და ასევე დონორი საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, ევროკავშირის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტის ჩართულობით განცხადებებისა და საჩივრების განხილვის ეფექტიანი სისტემის შექმნა.

მოწოდებულ ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ შეფასების ანგარიში ყურადღებას ამახვილებს არსებულ გამოწვევებზე, ხარვეზებსა და მისი მოგვარების გზებზე, ასევე, განსაზღვრავს სამომავლო ნაბიჯებს. თუმცა, სასურველია, დაკონკრეტდეს რა ინდიკატორები და მეთოდოლოგია იქნა გამოყენებული შეფასების ანგარიშის მომზადებისას, რითი იყო გამოწვეული ანგარიშში ასახული ხარვეზები, რაზეც პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ შეიცავს მითითებას. **ამის გათვალისწინებით, ღონისძიება მეტწილად შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი პროგრესი 60%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 7.1. 5.** სტატისტიკური ინფორმაციის პროაქტიური გამოქვეყნება

**ღონისძიება N1:** შესაბამისი ცვლილებების განხორციელება სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში

**შეფასების ინდიკატორები:**

1. სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისობა სტატისტიკური მონაცემების სრულყოფის მიზნით შემუშავებული დოკუმენტის მიგნებებთან

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონული წარმოების გასაუმჯობესებლად შეიქმნა ახალი, თანამედროვე პროგრამა, რომელიც არის ბევრად უფრო სწრაფი, მოქნილი და ადაპტირებადი; თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დაწერილ პროგრამაში შესაძლებელი იქნება ნებისმიერი საჭირო ცვლილებებისა თუ პროგრამული განახლებების შეტანა, რაც გამორიცხავს სამომავლოდაც მისი ახალი პროგრამით ჩანაცვლების საჭიროებას. პროგრამას შეუძლია შეაგროვოს და დაითვალოს ბევრად მეტი სტატისტიკური მონაცემები. ამასთან, პროგრამა ავალდებულებს მომხმარებელს შეავსოს აუცილებელი მონაცემები, რაც სტატისტიკური ინფორმაციის დაკარგვის ალბათობას ამცირებს.

სტატისტიკური მონაცემების სრულყოფის მიზნით შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით ძველ პროგრამას არ ჰქონდა არაიდენტიფიცირებული ბრალდებულის და სასულიერო პირის სტატისტიკური მონაცემების ამსახველი ველი, რის გამოც ვერ ხდებოდა აღნიშნული მონაცემების შეგროვება და ანალიზი. ძველ პროგრამაში სქესის ინდიკატორის სრულყოფილი დათვლა შეუძლებელი იყო, მოქმედ პროგრამაში კი სქესი არის სავალდებულოდ შესავსები ველი, რამაც აღმოფხვრა აღნიშნული მონაცემების დაკარგვის რისკი. ძველი პროგრამა არ ითვლიდა აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის და დაკმაყოფილების მაჩვენებელს, ხოლო ახალი პროგრამა საშუალებას იძლევა აღნიშნული მონაცემების სრულყოფილ დამუშავებას - მათ შორის მუხლობრივ დონეზეც. პირის (მაგ: ბრალდებულის, მოწმის) მოქალაქეობისა და დაბადების თარიღის შესახებ ინფორმაციის ამსახველი სტატისტიკური პარამეტრები (ტაბები) იყო არასავალდებულო, შესაბამისად, ამ ინდიკატორების სრულყოფილი დათვლა შეუძლებელი იყო, მოქმედ პროგრამაში კი აღნიშნული ველები სავალდებულოდ შესავსებია, რაც თითქმის გამორიცხავს მონაცემების დაკარგვის რისკს. ანალოგიური ლოგიკით, გაუმჯობესდა აღრიცხვიანობა პირის განათლებისა და რეგისტრაციის ადგილის შესახებ, რომელი ინფორმაციის ამსახველი ტაბებიც. სტატისტიკური მონაცემების სრულყოფის მიზნით შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით ძველი სტატისტიკის პროგრამა არ იძლეოდა ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირის დადგენის შესაძლებლობას, რაც ცვლილებების შედეგად აღმოიფხვრა. ძველი სტატისტიკის პროგრამისგან განსხვავებით

ახალი სააღრიცხვო სისტემა იძლევა საშუალებას ცალკე იქნეს დათვლილი სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულები (საქართველოს სსკ-ის 53[1] მუხლი).

აღნიშნული ქმედებები პოზიტიურად უნდა იქნეს შეფასებული. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, განხორციელებული ცვლილებები შეესაბამება სტატისტიკური მონაცემების სრულყოფის მიზნით შემუშავებული დოკუმენტის მიგნებებს. **ამის გათვალისწინებით, ღონისძიება შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი პროგრესია 100%.**

## 5.8. ამოცანა 8. დანაშაულის პრევენცია

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მერვე ამოცანა და მიზანი გულისხმობს დანაშაულის პრევენციას. აღნიშნული მიზნის მიღწევის მექანიზმად ოთხი კომპონენტია გათვალისწინებული, რომლებიც 2018 წლისთვის 11 ღონისძიების შესრულებას ითვალისწინებს. აღნიშნული 11 ღონისძიებიდან ოთხი სრულად შესრულდა, ერთი - მეტწილად, ხოლო ექვსი ღონისძიება შეუსრულებელია. **მერვე ამოცანის ღონისძიებების შესრულების პროგრესია 43%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.1.** ადგილობრივი საბჭოების შექმნა

**ღონისძიება N1:** ადგილობრივი საბჭოების მუშაობის წლის ანგარიშის შედგენა

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ამსახველი წლიური ანგარიში ყურადღებას ამახვილებს არსებულ გამოწვევებზე, ხარვეზებზე და მათ მიზეზებზე

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურამ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფარგლებში წარმოადგინა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის შესახებ ანგარიში, სადაც მოცემულია ადგილობრივი საბჭოების, მათი მიზნებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. ანგარიშში აგრეთვე იდენტიფიცირებულია ის საკითხები, რომლებიც განხილული იქნა ადგილობრივი საბჭოების სხდომებზე. ანგარიშში ხაზგასმულია საბჭოების მუშაობის ფარგლებში იდენტიფიცირებული სამი ძირითადი გამოწვევა: 1) არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები; 2) ოჯახური ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა 3) მომატებული ავტოსაგზაო შემთხვევები.

ანგარიშის თანახმად დანაშაულის პრევენციის კუთხით ყველა რეგიონში პრობლემის გადაჭრის რეალური გზებია მოსაძიებელი, რადან მხოლოდ ლექცია-სემინარები და ინფორმაციული შეხვედრები საკითხის გადაჭრისთვის არასაკმარისი და არაეფექტიანია ისევე, როგორც ერთჯერადად განხორციელებული საქველმოქმედო ღონისძიებები. ანგარიშის მიხედვით ჩატარებული ღონისძიებების ანალიზი აჩვენებს, რომ მათში ძირითადად

ჩართულნი არიან მოწესრიგებული, „წარჩინებული მოსწავლეები“, რომლებიც დანაშაულის რისკ-ჯგუფებს არ წარმოადგენენ. აღნიშნულია მიუსაფართა თავშესაფრიდან გამოსული ახალგაზრდების პრობლემაც, რომელთაც ხშირად ღამის გასათევი კი არ გააჩნიათ და შესაძლოა არსებობისათვის ბრძოლაც მოუწიოთ, რაც დიდი ალბათობით დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებთ. ხაზგასმულია, რომ მათი დასაქმების კუთხით აქცენტები უნდა გაკეთდეს ადგილობრივი საბჭოების სხდომებზე და სხვადასხვა უწყებამ საკუთარი წვლილი შეიტანოს დანაშაულის პრევენციაში.

იმისათვის, რომ საბჭომ ეფექტურად განაგრძოს მუშაობა და დასახულმა მიზნებმა შედეგებში ჰპოვოს ასახვა, ანგარიშის მიხედვით, საჭიროა გააქტიურდეს მისი საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ, გახშირდეს სხდომათა რაოდენობა, გამოიკვეთოს რეგიონებისთვის დამახასიათებელი კონკრეტული დანაშაულები და გატარდეს ქმედითი ღონისძიებები მათი პრევენციისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ანტისოციალური ქცევის მქონე არასრულწლოვანებს და მოხდეს მათი ჩართვის ხელშეწყობა სხვადასხვა სპორტულ თუ საგანმანათლებლო აქტივობაში.

ანგარიშის მიხედვით, საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად, უმნიშვნელოვანესია ცნობიერების ამაღლება მოსახლეობაში ისეთ დანაშაულებზე, როგორიცაა ოჯახური ძალადობა, ავტოსატრანსპორტო შემთხვევები და გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულები.

ანგარიშის თანახმად, დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს  სახალხო დამცველის აპარატის რეკომენდაციები, ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და ანალიზები ადგილობრივი საბჭოს სხდომებზე გამოკვეთილი პრობლემატური საკითხების ირგვლივ.

როგორც წარმოდგენილი ინფორმაციიდან ჩანს, ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ამსახველი წლიური ანგარიში ყურადღებას ამახვილებს არსებულ გამოწვევებზე, ხარვეზებზე და მათ მიზეზებზე და მიუთითებს მათ მოსაგვარებლად გადასადგმელ ნაბიჯებზეც. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი  8.1.1.** ადგილობრივი საბჭოების შექმნა

**ღონისძიება N2:** ადგილობრივი საბჭოები ამოქმედებულია მინიმუმ 10 ქალაქში (რეგიონში)

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ქალაქების (რეგიონების) რაოდენობა, სადაც ფუნქციონირებს ადგილობრივი საბჭოები (30)

2. ადგილობრივი საბჭოების წარმომადგენლობითობა - ეთნიკური, გენდერული და სხვა ნიშნებით (35)

3. ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები/განხორციელებული ღონისძიებები (35)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს ადგილობრივი საბჭოს სხდომა გაიმართა 16 სხვადასხვა ქალაქში (ბათუმი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, ხელვაჩაური, თელავი, ახალქალაქი, გურჯაანი, გორი, ქუთაისი. მცხეთა, სამტრედია, სიღნაღი). შეხვედრებზე განხილულ იქნა რეგიონისთვის დამახასიათებელი პრობლემური საკითხები და დაიგეგმა შემდგომი ღონისძიებები დანაშაულის პრევენციის მიზნით. ადგილობრივი საბჭოს სხდომებზე განხილული საკითხების საფუძველზე, ყველა რეგიონში დაისვა პრევენციული ღონისძიებების გააქტიურების აუცილებლობის საკითხი. როგორც ჩატარებულმა სხდომებმა აჩვენა, დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სახალხო დამცველის აპარატის რეკომენდაციები, ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების ანალიზები ადგილობრივი საბჭოს სხდომებზე გამოკვეთილი პრობლემატური საკითხების ირგვლივ.

„ადგილობრივი საბჭოს“ მუშაობაში მონაწილეობას იღებენ პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პრობაციის ბიუროს, არასამთავრობო ორგანიზაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. „ადგილობრივი საბჭოს“ მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია საზოგადობის ნებისმიერ წევრს.

მისასალმებელია საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები პრევენციული ღონისძიებების გააქტიურების აუცილებლობასთან, დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვისას სახალხო დამცველის აპარატის რეკომენდაციების გათვალისწინებასთან და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევებისა და ანალიზების მხედველობაში მიღებასთან დაკავშირებით. მისაღებია ქალაქების რაოდენობა, სადაც ადგილობრივი საბჭოები მოქმედებს. საბჭოების მუშაობაში რამდენიმე რელევანტური უწყება და ადგილობრივი თვითმმართველობაა ჩართული და ისინი ღიაა საზოგადოებისთვის. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.1.** ადგილობრივი საბჭოების შექმნა

**ღონისძიება N3:** თითოეული ადგილობრივ საბჭოს მიერ მინიმუმ 2 სხდომის გამართვა

**შეფასების ინდიკატორები:**

1. თითოეული ადგილობრივი საბჭოს მიერ გამართული სხდომების რაოდენობა (50)

2. ადგილობრივი საბჭოს სხდომებზე განხილული საკითხები (50)

**სტატუსი:** მეტწილად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 75%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს ადგილობრივი საბჭოების მიერ სულ 16 შეხვედრა გაიმართა სხვადასხვა ქალაქში - თითო შეხვედრა თითოეული ადგილობრივი საბჭოს მიერ. ყველა რაიონში შეხვედრა გაიხსნა ადგილობრივი საბჭოს პრეზენტაციით, მისი ფუნქციების და მიზნების განმარტებით, ხოლო რაც შეეხება თემატიკას, შეხვედრებზე ძირითადად განხილული იქნა სამი პრობლემატური საკითხი, რომელთაგან ორი - არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები და ოჯახური ძალადობა, მათი აქტუალურობიდან გამომდინარე, საერთო იყო ყველა ქალაქისათვის, ხოლო მესამე საკითხი წარმოადგენდა კონკრეტული რეგიონისათვის სპეციფიურ, პრობლემატურ დანაშაულს და თითოეულმა რაიონმა წარმოადგინა ინდივიდუალურად (მაგალითად, ბათუმისთვის ეს იყო სეზონური ქურდობები ზღვის სანაპიროზე, ოზურგეთისთვის - ავტოსაგზაო შემთხვევები, თელავისთვის - ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხვა და სხვა). აღნიშნულის მიხედვით, შესაძლოა ითქვას, რომ შეხვედრებზე დაფარული თემატიკა რელევანტური და აქტივობის მიზნის შესაბამისი იყო. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ არც ერთი საბჭოს მიერ ერთზე მეტი შეხვედრა არ გამართულა, **ღონისძიება მეტწილად შესრულდა და მისი პროგრესია 75%.**[136]

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.1.** ადგილობრივი საბჭოების შექმნა

**ღონისძიება N4:** ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ წლიური ანგარიშის მომზადება და საკონსულტაციო საბჭოსთვის წარდგენა

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ ანგარიში ყურადღებას ამახვილებს არსებულ გამოწვევებზე, ხარვეზებზე და მათ მიზეზებზე (35)

2. ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ ანგარიშში მოცემულია არსებული გამოწვევების დაძლევის შესახებ რეკომენდაციები (30)

3. საკონსულტაციო საბჭოს მიერ ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ანგარიშის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები (35)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

[136] პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ადგილობრივი საბჭოები მეორედ არ შეკრებილან, ვინაიდან პირველი შეხვედრების დროს იდენტიფიცირებული პრობლემატური საკითხები კვლავ აქტუალური იყო და შედეგობრივი თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ ჩაითვალა საბჭოს იგივე თემებზე ემსჯელა. IDFI-ის მოსაზრებით, პირველი შეხვედრების დროს იდენტიფიცირებული გამოწვევების არსებობა ხელს არ უშლიდა შეხვედრების კვლავ ჩატარებას ახალი გამოწვევების იდენტიფიცირების და წინა შეხვედრებზე დასახული ამოცანების მიღწევის შეფასების მიზნით.

პროკურატურამ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფარგლებში წარმოადგინა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის შესახებ ანგარიში, სადაც მოცემულია ადგილობრივი საბჭოების, მათი მიზნებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. ანგარიშში აგრეთვე იდენტიფიცირებულია ის საკითხები, რომლებიც განხილული იქნა ადგილობრივი საბჭოების სხდომებზე. ანგარიშში ხაზგასმულია საბჭოების მუშაობის ფარგლებში იდენტიფიცირებული სამი ძირითადი გამოწვევა: 1) არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები; 2) ოჯახური ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა 3) მომატებული ავტოსაგზაო შემთხვევები.

ანგარიშის თანახმად დანაშაულის პრევენციის კუთხით ყველა რეგიონში პრობლემის გადაჭრის რეალური გზებია მოსაძიებელი, რადან მხოლოდ ლექცია-სემინარები და ინფორმაციული შეხვედრები საკითხის გადაჭრისთვის არასაკმარისი და არაეფექტიანია ისევე, როგორც ერთჯერადად განხორციელებული საქველმოქმედო ღონისძიებები. ანგარიშის მიხედვით ჩატარებული ღონისძიებების ანალიზი აჩვენებს, რომ მათში ძირითადად ჩართულნი არიან მოწესრიგებული, „წარჩინებული მოსწავლეები“, რომლებიც დანაშაულის რისკ-ჯგუფებს არ წარმოადგენენ. აღნიშნულია მიუსაფართა თავშესაფრიდან გამოსული ახალგაზრდების პრობლემაც, რომელთაც ხშირად ღამის გასათევი კი არ გააჩნიათ და შესაძლოა არსებობისათვის ბრძოლაც მოუწიოთ, რაც დიდი ალბათობით დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებთ. ხაზგასმულია, რომ მათი დასაქმების კუთხით აქცენტები უნდა გაკეთდეს ადგილობრივი საბჭოების სხდომებზე და სხვადასხვა უწყებამ საკუთარი წვლილი შეიტანოს დანაშაულის პრევენციაში.

ანგარიშის მიხედვით, იმისათვის, რომ საბჭომ ეფექტურად განაგრძოს მუშაობა და დასახულმა მიზნებმა შედეგებში ჰპოვოს ასახვა, ანგარიშის მიხედვით, საჭიროა გააქტიურდეს მისი საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ, გახშირდეს სხდომათა რაოდენობა, გამოიკვეთოს რეგიონებისთვის დამახასიათებელი კონკრეტული დანაშაულები და გატარდეს ქმედითი ღონისძიებები მათი პრევენციისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ანტისოციალური ქცევის მქონე არასრულწლოვანებს და მოხდეს მათი ჩართვის ხელშეწყობა სხვადასხვა სპორტულ თუ საგანმანათლებლო აქტივობაში. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად, უმნიშვნელოვანესია ცნობიერების ამაღლება მოსახლეობაში ისეთ დანაშაულებზე, როგორიცაა ოჯახური ძალადობა, ავტოსატრანსპორტო შემთხვევები და გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულები.

ანგარიშის თანახმად, დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს  სახალხო დამცველის აპარატის რეკომენდაციები, ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და ანალიზები ადგილობრივი საბჭოს სხდომებზე გამოკვეთილი პრობლემატური საკითხების ირგვლივ.

როგორც წარმოდგენილი ინფორმაციიდან ჩანს, ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ამსახველი წლიური ანგარიში ყურადღებას ამახვილებს არსებულ გამოწვევებზე, ხარვეზებზე

და მათ მიზეზებზე და მიუთითებს მათ მოსაგვარებლად გადასადგმელ ნაბიჯებზეც.. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.2** კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფის შექმნა

**ღონისძიება N1:** კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფის მინიმუმ 2 შეხვედრის გამართვა

**შეფასების ინდიკატორები:**

1. კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა (30)

2. კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე განხილული საკითხები (35)

3. კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფის შეხვედრების შედეგები (35)

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წელს კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფის შეხვედრები ცალკე არ ჩატარებულა. **შესაბამისად, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.2** კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფის შექმნა

**ღონისძიება N2:** კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფის სხდომაზე ანგარიშის ან ანალიზის განხილვა

**შეფასების ინდიკატორები:**

1. კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფის მიერ განახლებული პროკურატურაში მომზადებული ანგარიშების / ანალიზების რაოდენობა

2. კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფის მიერ ანგარიშების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები / დაგეგმილი ნაბიჯები

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის მიერ ანგარიშების/ანალიზების განხილვასთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კრიმინოლოგები დაესწრნენ პროკურატურის მიერ ორგანიზებულ ყველა კონფერენციას/სამუშაო შეხვედრას (ოჯახური ძალადობის თემაზე, დანაშაულის პრევენციის თემაზე). თუმცა, სამოქმედო გეგმის მიხედვით, კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფს უნდა უზრუნველეყო პროკურატურაში მომზადებული მინიმუმ სამი ანგარიშის ან ანალიზის განხილვა. წარმოდგენილი ინფორმაცია ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად აქტივობის შინაარსისა და ინდიკატორების თვალსაზრისით. **შესაბამისად, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.2** კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფის შექმნა

**ღონისძიება N3:** კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფთან ერთად ერთობლივი კვლევის განხორციელება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფისა და პროკურატურის მიერ განხორციელებული ერთობლივი კრიმინოლოგიური კვლევა ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ მეთოდოლოგიას, გამოკვეთილია პრობლემური საკითხ(ებ)ი და კვლევის მიზანი (30)

2. კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფისა და პროკურატურის მიერ განხორციელებული ერთობლივი კრიმინოლოგიური კვლევის ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირებისთვის (35)

3. კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფისა და პროკურატურის მიერ განხორციელებული ერთობლივი კრიმინოლოგიური კვლევის საფუძველზე დაგეგმილი ნაბიჯები (35)

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

აღნიშნულის თაობაზე პროკურატურას ინფორმაცია არ მოუწოდებია. **შესაბამისად, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.3** პრევენციული ღონისძიებების პროგრამისა და მათი ეფექტიანობის შეფასების სისტემის შექმნა

**ღონისძიება N1:** განხორციელებულ პრევენციულ ღონისძიებათა სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი

**შეფასების ინდიკატორები:**

1. განხორციელებულ პრევენციულ ღონისძიებათა სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ მონიტორინგი ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ მეთოდოლოგიას (30)

2. განხორციელებულ პრევენციულ ღონისძიებათა სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ მონიტორინგის დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს არსებულ გამოწვევებზე, ხარვეზებზე (35)

3. განხორციელებულ პრევენციულ ღონისძიებათა სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ მონიტორინგის დოკუმენტი განსაზღვრავს სამომავლო ნაბიჯებს / პრაქტიკულ რეკომენდაციებს (35)

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მონიტორინგის მეთოდოლოგიის დოკუმენტი არ შემუშავებულა. **შესაბამისად, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.4.** საზოგადოებრივი პროკურატურის მასშტაბების ზრდა

**ღონისძიება N1:** ყველა რაიონული პროკურატურა ახორციელებს საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში პრევენციულ ღონისძიებებს

**შეფასების ინდიკატორები:**

1. რაიონული პროკურატურების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც ჩაატარეს პრევენციული ღონისძიებები (30)

2. თითოეული რაიონული პროკურატურის მიერ საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში ჩატარებული პრევენციული ღონისძიების რაოდენობა (35)

3. თითოეული რაიონული პროკურატურის მიერ საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში ჩატარებული პრევენციული ღონისძიების ტიპები და მასშტაბები (35)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 95%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პროექტში „საზოგადოებრივი პროკურატურა“ ჩართულია ყველა რაიონული პროკურატურა (სულ 28), რომლებმაც 2018 წელს საერთო ჯამში 706 ღონისძიება განახორციელეს. თითოეულმა რაიონულმა პროკურატურამ, საშუალოდ, 25 ღონისძიება გამართა. პროექტის ფარგლებში ღონისძიებები ტარდება ოთხი მიმართულებით:

1) საგანმანათლებლო-ინტელექტუალური - რაც გულისხმობს საინფორმაციო შეხვედრებს სხვადასხვა ფოკუს ჯგუფთან (მოსწავლეები, სტუდენტები, საჯარო მოხელეები, განრიდებულები და ა.შ.), შემეცნებით აქტივობებს (იმიტირებული სასამართლო პროცესები, ესეების კონკურსი, შემოქმედებითი საღამოები და ა.შ.), ვიზიტებს სახელმწიფო დაწესებულებებში (ვიზიტი პროკურატურაში, სასამართლოში, პოლიციის სამმართველოში და ა.შ.);
2) კულტურული - რაც მოიცავს თეატრში, მუზეუმში, კინოთეატრში ვიზიტს, ექსკურსიას, ვიდეო რგოლების კონკურსს და ა.შ.;
3) სპორტული
4) სოციალური აქციების ფარგლებში

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, პრევენციული ღონისძიებების ჩატარება მოხდა ყველა რაიონული პროკურატურის მიერ, შესაბამისად, დაიფარა ყველა რეგიონი რაც აქტივობას მასშტაბურ ხასიათს სძენს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ღონისძიებაზე დამსწრეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მოწოდება არ მომხდარა, პროკურატურის თანახმად, საზოგადოებრივი პროკურატურის ფორმატში ანტიკორუფციულ საკითხებზე ჩატარებული 56 საინფორმაციო შეხვედრიდან თითოეულს, საშუალოდ, 50 მონაწილე ესწრებოდა, რაც ოპტიმალურ რაოდენობას წარმოადგენს. მისაღებია თითოეული პროკურატურის მხრიდან საშუალოდ განხორციელებული აქტივობების რაოდენობა, ღონისძიების ტიპები და თემატიკაც. თუმცა, სამოქმედო გეგმის მიხედვით, პროკურატურას ჰქონდა ვალდებულება, თითოეული რაიონული პროკურატურის მიერ საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში მინიმუმ 10 პრევენციული ღონისძიების ჩატარება

უზრუნველეყო. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მესტიაში ჩატარდა რვა ღონისძიება, ხაშურში - ხუთი, სიღნაღში - შვიდი, ისანი - სამგორის რაიონში კი - ცხრა. შესაბამისად, მეორე ინდიკატორი სრულად ვერ იქნება დაკმაყოფილებული, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ აქტივობა ერთჯერადი ხასიათის არაა და მისი განხორციელება შემდეგ წლებშიც არის დაგეგმილი, **ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი პროგრესი 95%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.4.** საზოგადოებრივი პროკურატურის მასშტაბების ზრდა

**ღონისძიება N2:** ყველა რაიონული პროკურატურის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შექმნა

**შეფასების ინდიკატორები:**

1. რაიონული პროკურატურების რაოდენობა, სადაც შექმნილია ინდივიდუალური სამოქმედო გეგმები

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წლის ანგარიში მომზადებულია PPT ფორმატით, თუმცა ოფიციალურ ვებგვერდზე 2018 წელს არ გამოქვეყნებულა. ამასთან, პროკურატურას არ მოუწოდებია ინფორმაცია იმ რაიონული პროკურატურების შესახებ, სადაც სამოქმედო გეგმები მომზადებულია. **შესაბამისად, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 8.1.4.** საზოგადოებრივი პროკურატურის მასშტაბების ზრდა

**ღონისძიება N3:** საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების წლიური ანალიზის მომზადება და გასაჯაროება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების წლიური ანალიზი ყურადღებას ამახვილებს გამოწვევებზე და ხარვეზებზე, ითვალისწინებს რეკომენდაციებს მათი აღმოფხვრის / დაძლევის მიზნით (60)

2. საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების წლიური ანალიზის გაცნობა და ხელმისაწვდომობა საზოგადოებისთვის (40)

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

ღონისძიებასთან დაკავშირებით პროკურატურამ ინფორმაცია წარმოადგინა 2018 წელს ყველა რაიონული პროკურატურის მიერ ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავების თაობაზე. თუმცა, აღნიშნული არ პასუხობს აქტივობის ფარგლებში გაწერილ ღონისძიებებს. კერძოდ, ინფორმაციის ფარგლებში მითითება არაა განხორციელებული ღონისძიებების

წლიური ანგარიშზე, მის ფარგლებში ასახულ გამოწვევებსა და ხარვეზებზე, ასევე გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის გზებისთვის შემუშავებულ რეკომენდაციებზე. შესაბამისად არ არის მოწოდებული ინფორმაცია ანალიზის გასაჯაროებისა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის თაობაზე. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესი 0%-ია.**

## 5.9. ამოცანა 9. სამუშაო გარემოს გაუმჯობესება

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მეცხრე ამოცანა და მიზანი გულისხმობს პროკურატურაში სამუშაო გარემოს გაუმჯობესებას. აღნიშნული მიზნის მიღწევის მექანიზმად სამი კომპონენტია გათვალისწინებული, რომლებიც 2018 წლისთვის ექვსი ღონისძიების შესრულებას ითვალისწინებს. აღნიშნული ექვსი ღონისძიებიდან ოთხი სრულად შესრულდა, ორი კი შეუსრულებელია. ამ ამოცანაში მეტწილად და ნაწილობრივ შესრულებული ღონისძიებები არ გვხვდება. **მეცხრე ამოცანის ღონისძიებების შესრულების პროგრესი 67%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 9.1.1.** სამუშაო პირობების სტანდარტიზაცია

**ღონისძიება N1:** შრომითი პირობების სტანდარტიზაციის დოკუმენტის შექმნა

**შეფასების ინდიკატორები:**

1. შრომითი პირობების სტანდარტიზაციის დოკუმენტის შესაბამისობა ასოცირების შეთანხმების და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითად მოთხოვნებთან / სტანდარტებთან

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში, სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და შრომითი პირობების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროკურატურის ორგანოებისა და მათი სტრუქტურული დანაყოფების მუშაობის სპეციფიკურობისა და ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებით, დასრულდა ქვემო ქართლის საოლქო და რუსთავის რაიონული პროკურატურების ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა და კეთილმოწყობა, ასევე განხორციელდა ხელვაჩაურის და მცხეთის რაიონული პროკურატურების ადმინისტრაციული შენობების სრული სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები და აღნიშნული შენობების შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა.

წარმოდგენილი ინფორმაცია არ შეესაბამება აქტივობას. აღნიშნულის საფუძველზე ვერ განხორციელდება ასოცირების შეთანხმების და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითად მოთხოვნებთან/სტანდარტებთან შრომითი პირობების სტანდარტიზაციის

დოკუმენტის შესაბამისობა, რამდენადაც, დოკუმენტის თაობაზე პროკურატურას ინფორმაცია არ მოუწოდებია. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესია 0%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 9.1.2.** სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის გაუმჯობესება

**ღონისძიება N1:** ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დახვეწის მიზნით ცვლილებების განხორციელება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დახვეწის მიზნით ცვლილებები ეყრდნობა პრაქტიკის ანალიზს

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციის თანახმად, დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა არ შეესაბამება თანამედროვე პროგრამულ მოთხოვნებს. მასში ცვლილებების შეტანა არის რთული, პროგრამის მუშაობის სიჩქარე კი დაბალია. პროგრამულად ვერ ხერხდება სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება იმ პარამეტრებით, რომელიც უწყებისა და მომხმარებელთა ინტერესის სფეროს წარმოადგენს, რის გამოც საჭირო ხდება სხვადასხვა მონაცემების შეგროვება და დათვლა არაპროგრამულად. აღნიშნულის გამო დღის წესრიგში დადგა ახალი პროგრამის დაწერის აუცილებლობა.

ახალი ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა არის თანამედროვე პროგრამული ენით დაწერილი, ბევრად სწრაფი და ადაპტირებადი. მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა მარტივია. პროგრამას შეუძლია გაუმარტივოს მომხმარებლებს სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა. პროგრამაში შექმნილი საპროკურორო/საგამოძიებო დოკუმენტები მორგებულია სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობას, ამასთან პროგრამას შეუძლია მიუთითოს მომხმარებელს დაშვებული ტექნიკური შეცდომების შესახებ. აღნიშნული, ერთი მხრივ, უმარტივებს მომხმარებელს სამუშაო პროცესს, მეორე მხრივ კი, ამცირებს სამართლებრივი შეცდომის დაშვების ალბათობას.

ახალი ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის გამოყენების შემთხვევაში მომხმარებლებს აღარ მოუწევთ პროგრამის გარეთ მონაცემების შევსება. პროგრამას შეეძლება შეაგროვოს და დათვალოს ყველა აუცილებელი სტატისტიკური მონაცემები. ასევე, გაფართოებულია იმ ინფორმაციის მოცულობა, რომელსაც პროგრამა შეინახავს და დაითვლის. ამასთან, ვინაიდან აუცილებელი სტატისტიკური ინფორმაცია სავალდებულოდ არის შესავსები, მაღალია მიღებული სტატისტიკური ინფორმაციის სიზუსტე.

აღნიშნული ინფორმაციით ირკვევა, რომ განხორციელებული ცვლილებები ეყრდნობა არსებული პრაქტიკის ანალიზს და პასუხობს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში

გამოკვეთილ ხარვეზებსა და გამოწვევებს. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 9.1.2.** სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის გაუმჯობესება

**ღონისძიება N2:** ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დახვეწის მიზნით ამოცანის დოკუმენტის შემუშავება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დახვეწის მიზნით ამოცანის დოკუმენტის საფუძველზე განხორციელებული ღონისძიება

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმისწარმოების ახალი ელექტრონული სისტემის შემუშავებისთვის მომზადდა ამოცანა, რომელიც სსიპ „სმარტ ლოჯიქის“ ბიზნეს ანალიტიკოსების მიერ გაიწერა დამკვეთის - პროკურატურის ბაზაზე შექმნილ სამუშაო ჯგუფთან კოორდინაციის გზით. ამოცანა არის პროგრამის ნაწილი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად არეგულირებს ელექტრონული პროგრამის სპეციფიურ პროგრამულ ტერმინთა განმარტებებს; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო და საგამოძიებო დოკუმენტების ელექტრონული გზით შექმნის და წარმოების სტანდარტებს; გამარტივებულ საძიებო სისტემას, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების თანამდებობის პირების მიერ მათზე დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში; მრავალკომპონენტიან სავალდებულო ველებზე დაფუძნებულ სტატისტიკურ მოდულს და სხვა.

ამოცანის საფუძველზე შეიქმნა ახალი პროგრამა, რომლის ფუნქციური უპირატესობებია:

- გამარტივდა პროგრამის ამოცანაში ცვლილებების შეტანა, რომელიც გამომდინარეობს პროცესუალური ნორმების ცვლილებიდან ან დამკვიდრებული პრაქტიკიდან. საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედების ოქმების შაბლონებში პროგრამულად ჩაიდო საპროცესო ნორმების აუცილებელი მოთხოვნები და შესაბამისი ველების და ინფორმაციის გარეშე დოკუმენტი პროგრამულად ვერ დასრულდება. აღნიშნული მინიმუმამდე ამცირებს პროკურორისა და გამომძიებლის მიერ დაშვებული შეცდომების ალბათობას.

- ახალი სისტემა აღჭურვილია ძებნის ბევრად მოქნილი და მძლავრი ფუნქციით, რომელიც შესაძლებელს ხდის მოქმედ სისტემაში (როგორც საკუთარ, ასევე სხვა უწყების მიერ წარმოებულ) სისხლის სამართლის საქმეებში მოიძებნოს არამარტო პირები, არამედ საქმე დასახელების, საქმის ნომრის, კვალიფიკაციის და გამოძიების დაწყების სავარაუდო თარიღის მითითებით; დამატებითი ფილტრის სახით შესაძლებელია მოძიებულ იქნას საქმე

განხილვის რა ეტაპზე იმყოფება და რა სტატუსი აქვს. შესაძლებელია სისტემაში ძებნა სუბიექტების მითითებით, როგორებიც არიან პროკურორი, გამომძიებელი, მოსამართლე, ადვოკატი, თარჯიმანი და ა.შ; შესაძლებელია მოიძებნოს მთელ სისტემაში დარეგისტრირებული ნებისმიერი საპროცესო ან საგამოძიებო მოქმედება სად და რომელ სისხლის სამართლის საქმეში ფიქსირდება; ასევე ფიზიკური და იურიდიული პირები თუნდაც მინიმალური საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითებით. გარდა ფიზიკური პირებისა შესაძლებელია ნივთების მოძიება სხვა სისხლის სამართლის საქმეებში, როგორიცაა ავტომანქანები (მარკის, მოდელის, სახელმწიფო ნომრის მითითებით) მობილური ტელეფონები (მოდელის, imei კოდის მითითებით), ნარკოტიკული საშუალება დასახელებით, ცეცხლსასროლი იარაღი (ტიპის და სახეობის მითითებით), გვამი, ძვირფასეულობა, დოკუმენტი, ტექნიკა, ცხოველი, უძრავი ქონება და სხვა.

- ახალ სისტემაში საქმის მასალები ავტომატურად ლაგდება ქრონოლოგიურად, რაც ამარტივებს როგორც საქმის მასალების გაცნობის პროცესს, ასევე კონკრეტული მასალისა თუ დოკუმენტის მოძიებას. საქმეზე ჩატარებულ ქმედებებს დაემატა ფილტრის ფუნქცია, რითაც ბევრად ადვილია მოცულობით საქმეში მოძიებულ იქნას სასურველი დოკუმენტი.

- თითოეულ სისხლის სამართლის საქმეს აქვს ახალი ფუნქციონალი - კვალიფიკაციების ისტორია. მოქმედ სისტემაში მარტივად შეიძლება იმის გაგება, რა მუხლით დაიწყო გამოძიება, რაზე გადაკვალიფიცირდა, ბრალდება რა მუხლით წარედგინა და შემდგომ როგორ წარიმართა საქმე სასამართლოში, ასევე რომელია წაშლილი დღეის მდგომარეობით და რომელი კვალიფიკაციაა აქტიური. აღნიშნული პროკურორისა და გამომძიებლის რესურსის დაზოგვას ემსახურება, რომელიც მოქმედ სისტემაში ეცნობოდა საქმის სრულ მასალას, ყველა პროცესუალურ დოკუმენტს კვალიფიკაციის ისტორიის სანახავად.

- ახალ სისტემაში საქმეში დარეგისტრირებულ სუბიექტები და ობიექტებს, ასევე ჩატარებულ ქმედებებს დაემატა მთვლელის ფუნქცია, რაც იმას ნიშნავს, რომ რიცხობრივადაა წარმოდგენილი საქმეზე თითოეული მათგანი. კერძოდ, თუკი პროკურორს აინტერესებს რამდენი საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა საქმეზე ან რამდენი მოწმე დაიკითხა, ამისთვის საქმის მასალების სრულად ნახვა და ხელით დათვლა აღარ არის აუცილებელი და მისთვის საინტერესო რიცხობრივი მონაცემი საქმის თავფურცელზევეა წარმოდგენილი.

- ახალ სისტემას აქვს ფუნქცია, მიუთითოს იუზერს დაშვებული ტექნიკური შეცდომების და სავალდებულოდ შესავსები ველების შესახებ; საქმეზე დარეგისტრირებული თითოეული დოკუმენტი, სუბიექტი, ობიექტი, ნივთი თუ ფაილი ავტომატურად გადაიტანება შესაბამის ოქმსა და ნუსხაში, რაც ამცირებს მექანიკური შეცდომის დაშვების ალბათობას და ამ მოტივით მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შანსს.

- მომხმარებლისათვის ახალ სისტემაში მუშაობის გაადვილების მიზნით დამატებულია ვიდეო-გაკვეთილები და სისტემაში მუშაობის ინსტრუქცია, რომლის მეშვეობით

გამომძიებელი და პროკურორი შეძლებს გაეცნოს მისთვის საინტერესო თემაზე დეტალურ ინფორმაციას როგორც წერილობით, ასევე ვიზუალური თვალსაჩინოებით.

- ახალ სისტემაში გაცილებით მარტივია სტატისტიკის წარმოება, ვინაიდან ჩადებულია ყველა შინაარსობრივი თუ რაოდენობრივი მონაცემი, რაც აუცილებელია სტატისტიკის საწარმოებლად, ანალიზების მოსამზადებლად, საჯარო ინფორმაციის გასაცემად და ა.შ.
- მოქმედ სისტემაში მენეჯერთა უფრო ეფექტიანი მუშაობისათვის გაწერილია ხედვა მათ ქვემდებარეობაში მყოფ სტრუქტურებში დაწყებული გამოძიების, დევნების, სტატისტიკური მაჩვენებლებისა თუ პროკურორთა დატვირთულობის სანახავად.

როგორც წარმოდგენილი ინფორმაციიდან ჩანს, მომზადებული ამოცანის დოკუმენტზე დაყრდნობით, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დახვეწის მიზნით, მრავალი მნიშვნელოვანი სიახლე დაინერგა, რაც ადამიანური და დროითი რესურსის დაზოგვით გაუმჯობესებს სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების პროცესს. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 9.1.2.** სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის გაუმჯობესება

**ღონისძიება N3:** ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის განახლებული ვერსიის შესახებ პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის ინფორმაციის მიწოდება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის განახლებული ვერსიის შესახებ პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების საშუალება (30)

2. ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის განახლებული ვერსიის შესახებ პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის მიწოდებული ინფორმაციის მოცულობა, საკითხები (35)

3. პროკურორთა და გამომძიებელთა პროცენტული რაოდენობა, რომლებსაც მიეწოდათ ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის განახლებული ვერსიის შესახებ (35)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წელს ახალ ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამას გაეცნო საქართველოს პროკურატურის ყველა გამომძიებელი და პროკურორი. მათ მიეწოდათ ინფორმაცია პროგრამის გამოყენების წესების შესახებ და პრაქტიკულად გაეცნენ მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტების პროგრამულად შედგენის წესს. კერძოდ, ჩატარდა ერთდღიანი ტრენინგები, რომლის ფარგლებშიც პროკურორებსა და გამომძიებლებს სატესტო რეჟიმში მიეცათ მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომლის მეშვეობითაც ელექტრონულ პროგრამაში დაარეგისტრირეს

სისხლის სამართლის საქმე და შეასრულეს ყველა საჭირო ქმედება. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 9.1.2.** სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის გაუმჯობესება

**ღონისძიება N4:** პროკურორების და გამომძიებლების გადამზადება სისტემაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით

**შეფასების ინდიკატორები:**

1. პროკურატურის პროკურორების და გამომძიებლების რაოდენობა, რომლებიც გადამზადდნენ განახლებული ელექტრონული საქმისწარმოების საკითხებში (40)

2. განახლებული ელექტრონული საქმისწარმოების თემაზე ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. განახლებული ელექტრონული საქმისწარმოების თემაზე ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს განახლებული ელექტრონული საქმისწარმოების თემაზე ჩატარდა 28 ტრენინგი, რომელთა ფარგლებშიც გადამზადდა 547 მონაწილე (პროკურორი, სისტემის გამომძიებელი და სტაჟიორი). ასევე, დამატებით ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი სხვა სამართალდამცავ უწყებათა წარმომადგენლებისთვის. დღის წესრიგების მიხედვით ირკვევა, რომ ტრენინგების განმავლობაში დაფარული თემატიკა მრავლისმომცველი იყო. კერძოდ, მოხდა როგორც პროგრამის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მიწოდება, ისე მონაწილეებისთვის ელექტრონული პროგრამის ფუნქციების, პროგრამაში საქმის რეგისტრაციის წესის, წინასაგამოძიებო საქმეების დარეგისტრირების, ადვოკატის დარეგისტრირების, მიმართვის წერილის შედგენის, არასრულწლოვანი დაზარალებულის/მოწმის გამოკითხვის ოქმის, პირადი ჩხრეკის/დაკავების/პირის ამოცნობის ოქმის შესახებ ინფორმაციისა და ა.შ. გაცნობა. საკითხების თემატიკა აქტივობის მიზნის შესაბამისი იყო. მისაღებია ტრენინგების, მონაწილეთა რაოდენობისა და საკითხებია განხილვის დროც (საერთო ჯამში, შვიდი საათი). სასურველია, რომ პერიოდულად მოხდეს ამ კუთხით ახალი თანამშრომლების გადამზადებაც, რასაც სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებს. **ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 9.1.3.** შიდა მოხმარების ქსელის დახვეწა

**ღონისძიება N1:** სამართლებრივი დისკუსიების მიზნით შიდა ფორუმის შექმნა

**შეფასების ინდიკატორები:**

1. სამართლებრივი დისკუსიების მიზნით შექმნილი შიდა ფორუმის შემადგენლობა (35)
2. სამართლებრივი დისკუსიების მიზნით შექმნილი შიდა ფორუმის შეხვედრების რაოდენობა (30)
3. სამართლებრივი დისკუსიების მიზნით შექმნილი შიდა ფორუმის მიერ განხილული საკითები (35)

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის თანახმად, სამართლებრივი დისკუსიების მიზნით შიდა ფორუმი არ შექმნილა. **შესაბამისად, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესია 0%.**

## 5.10. ამოცანა 10. თანამშრომელთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლება

პროკურატურის სამოქმედო გეგმის მე-10 ამოცანა და მიზანი გულისხმობს პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლებას. აღნიშნული მიზნის მიღწევის მექანიზმად შვიდი კომპონენტია გათვალისწინებული, რომლებიც 2018 წლისთვის ცხრა ღონისძიების შესრულებას ითვალისწინებს. აღნიშნული ცხრა ღონისძიებიდან შვიდი სრულად შესრულდა, ორი კი შეუსრულებელია. **მე-10 ამოცანის ღონისძიებების შესრულების პროგრესი 78%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 10.1.1** თანამშრომლების მომზადება/გადამზადება

**ღონისძიება N1:** არსებული საჭიროებების გამოსავლენად, ტრენინგ საჭიროებათა ანალიზის განხორციელება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. საჭიროებათა ანალიზში მონაწილე თანამშრომლების პროცენტული რაოდენობა

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ტრენინგ საჭიროებათა ანალიზის ელექტრონული პროგრამის საფუძველზე, 2018 წელს განხორციელდა პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევა. კვლევის პროცესში ჩაერთო როგორც რიგითი, ისე მენეჯერული პოზიციის ყველა თანამშრომელი. ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, თითოეული მონაწილე საკუთარი კომპიუტერის გამოყენებით სამუშაო ადგილიდან ჩაერთო გამოკითხვის პროცესში. გამოკითხვის პროცესში თითოეულ თანამშრომელს მიეცა შესაძლებლობა დაესახელებინა თუ რა ტრენინგების გავლა სურს პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე; ასევე, მენეჯერებმა დააფიქსირეს საკუთარი პოზიცია თუ რა მიმართულებით ხედავენ საკუთარი თანამშრომლების განვითარების საჭიროებას. პროკურატურის თანახმად, ინდივიდუალურ კითხვარში მონაწილეობა მიიღო 378-მა თანამშრომელმა, მენეჯერების კითხვარი კი შეავსო 86-მა პირმა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

გამოკითხვის დასრულების შემდგომ, მოხდა მიღებული შედეგების დეტალური ანალიზი და გამოიკვეთა თუ რა გამოწვევების წინაშე დგას თანამშრომელი მისი საქმიანობიდან გამომდინარე, ასევე რომელ კომპონენტში სურს ან საჭიროებს განვითარებას, რის საფუძველზეც უფრო მეტი სიზუსტით მოხდა სწავლების სამოქმედო გეგმის განსაზღვრა. ამასთან, პროფესიული განვითარებისა და კარიერის მართვის ცენტრის თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა, პროგრამის საშუალებით მოახდინონ მრავალმხრივი მონაცემთა ანალიზი და ფილტრაცია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ამ პროცესის ეფექტიანობას, მასშტაბებს და ამასთან, ზოგავს ადამიანურ და დროის რესურსს.

პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით ირკვევა, რომ ელექტრონული პროგრამის საფუძველზე, საერთო ჯამში, 464 თანამშრომლის პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევა განხორციელდა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ამასთან, მისაღებია ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა გამოკითხვა. **ამის გათვალისწინებით, ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 10.1.1** თანამშრომლების მომზადება/გადამზადება

**ღონისძიება N2:** გამოვლენილი საჭიროებებისა და ახალი გამოწვევების შესაბამისად, მიზნობრივი სასწავლო აქტივობების განხორციელება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. პროკურატურის თანამშრომლებისთვის განხორციელებული იმ სასწავლო აქტივობების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც ეყრდნობა განხორციელებულ საჭიროებათა ანალიზს

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციია თანახმად, 2018 წელს პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადების მიზნით განხორციელდა 195 სასწავლო აქტივობა. გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით, დაიგეგმა სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული მიმართულებები. იდენტიფიცირებული საკითხების პარალელურად, ყოველი წლის აქტივობებში ხდება საქართველოს პროკურატურის სტრატეგიული ამოცანების, სხვადასხვა სამოქმედო გეგმის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებისა და საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების მხრიდან მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, 2018 წელს განხორციელებული სასწავლო აქტივობები მნიშვნელოვნად ფარავდა იდენტიფიცირებულ საჭიროებებს: რიგითი თანამშრომლების შემთხვევაში თანხვედრა იყო 91%, მენეჯერების შემთხვევაში კი - 82%. აღნიშნული აქტივობის ინდიკატორს აკმაყოფილებს, ამასთან, აქტივობა მრავალჯერადი ხასიათისაა და სამოქმედო გეგმის მიხედვით, შემდეგ წლებშიც არის დაგეგმილი. **შესაბამისად, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი შესრულების პროგრესი 100%-ია.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 10.1.2** ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა

**ღონისძიება N1:** შემუშავდება და დაინერგება ახალი სასწავლო მოდული იურიდიული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე

**შეფასების ინდიკატორები:**

1. იურიდიული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე შემუშავებული ახალი სასწავლო მოდული ადგილობრივ კანონმდებლობასთან ერთად ფარავს საერთაშორისო სტანდარტებს (50)

2. იურიდიული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე შემუშავებული ახალი სასწავლო მოდულის საფუძველზე დატრენინგებული პირების რაოდენობა (50)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს პროკურატურისა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში, პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის იურიდიული პირის პასუხისმგებლობის თემაზე სპეციალური სახელმძღვანელო მომზადდა. სახელმძღვანელოს პირველი თავი შემუშავდა ევროპის საბჭოს ექსპერტის მიერ, ხოლო II თავი შემუშავდა საქართველოს პროკურატურის მიერ PGG პროექტის მხარდაჭერით. სახელმძღვანელოს I თავში წარმოდგენილია იურიდიული პირების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით არსებული ძირითადი ინსტრუმენტების მიმოხილვა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსხვავებული მიდგომები საერთაშორისო დონეზე და საუკეთესო პრაქტიკა იურიდიული პირების ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. II თავში მიმოხილულია პასუხისმგებლობის ელემენტები და დეტალურადაა განხილული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგამოძიებო და პროცედურული ასპექტები.

სახელმძღვანელოს პრაქტიკაში სწორად დანერგვის მიზნით, პროკურორებისა და სისტემის გამომძიებლებისთვის ორი სასწავლო აქტივობა განხორციელდა, რომლებშიც ჩართული იყო 33 მონაწილე. სასწავლო კურსი მოიცავდა იურიდიული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების მექანიზმებს, მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების კრიტერიუმებს, სასჯელის სახეებს, დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიებას, კორპორატიული რისკის მართვას, სანქციებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე სასწავლო მოდულის შემუშავება 2018 წლის ფარგლებში იყო გაწერილი, თუმცა მისი დანერგვის მიზნით ტრენინგების ჩატარება მომდევნო წლებშიც არის გათვალისწინებული. აქტივობის მრავალჯერადი ხასიათიდან გამომდინარე, დატრენინგებულთა რიცხვი ოპტიმალურ რაოდენობად შეიძლება იქნეს მიჩნეული. **ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 10.1.3** მოქმედი მენეჯერებისა და მომავალი ლიდერების განვითარების პროგრამის დანერგვა

**ღონისძიება N1:** მენეჯერებისათვის განხორციელდება შესაბამისი სასწავლო კურსი, მართვის მეთოდებთან დაკავშირებით

**შეფასების ინდიკატორები:**

1. პროკურატურის მენეჯერთა რაოდენობა, რომლებიც გადამზადდნენ მართვის მეთოდებთან დაკავშირებით (40)

2. მართვის მეთოდებთან დაკავშირებით ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის თანაფარდობა მონაწილეთა რაოდენობასთან (30)

3. მართვის მეთოდებთან დაკავშირებით ჩატარებული ტრენინგების ხანგრძლივობა, საკითხების შესაბამისობა ტრენინგის თემასთან (30)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ორგანიზაციის მართვის თემაზე საქართველოს პროკურატურის მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერების ოთხი ჯგუფისთვის განხორციელდა ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც სწავლება გაიარა 79-მა მონაწილემ (მენეჯერი). სასწავლო პროგრამა და მასალები უწყების სპეციფიკაზეა მორგებული და პროკურატურის საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავდა. წარმოდგენილი დღის წესრიგის მიხედვით, ტრენინგის ფარგლებში მოხდა ისეთი საკითხების განხილვა, როგორებიცაა: ორგანიზაციის სტრუქტურული და ქცევითი ასპექტები, მენეჯმენტი, გუნდური მუშაობა, ორგანიზაციული კულტურა და მართვის სტილი, სტრესის მართვა, ემოციური ინტელექტი და სხვა. თითოეული საკითხის განხილვას, დაახლოებით, საათნახევარი დაეთმო. პროკურატურის თანახმად, 2018 წელს პროკურატურაში მენეჯერთა და მოადგილეთა საერთო რაოდენობა 130-ს შეადგენდა. ამის ფონზე, იმის გათვალისწინებით, რომ ღონისძიება ერთჯერადი ხასიათის არაა და მისი განხორციელება სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2019 წელსაც არის დაგეგმილი, გადამზადებულთა რაოდენობა მისაღებ ოდენობად შეიძლება ჩაითვალოს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 10.1.4** მენტორების პროგრამის დანერგვა და ამოქმედება

**ღონისძიება N1:** შედეგების ანალიზი და სისტემის გაუმჯობესება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. შედეგების ანალიზის საფუძველზე მენტორების სისტემაში შეტანილი ცვლილებები

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს საქართველოს პროკურატურაში სტაჟიორების ადაპტაციისა და პროფესიული განვითარების პროცესში წინასწარ შერჩეული და მომზადებული მენტორები პირველად ჩაერთვნენ. მენტორობის პროგრამის ეფექტიანი ამოქმედებისა და პროცესის გაუმჯობესების მიზნით შერჩეული მენტორების მომზადების მიზნით ჩატარდა ორი ტრენინგი, რომლებიც მენტორისთვის აუცილებელი ცოდნის გადაცემასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურებოდა. ამასთან, ყოველ სამ თვეში ერთხელ ხდებოდა პროექტის მიმდინარეობის შეფასება. ელექტრონული ფორმით ჩატარდა მენტორების, მენეჯერებისა და სტაჟიორების გამოკითხვა, მიღებული შედეგების ანალიზი და სამუშაო პროცესში მათი გათვალისწინება.

მიღებული შედეგების ანალიზის შესაბამისად, მენტორობის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, დაიწყო მუშაობა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: მენტორების რაოდენობის ზრდა, მენეჯერს, მენტორსა და სტაჟიორს შორის კომუნიკაციის პროცესის გაუმჯობესება, მენტორთა სახელმძღვანელოს განახლება და მენტორთა შემდგომი გადამზადების უზრუნველყოფა. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ღონისძიება სრულად შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 10.1.5** ახალი ელექტრონული პროდუქტების დანერგვა

**ღონისძიება N1:** ტრენინგ საჭიროებათა ანალიზის ელ. პროგრამის მომზადება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. ტრენინგ საჭიროებათა ანალიზის ელ. პროგრამის შესაძლებლობები, ტექნიკური მახასიათებლები

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ტრენინგ საჭიროებათა ანალიზის პროგრამა მოიცავს ელექტრონულ გამოკითხვას, რომელიც შედგება ინდივიდუალური და მენეჯერული კითხვარისაგან. ინდივიდუალური კითხვარი ივსება როგორც რიგითი, ისე მენეჯერული პოზიციის ყველა თანამშრომლის მიერ. ინდივიდუალური კითხვარის შევსებისას, თითოეული თანამშრომელი უთითებს ჩამოთვლილ ტრენინგებს და პასუხობს შეკითხვებს მისი პირადი პროფესიული საქმიანობის საჭიროებებიდან გამომდინარე. აღნიშნული კითხვარის ფარგლებში გამოკითხვა დაყოფილია ორ ნაწილად: 1) ტრენინგების კატეგორიები, სადაც ტრენინგების ჩამონათალი გადანაწილებულია თემატურად. თითოეულ კატეგორიაში მოინიშნება სასურველი ტრენინგი/თემატიკა; 2) შეკითხვები - შეკითხვები არის როგორც დახურული (არჩევითი პასუხით), ისე ღია ტიპის.

მენეჯერული კითხვარი ივსება, როგორც საშუალო რგოლის მენეჯერების მიერ (I შემფასებელი), ისე მაღალი რგოლის მენეჯერების მიერ (II შემფასებელი). მენეჯერი უთითებს

ტრენინგებს და პასუხობს შეკითხვებს მისი თანამშრომლების პროფესიული საქმიანობის საჭიროებებიდან გამომდინარე, თუ რა მიმართულებით ხედავს მათი განვითარების საჭიროებასა და პერსპექტივას.

მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით დგინდება, რომ ელექტრონული პროგრამის ტექნიკური მახასიათებლები იძლევა თანამშრომლის საჭიროების დადგენისა და შეფასების შესაძლებლობას. **აქედან გამომდინარე, ღონისძიება სრულად შესრულდა და მისი პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 10.1.6** სტუდენტებისათვის სასწავლო აქტივობების განხორციელება

**ღონისძიება N1:** სტუდენტებთან მინიმუმ 5 შეხვედრის ჩატარება

**შეფასების ინდიკატორები:**

1. სტუდენტებთან ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა (30)

2. შეხვედრებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა (30)

3. შეხვედრის დროს განხილული საკითხები (40)

**სტატუსი:** სრულად შესრულებული

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 100%

საქართველოს პროკურატურამ, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და სტუდენტური ორგანიზაციების მომართვის საფუძველზე, 2018 წლის მონაცემებით სტუდენტების 13 ჯგუფს უმასპინძლა. განხორციელებულ აქტივობებში 400-მდე სტუდენტი და სკოლის მოსწავლე მონაწილეობდა. წარმოდგენილი ინფორმაციით ირკვევა, რომ შეხვედრებზე განხილული საკითხები საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. დაფარული თემატიკა მოიცავდა როგორც საქართველოს პროკურატურის სტრუქტურის მოკლე მიმოხილვასა და პროკურატურის სისტემის განვითარების ეტაპებს, ისე ინფორმაციას ნაფიც მსაჯულთა სისტემის, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების, პასუხისმგებლობის ასაკისა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითადი სტანდარტების, განრიდება-მედიაციის შესახებ და ა.შ. **ღონისძიება სრულად შესრულებულად შეიძლება იქნეს მიჩნეული და მისი შესრულების პროგრესია 100%.**

**მიზნის მიღწევის მექანიზმი 10.1.7** რანგირების სისტემის რეფორმა

**ღონისძიება N2:** პროკურატურის თანამშრომლებისთვის პროკურორთა რანგირების სისტემის რეფორმის დოკუმენტის პროექტის გაცნობა

**შეფასების ინდიკატორები:**

1. პროკურატურის თანამშრომელთა პროცენტული რაოდენობა, რომლებიც გაეცნენ პროკურორთა რანგირების სისტემის რეფორმის დოკუმენტის პროექტს (60)

2. პროკურატურის თანამშრომლებისთვის დოკუმენტის გაცნობის ფორმა (40)

**სტატუსი:** შეუსრულებელი

**ღონისძიების შესრულების პროგრესი:** 0%

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, რანგირების სისტემის რეფორმა არ განხორციელებულა. **შესაბამისად, ღონისძიება არ შესრულდა და მისი პროგრესია 0%.**